# საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში

## საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2002 წლის მეორე ნახევარი

WITH THE FINANCIAL ASSISTANCE OF UNDP
AND GOVERNMENT OF THE NETHER LANDS

ქურნალი გამოდის გაერო-ს განვითარების პროგრამისა და
ჰოლანდიის მთავრობის ხელშეწყობით

UNDP

# საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში

# საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2002 წლის მეორე ნახევარი

# სარჩევი


შესავალი ..... 4

თავი I. სამოქალაქო, პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის მდგომარეობა საქართველოში ..... 7

ქვეყანაში შექმნილი კრიმინოგენური მდგომარეობა, ბრძოლა დანაშაულისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ..... 7

სასამართლო ინსტანციების შეცდომების შედეგად ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დარღვევისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობის შესახებ ..... 11

სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა მიერ დაშვებულ დარღვევებზე სახალხო დამცველის რეკომენდაციების არასათანადოდ განხილვის შესახებ ..... 33

თანამდებობრივი შეუფერებლობის, ჩეჩენი მოქალაქეების ექსტრადირების საკითხებზე არასათანადო რეაგირების გამო საქართველოს გენერალური პროკურორისა და მთავარი სამხედრო პროკურორის პასუხისმგებლობის შესახებ..... 42

ე. წ. ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარების პროცესში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა მასობრივი დარღვევისა და ძალოვანი უწყების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ ..... 52

ცალკეულ მოქალაქეთა და მსჯავრდებულთა უფლებებისა და თავისუფლების შელახვის თაობაზე შემოსული განცხადებებისა და საჩივრებთან დაკავშირებით გენერალური პროკურატურის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე უარის თქმის შესახებ ..... 54

კანონით მინიჭებული უფლებების დაცვის თაობაზე მოქალაქეთა განცხადებების დაკმაყოფილების მოთხოვნით, საქართველოს სახალხო დამცველის შუ-მდგომლობების განხილვის თაობაზე ..... 63

მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში ..... 75

მდგომარეობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის №5 საპყრობილეში ..... 76

შინაგან საქმეთა (პოლიციის) ორგანოებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ..... 84

შინაგან საქმეთა ორგანოებიდან საპყრობილეებში პატიმართა სხეულის სხვადასხვა დაზიანებითა და პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით მოთავსების შესახებ ..... 91

წყალზე სამაშველო სამსახურის საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ ..... 95

| | | |
|---|---|---|
| | სომალის ნაპირებთან გემის ეკიპაჟის წევრების, საქართველოს 6 მოქალაქის მძევლად აყვანის შესახებ | 97 |
| | საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე | 98 |
| | შრომით დასაქმებაში არსებული პრობლემები | 101 |
| | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა | 103 |
| | სახელისუფლო ორგანოებში კონტროლზე აყვანილი საქმეების შესრულების მიმდინარეობის შესახებ | 105 |
| | №13 სამშენებლო ტრესტში შექმნილი ვითარება | 105 |
| | საგადასახადო მოხელეთა დარღვეული შრომითი უფლებების შესახებ | 106 |
| | ბინათმშენებლობაში არსებული პრობლემების შესახებ | 108 |
| | მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ | 110 |
| | 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით | 110 |
| | იმერეთის მხარეში საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის საქმიანობა | 111 |
| | სამეგრელოსა და ზემო სვანეთში საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის საქმიანობა | 115 |
| თავი II. | საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა | 121 |
| | სტრატეგიის დეპარტამენტის ანგარიში | 121 |
| | ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი | 124 |
| | ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი | 135 |
| | სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის ცენტრი | 143 |
| | რელიგიის თავისუფლებათა დაცვის ცენტრი | 152 |
| | ადმინისტრაციის დეპარტამენტის ანგარიში | 161 |
| თავი III. | საერთაშორისო მხარდაჭერით განხორციელებული საქმიანობა და ურთიერთობები | 164 |
| | ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის განხორციელების მოხსენების განხილვის შესახებ | 169 |
| | მოქალაქეთა მომართვებისა და მიღების დეპარტამენტის 2002 წლის II ნახევრის სტატისტიკური ინფორმაცია | 177 |


© ყველა უფლებები დაცულია 2003
UNDP © 2003
დაიბეჭდა შპს „თობალისში“

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად წარმოდგენილ სახალხო დამცველის მორიგ ანგარიშში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, აისახა პერიოდი 2002 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით.

ანგარიშს საფუძვლად დაედო საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში შემოსული მომართვები და საჩივრები, სამთავრობო სტრუქტურების მიერ მოწოდებული ინფორმაციები და ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემები.

სახელმწიფო ის ადამიანებია, რომლებიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ ისტორიის მოცემულ მონაკვეთში. ჩვენ დღეს გვიჭირს, და ეს გაჭირვება მძიმედ აისახება ადამიანთა სულიერ მდგომარეობაზე. ამ სიტუაციაში წინა პლანზე წამოვიდა სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა. ეს მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. თუ წინა ათწლეულებში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის პრობლემა დომინირებდა, დღეს საერთაშორისო დონეზე უმწვავესად დადგა სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. ღრმა უფსკრული სიღარიბესა და სიმდიდრეს შორის შთანთქმით ემუქრება არა მარტო ღარიბებს, არამედ მდიდრებსაც კი. სამწუხაროდ, ამ ფაქტის გაცნობიერება საკმაოდ მძიმედ ხდება. სიღარიბე მარტო ეკონომიკური გაჭირვება არ არის, მისი თანამდევია კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება, პროსტიტუცია, ნარკომანია, ძალადობა და სხვ.

დამოუკიდებლობის შემდგომი წლები საქართველოში სუბიექტურ და ობიექტურ წინააღმდეგობებთან განუწყვეტელი ბრძოლის, საგარეო და საშინაო საფრთხეების თავიდან აცილების, საზოგადოების ათწლეულობით ჩამოყალიბებული მენტალიტეტის ცვლილების, ეკონომიკური გაჭირვების წლები აღმოჩნდა. ათი წელი ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ძალიან მცირე დროა, მაგრამ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ამ დროში ცხოვრობენ, ეს წლები ტკივილის, უშუქობის, სიცივის, გაჭირვების წლები აღმოჩნდა.

სახალხო დამცველის ეს მოხსენება მიზნად ისახავს სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის თემის წამოწევას. მინდა აღვნიშნო, რომ 2002 წლის ნოემბერში ჟენევაში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა განიხილა საქართველოს მეორე პერიოდული მოხსენება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის განხორციელების შესახებ. კომიტეტმა საქართველოს მთავრობას მოაწოდა რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა მთელ სპექტრს. კომიტეტი სთავაზობს საქართველოს, მაქსიმალური ეფექტიანობით განახორციელოს ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სხვადასხვა გეგმები და პროგრამები, ქმედითი ზომები მიიღოს კორუფციასთან საბრძოლველად, გააუმჯობესოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა, საჭირო ფინანსები გამოყოს სახალხო დამცველისათვის, აქტიურად იმოქმედოს შრომის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, სრულყოფილი გახადოს შრომითი ინსპექციების საქმიანობა, განახორციელოს სოციალური დაცვის სისტემის რეფორმა, გააუმჯობესოს ქალთა მდგომარეობა, ებრძოლოს ოჯახურ ძალადობას, ქმედითი ზომები მიიღოს ტრეფიკინგთან საბრძოლველად, გადაჭრას ქუჩის ბავშვთა პრობლემები, სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებისას უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების აქტიური და ქმედითი მონაწილეობა, გააგრძელოს ძალისხმევა ქვეყნის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, შემდეგ მოხსენებაში წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მიმდინარე რეფორმის შესახებ და ა. შ.

სახალხო დამცველს საშუალება ჰქონდა უშუალოდ გასცნობოდა ამ პრობლემების მთელ სიმწვავეს იმ ათასობით მოქალაქესთან ურთიერთობით, რომლებიც სახალხო დამცველთან მათი დარღვეული უფლებების აღდგენაში დახმარების იმედით მოდიან.

მოხსენებაში, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის მთელი სპექტრის შესახებ არის საუბარი.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობას. ამ მხრივ გარკვეული გაუმჯობესება შეიმჩნევა. მაგრამ, სამწუხაროდ, სახალხო დამცველის ბევრი რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელი რჩება.

კვლავ მოუგვარებელია საქართველოს სახალხო დამცველის ურთიერთობა სასამართლო ხელისუფლებასთან. პარლამენტში სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვის მიმართულებით კვლავ არაფერია გაკეთებული.

დღემდე გადაუწყვეტელი რჩება სახალხო დამცველისა და მისი აპარატის ბიუჯეტის ფორმირების შესახებ კანონით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის საკითხი. ეს პრობლემა სახალხო დამცველის აპარატის დაარსების დღიდან დღემდე გრძელდება და სცილდება საანგარიშო პერიოდს, რადგან 2003 წელსაც იგივე განმეორდა.

საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვე დარჩა. სახალხო დამცველი იტოვებს იმედს, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მოქალაქეების უმნიშვნელოვანესი უფლება – აირჩიოს და იყოს არჩეული ქვეყნის უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოებში, რაც ხალხის მიერ თავისი ძალაუფლების განხორციელების უმნიშვნელოვანესი ფორმაა, მაქსიმალურად იქნას დაცული. ამის უპირველესი წინაპირობა კი ისეთი საარჩევნო კანონის მიღებაა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქის ხმის დაცულობას და რითაც ადამიანის უფლებათა დამცველებს აღარ მოგვიხდება თავის მართლება საერთაშორისო ექსპერტებთან კანონის არასრულყოფილების გამო.

დასასრულს, მინდა კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა გაეროს განვითარების პროგრამას, რომელიც აგრძელებს სახალხო დამცველისა და მისი აპარატის მხარდაჭერასა და თანადგომას საერთოდ და კონკრეტულად ამ მოხსენების მომზადების საქმეში.

# თავი I. სამოქალაქო-პოლიტიკური, ეკონომიკურ-სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის მდგომარეობა საქართველოში

## ქვეყანაში შექმნილი კრიმინოგენური მდგომარეობა, ბრძოლა დანაშაულისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ

2002 წლის მეორე ნახევარში ქვეყანაში გართულდა კრიმინოგენური ვითარება. გაიზარდა როგორც დანაშაულთა საერთო რაოდენობა, ისე მისი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე სახეები, ასევე, გაიზარდა არასრულწლოვანთა მიერ ან მათი მონაწილეობით ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი. დანაშაულის საერთო რაოდენობამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 7687 ერთეული, ხოლო მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისა – 2341 და 1857 ერთეული. შესაბამისად, დანაშაულის ზრდამ შეადგინა 175, 21, 269 და 9 ერთეული. გაუარესდა დანაშაულის საერთო რაოდენობის გახსნის მაჩვენებელი 0,5%-ით, ხოლო მისი განსაკუთრებით მძიმე სახეებისა 16%-ით, რამაც შესაბამისად, 83,3%, და 82,1% შეადგინა.

განზრახ მკვლელობები რეგისტრირებული იქნა 272 შემთხვევაში და გაიზარდა 47 ერთეულით, ანუ 20,9%-ით; მკვლელობებმა შეადგინა 158 ერთეული, მისი რაოდენობა გაიზარდა 13 ერთეულით, ანუ 0,9%-ით; მკვლელობათა მცდელობები გაიზარდა 34 ერთეულით, ანუ 42,5%-ით.

საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ გავრცელებული სახე მიიღო განზრახ მკვლელობებმა დამამძიმებელ გარემოებებში, რომლებიც ჩადენილია ავტომატური თუ სხვა სახის ცეცხლსასროლი და ფეთქებადი ნივთიერებების გამოყენებით. რიგ შემთხვევებში ასეთ მკვლელობებს შეკვეთის სახე გააჩნია, ან სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებათა შორის დაპირისპირებისა და მათ შორის საქმეთა გარჩევის შედეგია.

გაიზარდა სხვისი ქონების გატაცებათა საერთო რაოდენობა 150 ერთეულით, ანუ 4,8%-ით, აქედან ქურდობის გზით 68 ერთეულით, ანუ 3,0%-ით, ძარცვის – 9 ერთეულით, ანუ 4,6%-ით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებები, რომლებიც გაიზარდა 146 ერთეულით. თუ 2002 წლის პირველ ნახევარში რეგისტრირებული იყო აღნიშნული დანაშაულის 10 შემთხვევა, 2002 წლის მეორე ნახევარში მან შეადგინა 156 ერთეული. ამავე პერიოდში გაიზარდა თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ხულიგნობის ფაქტები და შესაბამისად, შეადგინა 3 და 42 ერთეული; გაიზარდა აგრეთვე უცხოელთა მიმართ და უცხოელების მიერ ჩადენილი დანაშაული 44 და 3 ერთეულით.

გასული წლის მეორე ნახევარში გაუარესდა გახსნის მაჩვენებლები: სხვისი ქონების გატაცების (70% – 2002 წლის I

ნახევარში, 68% – 2002 წლის II ნახევარში), ქურდობები (67,2% – 2002 წლის I ნახევარში, 64,4% – 2002 წლის II ნახევარში), მათ შორის ბინებიდან და საცავებიდან (60,4% – 2002 წლის I ნახევარში, 54,9% – 2002 წლის II ნახევარში), ძარცვის (79,3% – 2002 წლის I ნახევარში, 75,4% – 2002 წლის II ნახევარში) და თაღლითობის (100% – 2002 წლის I ნახევარში, 99,6% – 2002 წლის II ნახევარში). საანგარიშო პერიოდში გაუხსნელი დარჩა განზრახ მკვლელობის 42, მკვლელობის 29 და მკვლელობის მცდელობის 13 საქმე. ასევე გაუხსნელი დარჩა თავისუფლების უკანონო აღკვეთის 4 შემთხვევა.

შემცირდა ისეთი სახის დანაშაულთა გამოვლინება, როგორიცაა გადასახადებისაგან თავის არიდება. თუ 2002 წლის I ნახევარში გამოვლინებული იყო ასეთი სახის დანაშაული 171 შემთხვევაში, 2002 წლის II ნახევარში იგი შემცირდა 148-მდე, ანუ 23 ერთეულით. 1 ერთეულით შემცირდა მექრთამეობის გამოვლინება. 2002 წლის I ნახევარში 14 შემთხვევაში იქნა გამოვლენილი აღნიშნული დანაშაული, მაშინ როცა 2002 წლის II ნახევარში გამოვლინებამ შეადგინა 13 ერთეული.

როგორც ცნობილია, ქვეყანაში გახშირდა კონტრაბანდული საქონლის შემოტანა. მიუხედავად ამისა, საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანამ ან გადმოტანამ საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოტყუებით გამოყენებისა და დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის გზით დანაშაულის გამოვლინებამ შეადგინა მხოლოდ 44 ერთეული.

შემცირდა გამოვლინება ისეთი სახის დანაშაულობებისა, როგორიცაა იარაღისა და საბრძოლო მასალების გატაცება – 1 ერთეულით, მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისა – 44 ერთეულით.

ძალზე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მექრთამეობის კატეგორიის საქმეთა გამოძიების თვალსაზრისით. 2002 წლის მეორე ნახევარში გამოვლენილი მექრთამეობის 13 შემთხვევიდან სასამართლოში წარიმართა მხოლოდ 2 საქმე, რომლებზეც გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგინდა. ასევე, ამავე პერიოდში შეწყვეტილ იქნა წარმოებით დასახელებულ დანაშაულზე აღძრული 2 სისხლის სამართლის საქმე.

ანალოგიური მდგომარეობაა პროკურატურის ორგანოების მიერ საბაჟო წესების დარღვევისა და გადასახადების თავის არიდების ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების თვალსაზრისითაც. საანგარიშო პერიოდში პროკურატურის საგამოძიებო ორგანოების მიერ სასამართლოში წარიმართა საბაჟო წესების დარღვევაზე აღძრული 4 და გადასახადისაგან თავის არიდების ფაქტზე 10 სისხლის სამართლის საქმე, რაც ეჭვს გარეშეა, არადამაკმაყოფილებლად უნდა იქნას შეფასებული.

ასევე, არადამაკმაყოფილებელია ამ მიმართებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საქმიანობა, რომელთა

მიერ გადასახადებისაგან თავის არიდებისათვის გამოვლენილია მხოლოდ 93 სისხლის სამართლის დანაშაული.

ქვეყანაში გავრცელებული სახე მიიღო ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევებმა. მიუხედავად ამისა, გასული წლის მეორე ნახევარში პროკურატურის ორგანოების მიერ აღნიშნული დანაშაულის ნიშნებით აღძრულია 4 სისხლის სამართლის საქმე, ხოლო სასამართლოში წარიმართა მხოლოდ 1 სისხლის სამართლის საქმე, რის გამოც ხელისუფლების წარმომადგენლები, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოების მოხელეები, ანდა სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირების მიმართ, რომლებიც ასეთი გზით არღვევენ მოქალაქეთა უფლებებს, არ ტარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2002 წლის მე-2 ნახევარში პროკურატურის ორგანოებში გადაიგზავნა 137 მასალა პოლიციის მუშაკის მიერ ან მისი მონაწილეობით ჩადენილ დანაშაულზე. მიუხედავად ამისა, როგორც გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, პროკურატურის ორგანოების საგამოძიებო მუშაობის შესახებ სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, დასახელებული სახის დანაშაულობებზე აღძრულია 64 სისხლის სამართლის საქმე, ანუ გადაგზავნილი საქმეების 46,7%, რომელთაგან წარმოებით შეწყდა 11 სისხლის სამართლის საქმე, ანუ 17,8%, ხოლო სასამართლოში წარიმართა 26 სისხლის სამართლის საქმე, ანუ აღძრული საქმეების 40,6%, რაც არადამაკმაყოფილებლად უნდა იქნას შეფასებული.

სერიოზული ხარვეზებია პროკურატურის საგამოძიებო სამსახურების საქმიანობაში, რაც უარყოფითად მოქმედებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხარისხზე. 2002 წლის მეორე ნახევარში დასახელებული სამსახურების მიერ ვადის დარღვევით დამთავრებული იქნა 253 სისხლის სამართლის საქმე, რაც 15 ერთეულით, ანუ 6,3%-ით მეტია იმავე წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლებთან შედარებით. დამატებით გამოძიებაში დაბრუნდა 33 სისხლის სამართლის საქმე, ანუ წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით 6 საქმით მეტი, რაც შეადგენს 22,2%-ს.

სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობისა და ქმედების არამართლსაწინააღმდეგო მოტივით შეწყვეტილ იქნა 90 სისხლის სამართლის საქმე 78 პირზე, რაც, შესაბამისად, 18 და 28 ერთეულით (25%,) მეტია 2002 წლის I ნახევრის მონაცემებთან შედარებით. ნიშანდობლივია, რომ შეწყვეტილ საქმეთაგან 1 სისხლის სამართლის საქმე აღძრული იყო არასრულწლოვანთა მიმართ.

გაუხსნელობის მოტივით შეჩერებულია 334 სისხლის სამართლის საქმე, რაც 89 ერთეულით, ანუ 36,3%-ით მეტია 2002 წლის I ნახევრის მაჩვენებლებთან შედარებით.

საანგარიშო პერიოდში კვლავინდებურად ირღვეოდა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი უკანონოდ მიეცემოდნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში და

შეეფარდებოდათ, ასევე უკანონოდ აღმკვეთი ღონისძიებების სახით – წინასწარი პატიმრობა. 38 ერთეულით გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართ შემდგომში შეწყდა სასამართლოებისა და წინასწარი გამოძიების მიერ წარმოება სისხლის სამართლის საქმეში კანონით გათვალისწინებული ქმედებების არარსებობისა და ქმედებების არამართლსაწინააღმდეგობების გამო. ასევე, 7 ერთეულით გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც ამავე მოტივით უკანონოდ შეეფარდათ წინასწარი პატიმრობა.

დამაფიქრებელია ის მდგომარეობა, რომ 2002 წლის მეორე ნახევარში გამოვლენილ დანაშაულთა შესახებ ან არ აღიძვრება მთელი მოცულობით სისხლის სამართლის საქმე, ან კიდევ, ისინი ვერ აღწევენ სასამართლო ორგანოებამდე. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის შესახებ 2002 წლის მონაცემებით, აღნიშნული ინსტანციის სასამართლოებს მთელი წლის განმავლობაში გადაეგზავნა 8670 საქმე, მაშინ როცა საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, წლის მეორე ნახევარში გამოვლენილ იქნა თითქმის ამდენივე დანაშაული (7687 ერთეული).

კვლავინდებურად დიდია პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა შეწყვეტისა და დამატებით გამოძიებაში დაბრუნებულ საქმეთა რაოდენობა. უზენაესი სასამართლოს მიერ გადმოგზავნილი 2002 წლის სტატისტიკური ანგარიშიდან ირკვევა, რომ სულ წარმოებით დამთავრდა 8572 სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც 245 შეწყდა წარმოებით, ხოლო 292 სისხლის სამართლის საქმე დაუბრუნდა საგამოძიებო ორგანოებს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

ამავე სტატისტიკური ანგარიშიდან ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ თითქმის არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის ისეთი სახე, როგორიცაა ტუსაღობა. ასეთი სახის სასჯელი გასულ წელს გამოყენებულ იქნა მხოლოდ 21 პირის მიმართ, რაც შეადგენს 0,2%-ს. ასევე ნაკლებად გამოიყენება სასჯელის სახით შრომა-გამასწორებელი სამუშაოები, რაც შეადგენს გამოყენებული სასჯელის საერთო რაოდენობის მხოლოდ 0,4%-ს.

პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ საგამოძიებო ხაზით ჩატარებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ წინასწარი გამოძიების ორგანოებიდან ძირითადად სასამართლოებს წაეყენებათ შუამდგომლობები აღმკვეთი ღონისძიებების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ. 2002 წელს სასამართლოს მიერ განხილულ იქნა საგამოძიებო სამსახურების მიერ წარდგენილი ასეთი სახის 5993 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა 4905, ანუ 81,8%. საგამოძიებო ორგანოები ნაკლებად იყენებენ შესაძლებლობებს ისეთი სახის აღმკვეთ ღონისძიებებზე, როგორიცაა შინაპატიმრობა და პირადი თავდებობა. აღნიშნულ პერიოდში ასეთი სახის შუამდგომლობები დაყენებულ იქნა, შესაბამისად, 159 და 48 შემთხვევაში.

საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ 2002 წელს, სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გაწეული მუშაობის

მიხედვით, სასამართლოებში შევიდა 29.507 საქმე, საიდანაც განხილული იქნა გადაწყვეტილების გამოტანით 24.624 საქმე, ანუ 83,4 პროცენტი. მათ შორის, სარჩელი დაკმაყოფილდა 21.101 საქმეზე, რაც შეადგენს 74,9 პროცენტს, ხოლო წარმოებით შეწყდა 1527 საქმე, ანუ 5,2 პროცენტი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაუმთავრებელი დარჩა 4098 საქმე, ბაჟის სახით გადახდილი იქნა 73.681.069 ლარი.

2002 წლის განმავლობაში საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ წარმოებაში მიღებულ იქნა 7528 ადმინისტრაციული საქმე, საიდანაც განხილულ იქნა გადაწყვეტილების გამოტანით 5741 საქმე. აქედან, 5041 საქმეზე სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა, მათ შორის, 665 საქმეზე სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. სახელმწიფოზე დაკისრებული თანხის ოდენობამ შეადგინა 158.057 ლარი, ხოლო სახელმწიფოს სასარგებლოდ დაკისრებული თანხების რაოდენობამ კი – 7.498790 ლარი; ბაჟის სახით დაკისრებულ იქნა 150.781-35 ლარი, ხოლო გადახდილი იქნა 64.992-03 ლარი. .

დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთისა და წარმოებაში მიღებულ საქმეთა გათვალისწინებით, 2002 წელს წარმოებით დამთავრდა 6898 საქმე, საიდანაც კანონით გათვალისწინებული 5-თვიანი ვადის დარღვევით – 135 საქმე, წარმოებით დაუმთავრებელი 1339 საქმიდან კანონით დადგენილი ვადის ზევით სასამართლოთა წარმოებაში დარჩა 106 საქმე.

2002 წელს საქართველოში გამოვლენილ იქნა 25842 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საიდანაც 24873 პირზე სასამართლოების მიერ გამოტანილ იქნა განჩინება, მათ შორის, 20901 პირს დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, წარმოებით შეწყდა და გადაეცა პროკურატურის ორგანოებს მოკვლევისათვის 62 საქმე, ხოლო სხვა საფუძვლით შეწყდა საქმე 3910 პირზე. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით გაფრთხილება დაეკისრა 1516 პირს, დაჯარიმდა 18.566 პირი, რომლებსაც დაეკისრათ 1.946.484 ლარის გადახდა, საიდანაც ამოღებულ იქნა მხოლოდ 158.409 ლარი, რაც არადამაკმაყოფილებად უნდა იქნას მიჩნეული.

## სასამართლო ინსტანციების შეცდომების შედეგად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობის შესახებ

ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოს სახით დემოკრატიული საქართველოს შექმნა, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

აღდგენის აქტით, წარმოადგენს ქართველი ხალხის ურყევ ნებას, მსოფლიო და საერთაშორისო სამართლის ნორმებში მოცემული გარანტიებით დაიცვას საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა უფლებები და თავისუფლება.

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უმთავრესი გარანტია საქართველოს კონსტიტუციაა.

მხარი დაუჭირა რა საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საქართველოს სახელმწიფომ თავის მოვალეობად მიიჩნია მათი განუხრელი დაცვა და 1998 წლის 4 თებერვალს მიიღო კანონი „ადამიანის უფლებათა დღის დაწესების შესახებ", რომელიც აღინიშნება ყოველი წლის 10 დეკემბერს.

დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი ქვეყნის შექმნისა და განმტკიცების გზაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის მიერ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" 1996 წლის 16 მაისს მიღებული ორგანული კანონი.

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს კონსტიტუციით, „სახალხო დამცველის შესახებ" კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ფარგლებში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და სახელმწიფოს მიერ მათი უზრუნველყოფის მიზნით, ზედამხედველობს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა საქმიანობას, აფასებს მათ მიერ მიღებულ აქტებს, იძლევა რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მათი ხელმძღვანელების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ სრულად არ არის გაცნობიერებული საერთაშორისო სამართლის ნორმების, კონსტიტუციისა და ამ კანონის მოთხოვნების მნიშვნელობა, რის გამოც სახალხო დამცველს არცთუ იშვიათად უხდება განმარტოს მისთვის მინიჭებული უფლებები და შევიდეს შესაბამის ორგანოებში სათანადო წინადადებებითა და რეკომენდაციებით.

ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება საქართველოს საერთო სასამართლოებსა და უზენაეს სასამართლოს, რომელთა მიერ არასწორადაა გაგებული სასამართლო ხელისუფლების შესახებ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 თავის 82-ე და 84-ე მუხლების მოთხოვნები, სასამართლო ხელისუფლების, მოსამართლის დამოუკიდებლობის, მისი მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონისადმი დამორჩილების, მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედების, მის საქმიანობაში ჩარევასა და გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედებით ნაწილში, რაც ხდება სახალხო დამცველის რეკომენდაციების არსებითი განხილვის გარეშე დატოვების მიზეზი და რითაც ირღვევა კონსტიტუცია და „სახალხო დამცველის შესახებ" კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნები.

რა თქმა უნდა, არავითარ გაუგებრობას არ უნდა იწვევდეს კონსტიტუციის ეს მოთხოვნები, ყოველგვარი ჩარევა მოსამართლის საქმიანობაში, მით უფრო, გადაწყვეტილების მიღებაზე, ზეგავლენის მოხდენის მიზნით დაუშვებელია. მაგრამ ეს მოთხოვნა სრულებითაც არ

გამორიცხავს უკვე ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შესაძლებლობას, როცა სასამართლო შეცდომის შედეგად სახეზე გვაქვს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები და რაც გამოვლინებული იქნა სახალხო დამცველის მიერ მოქალაქის საჩივრის (განცხადების) განხილვისას, ან დამოუკიდებლად კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის I ნაწილი ყოველ ადამიანს ანიჭებს უფლებას, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

კონსტიტუციის ეს იმპერატიული მოთხოვნა იგნორირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით, რომლებითაც სრულიად სამართლიანად გაუქმდა რა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის ინსტიტუტი, საქართველოში კასაცია გამოცხადდა, როგორც საბოლოო ინსტანცია, რომელიც განიხილავს მხარეთა საჩივრებს კანონიერ ძალაში შეუსვლელ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

ამასთან დაკავშირებით პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში დაუყოვნებლივ შესვლის მოთხოვნებს მიიჩნევენ რა სრულიად სამართლიანად, რაც შეუძლებლად მიიჩნევს მათი საზედამხედველო წესით გასაჩივრებას, იმავდროულად, ართმევენ მხარეს, საქართველოს კონსტიტუციით მათთვის მინიჭებულ უფლებას, საკასაციო სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს. ანუ უფრო ნათელი რომ გახდეს, კონსტიტუციის ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე ჩვენი ეს მოსაზრება, უნდა აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში საკითხი ეხება არა საერთოდ საზედამხედველო წესით საკასაციო ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მოთხოვნას, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული თითოეული ადამიანის უფლებათა გაუთვალისწინებლობას, სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომისა თუ მოსამართლის მიერ შეგნებულად მიღებული არასწორი გადაწყვეტილებების გამო მიმართოს ზემდგომ სასამართლოს. ასეთ შემთხვევებში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები არ ითვალისწინებენ, თუ რომელი სასამართლო ინსტანციის სტრუქტურა უნდა განიხილავდეს საჩივარს, იგი ასევე არ არის გათვალისწინებული, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ 1999 წლის 12 მაისის კანონითაც, რაც აგრეთვე უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის I ნაწილის მოთხოვნათა დარღვევად.

ამრიგად, სრულებითაც არ დგება ეჭვქვეშ კასაციის საბოლოო ინსტანციად გამოცხადება, პირიქით, იგი უნდა იქნას მიჩნეული ქვეყანაში ჩატარებული სასამართლო რეფორმის ერთ-ერთ ყველაზე

მნიშვნელოვან მიღწევად, ამასთან, იმ მიზნით, რომ ამ რეფორმას ჩამოსცილდეს გარკვეულ წილად მიყენებული ჩრდილი, რაც შეიძლება მალე უნდა აღსდგეს კონსტიტუციის 42-ე მუხლით საქართველოს მოქალაქისათვის მინიჭებული უფლება – თავისი დარღვეული უფლებების აღსადგენად მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები, აგრეთვე არ ითვალისწინებენ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" პუნქტის მოთხოვნას, მიმართოს შესაბამის სასამართლო ინსტანციას ძალაში შესული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმების თაობაზე, რითაც ხდება სრული იგნორირება ამ კანონისა და კონსტიტუციის 43-ე მუხლით სახალხო დამცველისათვის მინიჭებული უფლებისა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის გამოვლინების შემთხვევაში, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს.

მართალია, ყოველ ასეთ შემთხვევაში სახალხო დამცველი მიმართავს რა რეკომენდაციებით შესაბამის ორგანოებს, ხელისუფლებისა და თანამდებობის პირებს, აღასრულებს თავის კონსტიტუციურ უფლებებს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ პოულობს შემდგომ რეალიზაციას კონსტიტუციასა და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის დარღვევით მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში, აგრეთვე „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ" და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონებში შესაბამისი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის გამო.

2000 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, შპს „საქართველოს რკინიგზას" ფონდ „მრეველის" სასარგებლოდ დაეკისრა 172.928 ლარის გადახდა.

სასამართლოს მიერ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო ქონების იმდროინდელი მესაკუთრის საქმის განხილვაში სავალდებულო ჩაუბმელობის მოტივით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2001 წლის 24 იანვარს №33/133 განჩინებით ბათილად ცნო ამ საკითხზე ყველა ადრინდელი სასამართლო გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნა გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს.

უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განჩინება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს, რომლითაც ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული მხარის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან, თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო არ შეიძლებოდა ჩაბმულიყო საქმეში, ვინაიდან იგი სასამართლო განხილვის დროს არ წარმოადგენდა მხარეს, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ის დაინტერესებული პირები, რომლებიც შეუდგებიან სასამართლო განხილვას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო პროცესი დაწყებულ იქნა ომის ვეტერანთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდის „მრევლის“ თავმჯდომარის სასარჩელო განცხადებით შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიმართ, რა დროსაც, ამ უკანასკნელის წარმომადგენელს არ დაუყენებია საკითხი სასამართლო სხდომაზე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების მესაკუთრის მიწვევის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 24 იანვრის განჩინებით, არასაცხოვრებელი ფართის, ანუ სარდაფის, სამზარეულოს, აბაზანისა და ტუალეტის ა. ყულიჯანაშვილზე მიკუთვნება განხორციელდა სრულიად უსაფუძვლოდ, ვინაიდან ამ პერიოდისათვის არსებობდა ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1993 წლის 1 ნოემბრის ძალაში შესული გადაწყვეტილება დასახელებული ფართის დ. ჯაშისათვის მიკუთვნების შესახებ, რის თაობაზეც თვით ა. ყულიჯანაშვილს პრეტენზია არასოდეს არ გამოუთქვამს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 12 ივლისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 22 ნოემბრის განჩინებით კანონიერად იქნა მიჩნეული კ. ქოქოსაძის გათავისუფლება შტატების შემცირების გამო საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მთავარი მრჩევლის თანამდებობიდან.

სასამართლოებმა, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ, 2000 წლის 22 ნოემბრის №3კ/683 განჩინებით, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო რწმუნებულის აპარატში სხვა „ვაკანტური“ თანამდებობის არარსებობის, სხვა თანამდებობაზე დანიშვნის თანხმობის შემთხვევაში, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების დაუშვებლობის შესახებ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის, სამუშაოზე დატოვების უპირატესი უფლების თაობაზე „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მოთხოვნათა არასწორი ინტერპრეტაციისა და ასეთი უფლების მოპოვების დამადასტურებელი მტკიცებულებების სამოქალაქო დავის საქმეში არარსებობის მოტივით, კ. ქოქოსაძეს სრულად დაუსაბუთებლად უარი უთხრა მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამსახურში მთავარი მრჩევლის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ.

კ. ქოქოსაძის სამსახურში აღდგენის თაობაზე უარის თქმის შესახებ მიღებული უსაფუძვლო გადაწყვეტილებისათვის მეტი დამაჯერებლობის მიცემის მიზნით, სასამართლომ კანონის ფორმულირება დაამახინჯა და გააყალბა, კერძოდ, 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვა „სხვას“, თვითნებურად დაამატა სიტყვა „ვაკანტური“, რომელიც მთავარი მრჩევლის სახით სამხარეო რწმუნებულის აპარატში იმჟამად მართლაც არ არსებობდა, რითაც დაზარალებულის საზიანოდ

შეცვალა საქმის არსებითი მხარე. ფაქტობრივად, დასახელებული მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, რომელშიც სიტყვა „ვაკანტური“ არ არის ნახსენები, მითითებულია, რომ: „მოსამსახურე არ შეიძლება შტატების შემცირების გამო გათავისუფლებულ იქნას სამსახურიდან იმ შემთხვევაში, თუ იგი თანახმაა დაინიშნოს სხვა თანამდებობაზე“.

გარდა ამისა, როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, შტატების შემცირების გამო, კ. ქოქოსაძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების დროს, მცხეთა-მთიანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში ფუნქციონირებდა მთავარი მრჩევლის შტატები, რომლებიც დაკომპლექტებული იყო იმ პირებით, რომლებთანაც შედარებით ამ უკანასკნელს, როგორც ომის ინვალიდს, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, „ჯავშნის ფარგლებში შტატების შემცირების დროს“, გააჩნდა სამუშაოზე დატოვების უპირატესი უფლება.

ქ. ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულ იქნა შპს „ლიკანის“ სასარჩელო განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ და ქ. ბორჯომის №229 საწარმოო-საგზაო უბნის მუშა-ამფეთქებელ თ. მამიჯანაშვილს, მნგრეველის 3 თვის საშუალო ხელფასის, შრომის უნარის პროცენტული დანაკარგისა და დასახიჩრების შერეული ბრალის გათვალისწინებით განესაზღვრა ყოველთვიური სარგო 34,92 ლარის ოდენობით.

დასახელებული სასამართლოთა გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია, ვინაიდან ამ დროისათვის ქვეყანაში მოქმედებდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ,“ რომლის თანახმად, „თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობს აღნიშნული ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო განესაზღვრება ორგანიზაციაში არსებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ათმაგი ოდენობიდან.“ ხოლო „მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით, შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე იმჟამად განსაზღვრული იყო 20 ლარის ოდენობით. ამიტომ, მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობის, შრომის უნარის 85%-ით დაკარგვისა და შერეული ბრალით დასახიჩრების გამოწვევის გათვალისწინებით, თ. მამიჯანაშვილის, როგორც დაზარალებულის სარჩო უნდა განსაზღვრულიყო 85 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, 2000 წლის 21 თებერვლისა და 18 მაისის გადაწყვეტილებებით, ბორჯომის რაიონის სასამართლოსა და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში შეეძლო საქმის წარმოების განახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა

საქმის განხილვის ან გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

ის გარემოება, რომ შპს „ლიკანისათვის“ ცნობილი არ იყო მათ ორგანიზაციაში ამფეთქებლის საშტატო ერთეულის არარსებობის შესახებ, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს არ ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან. პირიქით, მათ უნდა სცოდნოდათ ამის შესახებ და განეცხადებინათ რაიონული და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში საქმის განხილვის დროს, რაც მათ მიერ არ გაკეთებულა. სასამართლომ კი ამ საქმეზე ისე მიიღო მოსარჩელის განცხადება და გადაწყვეტილება, რომ არ უმსჯელია აღნიშნულ საკითხზე, რითაც იგნორირებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის მოთხოვნები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით, აღდგა თ. შაფათავას უფლებები, ბათილად იქნა ცნობილი შპს „ასტრა-დიღომის“ 1999 წლის 6 იანვრის კრების ოქმი და გაუქმდა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 8 იანვრის დადგენილება, რომლითაც რეგისტრაციაში გატარდა ამ უკანასკნელის შპს „ასტრა-დიღომის“ პარტნიორობიდან გარიცხვა.

აქედან გამომდინარე, თ. შაფათავამ საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც უარი ეთქვა მასზე მიყენებული მატერიალური ზიანის – 503.674 ლარის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ (თავმჯდომარე ბ. მეტრეველი, მომხსენებელი ბ. კობერიძე, ნ. კლარჯეიშვილის შემადგენლობით, №3გ/ად-215-კ-01) 2002 წლის 13 თებერვალს არ დააკმაყოფილა მოპასუხე თ. შაფათავას საკასაციო საჩივარი მიუღებელი დივიდენდებისა და ხელფასის ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრების შესახებ და უცვლელად იქნა დატოვებული ამ საკითხზე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის დროს, კასატორის წარმომადგენელმა ც. ცხვედიანმა შეამცირა სარჩელი და ითხოვა მოპასუხეს – ფინანსთა სამინისტროს დაკისრებოდა 277.918 ლარი, რაც წარმოადგენდა თ. შაფათავას მიუღებელი დივიდენდებისა და ხელფასის ოდენობას.

შევისწავლე და გავაანალიზე რა დასახელებული განჩინება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ბადრი მეტრეველის 2002 წლის 3 ივლისის №3გ/ად-215-კ-01 პასუხი ჩემს, მიმდინარე წლის 15 მაისის №794/03/329-შ რეკომენდაციაზე მივიჩნიე, რომ ისინი საფუძველს მოკლებულია და სრულიად არ არის დასაბუთებული. მათში არასწორდაა განმარტებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლისა და 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.

2001 წლის 20 ნოემბრის სასარჩელო საჩივარით თ. შაფათავამ უზენაეს სასამართლოს წარუდგინა შპს „ასტრა-დიღომში“ ჩატარებული აუდიტორული დასკვნა, მიუთითა, რომ ამ დოკუმენტით დადგენილ იქნა მის მიერ მიუღებელი დივიდენდების ოდენობა (დაბეგრილი მოგების მიხედვით), რაც შეადგენდა 292.130 ლარს, ხოლო დივიდენდებისათვის გადასახადის გათვალისწინებით (10%) – 262.918 ლარს.

მიუხედავად ამისა, 2002 წლის 13 თებერვლის განჩინებაში პალატის თავმჯდომარისა და მოსამართლეების მიერ არასწორადაა დაყენებული საკითხი იმის შესახებ, რომ „საქმის მასალებიდან არ დასტურდება და ვერც კასატორმა დაამტკიცა გასულ წლებში, სანამ მას არ გარიცხავდნენ შპს „ასტრა-დიღომის“ პარტნიორობიდან, საწარმოს მოგებიდან მიიღო თუ არა დივიდენდები და რა ოდენობით.

შპს „აუდიტი და ფინანსური კონსალტინგის“ 2001 წლის აუდიტორული დასკვნიდან ირკვევა, რომ შპს „ასტრა-დიღომის“ საბუღალტრო აღრიცხვის პირველადი დოკუმენტაციის მონაცემებზე დაყრდნობით, 1998 წელთან შედარებით დასახელებული საწარმოს საკუთარი კაპიტალის დანაკარგის ოდენობამ 1999-2000 სამეურნეო წლების შედეგებით (თამაზ შაფათავა პარტნიორთა რიგებიდან გაირიცხა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით 1999 წლის 6 იანვარს, აღსდგა პარტნიორთა რიგებში 2001 წლის 23 იანვარს) შეადგინა 1999 წელს 349.000 ლარი, 2000 წელს 126000 ლარი, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ 1999-2000 წლებში საწარმოს შემოსავლები 1998 წელთან შედარებით შემცირდა: 1999 წელს – 84%-ით, 2000 წელს – 93,5%-ით, ამასთან ხარჯებმა შეადგინა 38.7% და 47%.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან საწარმოს შემოსავლების შემცირების პროპორციულად (84%; 93.5%) არ შემცირებულა ხარჯები (ფაქტობრივი 38.7% და 47%), აუდიტის მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შპს „ასტრა-დიღომი“ 1999-2000 წლებში ფუნ-ქციონირებდა საკუთარი აქტივების (ქონების) რეალიზაციის ხარჯზე, რამაც გამოიწვია დამატებითი ზარალი 223000 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის ფონზე შპს „ასტრა-დიღომის“ ერთობლივი შემოსავლები 1998 წ. (986387 ლარი), 1999 წ. (160315 ლარი) და 2000 წ. (64074 ლარი), ფაქტობრივად, მიღებულ ერთობლივ შემოსავლებთან შედარებით, 1998 წელთან შედარებით შემცირდა: 1999 წელს – 826072 ლარით, ხოლო 2000 წელს – 922313 ლარით, ანუ სულ 1748385 ლარით.

დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის ექსპერტების მიერ შპს „ასტრა-დიღომის“ მიერ 1999-2000 წლების მიხედვით მიუღებელი მოგების (შემოსავლის) ოდენობის დასადგენად გამოყენებულ იქნა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლების მეთოდი, რის შედეგად შპს „ასტრა-დიღომის“ ერთობლივი შემოსავლების ოდენობამ წლების მიხედვით შეადგინა: 1996 წელს 506883 ლარი; 1997 წელს 559874 ლარი (ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 10%); 1998 წელს 986387 ლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით 76%).

ამავე დროს, 2001 წლის თებერვლის თვეში (თ. შაფათავა პარტნიორთა რიგებში აღდგენილ იქნა 2001 წლის 23 იანვარს) დაფიქსირებული ერთობლივი შემოსავლის (13513 ლარი) ანალიზით

დადგინდა, რომ მარტის თვის ერთობლივი შემოსავლების ზრდამ თებერვლის თვესთან შედარებით შეადგინა 57%.

1996-1998 წლების მიხედვით, მიღებული ერთობლივი შემოსავლების დინამიკიდან გამომდინარე, საშუალოდ 43%-იანი ზრდის მაჩვენებლით, შპს „ასტრა-დიღომის" ერთობლივ შემოსავალს უნდა შეედგინა:

1999 წელს 1410533 (სხვაობა ფაქტობრივთან 1250218 ლარი); 2000 წელს 2017062 ლარი (სხვაობა ფაქტობრივთან შედარებით 1952099 ლარი). სულ პირობითი ერთობლივი შემოსავლების სხვაობას ფაქტობრივთან შედარებით უნდა შეედგინა 3203206 ლარი.

საბუღალტრო მონაცემების მიხედვით, შპს „ასტრა-დიღომის" დანახარჯებმა წლების მიხედვით შეადგინა: 1996 წელს 155683 ლარი; 1997 წელს 201988 ლარი (ზრდა 1996 წელთან შედარებით 30%); 1998 წელს 207933 ლარი (ზრდა 1997 წელთან შედარებით 3%). ანუ, 1996-1998 წლების მიხედვით დანახარჯები იზრდებოდა საშუალოდ 16,5%-ით.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შპს „ასტრა-დიღომის" ხარჯებს, სავარაუდოდ, უნდა შეედგინა: 1999 წელს 242312 ლარი და 2000 წელს 282293 ლარი.

ერთობლივ შემოსავლებში ფასნამატმა პროცენტულად შეადგინა:

1996 წელს – 157326 ლარი, შემოსავლის 31%; 1997 წელს – 225121 ლარი, შემოსავლის 40%; 1998 წელს – 197457 ლარი, შემოსავლის 20%, ანუ, საშუალო ფასნამატი დაფიქსირდა შემოსავლის 30%-ის ოდენობით.

მიღებული მაჩვენებლების ანალიზისა და შედარების შედეგად აუდიტორული დასკვნით დადგენილ იქნა, რომ ფასნამატის ოდენობა, სავარაუდოდ, ტოლი იქნებოდა: 1999 წელს 423160 ლარის და 2000 წელს 605119 ლარის, ანუ სულ, 1999 და 2000 წლების მიხედვით ფასნამატის ჯამური ოდენობა ტოლი უნდა ყოფილიყო 1028279 ლარის.

ფასნამატისა და ხარჯების ურთიერთშედარების შედეგად აუდიტორული დასკვნით განისაზღვრა შპს „ასტრა-დიღომის" მიუღებელი მოგების (შემოსავლის) ოდენობა 1999 და 2000 წლებში, რამაც შეადგინა: 1999 წლის შედეგებით – 180848 ლარი (=423160-242312); 2000 წლისათვის – 322826 ლარი (=605119-282293).

სულ მიუღებელი მოგების (შემოსავლის) ოდენობამ 1999 და 2000 წლების შედეგებით შეადგინა 503674 (ხუთას სამი ათას ექვსას სამოცდათოთხმეტი) ლარი.

1998 წლის აგვისტოდან 2001 წლის მარტამდე პერიოდში თ. შაფათავას მიუღებელი ხელფასისა და დივიდენდების ოდენობის განსაზღვრისათვის დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის ექსპერტებმა გააანალიზეს შპს „ასტრა-დიღომსა" და ამ უკანასკნელს შორის 1996 წლის 1 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება, გასაცემ ხელფასებზე საწარმოს მიერ წარმოებული გაანგარიშებები და უწყისები. გაზიარებულ იქნა მიუღებელი მოგების (შემოსავლის) ანგარიშის შედეგად მიღებული მაჩვენებელი 503674 (ხუთას სამი ათას ექვსას სამოცდათოთხმეტი) ლარის ოდენობით, რის შედეგად დადგენილ

იქნა, რომ: თ. შაფათავას საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 306 (სამას ექვსი) ლარს, ანუ 1998 წლის 12 აგვისტოდან 2001 წლის 1 მარტამდე (30 თვე და 19 დღე) პერიოდში მის მიერ მიუღებელი ხელფასის ოდენობამ შეადგინა 9680 (ცხრა ათას ექვსას ოთხმოცი) ლარი;

დასახელებული ხელშეკრულების „საზოგადოება ვალდებულია" ნაწილის, მე-5 პუნქტისა და „საზოგადოება და მუშაკი ათანხმებენ შემდეგ დამატებით პირობებს" ნაწილის, მე-7 პუნქტის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვალდებული იყო თ. შაფათავასათვის გადაეხადა 1999 და 2000 წლებში კომპენსაცია გამოუყენებელი შვებულებისათვის (612 ლარი) და მიეცა მისთვის გამოსასვლელი დახმარება ორი კვირის ხელფასის ოდენობით (153 ლარი), სულ 765 (შვიდას სამოცდახუთი) ლარის ოდენობით.

გამომდინარე აღნიშნულიდან, შპს „ასტრა-დიღომსა" და საზოგადოების დირექტორს შორის 1996 წლის 1 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, შპს „ასტრა-დიღომის" ვალდებულებამ თ. შაფათავას მიმართ შეადგინა 10445 (ათი ათას ოთხას ორმოცდახუთი) ლარი, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა და ამ ნაწილშიც ამ უკანასკნელს სრულიად უსაფუძვლოდ უთხრა უარი.

აღნიშნული ფაქტობრივი მონაცემებისა და მიუღებელი მოგების (შემოსავლების) ანგარიშის შედეგად მიღებული მაჩვენებლის (503674 ლარი) გათვალისწინებით, შპს „ასტრა-დიღომის" საწესდებო კაპიტალის 72.5% წილის მფლობელ თ. შაფათავას მიუღებელი დივიდენდების ოდენობამ, მოგების გადასახადისა და დივიდენდებისათვის გადასახადების მხედველობაში მიღებითა და აუდიტორული დასკვნით შეადგინა 262918 (ორას სამოცდაორი ათას ცხრაას თვრამეტი) ლარი.

ამ შემთხვევაში ყურადღებას ისევ ვამახვილებ იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო სასჩივართან ერთად, თ. შაფათავამ სასამართლოს წარუდგინა მიუღებელი დივიდენდებისა და ხელფასის შესახებ აუდიტორული დასკვნა, რის გამოც ცხადზე უცხადესია, რომ <u>სასამართლომ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არასწორად დააყენა საკითხი, საქმის მასალებში საწარმოს მოგებიდან დივიდენდების მიღების მტკიცებულებების არარსებობის შესახებ, რაც თითქოს ვერ დაადასტურა კასატორმა.</u>

ასევე, გაუგებარია, სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეების მიერ მიღებული განჩინებისა და ბ. მეტრეველის წერილში მოცემული მტკიცება, რომ არ დასტურდება და ვერც კასატორმა დაამტკიცა „გასულ წლებში, სანამ მას არ გარიცხავდნენ შპს „ასტრა-დიღომის" პარტნიორობიდან, საწარმოს მოგებიდან მიიღო თუ არა მან დივიდენდები და რა ოდენობით, მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, <u>საკასაციო საჩივარში თ. შაფათავა მიუთითებდა მიუღებელ დივიდენდებზე და არა „გასულ წლებში, სანამ მას გარიცხავდნენ შპს „ასტრა-დიღომის" პარტნიორობიდან, მიუღებელ დივიდენდებზე, რის გამოც სასამართლო გასცდა საკასაციო საჩივრის ფარგლებს და უხეშად დაარღვია საქართველოს სამოქალაქო</u>

საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებს ამ საკითხს.

გარდა ამისა, როგორც აუდიტორული დასკვნითაა დადგენილი, შპს „ასტრა-დიღომის" ერთობლივი შემოსავლები, 1996, 1997, 1998 წლებში (ვიდრე თ. შაფათავა არ გაირიცხებოდა პარტნიორთა რიგებიდან), იზრდებოდა (1996 წ. – 506.883 ლარი, 1997 წ. – 558.874 ლარი და 1998 წელს – 986.387 ლარი), ხოლო მისი პარტნიორობიდან გარიცხვის შემდეგ დასახელებული მონაცემები მკვეთრად შემცირდა.

ზემოაღნიშნული მცდარი მოსაზრებით, პალატის მიერ „მეწარმეთა კანონის" 50-ე მუხლის თავისეული განმარტებაც ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, ვინაიდან ამ მუხლით პარტნიორებს აქვთ წლიურად გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება მოგების ჩათვლით და ზარალის გამოკლებით, რაც სასამართლოსათვის წარდგენილი აუდიტორული დასკვნით თ. შაფათავას მიმართ არ განხორციელებულა.

საკასაციო პალატამ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა თ. შაფათავას საჩივარს, როცა 2002 წლის 13 თებერვლის განჩინებაში მიუთითა, რომ შპს „ასტრა-დიღომის" საქმიანობის არამომგებიანობის გამო, უსაფუძვლოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული ამ უკანასკნელის მოთხოვნა გაუცემელი დივიდენდების მიღების თაობაზე. პირიქით, იმის გამო, რომ დიდუბის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების შედეგად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობა მომგებიანი არ ყოფილა, თ. შაფათავა პალატისაგან მოითხოვდა დაკისრებოდა ფინანსთა სამინისტროს პასუხისმგებლობა მიყენებული ზარალისათვის, რაც აუდიტორული დასკვნით გამოიხატა 503.674 ლარში და, აქედან გამომდინარე, ანაზღაურებოდა მას გაუცემელი დივიდენდები და ხელფასი 262.918 ლარის ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის 20 ნოემბრის საკასაციო საჩივარში თ. შაფათავა ხაზგასმითა და მკაფიოდ მიუთითებდა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ" კანონის 57-ე მუხლი, რადგან იგი ეხება სააქციო საზოგადოებას და არა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რის შესახებ პირდაპირაა მითითებული ამავე მუხლის მეორე პუნქტში. პალატის თავმჯდომარემ და მოსამართლეებმა არასწორად აღნიშნეს, რომ ვინაიდან შპს „ასტრა-დიღომის" საქმიანობა იმ წლებში, როდესაც იგი ჩამოცილებული იყო საწარმოს, მომგებიანი არ ყოფილა, ამიტომ გაუცემელი დივიდენდების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა საფუძველსაა მოკლებული.

პირიქით, დასახელებულ მუხლში კატეგორიულადაა მითითებული, რომ „არ შეიძლება მიეცეს აქციონერებს სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა და ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აქციონერი, რომელმაც ეს საზღაური (სხვა) მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი, ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი".

ამასთან, <u>კვლავ მინდა გავამახვილო ყურადღება, რომ დასახელებული მუხლი შეეხება მხოლოდ სააქციო საზოგადოების აქციონერებს და არა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს, რის გამოც მისი არგუმენტად გამოყენებისა და ამ მოტივით სასამართლოს არასწორი გადაწყვეტილების გამართლება სრულიად დაუშვებელია.</u>

გარდა ამისა, აღნიშნულ განჩინებაში სასამართლოს შემადგენლობა ბ. მეტრეველის თავმჯდომარეობით სრულიად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მიუთითებს იმის შესახებ, რომ დივიდენდებისა და ხელფასის მიუღებლობისათვის მოსარჩელეს (შაფათავას) პრეტენზია უნდა წაეყენებინა არა ფინანსთა სამინისტროსათვის, არამედ შპს „ასტრა-დიღომის" იმდროინდელი ადმინისტრაციისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის (თავმჯდომარე ნ. წიქვაძე, მოსამართლეები: ლ. გოჩელაშვილი და მ. გოგიშვილი) 2001 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, რომლითაც დაკმაყოფილდა თ. შაფათავას სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი შპს „ასტრა-დიღომის" პარტნიორთა რიგგარეშე, 1999 წლის 6 იანვარს გ. კიკაბიძის წარმომადგენლის მ. ჯინჭარაძის მიერ ჩატარებული კრების ოქმის შედეგები ამ ოქმის საფუძველზე გაუქმდა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 8 იანვრის (1998 წლის 8 იანვრით დათარიღებული) დადგენილებით შპს „ასტრა-დიღომის" პარტნიორობიდან თ. შაფათავას გარიცხვის შესახებ სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერები და აღდგენილ იქნა იგი 1999 წლის 8 იანვრამდე არსებული მდგომარეობით, ნათქვამია შემდეგი:

„მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის წინაპირობაა საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ, რაც მიღებული უნდა იქნას ხმათა უმრავლესობით. გასარიცხ პარტნიორს ამ დროს ხმის უფლება არა აქვს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ პირდაპირ არ იწვევს საზოგადოებიდან მის გარიცხვას. ეს შეიძლება იყოს საფუძველი, რათა საზოგადოებამ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე. გადაწყვეტილებას პარტნიორის გარიცხვის შესახებ იღებს სასამართლო. პარტნიორის გარიცხვის შესახებ საზოგადოების გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ" კანონის 473-ე მუხლის „ლ" პუნქტი. საზოგადოების პარტნიორის გამო წარმოშობილ დავაში, მოსარჩელე არის საზოგადოება, ხოლო მოპასუხე – გასარიცხი პირი. გარიცხვის გამო გამართულ პროცესში საზოგადოებას წარმოადგენენ დირექტორები. მოცემულ შემთხვევაში, პარტნიორთა 1999 წლის 6 იანვრის რიგგარეშე კრება (რომელიც ჩაატარა კაპიტალის 25%-ის მფლობელის წარმომადგენელმა) თუნდაც გადაწყვეტილებუნარიანი ყოფილიყო, თბილისის დიდუბის რაიონული სასამართლო უფლებამოსილი არ იყო, 1999 წლის 8 იანვარს პარტნიორობიდან გაერიცხა თ. შაფათავა იმიტომ, რომ საზოგადოების ახლადდანიშნულ დირექტორს სარჩელით არ

მიუმართავს სასამართლოსათვის ამ უკანასკნელის პარტნიორობიდან გარიცხვის შესახებ და ამ საკითხთან დაკავშირებით არ შემდგარა სასამართლო პროცესი. აღნიშნული საკითხის უდავო წარმოების წესით გადაწყვეტა დაუშვებელია. პარტნიორის გარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზით, რაც მოცემულ შემთხვევაში არც საზოგადოების ახალი დირექტორის (საზოგადოების ახალ დირექტორს სარჩელი არ შეუტანია) და არც სასამართლოს მხრიდან (სასამართლოს სასარჩელო წარმოების გზით არ განუხილავს თ. შაფათავას პარტნიორობიდან გარიცხვის საკითხი) ადგილი არ ჰქონია.

ამრიგად, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით (№3-კ/841) დადგენილ იქნა, რომ ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 8 იანვრის (1998 წლის 8 იანვრით დათარიღებული) დადგენილებით, შპს „ასტრა-დიღომის" პარტნიორობიდან თ. შაფათავას გარიცხვის შესახებ ჩანაწერები სამეწარმეო რეესტრში შეტანილ იქნა კანონის უხეში დარღვევით. იგი განხორციელდა სასარჩელო წარმოების გარეშე, რის შედეგადაც კაპიტალის 75%-ის მფლობელი თ. შაფათავა გაირიცხა რა პარტნიორთა რიგებიდან, მას დაეუფლა კაპიტალის 25%-ის მფლობელი მ. კიკაბაძის წარმომადგენელი, მ. ჯინჭარაძე და მის მიერ დანიშნული დირექტორები. ყოველივე ამით სასამართლომ თ. შაფათავას წაართვა საზოგადოების მართვაში მონაწილეობის, მისი ხელმძღვანელობის კონტროლის, დირექტორისაგან საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის, მისი წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობისა და სხვა უფლებები, რაც გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის 46-ე, კერძოდ კი მისი მე-9 და მე-10 პუნქტებით და მიიყვანა იგი სრულ ბანკროტობამდე. თ. შაფათავა დივიდენდებისა და ხელფასის მიუღებლობისათვის პრეტენზიით ვერ მიმართავდა საზოგადოების უკანონო და არაუფლებამოსილ ადმინისტრაციას, ვინაიდან საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება, აქედან გამომდინარე, მძიმე შედეგებით, მას არ მიუღია და არც შეეძლო მიეღო. ასეთი გადაწყვეტილება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გამოიტანა დიდუბის რაიონულმა სასამართლომ, რითაც მ. ჯინჭარაძესა და დირექტორებს საშუალება მისცა ეწარმოებინათ საზოგადოების მართვა არა საზოგადოების, არამედ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და მიეყვანათ იგი საბოლოო ჯამში სრულ გაკოტრებამდე, რაზედაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და თბილისის პროკურატურის მიერ ტარდება მისი წინასწარი გამოძიება. ყოველივე ამის გამო, საზოგადოებისათვის მიყენებული ზარალისა და თ. შაფათავას მიერ დივიდენდებისა და ხელფასის მიუღებლობისათვის პასუხი მხოლოდ და მხოლოდ მან უნდა აგოს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სრულიად მცდარია მოსამართლეების: ბ. მეტრეველის, ბ. კობერიძისა და ნ. კლარჯეიშვილის მიერ 2002 წლის 13 თებერვლის განჩინებაში იმ გარემოებებზე მითითება, რომ მოსამარჩელეს (თ. შაფათავას)

პრეტენზია უნდა წაეყენებინა არა ფინანსთა სამინისტროსათვის, არამედ შპს „ასტრა-დიღომის“ ადმინისტრაციისათვის.

აქედან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 13 თებერვლის განჩინება (ბ. მეტრეველი, ბ. კობერიძე, ნ. კლარჯეიშვილი) შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის არასწორ განმარტებას, რაც გამოიხატა იმაში, რომ პალატის აზრით, თბილისის დიდუბის რაიონულ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას არ დაურღვევია აღნიშნული მუხლის მოთხოვნები.

პირიქით, დასახელებული მუხლი შეიცავს მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დადგენილი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე, სახელმწიფო მოსამსახურესთან ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო პრაქტიკა შეიცავს მსგავსი წარმოების საქმეებს და უმეტეს შემთხვევაში ადასტურებს ზემოაღნიშნულს (მაგალითისათვის: Matas e Silva, and others v. Portugal, Giemen v. France, Zubani v. Italy). ქონების ფლობა თავისთავად გულისხმობს უფლებას მის განკარგვაზე, ამასთან საუბარია ქონებაზე, რომელიც უკვე შეძენილია, ანუ რომელზეც უკვე წარმოშობილია საკუთრების უფლება და არა ქონების შეძენის უფლება (რაც ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან როგორც რეგულირებას, ასევე შეზღუდვასაც). კონტროლის უფლების ჩამორთმევა საკუთრებაზე (რაც განხორციელდა სასამართლოს მიერ დადასტურებული და ამავე დროს პროცესუალური დარღვევით მიღებული აქტებით), ბუნებრივია, გულისხმობს საკუთრების განკარგვის და ფლობის უფლების ჩამორთმევას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორი წლის განმავლობაში უკანონოდ ჩამორთმეული საკუთრების უფლების გამოყენების შეუძლებლობამ წარმოშვა თ. შაფათავას საქმიანი, „კარგი რეპუტაციის“ შებღალვის საფუძველი, რამაც შპს „ასტრა-დიღომი“ მიიყვანა სრულ ბანკროტობამდე, დააკარგვინა რა მსხვილი ევროპული პარტნიორების ნდობა. „კარგი რეპუტაციის“ შებღალვა, ხშირ შემთხვევაში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ გათანაბრებულია საკუთრების უფლების დარღვევასთან, როდესაც იგი უშუალო კავშირშია საკუთრების ფლობის, განკარგვისა და მისგან სარგებლის მიღებასთან. მაგალითისათვის, საქმეში Van Marle and others v. the Netherlands სასამართლომ დაადგინა, რომ „კარგი რეპუტაცია“ განიხილება როგორც პირველი ოქმის I მუხლით გათვალისწინებული ქონება: „...მათი შრომის მეშვეობით განმცხადებლებს მოზიდული ჰყავთ თავიანთი კლიენტურა; ამას კი, თავის მხრივ, ჰქონდა კერძო უფლების ბუნება და წარმოადგენდა ფასეულობას და, შესაბამისად, ქონებას პირველი ოქმის I მუხლის თანახმად“, თ. შაფათავას შემთხვევაში, ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე და ნათელია, როგორ მიიყვანა განმცხადებელი ერთმა არასამართლიანმა სასამართლო, ამ

შემთხვევაში დიდუბის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 8 იანვრის, გადაწყვეტილებამ როგორც რეპუტაციის შელახვამდე, ასევე საკუთარი შრომით მოპოვებული ქონების სრულ განადგურებამდე.

ამრიგად, თბილისის დიდუბის რაიონული სასამართლოს მიერ 1999 წლის 8 იანვარს პარტნიორთა რიგებიდან გარიცხვის გამო, სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანისა და ამავე რაიონის სასამართლოს 1999 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით, დასახელებულ სამეწარმეო რეესტრში შეტანილი ცვლილებების რეგისტრაციის ამოშლაზე უსაფუძვლო უარის თქმისათვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია აანაზღაუროს თ. შაფათავასთვის მიყენებული ფინანსური ზიანი, რაზედაც სრულიად დაუსაბუთებლად უთხრა მას უარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა და საგადასახადო კოლეგიამ 2001 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე 35/98) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2002 წლის 13 თებერვლის განჩინებით (№3გ/ად-215-კ-01).

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „ახალი ქსელების" სარჩელი და მისი უზრუნველყოფის მიზნით დაედო ყადაღა შპს „ასტრა-დიღომის" ქონებას. ერთდროულად, მოიხსნა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 1999 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, შპს „ასტრა-დიღომის" უძრავ-მოძრავ ქონებაზე (მათ შორის, ადმინისტრაციულ ქონებაზე და წარმოების საშუალებებზე) „საფოსტო ბანკის" სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დადებული ყადაღა.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე „ახალი ქსელების" სარჩელი და მოპასუხე, შპს „ასტრა-დიღომს" დააკისრა ძირითადი თანხა 47.000 აშშ დოლარის, პროცენტის 8969 ლარის და საურავის – 1891 ლარის ოდენობით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ახალი ქსელების" სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „ასტრა-დიღომს" დაეკისრა შპს „ახალი ქსელების" სასარგებლოდ 47.000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარებში – 100.855 ლარის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, 2002 წლის 7 ივნისის განჩინებით (№3კ-432-02) არ დააკმაყოფილა შპს „ასტრა-დიღომის" დირექტორის თ. შაფათავას საკასაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება.

მას შემდეგ, რაც შევისწავლე ზემოხსენებული სასამართლოს განჩინებები, მივიჩნიე, რომ ისინი მიღებულია საქართველოს

სამოქალაქო კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, კერძოდ, არასწორადაა გაგებული და განმარტებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მთელი რიგი მუხლები, რაც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" პუნქტის თანახმად, ექვემდებარება მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების თაობაზე შესაბამის სასამართლო ინსტანციისათვის რეკომენდაციით მიმართვას. კერძოდ: პალატა (მურმან წაქვაძე – თავმჯდომარე, როზა ნადირიანი – მომხსენებელი, მიხეილ გოგიაშვილი) დასახელებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში სრულიად მართებულად მიუთითებს, რომ მოსარჩელე შპს „ახალი ქსელები" არ წარმოადგენს ბანკს, სხვა საკრედიტო დაწესებულებას ან სადაზღვევო კომპანიას (სამოქალაქო კოდექსის 875-ე მუხლი), რის გამოც იგი ვერ გამოვიდოდა გარანტის როლში, მას სხვა პირის კრედიტორის წინაშე შეეძლო გამოსულიყო მხოლოდ თავდების როლში. მართალია, შპს „ახალი ქსელების" წარდგენილ დოკუმენტს აწერია: „საგარანტიო წერილი", მაგრამ არ შეიძლება ის განხილული იქნეს როგორც საბანკო გარანტია, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლინება, გარდა ზემოაღნიშნული მოტივებისა, უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტო გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს „ახალმა ქსელებმა" იკისრა ვალდებულება, შპს „ასტრა-დიღომის" მიერ სესხის და მასზე დარიცხული პროცენტების ვადაში დაუფარაობის შემთხვევაში, სს „საქართველოს საფოსტო ბანკს" დავალიანების დაფარვის მიზნით გადაურიცხოს თანხები.

ასევე დადგენილია, რომ მხარეთა ურთიერთობა უსასყიდლოა, ხოლო საბანკო გარანტია სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლის შესაბამისად, ანაზღაურებითი ხასიათისაა.

<u>აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ სრულიად უსაფუძვლოდ წარმოდგენილი „საგარანტიო წერილი" მიიჩნია თავდებობის დამადასტურებელ დოკუმენტად, ამასთან არასწორი განმარტება მისცა სამოქალაქო კოდექსის 891-ე, 892-ე, 905-ე და 327-ე მუხლებს. კერძოდ, 891-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თავდებობა ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმება კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. თავდებობის სუბიექტებია კრედიტორი და მოვალე. ამასთან, ამ უკანასკნელის გარეშე თავდებობასთან დაკავშირებული ურთიერთობა სრულყოფილად ვერ წარმოიდგინება.</u>

პალატა განჩინებაში სწორად მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება, რაც წარმოდგენილია „საგარანტიო წერილის" ფორმით. მაგრამ პალატა, იმავდროულად, მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ თავდებობისათვის (როგორც ზემოთ აღინიშნა), საჭიროა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, რაც მოცემულ შემთხვევაში არ ყოფილა გაკეთებული. ამავე დროს, 1999 წლის 1 აპრილის №26 საკრედიტო ხელშეკრულებაში მისი ერთ-ერთი ძირითადი სუბიექტი – „ახალი

ქსელები“ მოხსენიებული არ არის. ასევე, 1999 წლის 1 აპრილის „საგარანტიო წერილში“, რომელიც საკასაციო პალატის მიერ სრულიად უმართებულოდაა მიჩნეული თავდებობის დოკუმენტად, არ არის მოხსენიებული თავდებობის ხელშეკრულების ისეთი სუბიექტი, როგორიცაა შპს „ასტრა-დიღომი“. ის გარემოება, რომ შპს „ასტრა-დიღომი“ არ არის მოხსენიებული დასახელებულ წერილში, გახდა საფუძველი იმისა, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 1999 წლის 6 დეკემბრის განჩინებით ყადაღა დაედო ხსენებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უძრავ-მოძრავ ქონებას, რაც შემდგომ ამავე რაიონული სასამართლოს 2000 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, სრულიად უსაფუძვლოდ მოიხსნა. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, რომელზეც სასამართლო ინსტანციებს არ გაუციათ არანაირი პასუხი. იმ შემთხვევაში, თუ 1999 წლის 6 დეკემბრისათვის რეალურად არსებობდა 1999 წლის 1 აპრილის საგარანტიო წერილი, რატომ გახდებოდა აუცილებელი შპს „ასტრა-დიღომის“ უძრავ-მოძრავ ქონებაზე დადებულიყო ყადაღა; ასევე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 6 დეკემბრის განჩინებაში რატომ არ იყო მოხსენიებული დასახელებული საგარანტიო წერილის შესახებ, ან კიდევ, ეს წერილი, რომელზეც არ არის თავდებობის წერილის ერთ-ერთი სუბიექტის, შპს „ასტრა-დიღომის“ წარმომადგენლის ხელმოწერა და მრგვალი ბეჭედი, ხომ არ არის შედგენილი 1999 წლის 1 აპრილის თარიღით, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ ყადაღის დადების შესახებ 1999 წლის 6 დეკემბრის განჩინების გამოტანის შემდეგ? ამდენად, საკასაციო პალატის მტკიცება, რომ კანონი არ კრძალავს ერთი დოკუმენტით გაფორმდეს როგორც თავდების განცხადება, ასევე ხელშეკრულების არსებითი პირობები, მცდარია და პრინციპულად ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 891-ე და 892-ე მუხლების მოთხოვნებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილი ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებლად მოითხოვს ყველა მხარის შეთანხმებას არსებულ პირობაზე საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. როგორც ვხედავთ, 1999 წლის 1 აპრილის საკრედიტო ხელშეკრულება და ამავე თარიღის საგარანტიო წერილი არც ფორმით და არც შინაარსით არ შეეფერება სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს, რითაც ისინი არ შეიძლება უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 7 ივნისის სრულიად დაუსაბუთებელი მტკიცების მიუხედავად, მიჩნეული იქნას თავდებობის ხელშეკრულებისა და თავდებობის წერილის დამადასტურებელ დოკუმენტებად.

<u>აქედან გამომდინარე, 2002 წლის 7 ივნისის განჩინებაში მოყვანილი არგუმენტები იმის შესახებ, რომ თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა მისი ძირითადი სუბიექტების: თავდებისა და კრედიტორის თანხმობა ვალის ამღები სუბიექტის თანხმობის გარეშე, მარტო კრედიტორის დარწმუნება, რომ დოკუმენტში გამოხატული ნება ნამდვილად გამომდინარეობს ამ</u>

ხელშეკრულების მხარისგან, არაა საკმარისი და საფუძველსაა მოკლებული.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ თუ ვინმე პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში განაცხადებს თავდებობის შესახებ, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.

მოცემულ შემთხვევაში სს „საფოსტო ბანკი" და შპს „ახალი ქსელები" არ წარმოადგენენ ერთგვაროვანი პროფესიული საქმიანობის სუბიექტებს. როგორც ცნობილია, სს „საფოსტო ბანკი" ასრულებს საკრედიტო დაწესებულების ფუნქციას, შპს „ახალი ქსელები" – სატელეფონო მომსახურების, ხოლო შპს „ასტრა-დიღომი" – საავტომობილო მომსახურების ფუნქციას, რის გამოც პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში, სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ისინი ვერ განაცხადებენ თავდებობის შესახებ თანხმობას. აქედან გამომდინარე, დასახელებული მუხლის მოთხოვნებიც არ ვრცელდება მათზე.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შპს „ასტრა-დიღომს" გააჩნია კანონიერი პრეტენზია „საფოსტო ბანკთან" 1999 წლის 1 აპრილის №26 საკრედიტო ხელშეკრულების მიმართ, ვინაიდან დასახელებული ხელშეკრულება გაფორმებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის 47-ე მუხლის „ზ" პუნქტის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რადგან „სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება პარტნიორთა კრების მიერ დადგენილ ოდენობას, განეკუთვნება პარტნიორთა კრების პრეროგატივას, ხოლო სესხი „საფოსტო ბანკისგან" კი, აღებულია არა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების, არამედ ამ საზოგადოების დირექტორის მ. ჯანელიძის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით. შპს „ასტრა-დიღომის" წესდების მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ზ" პუნქტი კი პირდაპირ მიუთითებს, სესხად აღებისათვის არა საზოგადოების დირექტორის შუამდგომლობას, არამედ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას.

დასახელებული განჩინება თ. შაფათავამ გაასაჩივრა და იმ მოტივით, რომ რ. ნადირიანს არ ჰქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, როგორც საქმის შედეგით შესაძლო დაინტერესებულ მოსამართლეს, მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე მისი (განჩინების) ბათილად ცნობა.

ავტორმა საჩივარში მიუთითა, რომ 2002 წლის 7 ივნისის განჩინების გამოტანის შემდეგ, მოსამართლის რ. ნადირიანის (მომხსენებლის) აქტიური პოზიციის გამო, დაებადა ეჭვი, რომ მ. ჯინჭარაძე ჩარეული იყო მის საწინააღმდეგო მოქმედებებში, რის გამოც შეეცადა დაედგინა ამ უკანასკნელის კავშირები და გადაამოწმა იმ მობილური ტელეფონის დეტალური ანგარიში, რომლითაც იგი სარგებლობდა. თ. შაფათავამ აგრეთვე მიუთითა, რომ რ. ნადირიანის შესახებ თავიდან არაფერი იცოდა, რის გამოც საკასაციო საჩივრის განხილვის დროს არ დააყენა მისი აცილების საკითხი, მაგრამ მას შემდეგ, რაც გადაამოწმა ფირმის თანამშრომლის ი. კობახიძის

სახელზე რიცხული მობილური ტელეფონით, რომლითაც გ. ჯინჭარაძე სარგებლობდა, დაადგინა, რომ 2001 წლის 15 იანვრიდან 22 თებერვლამდე მას 46 შემთხვევაში ჰქონდა სატელეფონო საუბარი რ. ნადირიანის ბინასა და მობილურ ტელეფონზე, მათ შორის, 2001 წლის 23 იანვარს, როდესაც საკასაციო პალატა იხილავდა შპს „ასტრა-დიღომში" მისი აღდგენის საკითხს.

აღნიშნული გარემოების დამადასტურებლად თ. შაფათავამ განცხადებას დაურთო გ. ჯინჭარაძისა და რ. ნადირიანს შორის სატელეფონო საუბრების დამადასტურებელი ანგარიში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის I ნაწილის „დ" პუნქტში მითითებულია პირდაპირ, რომ „არ შეიძლება მოსამართლემ განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში, თუ პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგებით, <u>ან თუ არის სხვა ისეთი გარემოებები, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში"</u>, ხოლო ამავე კოდექსის 32-ე მუხლი ავალდებულებს მოსამართლეს <u>ასეთ შემთხვევაში განაცხადოს თვით აცილება</u>, რაც რ. ნადირიანის მიერ არ ყოფილა შესრულებული.

მიუხედავად საჩივრის დასაბუთებისა და მისი შინაარსის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ, 2002 წლის 26 ივლისის განჩინებით, თ. შაფათავას განცხადება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე განხილვის გარეშე იქნა დატოვებული.

მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 7 ივნისის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განუხილველად დატოვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა არა მარტო სამოქალაქო საპოცესო კოდექსის 427-ე მუხლის მეორე ნაწილით, არამედ ძირითადად ამავე კოდექსის 429-ე მუხლის მოთხოვნებითაც, რომლებიც პირდაპირ არეგულირებენ ამ საკითხს და იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობდა განცხადების დაუშვებლობის ესა თუ ის პირობა, თავისი განჩინებით უნდა დაეტოვებინა იგი განუხილველად, რაც შეიძლება გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით.

<u>გარდა იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ თავისი 2002 წლის 26 ივლისის განჩინებით, სრულიად არამოტივირებულად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ყველა საჭირო მუხლებზე დაყრდნობის გარეშე გამოიტანა განჩინება თ. შაფათავას განცხადების განხილვის გარეშე დატოვების შესახებ, მასში არასწორად მიუთითა, რომ „განჩინება საბოლოოა და იგი არ გასაჩივრდება", რითაც შეილახა რა ამ უკანასკნელის უფლებები, მოუსპო მას კერძო საჩივრის წესით განეხორციელებინა მასზე შემდგომი დავა.</u>

სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული ზემოაღნიშნული შეცდომების და სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმებისა და მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ, 2002 წლის 23 ოქტომბერს №1759/03/325-შ რეკომენდაციით მივმართე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის მიერ რეკომენდაციაში მითითებულ გარემოებას არ მისცემია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონით გათვალისწინებული რეაგირება.

ანალოგიური დარღვევების შესახებ სახალხო დამცველის აპარატში მოიპოვება კიდევ ბევრი სხვა მასალაც, რომლებზეც არ შევჩერდებით ანგარიშისათვის განკუთვნილი ფორმატის დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზემოხსენებულ შემთხვევებში სახეზე გვაქვს საკასაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული უხეში დარღვევები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული ხარვეზების გამო, მათი გასაჩივრება ახლადგამოვლენილ გარემოებათა შემთხვევაში არ დაიშვება, რაც საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევად უნდა იქნას მიჩნეული.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსები, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, წარმოადგენენ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანულ კანონთან მიმართებაში ქვემდგომი იერარქიის კანონთა კრებულებს, რის გამოც მათში კონსტიტუციური და ორგანული კანონის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობა დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსაზრებებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსები მიღებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონების შესაბამისად, რომლებიც არ ითვალისწინებენ ძალაში შესული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმების თაობაზე სახალხო დამცველის რეკომენდაციის განხილვის შესაძლებლობას, რის გამოც იმ გარემოებების შემოწმება ან გამორკვევა, რომლებიც სასამართლომ დაუშვა, რომელიმე კონკრეტული საქმის განხილვის დროს უსაგნო ხდება, რამდენადაც არ არსებობს დაშვებული დარღვევების გამოსწორების კანონით გათვალისწინებული მექანიზმები.

ასეთი დარღვევები სასამართლო ინსტანციების, კერძოდ კი საკასაციო ინსტანციების სასამართლოების პრაქტიკაში უამრავია. ამის ნათელი დადასტურებაა ზემოთ მოყვანილი მაგალითები, მაგრამ იმის გამო, რომ არ არსებობს დაშვებული დარღვევების გამოსწორების კანონით გათვალისწინებული მექანიზმები, მის გადასინჯვაზე უარის თქმა განხილული უნდა იქნას, როგორც უკანონობის დაკანონება, რაც ყოვლად დაუშვებელია. ასეთ შემთხვევებში უფრო მართებული იქნება, შეტანილი იქნას შესწორებები და დამატებები „საერთო

სასამართლოების შესახებ“ და „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონებში, აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში და გამოინახოს გზები, თუ რომელი სასამართლო ინსტანციის სტრუქტურას უნდა განეკუთვნოს სასამართლო შეცდომის გამოვლენისა, სახალხო დამცველის მიერ ამ საკითხზე შეტანილი რეკომენდაციების განხილვისა და მისი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება.

გარდა ამისა, სადავოდ უნდა იქნას მიჩნეული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები მიღებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ და „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონების ბაზაზე. საინტერესოა, რა საფუძველზე მიიჩნია უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობამ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები უნდა იქმნებოდეს დასახელებული ორგანული კანონების ბაზაზე და არა გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებიდან. ამ შემთხვევაში დასახელებული მოსაზრებების ავტორების მიერ რატომ ხდება იგნორირება იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის წყაროებად მიჩნეულია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, სამართლის სხვა კანონები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთად აღიარებული პრინციპები და ნორმები.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის (რომი, 4 ნოემბერი, 1950 წ.) მე-6 მუხლით აღიარებულია პირის უფლება საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ დროის განსაზღვრულ ვადაში.

სასამართლო შეცდომის შემთხვევებში, მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული შემოწმებისას გამოვლინებული ამგვარი დარღვევების დროს, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებმა უნდა გაითვალისწინონ ამ საკითხზე შემოსული რეკომენდაციები ან შესაბამისი სასამართლო სტრუქტურების მიერ შედგენილი დასკვნის საფუძველზე, სპეციალურად შექმნილი სასამართლო ინსტანციების სტრუქტურის მიერ საქმის გადასინჯვისა და საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ასეთ სტრუქტურებად გვესახება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან შექმნილი სპეციალური საბჭო და მისი დასკვნის საფუძველზე უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ სასამართლო შეცდომის გამო საქმის ხელახალი განხილვის მოთხოვნა.

საკასაციო ინსტანციის მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვაზე უარის თქმა სასამართლო შეცდომის შემთხვევაში, ჩვენი პრინციპული მოსაზრებებით, არღვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ზემოხსენებული კონვენციის მოთხოვნებს, ვინაიდან სასამართლო შეცდომის შემთხვევაში ილახება თითოეული ადამიანისათვის

მინიჭებული სამართლიანი სასამართლოსა და დროის განსაზღვრულ ვადაში საქმის სამართლიანი და ღია მოსმენის უფლება.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად მიღებული არასწორი გადაწყვეტილება, საერთაშორისო სამართლის ამ ნორმის სულისკვეთებიდან გამომდინარე, განხილული უნდა იქნას არა მარტო საქმის სამართლიანი და ღია მოსმენის, არამედ მისი გონივრულ ვადებში განხილვის ხელყოფადაც, ვინაიდან ასეთი პროცედურისათვის კანონით განკუთვნილი დრო, მთელ რიგ შემთხვევაში, არ გამოიყენება მაქსიმალურად, რაც ხდება ნაჩქარევი და არასწორი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი. ამასთან, დასახელებული კონვენცია არ შეიცავს არავითარ მინიშნებას, რაც გამორიცხავს წარმოებაში მყოფი საქმის შემდგომ მოძრაობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკასაციო ინსტანციის მიერ მიღებული იქნება უკანონო გადაწყვეტილება.

ასეთივე მოთხოვნებია აგრეთვე ჩამოყალიბებული საქართველოს კონსტიტუციის ზემოდასახელებულ მუხლშიც. ყოველი ადამიანის უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, სრულებით არ ზღუდავს მას შემოიფარგლოს საქმის პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრების უფლებით იმ შემთხვევაში, თუ საფუძვლიან ეჭვს იწვევს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

. ვფიქრობ, ძნელად თუ მოიძებნება იურისტ-თეორეტიკოსებსა და იურისტ-პრაქტიკოსებში ისეთი პიროვნება, ვინც შეძლებს სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეს საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც პიროვნებას ანიჭებენ უფლებას, თავისი უფლებისა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სამართლიანი სასამართლო განხილვა დროის გონივრულ მონაკვეთში. როგორც ჩანს, გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეები. სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული ანტიკონსტიტუციური შეზღუდვები, რომლებითაც საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი შემდგომ გასაჩივრებას სასამართლო შეცდომის შემთხვევაში არ ექვემდებარება, ქმნის მოსამართლეთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების ხელსაყრელ პირობებს, მთელ რიგ შემთხვევებში, უბიძგებს მათ ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად.

ამიტომ, გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები მოყვანილი იქნენ შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის (რომი, 4 ნოემბერი, 1950 წ.), საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნებთან, რაც გაითვალისწინებს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, კერძოდ, სავალდებულოს გახდის საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის განხილვას, ხოლო სასამართლო შეცდომის

შემთხვევაში, მიანიჭებს მხარეს ან სახალხო დამცველს უფლებას, მოითხოვოს საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება.

ვფიქრობ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობებში აღნიშნული ცვლი-- ლებებისა და დამატებების შეტანა მკვეთრად გააუმჯობესებს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას.

## სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა მიერ დაშვებულ დარღვევებზე სახალხო დამცველის რეკომენდაციების არასათანადო განხილვის შესახებ

***

2001 წლის 25 ოქტომბერს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განჩინებით (საქმე 2/1682) დაკმაყოფილდა რა ს. ბერიაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის I ნაწილის „ა" და „გ" პუნქტების და 430-ე მუხლის III ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს 1999 წ. 2 მარტის გადაწყვეტილება, სააქციო საზოგადოება „მეწარმეს" პრივატიზაციის ბათილად ცნობის შესახებ და 2001 წ. 9 ნოემბერს დაინიშნა საქმის ხელახალი განხილვა მოსამზადებელ სხდომაზე.

მესამე პირის გამოუცხადებლობის გამო, 2001 წ. 9 ნოემბერს საქმის მოსამზადებელ სხდომაზე განხილვა გადაიდო და იგი დაინიშნა 2001 წ. 21 ნოემბერს.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე გ. ონაშვილის 2001 წ. 21 ნოემბრის ცნობის მიხედვით, მოსამართლე გ. უტიაშვილის ავადმყოფობის გამო საქმის განხილვა ვერ მოხერხდა და იგი დანიშნულ იქნა სხვა დროისათვის.

საქმეში მოიპოვება გ. უტიაშვილის სახელით გამოტანილი განჩინება, რომლითაც ირკვევა, რომ შესაბამისი დოკუმენტების წარმოსადგენად მოსარჩელის მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის საფუძველზე, საქმე წარმოებით შეჩერდა 2002 წ. 1 თებერვლამდე.

როგორც მოსარჩელე ს. ბერიაშვილი განცხადებაში მიუთითებს, მას საქმის შეჩერების შესახებ სასამართლოში განცხადება არ შეუტანია. ამასთან, საქმის განხილვა 21 ნოემბერს არ მოხერხდა უკურნებელი სენით დაავადებული გ. უტიაშვილის სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო. ამრიგად, საქმეზე წარმოების შეჩერების შესახებ 2001 წ. 26 ნოემბრის განჩინება, რომელსაც ხელს არ აწერს მოსამართლე გ. უტიაშვილი, ყალბი უნდა იყოს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მასალების წარმოსადგენად მოსარჩელის

თხოვნის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლი არ ითვალისწინებს.

ასევე, ყალბი უნდა იყოს იურიდიული ფირმა „ხუნწარია და პარტნიორების" 2001 წ. 20 ნოემბრის წერილზე მოსამართლე გ. უტიაშვილის მიერ დადებული შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: „თანაშემწეს, დაკმაყოფილდეს განცხადება და ჩაბმული იქნეს მითითებული პირები სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე. გთხოვთ გამოიძახოთ მითითებული პირები სხდომაზე. პატივისცემით, გ. უტიაშვილი". ვინაიდან ეს უკანასკნელი დასახელებულ დღეს, როგორც უკვე აღინიშნა, სამსახურში არ იმყოფებოდა, მას შემდეგ იგი სამუშაოზე არ გამოცხადებულა და გარდაიცვალა.

მხოლოდ 2002 წ. 1 თებერვალს, რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის წერილობითი მითითებით, საქმე გადაეწერა მოსამართლე გ. ნაჭყებიას, რომელმაც იგი რეაგირების გარეშე დატოვა 2002 წ. 23 მაისამდე.

ამრიგად, 2001 წ. 26 სექტემბრისა და მოსამართლე გ. უტიაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 2002 წ. 23 მაისამდე, ანუ 8 თვის განმავლობაში, ვიდრე ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განჩინებით (მოსამართლე გ. ნაჭყებია) კოლეგიური შემადგენლობის განსახილველად არ გადაეცა საქმე სასამართლოს თავმჯდომარეს, იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის I ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით რეაგირების გარეშე იყო დატოვებული.

ერთი თვისა და 3 დღის შემდეგ, 2002 წ. 27 ივნისს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლების საფუძველზე გ. ნაჭყებიას (თავმჯდომარე), ლომიძისა და ბაქრაძის დადგენილებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება განსჯადობის მიხედვით საქმის თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატისათვის გადაცემის შესახებ, ხოლო ნაცვლად მისი დაუყოვნებლივი გადაგზავნისა, იგი გადაეცა საოლქო სასამართლოს 19 დღის დაგვიანებით, 2002 წლის 16 ივლისს. ამ შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნული დარღვევებისა, სასამართლომ დაარღვია აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მოთხოვნები, რომლითაც მას უნდა განეხილა ეს საქმე და არსებითად გადაეწყვიტა, თუნდაც იგი შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი ყოფილიყო.

თბილისის საოლქო სასამართლომ თავის მხრივ დაარღვია რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული 5-დღიანი ვადა, 18 დღის დაგვიანებით, მხოლოდ 2002 წ. 9 აგვისტოს გამოიტანა განჩინება (თავმჯდომარე – ა. ფრუიძე, თ. შერვაშიძე და ი. ზარქუა) სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად მისი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში გადაგზავნის შესახებ. ამ შემთხვევაშიც სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლის მოთხოვნები და დასახელებული განჩინების ქსეროასლი

გადასცა მოსამართლე ს. ბერიაშვილს 2 თვისა და 6 დღის დაგვიანებით, 2002 წ. 15 ოქტომბერს.

მიუხედავად მოსარჩელის სისტემატური წერილობითი და ზეპირი განცხადებებით მომართვებისა, თბილისის საოლქო სასამართლო და საქართველოს უზენაესი სასამართლო უარს ეუბნება მას საქმის გაგზავნის, მიღებისა და მისი განხილვის ვადის დანიშვნის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებაზე, ხოლო განსჯადობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, განმცხადებლისათვის დღემდე არაფერია ცნობილი.

ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რომლითაც სამოქალაქო საქმეების განხილვის ვადა სასამართლოსათვის დაშვებულია განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე – არა უმეტეს 5 თვისა, ს. ბერიაშვილის სასარჩელო განცხადების განხილვა სრულიად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ ჭიანურდება 11 თვის განმავლობაში.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2002 წლის 25 ოქტომბერს №1773/03/281-ბ რეკომენდაციით მივმართე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და ვთხოვე, განეხილა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს, თბილისის საოლქო და უზენაესი სასამართლოს იმ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა ბრალითაც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უხეშად ირღვეოდა სასარჩელო განცხადების კანონით დადგენილი ვადები.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ამ საკითხზე ჩემთვის გადმოგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე დაყენებულ იქნა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოდექსის მოსამართლეების: ა. ფრუიძის, თ. შერვაშიძისა და ი. ზარქუას საკითხი, იმის გამო, რომ განსჯადობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება მხარეებს არ გადაეგზავნათ დადგენილი წესით, კერძოდ, ს. ბერიაშვილს გადაეცა იგი 2 თვის დაგვიანებით. რაც შეეხება ჩემს რეკომენდაციაში მითითებულ სხვა დარღვევებს, მათ რატომდაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ არ მისცემია პრინციპული შეფასება.

***

2000 წლის 31 ოქტომბერს, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისში, ვ. ორბელიანის ქ. №27-ში მცხოვრებმა გივი ჯიქიამ.

ამავე სასამართლოს მოსამართლე ზ. მებონიამ, ნ. თარხნიშვილის მდივნობით, 2001 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/629) დააკმაყოფილა სარჩელი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1986 წლის 17 ოქტომბრის №549 ბრძანებაში შეიტანა ცვლილება. კერძოდ, სიტყვა „ხელახლა“ შეცვალა სიტყვით

„აღდგენა“ და იძულებითი განაცდურის პერიოდი – 1981 წლის 21 დეკემბრიდან 1986 წლის 17 ოქტომბრამდე, 4 წელი, 10 თვე და 27 დღე, ჩაუთვალა მას საერთო ნამსახურების სტაჟში.

დასახელებული გადაწყვეტილებითი გარემოებები, რომლებიც მიუთითებდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის საფუძვლებზე, ასევე მტკიცებულებანი, რასაც დაემყარებოდა სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებები, ზ. მებონიას მიერ მიჩნეული იქნა დადგენილად ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, რითაც დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის №105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები.

სახელდობრ: ისე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან არ გამოითხოვა და ვერც მოსარჩელემ წარუდგინა სასამართლოს შესაბამისი დოკუმენტი, მოსამართლემ დადგენილად ცნო ე. წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნის არსებობა, რომლითაც გ. ჯიქია სამუშაოზე უნდა ყოფილიყო აღდგენილი.

ასეთი დასკვნა შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გააჩნია და იგი თავის დროზე არ ყოფილა შედგენილი. პირიქით, სახალხო დამცველს მოეპოვება შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს 1986 წლის 26 აგვისტოს დასკვნა, რომლითაც გ. დ. ჯიქია შინაგან საქმეთა ორგანოებში აღდგენილი კი არა, ხელახლაა მიღებული.

აღნიშნულ გარემოებას ვერ უარყოფს თვით გ. ჯიქია თავის სასარჩელო განცხადებაში, სადაც აღნიშნავს, რომ მისთვის იყო იმთავითვე ცნობილი ორგანოებში მისი არა აღდგენის, არამედ ხელახლა მიღების შესახებ და მიუთითებს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელ შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს 1986 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე. ამასთან ერთად, წინასწარი შეცნობით ცრუობს, როცა აღნიშნავს, რომ მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს სპეციალური დასკვნისა, სადაც აღნიშნული იყო, რომ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივ შეუფერებლობას და სასჯელიც იყო უფრო მკაცრი, იგი შინაგან საქმეთა ორგანოებში ახლად იქნა მიღებული, რის გამოც მოითხოვა შესაბამის ბრძანებაში ცვლილებების შეტანა.

შემდგომში, როგორც აღინიშნა, როცა სასამართლო პროცესზე დაისვა საკითხი გ. ჯიქიას მიერ ვადების დარღვევით სასარჩელო განცხადების შეტანის შესახებ, მან 2001 წლის 14 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე იცრუა და განაცხადა, რომ მისი შინაგან საქმეთა ორგანოებში არა აღდგენის, არამედ ხელახლა მიღების შესახებ შეიტყო 2000 წელს (თვე არ ახსოვს) სამხედრო სტაჟის დამდგენი კომისიის მსვლელობის დროს, ხოლო დაახლოებით ერთ კვირაში სასამართლოში შეიტანა აღნიშნულ საკითხზე სასარჩელო განცხადება.

გენერალური პროკურატურის წელთა ნამსახურებაზე დანამატის გაცემისათვის შრომის სტაჟის დამდგენი კომისიის სხდომის ოქმიდან ირკვევა, გ. ჯიქიას შინაგან საქმეთა ორგანოებში, თავდაცვის სამინისტროსა და მთავარ სამხედრო პროკურატურაში მუშაობის

სტაჟი დაუდგინდა და ამის შესახებ შეეძლო შეეტყო არა 2000 წელს, არამედ 1994 წლის 29 აგვისტოს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯიქიამ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მისი შინაგან საქმეთა ორგანოებში აღდგენის შესახებ შეიტყო 2000 წელს შრომის სტაჟის დამდგენი კომისიის სხდომის დროს, ზ. მებონია არ დაინტერესებულა შეემოწმებინა იგი კომისიის ჩატარების ვადების დამადასტურებელი დოკუმენტების გენპროკურატურიდან გამოთხოვის გზით, ან კიდევ ასეთი დოკუმენტი მოეთხოვა თვით მხარისაგან. გარდა ამისა, მან მხედველობაში არ მიიღო გ. ჯიქიას მიერ სასარჩელო განცხადებაში მოცემული აღიარებები იმის შესახებ, რომ მისთვის თავიდანვე ცნობილი იყო შინაგან საქმეთა ორგანოებში ხელახლა მიღების შესახებ. ამასთან ისე, რომ არ გამოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროდან გ. ჯიქიას სამსახურში აღდგენის დამადასტურებელი დასკვნა, რომელიც არ არსებობს, სრულიად დაუსაბუთებლად დადგენილად ცნო, რომ ამ უკანასკნელმა სასარჩელო განცხადება შეიტანა კანონით განსაზღვრულ ვადაში და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოახდინა შინაგან საქმეთა მინისტრის 1986 წლის 17 ოქტომბრის №49 ბრძანებაში ცვლილებების შეტანა, სადაც სიტყვები „ხელახლა მიღება" შეცვლილია სიტყვა „აღდგენით".

როგორც გამოირკვა, ზ. მებონია გ. ჯიქიასთან ერთ კურსზე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იმის გათვალისწინებით, რომ ყოველივე ამას შეეძლო ეჭვი გამოეწვია მის მიუკერძოებლობაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის I ნაწილის „დ" პუნქტის თანახმად, არ უნდა განეხილა დასახელებული საქმე. ასევე, ამ კოდექსის 32-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამავე საფუძვლების არსებობისას იგი ვალდებული იყო განეცხადებინა თვითაცილება.

აღნიშნული დარღვევების შესახებ 2002 წლის 29 ოქტომბერს №34/03 რეკომენდაციით მივმართე თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ დ. სულაქველიძეს და მოვითხოვე განეხილა ზ. მებონიას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

დასახელებული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ იმ მოტივით, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გამოუყენებია კანონით მინიჭებული გასაჩივრების უფლება, არ უმსჯელია მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერების შესახებ, ასევე ის გარემოება, რომ ზ. მებონია სწავლობდა გ. ჯიქიასთან ერთად, ერთ კურსზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, არ იქნა მიჩნეული ისეთ გარემოებად, რომელიც დაასაბუთებდა ეჭვს მოსამართლის მიუკერძოებლობაში.

***

მოქალაქე გ. ჭუმბურიძის განცხადების შესწავლით ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 21 ივნისის ბრძანებით, „ავტოსაწარმო", „ავტოსერვისი-96"-სა და „არილი"-ის ბაზაზე დაარსდა „არილი-2000", რომელმაც ხელშეკრულების საფუძველზე ჩაატარა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები,

რომლის ღირებულებამ შეადგინა 93095 აშშ დოლარი (119353 ლარი) და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის მოსამართლის, ბატონ ნ. ზარქუას 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ჭუმბურიძის სასარგებლოდ მისი გადახადა დაეკისრა შპს „არილი-2000"-ს. მიუხედავად ამისა, დავალიანება დღემდე არ არის ანაზღაურებული და წლების განმავლობაში მიმდინარეობს სასამართლო დავები, რაც, ჩვენი აზრით, ზოგიერთი მოსამართლის ხელშეწყობითაც ხორციელდებოდა.

2002 წლის 24 დეკემბერს რეკომენდაციით მივმართე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ ლ. ჭანტურიას მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. თუმცა მან მიიჩნია, რომ სასამართლო განხილვისას არ დარღვეულა კანონის მოთხოვნები. მაშინ, როცა იმავე საქმეზე საქართველოს იუსტიციის საბჭოს 2003 წლის 6 იანვრის №1/435-2003 გადაწყვეტილებით, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული მოსამართლის, ქ-ნ ლილი მსხილაძის ქმედება ჩაითვალა კანონის დარღვევად.

***

საბურთალოს აგრარულ ბაზარში, თბილისის №5 პურის ქარხნის საფირმო მაღაზიის გახსნისა და შემდგომი ფუნქციონირებისა და საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, თბილისის მერიის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს, თბილისის პრემიერის 2001 წლის №705 განკარგულებით სპეციალურად შექმნილი კომისიისა და საქართველოს კონტროლის პალატის დასკვნებით დასტურდება, რომ არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც დაკავებული ჰქონდა შპს „ლომოიდო"-ს, წარმოადგენდა შპს „საბურთალოს ბაზარი-2000"-ის საკუთრებას და ჩვენი აქტიური ჩარევისა და თვით ბაზრის დირექტორის, ქალბატონ ნ. წიქარიშვილის შემართების შედეგად, სამართლიანობა აღდგენილ იქნა, რასაც 8 წელიწადი დასჭირდა. ამჟამად, ბაზრის კოლექტივი იბრძვის ანალოგიურ, მეორე, შპს „მამული"-ის მიერ ბაზრის ტერიტორიაზე უკანონოდ განთავსების ფაქტზე. ამ საკითხზეც არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებები (რაიონული, საქალაქო, საოლქო, უზენაესი), რომლითაც სადავო საკითხი ბაზრის კუთვნილი ქონებაა და ეს გრძელდება წლების განმავლობაში, მაგრამ დღემდე ეს პროცესი დასრულებული არ არის და, ალბათ, კიდევ დიდხანს არ დასრულდება იმდენად, რამდენადაც საქმე ელოდება სასამართლო განხილვას და ნათქვამი რომ არ ჩაგვეთვალოს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევის მცდელობად, ამიტომ დეტალური ანალიზისაგან თავს ვიკავებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ქ-ნი ნ. წიქარიშვილი არის ის პიროვნება, რომელმაც თავისთავზე იწვნია მრავალი უკანონობა. მას ხომ 1986 წლის 13 ნოემბერის განაჩენით 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და 4,5 წლის პატიმრობის მოხდის შემდეგ, 1993 წლის 16 ივლისის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით რეაბილიტირებულ იქნა, ხოლო ქ. თბილისის პროკურატურის 1999 წლის 5 მარტის დადგენილებით შეწყდა სისხლის სამართლის საქმე მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის მოტივით. ამ ფაქტის მოტანა იმიტომ დამჭირდა, რომ მეთქვა, იგი ადრეც და დღესაც

შემართებით იბრძვის საკუთარი უფლების დასაცავად. დამერწმუნეთ, ყველას არ შესწევს უნარი იბრძოლოს თავის უფლებების დასაცავად და ასეთ შემთხვევაში უდიდესი როლი გვაკისრია ჩვენ, ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს.

***

ქ. ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის მთავარი ინჟინერი, ბატონი ჯემალ გერსამია 1996 წლის 12 აგვისტოს ნავსადგურის უფროსის ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო იმავე წლის 1 ოქტომბრიდან აღნიშნული საშტატო ერთეული საერთოდ შემცირებულ იქნა. 1996 წლის 18 დეკემბერს ფოთის სასამართლომ დააკმაყოფილა ჯ. გერსამიას სარჩელი და აღადგინა იგი მის პირვანდელ თანამდებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, მისი მოთხოვნა დღემდე აღუსრულებელია, რითაც 6 წელია ირღვევა მისი შრომითი უფლებები. აღნიშნულზე მომზადდა არაერთი რეკომენდაცია, იგი იხილებოდა საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროში, ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურში, სახალხო დამცველის 1998-1999 წლების საპარლამენტო ანგარიშში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ამ საკითხს, მაგრამ შედეგი დღემდე უცვლელია. მოქალაქე ჯ. გერსამია სრულიად სამართლიანად მოითხოვს დარღვეული უფლების აღდგენას. 2002 წლის 31 ოქტომბერს კიდევ ერთხელ მოვითხოვეთ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროსაგან პრობლემის მოგვარება, მაგრამ არც სასამართლო აღმასრულებელმა, არც სამინისტრომ, თავის დროზე არ გამოიყენეს კანონით მინიჭებული უფლებები და დღემდე დარღვეულია ჯ. გერსამიას შრომითი უფლებები.

***

ქალბატონი მ. ბეციაშვილი განათლების მინისტრის 1995 წლის 8 ივნისის ბრძანებით გათავისუფლებულ იქნა სოფ. ვეჯინის საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობიდან, რაც იქცა სასამართლო განხილვის საგნად. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს 2002 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით იგი აღდგენილ იქნა, რაც განათლების მინისტრის 2002 წლის 26 აგვისტოს ბრძანებით აღსრულდა. მ. ბეციაშვილი შეუდგა სკოლის დირექტორის მოვალეობის შესრულებას. თუმცა, აღდგენის ბრძანების გამოცემიდან თითქმის ორი კვირის შემდეგ, სამინისტრომ სათანადო განხილვის გარეშე, 2002 წლის 13 სექტემბერს კვლავ გაათავისუფლა იგი სამსახურიდან ამჯერად იმ მოტივით, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღდგენის გადაწყვეტას „გულისწყრომითა და აღშფოთებით შეხვედრია სკოლის პედკოლექტივი და ითხოვდნენ ბრძანების შეჩერებას საკითხის შესწავლამდე." მაგრამ იგი არ შესწავლილა კანონით დადგენილი წესით. სასამართლო გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, დღესაც აღუსრულებელია და მ. ბეციაშვილი კვლავ სასამართლოს გზით ცდილობს თავისი უფლებების დაცვას.

***

მოქალაქე ქ. ადამიას შრომით უფლებებთან დაკავშირებული საკითხები სახალხო დამცველის აპარატში 1998 წლიდან განიხილება და არაერთი რეკომენდაცია მიეწოდა იუსტიციის სამინისტროს, სადაც იგი ადმინისტრაციის ინიციატივით 1998 წლის 18 მაისს, ჩვენი აზრით, სრულიად დაუსაბუთებლად გათავისუფლდა მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოს მრჩევლის თანამდებობიდან, რაც გაშუქდა ჩვენს წინა საპარლამენტო ანგარიშში. თუმცა პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება და ვალდებული ვარ ახალი გარემოებების გათვალისწინებით, კვლავ დავუბრუნდე ამ საკითხს. მას შემდეგ, რაც პრესით გაცხადდა, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე არსებობდა ორი ვაკანსია, რეკომენდაციის სახით ვითხოვეთ ქალბატონი ქ. ადამია კონკურსის გარეშე დანიშნულიყო ერთ-ერთ ვაკანტურ საშტატო ერთეულზე, მით უმეტეს, ის 2002 წლის 14 მარტის ბრძანებით რეზერვში იყო ჩარიცხული. 2002 წლის 13 ივნისს სამინისტროდან ვიღებთ პასუხს, რომ „სამინისტროს ხელმძღვანელობას და საკონკურსო-საატესტაციო კომისიას მართებულად მიაჩნია რეზერვისტთა არსებობის პირობებში ახალი კონკურსების ჩატარება“ და მასში მონაწილეობის მიღება მოეთხოვა ა. ადამიასაც. მაშინ, როცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, რეზერვში ჩარიცხული პირები შეიძლება უკონკურსოდ დაინიშნონ, მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლით ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. მიუხედავად ამისა, კონკურსი ჩატარდა და მასში წარმატებით მიიღო მონაწილეობა თვით ქალბატონმა ა. ადამიამ. მიუხედავად ამისა, კონკურსში მონაწილე ოთხი კანდიდატიდან ერთი კანდიდატი, რომელიც რეზერვში საერთოდ არ ირიცხებოდა, დაინიშნა ერთ-ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე, ხოლო სამი კანდიდატიდან უპირატესობის მიუნიჭებლობის გამო, კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2002 წლის 10 აგვისტოს ისევ გამოცხადდა კონკურსი და მასში მონაწილეობისათვის 23 აგვისტოს განცხადებით მიმართა ქ-ნმა ქ. ადამიამ. იმავდროულად, 2002 წლის 1 აგვისტოს მან ადმინისტრაციული სარჩელი შეიტანა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში. 2002 წლის 5 აგვისტოს საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს. საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით კი ბათილად იქნა ცნობილი 2002 წლის 14-25 ივნისის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოს მრჩევლის ერთ ვაკანტურ ადგილზე კონკურსის ჩაშლილად ცნობის ნაწილში და დაევალა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ამავე სამინისტროს რეზერვისტის ქეთევან ადამიას მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციისა და იმიგრაციის საკითხთა

სამმართველოს მრჩევლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. მართალია, სასამართლო გადაწყვეტილება ჯერ არ შესულა კანონიერ ძალაში, ვინაიდან საკასაციო წესით იხილება საქართველოს უზენაეს სასასამართლოში, მაგრამ ჩვენი დასაბუთებული რეკომენდაციები სრულად ემთხვევა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომ მოქ. ქ. ადამიას შრომითი უფლებები აშკარად დარღვეულია და ერთხელ კიდევ მივმართავ ბატონ რ. გილიგაშვილს, აღადგინოს ქ. ადამიას დარღვეული შრომითი უფლებები.

***

2001 წელს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ" კანონის ზოგიერთი მუხლი და თხოვნით მიმართა საქართველოს პარლამენტს, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ცვლილებები შეეტანა აღნიშნულ კანონში, რომელიც დღემდე განუხორციელებელია, არ ხდება იმ თანხის კომპენსაცია, რაც მათ გადაიხადეს ბინის შესაძენად. ამჟამად პარლამენტის იურიდიული კომიტეტი ამზადებს კანონპროექტს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების აღსასრულებლად, რომელშიც ჩვენი აზრით, უნდა იქნას დაცული როგორც მესაკუთრის, ასევე დამქირავებლის უფლებები. მაგრამ კანონის მიღება მეორე წელია დროში იწელება, რაც მოქალაქეების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციის, საქართველოს ბინის შემძენთა უფლებების დაცვის კავშირის თავმჯდომარე, ქალბატონი ნ. ტყეშელაშვილი მიიჩნევს, რომ კანონის არმიღებამ მრავალი პრობლემა შეუქმნა ბინის შემძენ მოქალაქეებს, ვინაიდან გარიგების ფორმადაუცველობის გამო დოკუმენტური მტკიცებულების უქონლობა მათთვის გადაულახავ წინააღმდეგობას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ასეთი გარიგების მტკიცებულებად მყიდველს მხოლოდ „შინაურული ხელწერილის" წარდგენა შეუძლია და ისიც ყოველთვის არ გააჩნია. არადა, საკონსტიტუციო სასამართლომ შინაურული ხელწერილი არ მიიჩნია მტკიცებულების მქონე დოკუმენტად, რითაც საშუალება მიეცა მესაკუთრეს არ გაითვალისწინოს ერთ დროს გამოვლენილი ნება. ასეთ ვითარებაში კავშირს მიაჩნია, რომ ვინაიდან გარიგების მხარე სრულად ფლობს გარიგების შინაარს, განხილულ უნდა იქნეს იმ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, რომლის მოქმედების დროსაც წარმოიშვა აღნიშნული ურთიერთობა.

***

მოქალაქე ე. აბაშიძემ სარჩელით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს იმის თაობაზე, რომ მეზობლებმა ზიანი მიაყენეს მის საცხოვრებელ ბინას, რომლის ღირებულებამ 437 ლარი შეადგინა. რაიონული მოსამართლის, ბატონ ნ. დურგლიშვილის 2002 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა სარჩელის მოთხოვნა და განუმარტა მოქალაქე ე. აბაშიძეს, რომ მას უფლება

ჰქონდა სასამართლო გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა ერთი თვის ვადაში სააპელაციო წესით. მოქ. ე. აბაშიძემ გამოიყენა ეს უფლებები, მაგრამ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ 2002 წლის 7 ივნისს გამოიტანა განჩინება (მ. ნასარიძე, მ. ფარცვანია, ც. დევრისაშვილი), რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 500 ლარს. ეს განჩინება უცვლელად დატოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატამ, 2002 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით. თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოქალაქის უფლებები გასაჩივრების აკრძალვით თვით კანონის მიხედვით წინასწარვე დარღვეულია. თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს." მოცემულ შემთხვევაში ეს უფლება მოქალაქე ე. აბაშიძეს წაერთვა. ამჟამად ვამზადებთ საკონსტიტუციო სარჩელს. აქ შეგვეძლო დაგვესვა წერტილი, მაგრამ დავამატებ მხოლოდ, რომ ვაკე-საბურთალოს მოსამართლეს, ბატონ ნ. დურგლიშვილს, როცა სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებას იძლეოდა, უნდა სცოდნოდა კანონის მოთხოვნა და განემარტა იგი მოქალაქისათვის.

## თანამდებობრივი შეუფერებლობის, ჩეჩენი მოქალაქეების ექსტრადირების საკითხებზე არასათანადო რეაგირების გამო, საქართველოს გენერალური პროკურორისა და მთავარი სამხედრო პროკურორის პასუხისმგებლობის შესახებ

2002 წლის 5 ივლისს საქართველოს გენერალურ პროკურორს მივმართე №453/04-14 რეკომენდაციით, გ. ჯიქიას საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის თანამდებობაზე შემდგომი ყოფნის მიზანშეუწონლობის თაობაზე.

ჩემი ეს მოთხოვნა განპირობებული იყო გ. ჯიქიას საქმიანი და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაშვებული სისტემატური სიყალბეებითა და დარღვევებით, რომლებიც ქმნიან ამ უკანასკნელის მხრიდან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მომეტებულ რისკს.

გ. ჯიქია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1981 წლის 4 დეკემბრის №25 გადაწყვეტილებით, სამსახურებრივი შეუფერებლობის მოტივით, დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა

ორგანოებიდან, შინაგან საქმეთა მინისტრის იმავე წლის 21 დეკემბრის ბრძანებით.

შინაგან საქმეთა ორგანოებიდან მისი დათხოვნის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ მუშაობდა რა მარნეულის რაიონის საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსად, მან გამომძიებელ ა. დ. ნათაძესა და ლ. ი. პანასიანთან ერთად, კარაპეტიანისა და აკოფოვის მიმართ სპეკულაციის შესახებ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე, წინასწარი გამოძიება ჩაატარა ცალმხრივად და ტენდენციურად, რითაც შეეცადა დამნაშავეების მიერ წამოყენებული ალიბის დადასტურებას.

1982 წლის ნოემბერში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ განიხილა გ. ჯიქიას თხოვნა და კოლეგიის წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მას სამსახურში აღდგენაზე. ნიშანდობლივია, რომ ამ კოლეგიაზე გ. ჯიქია იქცეოდა გამომწვევად, უხეშად და უტაქტოდ.

1986 წელს გ. ჯიქიამ განცხადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას, რა დროსაც აღიარა ზემოაღნიშნული საქმეების გამოძიების დროს მის მიერ დაშვებული შეცდომები და ითხოვა შინაგან საქმეთა ორგანოებში აღდგენა.

1986 წლის ოქტომბერში, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, წარსულში მუშაობის გარკვეული გამოცდილების გათვალისწინებით, გ. ჯიქია ხელახლა იქნა მიღებული შინაგან საქმეთა ორგანოებში და შინაგან საქმეთა გარდაბნის რაიონული განყოფილების 1986 წლის 22 სექტემბრის წერილითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს 1986 წლის 9 ოქტომბრის დასკვნის საფუძველზე, დაინიშნა დასახელებული განყოფილების ექსპერტ-კრიმინალისტად.

2000 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი და მეხუთე ნაწილების მოთხოვნებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, გ. ჯიქიამ მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს თხოვნით, არაკანონიერად ყოფილიყო აღიარებული შინაგან საქმეთა სამინისტროს 1986 წლის 13 ოქტომბრის №949 ბრძანების ფორმულირება მისი სამსახურში ხელახლა მიღების ნაწილში. ამავე სასარჩელო განცხადებით გ. ჯიქიამ აღიარა, რომ სამსახურში აღდგენის ნაცვლად, 1986 წლის 13 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მან გარდაბნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მუშაობა დაიწყო ხელახლა მიღების შემდეგ.

შემდგომში, როცა სასამართლო პროცესზე დაისვა საკითხი სასარჩელო განცხადების კანონით დადგენილი ვადების დარღვევით შეტანის შესახებ, 2001 წლის 14 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე გ. ჯიქიამ შეცდომაში შეიყვანა სასამართლო და განაცხადა, რომ მისი შინაგან საქმეთა ორგანოებში არა აღდგენის, არამედ ხელახლა მიღების შესახებ შეიტყო 2000 წელს (თვე არ ახსოვს) სამხედრო სტაჟის დამდგენი კომისიის მსვლელობის დროს, ხოლო დაახლოებით 1 კვირაში, შეიტანა სასამართლოში სასარჩელო განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამასთან, სასამართლოს ვერ წარუდგინა აღნიშნული გარემოების

დამადასტურებელი საბუთი და რატომღაც იგი ვერ იქნა ნაპოვნი სასამართლოს შესაბამის საქმეში.

ჩემს მიერ მოძიებულ იქნა გენერალური პროკურატურის წელთა ნამსახურეობაზე დანამატის გაცემისათვის შრომის სტაჟის დამდგენი კომისიის სხდომის ოქმი, რომლითაც ირკვევა, რომ გ. ჯიქიას შინაგან საქმეთა ორგანოებში, თავდაცვის სამინისტროსა და მთავარ სამხედრო პროკურატურაში მუშაობის სტაჟი დაუდგინდა და ამის შესახებ შეეძლო შეეტყო არა 2000 წელს, როგორც ამას მიუთითებს სასამართლოში შეტანილ სასარჩელო განცხადებაში, არამედ 1994 წლის 29 აგვისტოს, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება მის მიერ სასამართლოს შეცდომაში შეყვანისა და პასუხსაგებ თანამდებობაზე მყოფი პირისათვის შეუფერებელი საქციელი.

ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მან ვერ წარუდგინა სასამართლოს და არც საქმეში არ მოიპოვება სასარჩელო განცხადებაში მითითებული საბუთი იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს დასკვნით, მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონდა სამსახურებრივ შეუთავსებლობას და სასჯელიც იყო უფრო მკაცრი. პირიქით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს 1986 წლის 26 აგვისტოს დასკვნით, გ. ჯიქია შინაგან საქმეთა ორგანოებში აღდგენილი კი არა, ხელახლაა მიღებული.

ამრიგად, თვით გ. ჯიქიას სასარჩელო განცხადებითაც დასტურდება, რომ 1986 წლის ოქტომბერში მისთვის ცნობილი იყო შინაგან საქმეთა ორგანოებიდან სამსახურებრივი შეუფერებლობით დათხოვნის უსაფუძვლობისა და სამსახურში აღდგენის ნაცვლად მისი შინაგან საქმეთა ორგანოებში „ხელახალი მიღების წესით" გარდაბნის რაიონის შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის დაწყების შესახებ. მიუხედავად ამისა, მან 14 წლის განმავლობაში, ნაცვლად კანონით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადისა, არ გაასაჩივრა სასამართლოში აღნიშნული გადაწყვეტილება.

გარდა ამისა, 2000 წლის 30 ნოემბერს გ. ჯიქიამ განცხადებით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს აფხაზეთში საომარ მოქმედებაში მისი მონაწილეობის ფაქტის დადგენის თაობაზე, რაც დაკმაყოფილებულ იქნა ამავე სასამართლოს 2001 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე 2/830).

დასახელებულ განცხადებას გ. ჯიქიამ დაურთო საბრძოლო მოკვლევის დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული სამმართველოს უფროსი თ. მირიანაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი თ. შარაშიძე და თავდაცვის საჯარისო სამსახურის მთავარი სამმართველოს მართლწესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე, პირველი განყოფილების უფროსი ლ. ფავლენიშვილი.

ჩემს მიერ მოპოვებულ იქნა ლ. ფავლენიშვილის მიერ ხელმოწერილი 1999 წლის 21 ოქტომბრის დასკვნა, რომლითაც ირკვევა, რომ ხელმოწერები ამ უკანასკნელის სახელით დასახელებულ დოკუმენტებზე შესრულებულია სხვადასხვა პირის მიერ.

როგორც ლ. ფავლენიშვილმა განაცხადა პირად საუბარში, საბრძოლო მოკვლევის დოკუმენტზე ხელმოწერა მის მიერ არ იყო შესრულებული, რაც უნდა გამხდარიყო შემდგომი კვლევა-ძიების საგანი.

იმის გამო, რომ ამოიწურა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილი რეკომენდაციების განხილვის ერთთვიანი ვადა, 2002 წლის 29 აგვისტოს გენერალურ პროკურორს გაეგზავნა №558/03 წერილი გ. ჯიქიას საქმესთან დაკავშირებით შეგროვილი მასალების სახალხო დამცველისთვის მოწოდების შესახებ.

2002 წლის 9 სექტემბერს გენერალური პროკურატურიდან გადმომეგზავნა დასკვნა „საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის გ. ჯიქიას კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული, ასევე საქართველოს გენერალური პროკურორის სახელზე გ. ჯიქიას მიერ გაკეთებული წერილისა და მოხსნებით ბარათში, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გენერალური პროკურორისათვის გაგზავნილ წერილში მითითებული გარემოებების შესახებ".

მსურს შევნიშნო, რომ დასახელებული დასკვნა თავისი სტრუქტურით, ფორმითა და შინაარსით არ პასუხობს მისთვის განკუთვნილ მოთხოვნებს. კერძოდ, მასში არ არის გათვალისწინებული გენერალური პროკურორის მიერ დასკვნის დასამტკიცებლად განკუთვნილი გრაფა, იგი ასევე არ შეიცავს სარეზოლუციო ნაწილს, სადაც მოცემული უნდა იყოს გამოკვლეული საკითხების ირგვლივ საჭირო შეფასებები და წინადადებები, მთავარი სამხედრო პროკურატურის მუშაობაში გამოვლინებული ხარვეზების აღმოფხვრისა და დამნაშავე პირთა მიმართ შესაძლო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ან მათზე უარის თქმის მოტივების შესახებ.

გენერალური პროკურორის დასკვნის აღწერილობითი ნაწილით დადასტურებულია 2002 წლის 5 ივლისის სარეკომენდაციო წერილში მითითებული ბრალდებები იმის შესახებ, რომ გ. ჯიქია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში მოქმედებდა ანგარებითი ქვენა გრძნობით, რის გამოც სამსახურებრივი შეუფერებელობის მოტივით, შინაგან საქმეთა სამინისტროს 1981 წლის 4 დეკემბრის კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე, იგი დათხოვილ იქნა შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძვლიანობის შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, 1982 წლის 25 და 31 ნოემბერს ეცნობა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსს. მასვე განემარტა, რომ იმავე წლის 18 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა რა ორგანოებში აღდგენასთან დაკავშირებით გ. ჯიქიას შუამდგომლობა, ზემოხსენებული მოტივით უარი უთხრა მას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

დასკვნაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ 1986 წლის აპრილში გ. ჯიქიამ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა ახლადდანიშნულ მინისტრს, რომელშიც სადავოდ არ გაუხდია მისი

დასჯის საფუძვლიანობა და იგი თანხმობას აცხადებდა ცხაკაიას რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში ინსპექტორის თანამდებობაზე შემოთავაზებულ წინადადებაზე.

გენერალური პროკურატურა ეთანხმება ჩემს წერილში მოცემულ დასკვნებს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1986 წლის 17 ოქტომბრის №549 ბრძანებით, გ. ჯიქიას, როგორც ახლადმიღებული და არა შინაგან საქმეთა ორგანოებში აღდგენილი თანამშრომლის, გარდაბნის რაიაღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების ექსპერტ-კრიმინალისტად დანიშვნის თაობაზე.

დასახელებული დასკვნით დადასტურებულია, რომ გ. ჯიქია შინაგან საქმეთა ორგანოებში არ ყოფილა აღდგენილი და ამ საკითხზე სასამართლოში მისი განცხადებით მიმართვა გამოწვეული იყო ძველ თანამდებობაზე უკანონოდ დაბრუნების, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და უწყვეტი სტაჟის აღდგენის სურვილით.

ასევე დადასტურებულია, რომ გ. ჯიქიამ აღნიშნულ საკითხზე სასარჩელო განცხადებით სასამართლოს მიმართა კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევით და მოპასუხე მხარის, ამ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს, საწინააღმდეგო აზრის უარყოფის მიზნით იცრუა, თითქოს მან სამსახურში ხელახლა მიღების შესახებ გაიგო 2000 წლის ნახევარში (კერძოდ, რომელ ნახევარში, ვერ მიუთითა) პროკურატურის შრომის დამდგენი კომისიის სხდომაზე. როგორც გამოირკვა, დასახელებული კომისიის სხდომა ჩატარდა არა 2000 წლის „ნახევარში", როგორც ამას გ. ჯიქია მიუთითებს, არამედ 1994 წლის 29 აგვისტოს, რასაც ადასტურებს მთავარი სამხედრო პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილის გ. ძაგანიასა და კომისიის ოთხი წევრის ხელმოწერები.

გარდა ამისა, როგორც დასკვნიდან ირკვევა, დადასტურდა კანონით დადგენილი ვადების დარღვევით სისხლის სამართლის საქმის დაგვიანებით აღძვრის, ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე გამოძიების გაჭიანურების, კომენდატურის წინასწარი დაკავების საკნებში ბრალდებულთა მოთავსების შესახებ ჩემს რეკომენდაციაში მითითებული და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული მთელი რიგი ფაქტები, აგრეთვე მთავარი სამხედრო პროკურატურის საქმიანობაში არსებული სხვა სახის დარღვევები.

ამრიგად, გენერალური პროკურატურის დასკვნით, სრული დადასტურება ჰპოვა გ. ჯიქიას შინაგან საქმეთა ორგანოებიდან ანგარებითი ქვენა გრძნობით დათხოვნის, გარკვეული შეღავათების სურვილით სამსახურში აღდგენის თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით სასარჩელო განცხადებით უკანონოდ მიმართვისა და ხანდაზმულობის ვადის დარღვევით სარჩელის წარდგენის გასამართლებლად ამ უკანასკნელის მიერ სასამართლო ორგანოების შეცდომაში შეყვანის შესახებ ჩემს რეკომენდაციაში მითითებულმა გარემოებებმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით არ დავეთანხმე დასკვნაში მოცემულ შუალედურ შეფასებას გ. ჯიქიას მოქმედებების კანონშეუსაბამობის შესაძლებლობის შესახებ.

იმავდროულად, საქართველოს გენერალურ პროკურორს 2002 წლის 18 სექტემბერს გავუგზავნე მორიგი №482/03 რეკომენდაცია, რომლითაც, იმის გათვალისწინებით, რომ გ. ჯიქიას პიროვნული და საქმიანი თვისებებისათვის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, სხვადასხვა დროსა და პირობებში, დამახასიათებელია სამსახურებრივი მდგომარეობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სიყალბეების ჩადენა, რაც საყოველთაოდ ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისათვის, უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს მის ავტორიტეტზე, ხელს უშლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, ამ უკანასკნელის მხრიდან ქმნის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ხელსაყრელ პირობებს, დავაყენე საკითხი მისი საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

ზემოხსენებული დასკვნის შედგენიდან საკმაო დრო გავიდა, თვეზე მეტი, გენერალურმა პროკურორმა კი ჩემი რეკომენდაციების მიუხედავად, 2002 წლის 7 ოქტომბრამდე გააჭიანურა მისი განხილვა, ხოლო „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 24-ე მუხლით დაწესებული ერთთვიანი ვადის დარღვევით, 9 ოქტომბერს მომაწოდა ინფორმაცია რეკომენდაციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება გენერალურმა პროკურორმა დაასაბუთა იმით, რომ ჯიქიას მიერ სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, შინაგან საქმეთა სამინისტროს 1986 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაყენება და, შესაბამისად, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ შესაძლებელია კანონშეუსაბამო იყოს, მაგრამ იგი უკვე შესულია კანონიერ ძალაში და მისი გადასინჯვის ან გადასინჯვაზე საკითხის დაყენების უფლებამოსილება პროკურატურას არ გააჩნია, ხოლო ამ გადაწყვეტილების გაუქმებამდე სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები უტყუარად უნდა იქნას მიჩნეული.

ამასთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ, მართალია, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შესულია კანონიერ ძალაში და და მისი გადასინჯვის შესახებ საკითხის დაყენების უფლებამოსილება პროკურატურას არ გააჩნია, მაგრამ იგი სრულიად არ გამორიცხავს ანგარებითი მოტივით შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის, სასარჩელო განცხადებაში წინასწარი შეცნობით ყალბი მონაცემების მითითებისა და მისი დადგენილი ვადების დარღვევით შეტანის გასამართლებლად სასამართლო სხდომაზე შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემის გამო, გ. ჯიქიასათვის მორალური პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

რაც შეეხება თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ აღნიშნულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას, იგი შეიძლება განხილულ იქნას საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ჯიქიას პირად საქმეში მოიპოვება ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი დარღვევებისა და გადაცდომების შესახებ ჩემს რეკომენდაციებში მითითებული მონაცემები, საქართველოს გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობის მიერ იგი დაწინაურდა მთავარი სამხედრო პროკურორის განყოფილების უფროსის, ხოლო ერთი წლის განმავლობაში მთავარი სამხედრო პროკურორის თანამდებობაზე, მიენიჭა იუსტიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება და წარდგენილ იქნა ვახტანგ გორგასლის სახელობის საბრძოლო ორდენზე.

საქართველოს გენერალურ პროკურორს არ გააჩნია პრინციპული და კანონშესაბამისი მიდგომა ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეების რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავ ორგანოებს, მათივე მოთხოვნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გადაეცა საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების შენახვის, ტარებისა და გადაზიდვებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე და 236-ე მუხლებით პასუხისგებაში მიცემული ხუთი ჩეჩენი მოქალაქე.

ექსტრადიცია განხორციელდა ადვოკატის დახმარებისა და დაცვის მიზნით სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებების წარმთევის გზით, ასევე ზოგიერთი მათგანის მიმართ პიროვნული მონაცემებისა და უცხო ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულებათა დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვების გარეშე, რითაც დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 1990 წლის 4 ნოემბრის მე-6 მუხლის III ნაწილის „a", „b" და „c" პუნქტებისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები.

2002 წლის 27 სექტემბრის №35/1-1319-02 წერილით, რუსეთის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ვ. კოლმოგოროვი საქართველოს გენერალურ პროკურორს სთხოვდა, სხვა პატიმრებთან ერთად გადაეწყვიტა ადლან ლეჩის ძე ადაევის მათთვის გადაცემის საკითხი. ექსტრადიციის შესახებ მისაღებში მოიპოვება ბრალდებულის სახით დასახელებული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევის შესახებ დადგენილებები, რომლებითაც ირკვევა, რომ იგი დაბადებულია 1974 წელს, ჩეჩნეთის რესპუბლიკის აჩხოი-მარტანის რაიონის სოფ. იანდიში. ამავე მასალებზე დართულია აღნიშნული პირის დაკავების დროს ჩამორთმეული ყოფილი საბჭოთა პასპორტი, რომლითაც დასტურდება, რომ იგი არის არა ადლან ლეჩის ძე ადაევი, არამედ ასლან ლეჩის ძე ადაევი. ამასთან, მისი დაბადების ადგილად მითითებულია არა სოფ. იანდი, არამედ სოფ. ორეხოვო. ასევე, ამავე

მასალებში არსებული, საქართველოს უშიშროების სამინისტროს მიერ ნაწარმოები ბრალდებულის დაკითხვის 2002 წლის 6 აგვისტოს ოქმიდან ნათლად ჩანს, რომ რუსეთის მხარისთვის გადაცემული პატიმარი წარმოადგენს არა ადლან ლეჩის ძე ადაევს, დაბადებულს 1974 წელს, არამედ 1968 წელს დაბადებულ ასლან ლეჩის ძე ადაევს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული 2002 წლის 6 აგვისტოს ბრალდებულის დაკითხვის ოქმში მითითებულია ასლან ლეჩის ძე ადაევი, ექსტრადიციის მასალების განხილვის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2002 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებაში, რომელსაც ხელს აწერენ გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების პროკურორი ლ. დარბაიძე და ამავე განყოფილების უფროსი პ. მსხილაძე, ხოლო მას ამტკიცებს გენერალური პროკურორის მოადგილე ვ. ბენიძე, რუსეთის ფედერაციისათვის გადასაცემ პირად მოხსენიებულია ადლან ლეჩის ძე ადაევი.

მასალებში აგრეთვე მოიპოვება 2002 წლის საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო განყოფილების სტაჟიორ-პროკურორის ლ. დარბაიძის, ამავე განყოფილების უფროსი პროკურორის ვ. კ. ხერიანოვასა და პატიმარ ა. ლ. ადაევის ხელმოწერილი, 2002 წლის 13 სექტემბრის ოქმი, რომელშიც მითითებულია ამ უკანასკნელის მიერ ექსტრადიციის თაობაზე ჩვენების მიცემაზე უარის შესახებ იმ მოტივით, რომ დაკითხვას არ ესწრებოდა მისი ადვოკატი, რაც მიანიშნებს პროკურატურის ორგანოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევაზე.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურას, მისი მოთხოვნით, 2002 წლის 4 ოქტომბერს გადაეცა სხვა პიროვნება. კერძოდ, არა 1974 წელს, ჩეჩნეთის რესპუბლიკის აჩხოი-მარტანის რაიონის სოფ. იანდიში დაბადებული ადლან ლეჩის ძე ადაევი, არამედ ამავე რაიონის სოფ. ორეხოვოში მცხოვრები, 1968 წელს დაბადებული ასლან ლეჩის ძე ადაევი, რომელსაც წაერთვა მისთვის კანონით მინიჭებული უფლება, ესარგებლა ადვოკატის დახმარებით და დაცვის მიზნით მიემართა სასამართლოსათვის.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის გრიბენიუკოვის 2002 წლის 22 სექტემბრის დადგენილებით, მის მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 1977 წელს დაბადებული ფაიზულა აიუბოვის ძე ბაისაროვი, იგივე პიროვნებაა მითითებული აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევის შესახებ 2002 წლის 16 აგვისტოს დადგენილებაში.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი გამომძიებლის ვ. ს. ოსიპოვის 2002 წლის 8 აგვისტოს დადგენილებით კი ირკვევა, რომ მის მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია სეიბულა აიბულოვის ძე ბაისაროვი, ამავე პიროვნების მიმართ ჩეჩნეთის

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის მიერ 2002 წლის 8 აგვისტოს აღკვეთი ღონისძიების სახით შერჩეულია პატიმრობა.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის საპასპორტო-სავიზო სამსახურის 2002 წლის 8 აგვისტოს №8/2099 წერილით ირკვევა, რომ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დაბადებულია 1977 წელს არა ფეიზულა აიუბოვის ძე ბაისაროვი, ან სეიბულა აიბულოვის ძე ბაისაროვი, არამედ სეიზულია (ფაიზულა) აიუბოვის ძე ბაისაროვი (დაბ. 1976 წ.).

საქართველოს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ კი 2002 წლის 5 აგვისტოს ბრალდებულის სახით ჩამოერთვა ჩვენება სხვა პირს, 1977 წელს დაბადებულ ფეიზულ აიუბის ძე ბაისაროვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პიროვნების შესახებ უტყუარი მონაცემების დადგენამდე დაუშვებლად მიმაჩნია რუსეთის ფედერაციის პროკურატურის მიერ მითითებული პირის ექსტრადიცია, ამასთან საჭიროდ ვთვლი, მიეცეს პატიმარს მისთვის საერთაშორისო და შიდაკანონმდებლობით მინიჭებული უფლება, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით და დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

წინააღმდეგობრივია ასევე რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მოთხოვნა თემურ სულთანის ძე ბაემურზაევის მათთვის გადაცემის შესახებ.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლის ა. ა. გრიბენიუკოვის 2002 წლის 22 სექტემბრის დადგენილებით, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულია 1974 წელს დაბადებული თიმურ სულთანის ძე ბაიმურაზაევი.

ამავე პროკურატურის უფროსი გამომძიებლის ვ. ს. ოსიპოვის 2002 წლის 8 აგვისტოს დადგენილებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 1974 წელს დაბადებული თიმურ სულთანის ძე ბაემურაზაევი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელ ზ. ვანიშვილის მიერ ბრალდებულის სახით დაკითხულია სულ სხვა პიროვნება, 1975 წლის 10 ივნისს დაბადებული თემურ სულთანის ძე ბუმურზაევი.

ამრიგად, თვით ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის მასალებში შეინიშნება წინააღმდეგობები, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთ შემთხვევაში მათ მიერ პასუხისგებაში მიცემულია 1974 წელს დაბადებული თიმურ სულთანის ძე ბაიმურზაევი. საგამოძიებო სამსახურის მასალებში ფიგურირებს სხვა პიროვნება, კერძოდ, 1975 წელს დაბადებული თემურ სულთანის ძე ბუმურზაევი, რის გამოც პიროვნების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვებამდე და დანაშაულის თაობაზე სათანადო მტკიცებულებების მოპოვების გარეშე მისი რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტა დაუშვებლად მიგვაჩნია. ამასთან ერთად, დასახელებულ პირს უნდა მიეცეს საშუალება, საერთაშორისო და შიდასაკანონმდებლო აქტების საფუძველზე მისთვის მინიჭებული უფლებებით ისარგებლოს ადვოკატის დახმარებითა და დაცვის მიზნით სასამართლოსთვის მიმართვით.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ა. ა. გრიბენიუკოვის 2002 წლის

სექტემბრის დადგენილებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 1972 წელს დაბადებული ხამზატ გოლიდოკოვის ძე ისაევი.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი გამომძიებლის ვ. ს. ოსიპოვის მიერ 2002 წლის 8 აგვისტოს გამოტანილი დადგენილებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულად ითვლება ხამზატ გოლიდოკიევის ძე ისაევი, ხოლო გროზნოს სტაროპრომისლოვსკის რაიონის სასამართლოს მოსამართლის ა. ა. ალხანოვის 2002 წლის 16 აგვისტოს დადგენილებით, აღკვეთი ღონისძიების სახით – პატიმრობა შეერჩა არა 1972 წელს დაბადებულ ხამზატ გოლიდკოვის ძე ისაევს, არამედ 1975 წელს დაბადებულ ხამზატ გოლიდოკიევის ძე ისაევს.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელ ა. ხურციძის მიერ, 2002 წლის 5 აგვისტოს ბრალდებულის სახით დაკითხულია სულ სხვა პიროვნება, 1974 წლის 18 ოქტომბერს დაბადებული ხამზატ მოვლიდოს ძე ისაევი.

ამრიგად, დასახელებულ პირთა მიმართ უტყუარი და სრული მონაცემების შეგროვებამდე დაუშვებლად მიმაჩნია მათი რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირება. ამასთან, ბრალდებული ხამზატ მოვლიდის ძე ისაევს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, საერთაშორისო და შიდაკანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით და დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

გარდა ამისა, საჭიროდ ვთვლი, ყურადღება გავამახვილო იმის თაობაზე, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში, კერძოდ, 11 და 24 ოქტომბრის №663/03 და №696/01 წერილებით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე სისტემატურად მივმართავდი გენერალურ პროკურორს მოეწოდებინა ჩემთვის გასაცნობად რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მიერ მათთვის გადასაცემად მოთხოვნილი პირების პირადობისა და დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებები, შეკრებილი როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მხარის სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რაც დასახელებული მუხლის მოთხოვნათა იგნორირებით, სხვადასხვა დაუსაბუთებელი მიზეზებით, დღემდე მათ მიერ არ არის შესრულებული.

რაც შეეხება საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომელთა ზეპირ განმარტებას, რომ რუსეთის მხარის სამართალდამცავების მიერ აღნიშნული პირები ამოცნობილნი არიან ფოტოსურათების მეშვეობით, იგი არ შეიძლება მიღებულ იქნას მხედველობაში და შეფასებულ იქნეს სათანადო მტკიცებულებებად, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ფოტოსურათით ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაშინ როცა ამოსაცნობად წარდგენილ პირთან საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შეუძლებელია მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის, ან მასთან კონტაქტის შეუძლებლობის გამო.

ისეთ პირობებში, როცა საქართველოსა და რუსეთის მხარეს ხელი აქვთ მოწერილი „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებებისა და

სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციაზე, ასევე, როცა არსებობს შეთანხმება რუსეთისა და საქართველოს გენერალურ პროკურატურებს შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ამოცნობის ჩატარებაზე უარის თქმა, ბრალდებულისთვის მინიჭებული უფლებებიდან გამომდინარე, არ არის გამართლებული და იგი დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მე-4 სექციის მიერ 2002 წლის 6 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელზე გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ პალატის გადაწყვეტილებით, საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს ეთხოვათ წარუდგინონ მას წერილობითი მიმოხილვა საქმის დასაშვებობასა და არსებით განხილვასთან დაკავშირებით. ამავე წერილში მითითებულია აგრეთვე, რომ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად, 2002 წლის 4 ოქტომბერს სასამართლოს პალატის ვიცე-პრეზიდენტის მიერ დროებითი ღონისძიება, რომელსაც დაეთანხმა სასამართლოს პალატა, გაგრძელებულია 2002 წლის 26 ნოემბრის საღამომდე.

იმის გათვალისწინებით, რომ გ. ჯიქიას საქმესთან, აგრეთვე ჩეჩენი ეროვნების პირთა ექსტრადიციის საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ დაშვებული გადაცდომები მივიჩნიე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის განსაკუთრებულ შემთხვევად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „კ“ პუნქტის საფუძველზე, 2002 წლის 11 ნოემბერს №736/01 რეკომენდაციით მივმართე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რათა საქართველოს გენერალური პროკურორის, ბატონ ნ. გაბრიჩიძისა და საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის, ბატონ გ. ჯიქიას პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის მიზნით, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნამდე, ამ საკითხზე ემსჯელა საქართველოს პარლამენტის ცალკეულ თანამდებობის პირთა ქმედებების შემსწავლელ და დროებით კომისიას. ნაცვლად ამისა, რეკომენდაცია რატომღაც გადაეცა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, რომელმაც ორი თვის შემდეგ კვლავ პარლამენტის თავმჯდომარეს დაუბრუნა. დღემდე რეკომენდაციის განხილვა ხელოვნურად ჭიანურდება.

## ე. წ. ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარების პროცესში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა მასობრივი დარღვევისა და ძალოვანი უწყების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ

მიმდინარე წლის 7 დეკემბერს, საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევით, თბილისში ჩატარდა

ე. წ. ანტიკრიმინალური ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება, რა დროსაც უხეშად დაირღვა საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა უფლებები და თავისუფლებები.

განსაკუთრებით შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ დასახელებული ღონისძიების ჩატარება გამართლებულია შინაგან საქმეთა, უშიშროების სამინისტროებისა და გენერალური პროკურატურის მიერ შემუშავებული ერთობლივი გეგმით.

მიმაჩნია, რომ საქართველოს ძალოვანი უწყებების ამ მოქმედებებით ერთმნიშვნელოვნად ითქვა უარი ქვეყნის მიერ მოპოვებულ დემოკრატიულ ღირებულებებზე, იგი ჩემს მიერ შეფასდა როგორც განუკითხაობისა და ძალმომრეობის ნათელი ნიმუში. განსაკუთრებით საგანგაშოა ოპერაციის ჩატარების მასობრივი და ცინიკური ხასიათი, დაკავებულთა შორის არიან არასრულწლოვანები, ქალები და მოხუცები.

უფლებაშელახულ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა ეროვნებით ჩეჩენია, რამაც გამოიწვია მათი რუსეთის ფედერაციაში დეპორტაციის საფუძვლიანი ეჭვი, ვინაიდან ყველა მათგანისაგან კანონის დარღვევით აღებულ იქნა თითის ანაბეჭდები და გადაეღოთ ფოტოსურათები.

დასახელებული ღონისძიებები განხორციელდა უდანაშაულო ადამიანთა საცხოვრებელ სახლებში ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთა შეიარაღებული შეჭრის, უკანონო დაკავების, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის, ადვოკატების დახმარებაზე უსაფუძვლო უარის თქმის, ამ მოვლენის გამშუქებელი ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური ძალადობის გამოყენებისა და მათი სიტყვიერი შეურაცხყოფის პირობებში.

ძალოვანი სტრუქტურების ამ უკანონო, განზრახი ქმედებების შედეგად, ჩვენი ვარაუდით, მათი წარმომადგენლების მიერ ჩადენილი იქნა სისხლის სამართლის დანაშაულებები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 146-ე (უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში), 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება), 154-ე (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 160-ე (უკანონო ჩხრეკა) მუხლებით. ამასთან, უხეშად იქნა დარღვეული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე, 141-ე და 142-ე მუხლების მოთხოვნები, რომლებითაც დაკავებულს უფლება ენიჭება ისარგებლოს დამცველის მომსახურებით, ასევე დარღვეულ იქნა ამავე კოდექსის 141-ე და 142-ე მუხლები, დაკავების მიზნებისა და საფუძვლების შესახებ.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ძირეულად შეილახა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული დაკავებულის უფლებები, რომლებიც დაუშვებლად მიიჩნევს თავისუფლების აღკვეთას ან პირადი თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში მათ უფლებას, განემარტოთ თავისუფლების

შეზღუდვის საფუძვლისა და დამცველის დახმარების მოთხოვნის შესახებ.

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები, აგრეთვე სრულ წინააღმდეგობაში მოდის პიროვნების უსაფრთხოების, დაკავებისა და დაპატიმრების შესახებ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის (რომი, 1950 წელი) კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „a", „b", „c", „d", „f" და მეორე ნაწილის „c" პარაგრაფის მოთხოვნებთან.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის „კ" პუნქტის საფუძველზე, 2002 წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მივმართე №35/03 რეკომენდაციით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის, აგრეთვე იურიდიულ საკითხთა კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტების მიერ ანტიკრიმინალური ღონისძიებების ჩატარების კანონიერების, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ბატონ კობა ნარჩემაშვილისა და საქართველოს უშიშროების მინისტრის, ბატონი ვალერი ხაბურძანიას პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის შესახებ, რაც დღემდე არ არის შესრულებული.

## ცალკეულ მოქალაქეთა და მსჯავრდებულთა უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის თაობაზე შემოსული განცხადებებსა და საჩივრებთან დაკავშირებით, გენერალური პროკურატურის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციებზე უარის თქმის საფუძვლიანობის შესახებ

უარყოფითადაა შეფასებული ჩემს მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურის საქმიანობა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

მაშინ, როცა საქართველოს სახალხო დამცველის წერილებსა და მის რეკომენდაციებში თვალნათლივაა მითითებული პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების თანამშრომლების, მათ შორის, მაღალი რანგის მუშაკთა შესაძლო დანაშაულებრივ საქმიანობაზე, კერძოდ, სამსახურებრივი სიყალბის ჩადენით ბრალდებულთა უფლებების შელახვის თაობაზე, გენერალური პროკურატურა სრულიად დაუსაბუთებლად უარს ამბობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და გამოძიების შესახებ.

სახალხო დამცველის რეკომენდაციებში მითითებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე, რომელთა არსებობა ეჭვს არ იწვევს,

გენერალური პროკურატურა არ ღებულობს გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების აღძვრის შესახებ.

სახალხო დამცველის რეკომენდაციებში საანგარიშო პერიოდში, რომლებიც გაეგზავნა გენერალურ პროკურორს, დაფიქსირებულია მთელი რიგი შემთხვევები, რომელთა კვალიფიციური და დროული შემოწმება საშუალებას მისცემდა მას დაედასტურებინა საჯარო და კერძო სამართლის სტრუქტურებში დასაქმებულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტები. მაგრამ, იმის გამო, რომ გენერალური პროკურატურა ვერ უზრუნველყოფს მათ დროულ და კვალიფიციურ შემოწმებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლინება აღნიშნულ შემთხვევაში ვერ ხერხდება.

საქართველოს გენერალური პროკურორი, მთელ რიგ შემთხვევებში, უსაფუძვლოდ ამბობს უარს მხარეთა განცხადების გათვალისწინებითა და სახალხო დამცველის რეკომენდაციებში მითითებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, წარმოების აღძვრაზე, რითაც ილახება მსჯავრდებულთა უფლებები.

2002 წლის 30 იანვარს და მის შემდგომ პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველს არაერთგზის მიმართა საჩივრებით ვლ. ქირიამ, მისი დაცვის ქვეშ მყოფ, მსჯავრდებულ თ. ნ. ქურდიანის სისხლის სამართლის საქმის მასალების გენერალური პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს მაღალი თანამდებობის პირთა მიერ გაყალბების შესახებ. სახელდობრ, მომჩივანი მიუთითებდა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს უფროსის თ. მონიავას, გენერალური პროკურატურის უფროსი გამომძიებლის გ. ბესიაშვილის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ჯ. ღლონტის მიერ, თ. ნ. ქურდიანის ბრალდების საქმეზე ჩადენილ იქნა სამსახურებრივი სიყალბეები, მასალების ფალსიფიცირება და სხვადასხვა სახის თანამდებობრივი დანაშაულობანი.

კერძოდ, გ. ბერიაშვილმა ხელოვნურად შექმნა თ. ქურდიანის ბრალდების დამადასტურებელი ყალბი მტკიცებულებები, რაც გამოიხატა მასში, რომ მიუხედავად მის მიმართ დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი ჩვენებების არარსებობისა, მან საბრალდებო დასკვნაში აღნიშნა, თითქოს ბრალდებულებმა: გიორგი მელაშვილმა, გოჩა თედიაშვილმა, გოჩა გელაშვილმა და ლევან მაძღარაშვილმა საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების ოქმებში მიუთითეს თ. ქურდიანის ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის შესახებ. ასევე, თითქოსდა ამ უკანასკნელზე წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებებით, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. გ. ბერიაშვილმა 1997 წლის 2 მაისის თარიღით გააფორმა ყალბი ოქმი, რომელშიც მიუთითა, თითქოსდა ბრალდებულსა და მას, დამცველის გასაცნობად წარედგინა მე-18 ტომი, 5009 ფურცელზე და ვიდეომასალები. სინამდვილეში ვიდეოფირი ოქმს არ ერთვის, ხოლო მითითებულ ტომში აღმოჩნდა მხოლოდ 4699 ფურცელი. ასევე, მე-19 ტომი, 321 ფურცელზე, რომელიც თითქოს

წარედგინა ბრალდებულსა და მის დამცველს, წინასწარი გამოძიების მასალებში საერთოდ არ ფიგურირებდა, ხოლო სასამართლო კოლეგიამ მისი აღმოჩენის ფაქტი განუხილველად დატოვა, რათა არ გამომჟღავნებულიყო მასში მოთავსებული გაყალბებული მასალები.

ადვოკატის საჩივარში მითითებულია აგრეთვე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ჯ. ლეონიძეზე, რომელმაც 1998 წლის 10 ნოემბერს, უტყუარი მტკიცებულებების არსებობის გარეშე, წინასწარი გამოძიებისას გაყალბებულ მასალებზე დაყრდნობით, თ. ქურდიანის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და მას მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მივიჩნიე რა ადვოკატ ვ. ქირიას საჩივრები დასაბუთებულად, მისი შესწავლისა და ანალიზის შემდეგ, საქართველოს გენერალური პროკურორს, ბატონ ნ. გაბრიჩიძეს 2002 წლის 8 თებერვალს, 2002 წლის 14 მაისს და 2002 წლის 234 ივნისს, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ", „გ" და „დ" პუნქტების საფუძველზე მივმართე რეკომენდაციებით №14/03, №737/03/107-ქ და №1055/03/107-ქ განეხილა დასახელებული სისხლის სამართლის საქმის მასალების ობიექტური შემოწმების, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ზემოხსენებულ პირთა პასუ-ხისმგებლობის საკითხი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მასალების კვალიფიციური შემოწმება დღემდე არ ჩატარებულა, ამასთან, სის-ტემატურად მეგზავნებოდა შეუმოწმებელი, ტრაფარეტული და დაუსა-ბუთებელი პასუხები, ვ. ქირიას საჩივრებში მოყვანილი დანა-შაულებრივი ფაქტების უსაფუძვლობის შესახებ. ყოველივე ამით კი ირღვეოდა თ. ნ. ქურდიანის უფლებები და თავისუფლებები და ადვოკატ ვ. ქირიას უფლებები. ნიშანდობლივია, რომ თ. ნ. ქურდიანი ამჟამად გათავისუფლებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

2001 წლის 20 დეკემბერს (№1333/03/897), 2002 წლის 20 თებერვალს (№266/03/897-მ), 2002 წლის 22 აპრილს (№604/03/897-მ), 2002 წლის 7 ივნისს (№935/03/897-მ), 2002 წლის 12 ივლისს (№1182/03/1807-მ), 2002 წლის 1 ოქტომბერს (№1653/03/1053-ა), 2002 წლის 27 ნოემბერს (№1981/03/1053-ა) და 2003 წლის 14 იანვარს (№45/03/1053-ა) რეკომენდაციებით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს, ქ. ქუთაისის ი. ოცხელის სახელობის გიმნაზიის მასწავლებლების: მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის სამსახურში მიღებისა და იქიდან გათავისუფლების თაობაზე, ამავე გიმნაზიის დირექტორის გ. თევდორაძის მიერ სამსახურებრივი სიყალბეების შესაძლო ჩადენის გზით.

რეკომენდაციებში მითითებული იყო, რომ:

1996 წლის 20 აგვისტოს დამთავრდა განსაზღვრული ვადით (1 წლით) მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის ქუთაისის ი. ოცხელის სახელობის გიმნაზიაში მიღების შესახებ, 1995 წლის 5 სექტემბერს, იმავე წლის აგვისტოს 20 რიცხვით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

გიმნაზიის დირექტორმა გ. თევდორაძემ იმავე დღეს, ანუ 1996 წლის 20 აგვისტოს მიიღო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რაც

გამოიხატა მასში, რომ №1 ბრძანებით თვითნებურად, მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის თანხმობის გარეშე, გააგრძელა დასახელებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1997 წლის 25 ივნისამდე.

1997 წლის 25 ივნისამდე დასახელებული შრომითი ხელშეკრულების გაგრძელების უფლება გ. თევდორაძეს არ გააჩნდა, ვინაიდან იგი გაფორმებული იყო ერთი წლით და მისი შეცვლა 10-თვიანი ვადით შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის თანხმობით, მათთან ახალი ხელშეკრულების დადების გზით, რაც არ გაკეთებულა. პირიქით, აღნიშნული პირები 20 აგვისტოს მდგომარეობით, ფაქტობრივად, აგრძელებდნენ სკოლაში მუშაობას, დირექტორის ბრძანებით და ბუღალტრულად, საბოლოო ანგარიშსწორება მათთან არ მომხდარა, მხარეებს არ მოუთხოვიათ ხელშეკრულების შეწყვეტა, რის გამოც მასწავლებლებთან 1995 წლის აგვისტოს 20 რიცხვით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების მოქმედება, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე უნდა ჩათვლილიყო გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

ანალოგიური დარღვევებით, გ. თევდორაძის მიერ თვითნებურად გრძელდებოდა მ. მურუსიძესა და მ. ახრახაძესთან 1995 წელს დადებული შრომითი ხელშეკრულება 10 თვით, ყოველი წლის 25 ივნისამდე, 1997, 1998 და 1999 წლებში.

1999 წლის 25 ივნისს გ. თევდორაძემ გამოსცა №106 ბრძანებულება შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ამასთან, დასახელებულ ბრძანებაშიც არაფერი იყო ნათქვამი და ბუღალტრული წესითაც არ მომხდარა მათთან საბოლოო ანგარიშსწორება. ასეთ პირობებში მყოფი მასწავლებლები 1999 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით, ფაქტობრივად, აგრძელებდნენ სკოლაში საქმიანობას, რის გამოც მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულება მოქმედი კანონმდებლობით ითვლებოდა გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

რაც შეეხება გიმნაზიის დირექტორის 1999 წლის 20 აგვისტოს ბრძანებას მ. მურუსიძესა და მ. ახრახაძესთან განსაზღვრული ვადით 2000 წლის 25 ივნისამდე შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, ის არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან ამ დღეს არ გამოცემულა, არამედ ჩაიდინა რა სამსახურებრივი სიყალბე, გ. თევდორაძემ პირადი მოტივით გააფორმა დასახელებული ბრძანება 1999 წლის 1 სექტემბერს, 1999 წლის 20 აგვისტოს რიცხვით, რითაც უკვე განუსაზღვრელი ვადის პირობით სამსახურში მყოფი მ. მურუსიძე და მ. ახრახაძე შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის უხეში დარღვევით, გადაიყვანა განსაზღვრული ვადით, 2000 წლის 25 ივნისამდე შრომითი ხელშეკრულების მოქმედების რეჟიმში, შემდეგ კი ისინი, 2000 წლის 25 ივნისს დაითხოვა სამსახურიდან საბოლოო ანგარიშსწორებით, რაც ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, უსაფუძვლოდ უნდა იქნას მიჩნეული.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილება სამუშაოზე

აღდგენის თაობაზე მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძისათვის უარის თქმის შესახებ, უსაფუძვლოდ უნდა იქნას მიჩნეული და განსაზღვრული ვადით სამსახურში მიღების თაობაზე გიმნაზიის დირექტორის 1995 და 1999 წლის აგვისტოს 20 რიცხვით დათარიღებული ბრძანების სიყალბის დადასტურების შემთხვევაში, შეიძლება გასაჩივრდეს იგი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

მიუხედავად ამისა, დღემდე ჩემი რეკომენდაციების კვალიფიციური და ობიექტური შემოწმება არ ჩატარებულა, გენერალური პროკურორის მიერ მომეწოდება დაუსაბუთებელი და საფუძველს მოკლებული პასუხები მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის სამსახურში მიღებისა და იქიდან გათავისუფლების თაობაზე გამოცემული ბრძანების მართლზომიერების შესახებ, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები.

2002 წლის 20 მაისს (№29/03/4), 2002 წლის 12 ივლისს (№30/03/4), 2002 წლის 1 აგვისტოს (№32/03/4-ოფ), 2002 წლის 5 დეკემბრის (№793/03/71) და 2003 წლის 14 იანვრის (№13/03/761-ოფ) რეკომენდაციებით მივმართე, საქართველოს გენერალურ პროკურორს ლანჩხუთის რაიონის ნოტარიუსის ლია რამიშვილის მიმართ სამსახურებრივი სიყალბის გამო სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის კანონიერების შემოწმების შესახებ.

1998 წლის 6 თებერვალს, საღამოს საათებში, ქ. ლანჩხუთში, ნოტარიუსის ლია რამიშვილის საცხოვრებელ ბინაში მივიდა შპს „თეკას" დირექტორი გიორგი სარჯველაძე, რომელსაც თან ახლდა ერთობლივი საწარმო „სანთრის" წარმოების უფროსის მოადგილე ოთარ დავითაძე და შპს „კონდიტრეიტის" მთავარი სპეციალისტი თამაზ გუგენავა. დასახელებულმა პირებმა ლ. რამიშვილს გადასცეს წინასწარ გამზადებული, 1999 წლის 6 თებერვლით დათარიღებული ხელშეკრულება, შავი ბაიხის ჩაის პროდუქციის შესყიდვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „სანთრის" პრეზიდენტი ზ. აბაშიძე არ იმყოფებოდა დასახელებულ პირებთან, ხელშეკრულებაზე არ მოუწერია ხელი, ო. დავითაძე არ წარმოადგენდა საწარმოს დირექტორს (იმ პერიოდში საწარმოს დირექტორი იყო ჯ. ახმეტელი), ასევე, ხელშეკრულებაზე ნაცვლად „სანთრის" მრგვალი ბეჭდისა, დასმული იყო საწყობისათვის დამზადებული შიგა საკანცელარიო შტამპი, ლ. რამიშვილმა მანქანის საბარგულზე დაამოწმა იგი, რის შემდეგ ადგილზევე გააკეთა ჩანაწერი ნოტარიუსის რეგისტრაციის ჟურნალში, რომელზეც ხელი მოაწერინა გ. სარჯველაძეს, ო. დავითაძესა და ამ შემთხვევაში სრულიად უცხო პიროვნებებს და თ. გუგუნავას, რითაც პირადი, ამ უკანასკნელისა და გ. სარჯველაძის პატივისცემის მოტივით ჩაიდინა სამსახურებრივი სიყალბე.

ლ. რამიშვილის კანონსაწინააღმდეგო ქმედება დადასტურებულია საქართველოს ნოტარიუსის პალატის თავმჯდომარის დ. სუხიტაშვილის მიერ. კერძოდ, „ნოტარიუსის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, გარიგება არ იყო ზონარგაყრილი და დანომრილი, მასში არ აღინიშნებოდა, თუ რამდენ ფურცელზე იყო იგი შესრულებული. გარიგების დამოწმების დროს ნოტარიუსი ვალდებული

იყო პასპორტის ან მისი შემცვლელი დოკუმენტის მიხედვით დაედგინა იმ პირის ან წარმომადგენლის ვინაობა, რომელიც ითხოვდა სანოტარო მოქმედების შესრულებას. დასახელებული დოკუმენტებიდან, აგრეთვე, არ ჩანდა, მასში მონაწილე პირები იყვნენ თუ არა მითითებული ფირმისა, თუ საწარმოს ხელმძღვანელი მუშაკები და გააჩნდათ თუ არა შესაბამისი უფლებამოსილებები, რითაც დარღვეულ იქნა „სანოტარო მოქმედების წესის შესახებ" ინსტრუქციების მე-17 პუნქტის მოთხოვნები.

ნოტარიუსის მიერ დამოწმებულია ხელშეკრულებაში მონაწილე სამი პირის ხელმოწერა, მაშინ როდესაც, ფაქტობრივად, შესრულებულია ორი, მასზე ხელს არ აწერს, როგორც აღინიშნა, „სანთრის" პრეზიდენტი ზ. აბაშიძე, რაც აგრეთვე მიუთითებს „ნოტარიუსის შესახებ" კანონის უხეშ დარღვევაზე.

გურიის საოლქო პროკურატურის მიერ ლ. რამიშვილის მიერ ჩადენილი დასახელებული სამსახურებრივი სიყალბე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, რატომღაც მიჩნეულია დისციპლინური წესით დასჯად ქმედებად, რის გამოც სრულიად უსაფუძვლოდ, 2000 წლის 8 ნოემბერს გამოტანილია დადგენილება სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, ხოლო გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის პროკურორს, ბატონ დ. ბესტავაშვილს 2001 წლის 3 აგვისტოს დადგენილებაში არსებითად არ განუხილავს ლ. რამიშვილის მიმართ წარმოებით შეწყვეტილი დადგენილების კანონიერების საკითხი.

აღნიშნული ყალბი ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე ყალბი სასაქონლო სატრანსპორტო ზედდებულებით და მიღება-ჩაბარების აქტებით, რომლებსაც ხელს აწერენ არაუფლებამოსილი პირები, შპს „სანთრიში" შეტანილად ითვლება 48.790 ტონა ჩაის მზა პროდუქცია, რომელიც ფაქტობრივად, განმცხადებლის განმარტებით, დასახელებულ საწარმოს არ მიუღია და რითაც მას ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით არასწორად დაეკისრა შპს „თეკას" სასარგებლოდ 277.317 ლარის გადახდა, რაც გამოძიების საგანს წარმოადგენს.

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული დასახელებული ხელშეკრულების სიყალბე, ასევე ყალბი სასაქონლო სატრანსპორტო ზედდებულებით ერთობლივ საწარმო „სანთრიში" ჩაის მზა პროდუქციის აღნიშნული რაოდენობის შეტანის ფიქტიურობა, იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის თანახმად, შეიძლება გახდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ დღემდე არ ჩატარებულა რეკომენდაციებში მითითებული გარემოებების კონკრეტული და კვალიფიციური შემოწმება.

იმის გათვალისწინებით, რომ ლ. რამიშვილის მიერ დამოწმებულ იქნა გ. სარჯველაძის, ო. დავითაძისა და თ. გუგუნავას ხელმოწერების სინამდვილე შავი ბაიხის ჩაის პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულებაზე, რაც ლანჩხუთის რაიონულმა სასამართლომ ძალაში დატოვა, კანონიერად იქნა მიჩნეული გურიის საოლქო პროკურატურის

მიერ 2000 წლის 8 ნოემბერს გამოტანილი დადგენილება ნოტარიუსის მიმართ სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გენერალურმა პროკურატურამ (გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე დ. ბიწაძე), მიუხედავად ჩემი არაერთგზის განმარტებისა, არ შეამოწმა და ყურადღების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ ლ. რამიშვილმა, გარდა ზემოაღნიშნული პირების ხელისმოწერებისა, დაადასტურა არარსებული ხელმოწერების სინამდვილე დასახელებული ერთობლივი საწარმოს პრეზიდენტის ზ. აბაშიძისა, რომელიც ხელშეკრულების დამოწმების დროს არ იმყოფებოდა ნოტარიუსთან.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ჩემი 2003 წლის 14 იანვრის (№13/03/1761-ო) წერილით, საქართველოს გენერალურ პროკურორს ვაცნობე ჩემი რეკომენდაციების არაკვალიფიციური შემოწმებისა და გაჭიანურების შესახებ, რაზეც პასუხი დღემდე არ მიმიღია. ამასთან, საპასუხო წერილში (№15-1-7გ-2003), ნებით თუ უნებლიედ, გვერდი აუარა იმ გარემოებას, რომ ლანჩხუთის რაიონულ სასამართლოს არ უმსჯელია ზ. აბაშიძის არსებული ხელისმოწერის სინამდვილის დამოწმების შესახებ, რის გამოც ძალაში ვერ დატოვებდა და არც დაუტოვებია გურიის საოლქო პროკურატურის მიერ ამ ნაწილში ლ. რამიშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გამოტანილი დადგენილება.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში სისტემატურად მივმართავდი საქართველოს გენერალურ პროკურორს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების დემონტაჟის გზით გატაცების თაობაზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შესახებ.

კერძოდ, ამ საკითხზე გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა ჩემი 2002 წლის 27 თებერვლის, 25 აპრილისა და 9 ოქტომბრის (№153/03, №267/03-191-ოფ და №658/03) შუამდგომლობები. ჩემს მიერ ამ მიმართვებზე ყოველთვის მომეწოდებოდა ერთი და იგივე შინაარსის პასუხები, რომლებითაც ირკვეოდა, რომ ელექტროხაზების დემონტაჟსა და გატაცებას მარნეულის რაიონში ადგილი არ ჰქონია.

2002 წლის 11 დეკემბრის (№19/2-11-2002) წერილში, რომელსაც ხელს აწერს გენერალური პროკურორის მოადგილე, ბატონი გ. თვალავაძე, კვლავინდებურად სრულიად დაუსაბუთებლად მითითებულია, რომ ელექტროგადამცემ ხაზს „ალგეთს" არავითარი კავშირი არა აქვს არც შპს „ლომთაგორასთან" და არც შპს „გარახასთან", ვინაიდან ისინი დასახელებული ხაზებიდან არასდროს ღებულობდნენ ელექტროენერგიას. ამასთან, ამავე წერილში კვლავინდებურად არასწორადაა მითითებული 1990 წლის 26 იანვრის ხელშეკრულებით, ქვესადგურ მარნეულ-2-დან „ლომთაგორას" მეურნეობაში გაყვანილ ელექტროგადამცემ ხაზზე, რომელიც იმყოფება დასახელებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლომთაგორას" ბალანსზე და რომლის დემონტაჟის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას არასდროს შეხებია ჩემი რეკომენდაციები.

აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გავამახვილე გენერალური პროკურორის ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ

რეკომენდაციები ეხება 110/35/10 კვტ „მარნეულის“ ქვესადგურიდან გამომავალ 10 კვტ „ალგეთის“ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დემონტაჟსა და გატაცებას, რომელთა განშტოებაზე მიერთებული იყო შპს „გარახას“ დამხმარე მეურნეობა, რაც დადასტურებულია ჩემს მიერ რეკომენდაციაზე თანდართული სქემითაც (იხ. 1990 წლის 25 ივლისის აქტი, ობიექტი ქარხანა ჟბი, ქ. მარნეული, დირექტორი ე. ვ. ქობულაძე, მთავარი ენერგეტიკოსი მ. გ. აბდულაევი).

აქედან გამომდინარე მივიჩნიე, რომ გენერალური პროკურორის ზემოაღნიშნულ წერილში მოცემული მტკიცება, რომ დასახელებული სქემა არ განეკუთვნება „ალგეთის“ მაღალი ძაბვის ხაზებს, არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

როგორც ჩემს მიერ რეკომენდაციებში არაერთგზის იყო მითითებული, სადავო საკითხის შესწავლისათვის საჭირო იყო ზემოხსენებული აქტის მონაცემების შედარება ფაქტობრივ გარემოებებთან, რითაც გაირკვეოდა „ალგეთის“ მაღალი ძაბვის ელექტროხაზის შესაძლო დემონტაჟისა და გატაცების საკითხები; ასევე საჭიროებას წარმოადგენდა კოოპერატივ „შადრევანის“ მიერ შესრულებული სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტების შედარება ამჟამად, იქ არსებული ფაქტობრივ მდგომარეობასთან, რაც დღემდე აგრეთვე არ გაკეთებულა.

აქედან გამომდინარე, ჩემი 2002 წლის 24 დეკემბრის (№897/03-666-ოფ) წერილით იძულებული გავხდი ერთხელ კიდევ გადამეგზავნა გენერალური პროკურორისათვის 110/35/10 კვტ „მარნეულის“ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „ალგეთის“ სქემის ქსეროასლი, რომელზეც მიერთებული იყო შპს „გარახას“ დამხმარე მეურნეობა და მეთხოვა მისთვის ჩემს მიერ არაერთგზის დაყენებული საკითხების კვალიფიციური შემოწმება. ამასთან, შესაძლებლად მივიჩნიე, საკითხის არსში უკეთ გარკვევის მიზნით, მოევლინებინა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში გენერალური პროკურატურის კვალიფიციური და პასუხისმგებელი თანამდებობის პირები. 2003 წლის 4 თებერვალს სახალხო დამცველის ოფისში შედგა შეხვედრა გენერალური პროკურატურის, მარნეულის რაიონის პროკურატურის თანამშრომლებისა და ამავე რაიონის შინაგან საქმეთა საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის მონაწილეობით, რა დროსაც გაზიარებულ იქნა რეკომენდაციებში დაყენებული საკითხების შემოწმების თაობაზე ჩემი მოთხოვნები.

ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, საქართველოს გენერალური პროკურატურა დაუსაბუთებლად ამბობს უარს უ. ავალიანის ბრალდების საქმეზე ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, წარმოების აღძვრასა და გამოძიების ჩატარებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის, 1999 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით, უჩა ავალიანს მსჯავრი დაედო მასზე, რომ ის დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ნაცნობებს: გიორგი სინჯიაშვილს, თემურ ეფრემიძეს და მამუკა ღლონტს. ამ უკანასკნელის მართვის ქვეშ მყოფი ვაზ-2107 ავტომანქანით, ყაჩაღური თავდასხმის მიზნით, 1996 წლის 1 თებერვალს, დილით 8.30 საათზე, მივიდა აკაკი წერეთლის გამზირის

№13 კორპუსის, ბინა 30-თან, რა დროსაც ზურაბ ძერიას მხრივ, ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევისას, განზახ მოკვლის მიზნით, ესროლა ამ უკანასკნელს პისტოლეტიდან, დაჭრა იგი მარჯვენა ფეხის ბარძაყის არეში, ხოლო ხმაურზე ბინიდან გამოსული ვაჟა ძერია ტყვიის სამი გასროლით მოკლა.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის 2000 წლის 21 ივნისის განჩინებით, განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული.

განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მ. ღლონტისა და თ. ეფრემიძის ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა გამოირიცხა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის 2001 წლის 24 აპრილის დადგენილებითა და თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 7 დეკემბრის განაჩენით.

გ. სინჯიაშვილი ამ საქმეზე დღემდე არ არის დაკითხული, ხოლო უ. ავალიანი, როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო განხილვისას, თანმიმდევრულად უარყოფდა დასახელებულ დანაშაულში მონაწილეობას. გარდა ამისა, უ. ავალიანის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, გენერალურ პროკურატურას წარედგინა შ. ქურთელიას, გ. სამხარაძისა და თ. ქავთარაძის ახსნა-განმარტებები, რომლებშიც კატეგორიულადაა მითითებული ძერიების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და მკვლელობის დღეს უ. ავალიანის რუსეთის ფედერაციის ქ. ირკუტსკში ყოფნა.

აღნიშნული ახლად აღმოჩენილი გარემოებების შემოწმება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გარეშე, შეუძლებელია, რის გამოც უ. ავალიანის სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების აღძვრისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე, ჩემი 2000 წლის 7 სეტემბრის (№600-01-01-791-ი), 2001 წლის 6 ოქტომბრის (№1041/03/903-ი), 2001 წლის 20 დეკემბრის (№1335/03/903-ი), 2002 წლის 21 ივნისის (№1018/03/903-ი), 2002 წლის 1 აგვისტოს (№1315/03/903-ი) და 2002 წლის 20 სექტემბრის (№1618/03/903-ი) რეკომენდაციების დაუკმაყოფილებლობით, გენერალური პროკურატურა უხეშად არღვევს მსჯავრდებულის უფლებებსა და თავისუფლებას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ჩემს მიერ უარყოფითადაა შეფასებული გენერალური პროკურატურის საქმიანობა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საქმეში, რის შესახებაც ჩემი 2003 წლის 8 იანვრის (№11/03/903-ი) წერილით ეცნობა კიდეც საქართველოს გენერალურ პროკურორს.

# კანონით მინიჭებული უფლებების დაცვის თაობაზე მოქალაქეთა განცხადებების დაკმაყოფილების მოთხოვნით, საქართველოს სახალხო დამცველის შუამდგომლობების განხილვის თაობაზე

## თ. ასანიძის უკანონო პატიმრობის შესახებ

1999 წლიდან მოყოლებული, სახალხო დამცველის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და სამართალდამცავი ორგანოების წინაშე არაერთხელ იქნა დაყენებული თ. ასანიძის უკანონო პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების საკითხი. მსჯავრდებულ თ. ასანიძის საქმესთან მიმართებაში დარღვეულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული მთელი რიგი ფუნდამენტური მოთხოვნები. ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველას, ვისაც ეხება ეს, მიიღოს ზომები თ. ასანიძის დარღვეული უფლებების აღსადგენად.

2001 წლის ივლისიდან თ. ასანიძის საქმე იხილება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში, რომელმაც მას პრიორიტეტული ხასიათი მიანიჭა და ამის შესახებ აცნობა საქართველოს მთავრობას. კერძოდ, დასახელებული სასამართლოს 2002 წლის ნოემბრის საინფორმაციო ცნობარში მითითებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირველ საქმეში შეწყალებისა და საქართველოს ცენტრალური სასამართლოების მიერ მომდევნო საქმეებში გამართლების მიუხედავად, რესპუბლიკის ხელმძღვანელების ბრძანებით გრძელდება აღნიშნული პიროვნების უკანონო დაკავება (ასანიძე-საქართველო, №71503/01, 2002 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება).

დასახელებულ ცნობარში აღნიშნულია, რომ 1994 წლის ნოემბერში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლების მიერ, ამ უკანასკნელს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს საქართველოს შემადგენელ ნაწილს. 1999 წლის ოქტომბრის ბრძანებით საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა განმცხადებელი და პატიმრობიდან გაათავისუფლა იგი. 1999 წლის ოქტომბერში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ უკანონოდ სცნო პრეზიდენტის ბრძანებულება. ეს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაკანონიერად აღიარა 1999 წლის ბოლოს. ამასობაში განმცხადებელი, რომელიც ისევ ციხეში იმყოფებოდა, დადანაშაულებული იქნა კრიმინალური დაჯგუფებისა და გატაცების ორგანიზების ხელშეწყობაში. 1999 წლის დეკემბრის ბოლოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი ინსტანციის სასამართლომ გასცა განკარგულება მისი წინასწარი დაკავების შესახებ. 2002 წლის ოქტომბრის დასაწყისში განმცხადებელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ დამნაშავედ სცო. ხელისუფლებამ გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები, რათა მოსმენის დღისათვის

განმცხადებელი გადმოეყვანათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან თბილისში, თუმცა უშედეგოდ. 2001 წლის იანვრის ბოლოს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუსწრებლად განიხილა საქმე. გააუქმა მიღებული გადაწყვეტილება, უდანაშაულოდ სცნო განმცხადებელი და გასცა მისი დაუყოვნებლივი გათავისუფლების შესახებ ბრძანება. აჭარის ა/რ ადგილობრივი ხელისუფლება არ დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთგზის განაცხადეს, რომ განმცხადებლის დაკავება აჭარის ხელისუფლების მიერ არაკანონიერია.

მიღებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მუხლით 5 (1), (3), (4), (6) 10 და 13 მუხლების (ოქმი 4-ის მე-2 მუხლი) საფუძველზე.

ლ. ვახანიალოვა-მელაშვილის საქმე

2002 წლის აგვისტო-ნოემბერში საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ერთჯერადი ფულადი დახმარებისა და საოპერაციოდ განკუთვნილი თანხის გამოყოფის შესახებ, როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით, სისტემატურად მომმართავდა აფხაზეთიდან დევნილი ლიუდმილა ვახანიალოვა-მელაშვილი.

თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილ 2001 წლის 29 სექტემბრის №9042/02 წერილით გამოირკვა, რომ ლ. ვახანიალოვა-მელაშვილს წარსულში უკვე გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით, რაც სრულად საკმარისი არ იყო მისთვის აუცილებელი საჭირო ქირურგიული ოპერაციის ჩასატარებლად. გამოირკვა აგრეთვე, რომ განმცხადებელი თავის ხუთსულიან ოჯახთან, მათ შორის, ინვალიდ მეუღლესთან და შვილთან ერთად, ცხოვრობს ერთ პატარა ოთახში, არის I ჯგუფის ინვალიდი და დაავადებულია პარანოიდული შიზოფრენიით.

ჩემს მიერ, 2002 წლის 5 ნოემბრის (№1852/03/872-მ და №1853/03/872-მ) შუამდგომლობები, ლ. ვახანიალოვა-მელაშვილისათვის მატერიალური დახმარების გაწევის, ქირურგიული ოპერაციისათვის საჭირო 57 ლარისა და 20 თეთრის სამედიცინო აკადემიის კლინიკისათვის წინასწარი გადარიცხვისა და საცხოვრებელი ფართის გამოყოფის თაობაზე, გადაეგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, ბატონ მ. ხაჩიძეს, თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსს, ბატონ დ. პავლიაშვილს, სამედიცინო აკადემიის კლინიკის დირექტორს, ბატონ ა. ცინცაძეს და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მაშინდელ მინისტრს, ბატონ ვ. ვაშაკიძეს.

აღნიშნული სამინისტროს დევნილთა სამმართველოს უფროსის ზ. თოდრიას, 2002 წლის 18 ნოემბრის, ჩემს სახელზე გადმოგზავნილი (№05/01-17/4047) წერილიდან ირკვევა, რომ სამინისტროს გადაწყვეტილებით მას გლდანის რაიონში, სს „ორიონის" შენობაში

სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრებისთანავე, დამატებით გამოეყოფა საცხოვრებელი ოთახი. აფხაზეთის ავტონომიური რეს-პუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა 2003 წლის 16 იანვრის (№02/06-ბ/2-12) წერილით მაცნობა, რომ აფხაზეთიდან დევნილი ლ. ვახანიალოვა-მელაშვილის ქირურგიული ოპერაციისათვის საჭირო თანხა (53 ლარი და 30 თეთრი) 2002 წლის 17 დეკემბერს, გადაირიცხა კლინიკის დირექტორის სახელზე.

მ. ფ. კარპენკოს საქმე

2002 წლის 7 ნოემბერს, განცხადებით მომმართა უკრაინაში, ქ. ჩერკასში, რიზლვიანის ქ. №41-ში მცხოვრებმა მარია ვასილის ასულმა კარპენკომ, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე მისი განცხადების 2 წლის განმავლობაში განუხილველად დატოვების კანონიერების შემოწმების შესახებ.

2002 წლის 12 ნოემბერს, აღნიშნული საკითხის დროულად მოგვარების მიზნით (№1898/03/1192-კ), შუამდგომლობით მივმართე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საიდანაც იმავე წლის 26 ნოემბერს (№06/01-354) წერილით მეცნობა, რომ დასახელებული სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კოლეგიის მიერ, 2002 წლის 22 ნოემბერს დაკმაყოფილდა მ. კარპენკოს ოჯახის შუამდგომლობები, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ და მასალები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს.

შუამდგომლობების დაკმაყოფილების შესახებ ჩემს მიერ 2002 წლის 5 დეკემბრის №2018/03/1192-კ წერილით ეცნობა მ. ვ. კარპენკოს.

მ. ბ. ლაბაძის საქმე

2002 წლის 9 ოქტომბერს განცხადებით მომმართა ზესტაფონის რაიონის სოფ. შრომაში მცხოვრებმა ნელი ლაბაძემ მისი შვილის მერაბ ლაბაძის დაკავების მოტივებისა და ამ უკანასკნელის ადგილ-სამყოფელის დადგენის შესახებ.

ჩემს მიერ განცხადების შემოსვლიდან ორი დღის შემდეგ, დადგენილ იქნა, რომ 2002 წლის იანვარში მ. ლაბაძეს ქურდობისათვის შეეფარდა აღკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა, რისთვისაც კრასნოიარსკის მხარის შარიპოვის საქალაქო სასა-მართლოს 2002 წლის 19 ივნისის განჩინებით მას დაედო მსჯავრი 2 წლის ვადით და მოთავსებულია კრასნოიარსკის მხარის ქ. აჩინსკის საგამოძიებო იზალატორში.

აღნიშნულის შესახებ ეცნობა განმცხადებელს.

### გ. ა. მიჩიტაშვილის საქმე

2002 წლის 8 ოქტომბერს ჩემთან იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილიდან შემოვიდა ინფორმაცია ქ. ვლადიკავკასის, პრიგოროდნის რაიონული პროკურატურის მიერ ძებნილი გიორგი ავთანდილის ძე მიჩიტაშვილის საპყრობილეში 7 აგვისტოს მოთავსების შესახებ, რაზედაც ძებნის ინიციატორის მიერ არ ხდებოდა შესაბამისი რეაგირება, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და საპატიმრო ვადის გაგრძელების მიზნით.

აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით, 2002 წლის 1 ნოემბერს შუამდგომლობით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს, კანონით დადგენილ 3-თვიან საპატიმრო ვადაში გადაეწყვიტა გ. მიჩიტაშვილის საპყრობილეში დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი.

2002 წლის 5 დეკემბერს, გენერალური პროკურატურის (№24-4-80-კონტ-202) წერილით მეცნობა, რომ გ. მაჩიტაშვილი, გენერალური პროკურორის შუამდგომლობით 2002 წლის 6 ნოემბერს გათავისუფლებულია წინასწარი პატიმრობიდან.

### ვ. თ. დუდაევის საქმე

2002 წლის 29 ოქტომბერს, განცხადებით მომმართა თბილისში, ილურიძის ქ. №1 შესახვევი, №1-ში მცხოვრებმა ლიანა გიორგის ასულმა კვერცხიშვილმა, მისი შვილის ვაჟა თენგიზის ძე დუდაევის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის საკითხის კანონიერების შემოწმების შესახებ.

განმცხადებელი მატყობინებდა, რომ მიმდინარე წლის 18 აგვისტოს, მან განცხადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, ვ. თ. დუდაევის დაპატიმრების 3-თვიანი ვადის უახლოეს ხანში ამოწურვასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების მიზანშეწონილობის შესახებ, რაზედაც მას პასუხი არ მიუღია.

იმავე დღეს №1793/03/1166-კ შუამდგომლობით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორსა და იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის №1 საპყრობილის უფროსს, ვ. დუდაევისათვის საპატიმრო ვადის გაუგრძელებლობის შემთხვევაში, მისი პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით.

გასული წლის 7 ნოემბერს, საქართველოს გენერალური პროკურორის (№24-4-66-კონტ-2002) წერილით მეცნობა, რომ წინასწარი პატიმრობის სამთვიანი ვადის გასვლის გამო, ვ. თ. დუდაევი გენერალური პროკურორის მოადგილის, ბატონ ვ. ბენიძის დადგენილების საფუძველზე გათავისუფლდა პატიმრობიდან.

ა. ქაფიანიძის საქმე

2002 წლის 19 ოქტომბერს, განცხადებით მომმართა ნ. ენუქიძე-ქაფიანიძემ, მისი მეუღლის ერთი და იგივე ბრალდებით ორჯერ გასამართლების კანონიერების შესახებ.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, ორი მცირეწლოვანი შვილის მამა ავთანდილ ვახტანგის ძე ქაფიანიძე, ადიგენის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 9 სექტემბრის განაჩენით გასამართლებულ იქნა საქართველოს სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულებაში მოხდით. ამავე განაჩენით მასვე მოეხსნა ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსკ 91-ე მუხლის III ნაწილით და იგი გამართლდა.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 23 დეკემბრის №035 ბრძანებულებით, ა. ქაფიანიძე შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა პატიმრობიდან.

.მიუხედავად ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 26 თებერვლის განჩინებით, გაუქმებულ იქნა ადიგენის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 9 სექტემბრის განაჩენი და საქმე განსახილველად დაექვემდებარა ბორჯომის რაიონულ სასამართლოს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ (მოსამართლე ა. ლილუაშვილი) აშკარა ლმობიერი სასჯელის გამო ითხოვა ზემოხსენებული განაჩენის გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება, რის შედეგად დასახელებული რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა. კვირკველიას 1998 წლის 18 აგვისტოს განჩინებით, ა. ქაფიანიძის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებულ იქნა პატიმრობა და მის მიმართ აღიძრა ძებნა.

აღნიშნული განჩინების საფუძველზე, 2002 წლის 24 აგვისტოს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ, ეს უკანასკნელი იმავე ბრალდების საქმეზე, მიუხედავად პრეზიდენტის მიერ შეწყალებისა, მეორეჯერ იქნა აყვანილი პატიმრობაში.

ჩემს მიერ დაფიქსირებული დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, 2002 წლის 25 ოქტომბერს მივმართე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს, იმავე წლის 30 ოქტომბერს – იუსტიციის საბჭოს მდივანს, რის შედეგადაც ბორჯომის რაიონული სასამართლოს მიერ 2002 წლის 8 ნოემბერს ა. ქაფიანიძის მიმართ წარმოებით შეწყდა სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სსკ 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით და იგი გათავისუფლებული იქნა პატიმრობიდან.

იუსტიციის საბჭოს მდივნის, ბატონ ზ. აბაშიძის 2003 წლის 3 თებერვლის წერილით მეცნობა, რომ ბორჯომის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს რ. ვარაზაშვილს დასახელებული საბჭოს გადაწყვეტილებით მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით.

### რ. აგუმავას, ა. ბიგვავასა და ი. ზუხბაიას შუამდგომლობების დაკმაყოფილების თაობაზე სახალხო დამცველის რეკომენდაციის არასათანადო განხილვის შესახებ

2002 წლის 27 ივლისს მომმართა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, რუსეთის ფედერაციის ქ. როსტოვში მცხოვრები პენსიონერის ივანე ზუხბაიას, სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს ავტოინსპექციის უფროსის მოადგილის რ. ვ. აგუმოვასა და ამავე სამმართველოს ოპერატიული მორიგის ა. გ. ბიგვავასათვის შინაგან საქმეთა ორგანოებში წელთა ნამსახურების დადგენის თაობაზე დახმარების აღმოჩენის კანონიერების შესახებ.

2002 წლის 30 ივლისის №1301/03/860-ზ წერილით აღნიშნული საკითხის დროულად გადაწყვეტის თაობაზე, მივმართე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ კ. ნარჩემაშვილს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ზემოხსენებული რეკომენდაციის დაკმაყოფილებაზე, ფაქტობრივად, უარი მეთქვა იმ მოტივით, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების თხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მათი პირადი საქმეების არსებულ მასალებთან ერთად წარმოდგენის შემთხვევაში. ამასთან, სამინისტროს 2002 წლის 20 აგვისტოს (№5/2-1852) წერილში არაფერია ნათქვამი, თუ რა ღონისძიებები იქნება გატარებული მათ მიერ დასახელებული მასალების და პირადი საქმეების წარმოდგენის მიზნით.

აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა ორგანოებში წელთა ნამსახურების დამტკიცების თაობაზე რ. აგუმოვას, ა. ბიგვავასა და ი. ზუხბაიას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმით, დღემდე ილახება ამ უკანასკნელთა კანონიერი უფლებები და ინტერესები.

### ა. გოგიჩაიშვილის შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მოქ. ა. გოგიჩაიშვილმა, რომელიც თვლის, რომ მისი გათავისუფლება გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან, დეპარტამენტის თავმჯდომარის თ. ჯანელიძის 2001 წლის 20 მარტის №4-კ ბრძანების საფუძველზე ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საქმის მასალების შესწავლით გამოირკვა, რომ დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელზე 2001 წლის 19 მარტს დაწერილ განცხადებაში ა. გოგიჩაიშვილი ითხოვდა სამსახურიდან დროებით გათავისუფლებას ოჯახური პირობების გამო, რაც არ წარმოადგენს მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს საჯარო მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გოგიჩაიშვილის მიერ სამსახურიდან დროებითი გათავისუფლების თხოვნის საფუძველი გახდა 2000 წლის ოქტომბერში გაზეთში („მართალი გაზეთი“) გამოქვეყნებული მისი პატივისა და ღირსების შემლახველი, ცილისმწამებლური წერილი, რომელშიც მოყვანილი ფაქტების შემოწმების მიზნით მოკვლევა დაიწყეს შინაგან საქმეთა და საგადასახადო ორგანოებმა. მას შემდეგ, რაც ამ ორგანოების მიერ სრულიად დადასტურდა ა. გოგიჩაიშვილის უდანაშაულობა და გაზეთში გამოქვეყნებული ფაქტების ცილისმწამებლური ხასიათი, ა. გოგიჩაიშვილმა 2001 წლის 3 ივლისს განცხადებით მიმართა გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს თანამდებობაზე დაბრუნების თაობაზე.

როგორც დაზარალებულის, ასევე სახალხო დამცველის აპარატში გამოგზავნილ პასუხებში, გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა მიუთითებს, რომ ა. გოგიჩაიშვილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნული იყო დროებით – შტატგარეშე მოსამსახურედ, კონკრეტული დავალების შესასრულებლად, რაც არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან 2002 წლის 22 მაისს, დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ მიიღო სახელმწიფო კანცელარიის უფროსის პ. მამრაძის პასუხი, სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს უფროსის შ. კოხრეიძისა და სახელმწიფო კანცელარიის სექტორული ეკონომიკური სამსახურის უფროსის კ. ქორიძის დასკვნა, რომლის საფუძველზეც მას უფლება მიეცა საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში გადაეწყვიტა მეხუთე მოადგილის საშტატო ერთეულის დამატების მიზანშეწონილობის საკითხი. იგივე პოზიცია გაიზიარა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვ. გიგოლაშვილმა 2000 წლის 29 მარტს, დეპარტამენტის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ წერილში. სწორედ ზემოაღნიშნული წერილების საფუძველზე, თ. ჯანელიძემ ა. გოგიჩაიშვილი დანიშნა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ, მაგრამ არა განუსაზღვრელი ვადით, არამედ დროებით, რაც, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლს.

დასახელებული მუხლის I პუნქტში აღნიშნულია, რომ „მოხელე სამსახურში ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება განუსაზღვრელი ვადით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა“, როდესაც მოხელე სამსახურში ინიშნება განსაზღვრული ვადით. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ამ ჩამონათვალში არ არის გათვალისწინებული, აქედან გამომდინარე, ა. გოგიჩაიშვილი დასახელებულ თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყო არა დროებით, არამედ განუსაზღვრელი ვადით.

ასევე, დღემდე ილახება ა. გოგიჩაიშვილის შრომითი უფლებები ხელფასის ანაზღაურების ნაწილში, ვინაიდან დეპარტამენტის თავმჯდომარის, 2001 წლის 13 აგვისტოს წერილში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ა. გოგიჩაიშვილის შრომის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო მის მიერ მოზიდული ინვესტიციების ხარჯზე, რაც მან ვერ შეძლო.

თ. ჯანელიძის ეს მოსაზრებაც ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულია, რომ „სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ნუსხა და თანამდებობათა დასახელებას ადგენს კანონი, ხოლო თანამდებობრივ სარგოთა განაკვეთებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი“.

ვინაიდან ა. გოგიჩაიშვილის თანამდებობაზე დანიშვნა უნდა მომხდარიყო კანონმდებლობის სრული დაცვით, შესაბამისად, ხელფასის ანაზღაურებაც უნდა მომხდარიყო დეპარტამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებიდან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლით დადგენილია, რომ „მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს“ (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი“.

მაშასადამე, ა. გოგიჩაიშვილს თანამდებობაზე დანიშვნის პირველი დღიდანვე უფლება ჰქონდა მიეღო ხელფასი, რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურებისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს; ასევე ა. გოგიჩაიშვილს სრული უფლება აქვს მოითხოვოს სამსახურებრივი მივლინების ხარჯების მთლიანად ანაზღაურება, თანახმად „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 38-ე მუხლისა და ყოველივე ეს არავითარ კავშირში არ არის მის მიერ მოზიდულ თუ არამოზიდულ სახელშეკრულებო თანხებთან.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ა. გოგიჩაიშვილის მიმართ განხორციელებულ ამ კანონდარღვევებზე იმსჯელა სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურომ და მისი ხელმძღვანელის მოადგილის ი. ქველიძის ხელმოწერით, 2002 წლის 25 თებერვალს წერილი გაეგზავნა დეპარტამენტის თავმჯდომარეს თ. ჯანელიძეს და რეკომენდაცია მიეცა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოეყვანა ა. გოგიჩაიშვილთან დაკავშირებული სამსახურებრივი ურთიერთობანი.

აღნიშნული შრომითი უფლებების შელახვის აღმოფხვრის მიზნით, 2002 წლის 29 იანვარს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, რეკომენდაციით მივმართე გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რომლისგანაც 19 თებერვალს მივიღე პასუხი, რომ ა. გოგიჩაიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება მათ მიერ მიჩნეულია კანონიერად.

საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმდინარე წლის 3 აპრილს გაგზავნილ რეკომენდაციაში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის „თ“ პუნქტის საფუძველზე, ვითხოვდი შესაბამისი სამსახურებისათვის ა. გოგიჩაიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლას. სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო ბიუროს უფროსის, 2002 წლის 2 მაისის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომლითაც დადასტურებულ იქნა ჩვენი მოსაზრება, პრეზიდენტმა დაავალა გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს თ. ჯანელიძეს გადაეხედა მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტისათვის. ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ა. გოგიჩაიშვილის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებას

ადასტურებს აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის, ქალბატონ რ. ბერიძის აპარატში მომზადებული დასკვნაც.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა დღემდე ჯიუტად არ ასრულებს როგორც პრეზიდენტის დავალებას, ასევე სახალხო დამცველის რეკომენდაციას, ა. გოგიჩაიშვილის შელახული უფლებების აღდგენის თაობაზე.

მიმდინარე წლის 19 აგვისტოს, განმეორებით მივმართე ამ საკითხზე საქართველოს პრეზიდენტს, ხოლო 2002 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წინაშე დავაყენე გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თ. ჯანელიძის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც დღემდე გადაუწყვეტელია.

## გოჩა კვიტატიანის საქმე

ადამიანის სამოქალქო უფლებათა ფუნდამენტურ საფუძველს შეადგენს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომლის რეალური დანიშნულება გამოიხატება ძირითადად იმაში, რომ საფუძვლიანი და უტყუარი მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ ჰიპოთეზური ეჭვისა და მტკიცებულების მაგვარი სუროგატების საფუძველზე ადამიანის სამართალში მიცემა გამორიცხულია. ეს პრინციპები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ასევე საერთაშორისო (ევროპული) სამართლებრივი ნორმებით. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში დღეისათვის უდანაშაულობის პრეზუმფციას ხშირად სამართლებრივი კოსმეტიკის ფუნქცია ახლავს.

აფხაზეთიდან დევნილის, გოჩა კვიტატიანის საქმის შესწავლით გაირკვა, რომ სოხუმის პროკურატურაში მის წინააღმდეგ უკანონოდ და დაუსაბუთებლად იყო აღძრული სისხლის სამართლის საქმე თაღლითობისა და ყალბი დოკუმენტის (პასპორტის) გამოყენების მოტივით, (სსკ 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტითა და 180-ე მუხლის მეორე ნაწლი „გ" ქვეპუნქტით,) რაც ითვალისწინებს ორიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას. გ. კვიტატიანს ბრალი ედებოდა მასში, რომ მან მართლსაწინააღმდეგოდ მოიპოვა დევნილის სტატუსი და მიითვისა დევნილებისათვის განკუთვნილი თანხები და შეღავათები, ასევე გამოიყენა ყალბი პასპორტი და ა.შ.

სახალხო დამცველის აპარატში აღნიშნული საკითხის ღრმა გაანალიზების საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ კვიტატიანისათვის წაყენებული ბრალდება არ იყო დასაბუთებული. პროკურატურა აცხადებდა, რომ იგი ზუგდიდელი იყო და მას არ უცხოვრია სოხუმში, სხვანაირად რომ ვთქვათ, არ მოიპოვებოდა მისი სოხუმში ცხოვრების არანაირი დოკუმენტი, მაგრამ ასევე არ მოიპოვებოდა მისი ენგურს გამოღმა ცხოვრების არანაირი დამამტკიცებელი საბუთი 1987 წლიდან, ხოლო მის სოხუმში თავის

მამასთან (გ. კვიტატიანის მამა სოხუმში ცხოვრობდა 1973 წლიდან) ცხოვრებას აღიარებდნენ სხვადასხვა მოწმეები. ასევე, მამის ერთადერთ მემკვიდრეს სწორედ გოჩა კვიტატიანი წარმოადგენდა და იგი იყო თანამფლობელი სოხუმში არსებული სახლისა. გარდა ამისა, არ იყო დასაბუთებული პირდაპირი განზრახვით ამ უკანასკნელის ყალბი პასპორტის გამოყენების ფაქტიც.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოტივირებული შუამდგომლობით მივმართე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურას და იმავე რაიონის საგამომძიებლო სამსახურს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ვაკე-საბურთალოს რაიონის გამომძიებლის, ბატონ გია ნუკრაძის უაღრესად ობიექტური, მაღალპროფესიული მიდგომა აღნიშნული საქმისადმი. მან, ფაქტობრივად, ახალი, ფუნდამენტური და ყოველმხრივი გამოძიება ჩაატარა და მივიდა თვისობრივად ახალ დასკვნამდე, შეეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე წარმოებით. მან აღნიშნული პოზიცია პრინციპულად დაიცვა პროკურატურაშიც. საქართველოს გენერალური პროკურატურის შს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსმა, იუსტიციის მრჩეველმა, ბატონმა ბესო თხელიძემ და ამავე განყოფილების პროკურორმა, ქალბატონმა ნაზი გელაძემ საქმის დამატებითი შესწავლის შემდეგ გამოიჩინეს ღრმა პროფესიონალიზმი, გულისხმიერება და დაეთანხმნენ გამომძიებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

## აფხაზი ეროვნების მსჯავრდებულის რუსეთიდან ექსტრადაციის საქმე

სახალხო დამცველის აპარატს თხოვნით მომართეს სოხუმის მკვიდრის, აფხაზი ეროვნების, 1975 წელს დაბადებული ვ. ძ.-ს ახლობლებმა, რათა პატიმრებთან ურთიერთობის დროს, თბილისის №5 იზოლატორში ეროვნულ ნიადაგზე არ შექმნოდა პრობლემები. იგი ექსტრადირებული იყო რუსეთიდან საქართველოში.

ბ. ძ. №5 იზოლატორში გადმოყვანის პირველივე დღიდან დავიწყეთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ერთად აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილების გზების ძიება. მოხდა პატიმართან გასაუბრება, აღსანიშნავია, რომ ომის დაწყების პერიოდში იგი 17 წლის იყო და აფხაზეთის კონფლიქტმა მის თვალწინ გაიარა, მისი თბილისის საპყრობილეში ყოფნა გარკვეულ საშიშროებას იწვევდა, იქიდან გამომდინარე, რომ სოხუმის ციხეში ქართველის მოხვედრა ხშირად სიკვდილით მთავრდება.

მისდა გასაკვირად ყველაფერი პირიქით მოხდა, იგი ქართველი პატიმრებისა და ციხის ადმინისტრაციის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა, თბილისში დევნილმა ნათესავებმა აღმოუჩინეს ყველა შესაძლო დახმარება.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ბ. ძ. დღეს სოხუმშია, ოჯახს დაუბრუნდა, იგი საუბარში აღნიშნავდა, რომ მან რუსეთის ციხეებში

სასტიკი ზეწოლა განიცადა ციხის ადმინისტრაციის მხრიდან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი კავკასიური წარმოშობის იყო. შესაბამისად იგი დარწმუნდა, რომ საქართველოში არ ხდება განსხვავების დაწესება ეროვნებისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით.

# მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და საპყრობილეებში კვლავ ადგილი აქვს პატიმართა და მსჯავრდებულთა კანონით გათვალისწინებული უფლების დარღვევის შემთხვევებს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებულ პატიმართა საერთო რაოდენობა შეადგენს 6749 პირს. აქედან, მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში განთავსებულია 4587 მსჯავრდებული, ხოლო საპყრობილეებში 2162 პირი, მათ შორის, 1902 განსასჯელი.

მსჯავრდებულები რეჟიმის სახეების მიხედვით განთავსებული არიან:

– საერთო რეჟიმის დაწესებულებებში (№1-8) – 1208;

– მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში (№3, 2,. 6) – 2238;

– შერეული რეჟიმის დაწესებულებებში (ტუბ. დაავადებულ სამკურნალო დაწესებულება, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება, №4, 9 დაწ.) – 684 მსჯავრდებული;

– საპყრობილის რეჟიმზე იმყოფება – 323 მსჯავრდებული;

– ქალთა №5 დაწესებულებაში – 112 მსჯავრდებული;

– არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში – 2 მსჯავრდებული.

დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა სასჯელის მოხდის ვადის მიხედვით შეადგენს:

– 3 წლამდე – 695 მსჯავრდებულს;

– 5 წლამდე – 129 მსჯავრდებულს;

– 10 წლამდე – 1955 მსჯავრდებულს;

– 15 წლამდე და ზევით – 1068 მსჯავრდებულს.

უვადოდ სასჯელს იხდის 18 მსჯავრდებული.

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მძიმე მუხლებით სასჯელს იხდის 1869 მსჯავრდებული, მათ შორის:

– 109-ე მუხლით (ძველი რედაქციით, 104-ე მუხლი) – 497

– 108-ე მუხლით (ძველი რედაქციით, 105-ე მუხლი) – 522

– 137-ე მუხლით (ძველი რედაქციით, 117-ე მუხლი) – 79

– 143-ე მუხლით (ძველი რედაქციით, 133-ე მუხლი) – 103

– 236-ე მუხლით (ძველი რედაქციით, 238-ე მუხლი) – 163

– 184-ე მუხლით (ძველი რედაქციით, 243-ე მუხლი) – 157

– 260-ე მუხლით (ძველი რედაქციით, 252-ე მუხლი) – 348

პატიმრობის პირობები არ შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნების მინიმუმს. ისინი არ არიან უზრუნველყოფილი ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებით, ტანსაცმლით, თეთრეულითა და ლოგინებით, ხშირად საწოლებითაც კი (კანონი პატიმრობის შესახებ, მ-26). საწოლების არასაკმარისი რაოდენობაა შემოწმებული დაწესებულებების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში. პატიმართა უფლებების დარღვევები გამოწვეულია მათი განთავსების არასწორი

ლიმიტით, რომელიც შემუშავებულია ძველი სტანდარტებით. ამჟამად შემცირებულია დაწესებულებების ტევადობა რიგ დაწესებულებებში. მაგალითად, ბოლო წლებში №6 დაწესებულებაში დაიწვა 2 საცხოვრებელი კორპუსი, №2-ში – ერთი მთლიანი შენობა, №5 საპყრობილეში ევროპის საბჭოს რეკომენდაციით გაუქმდა საკარანტინო კორპუსი და ა. შ. ამდენად, მოცემული ლიმიტები რეალურ მდგომარეობას არ შეესაბამება, გადატვირთულია სასჯელაღსრულების რიგი დაწესებულებები და განსაკუთრებით №5 საპყრობილე. არის შემთხვევები, როდესაც პატიმრებს უწევთ მორიგეობით წოლა (ირღვევა „პატიმრობის შესახებ" კანონის 33-ე მუხლი). სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასახარბიელო მდგომარეობაა მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურების სფეროში. კერძოდ, მინიმუმამდე არის დაყვანილი სამედიცინო მედიკამენტებითა და პრეპარატებით მომარაგება, რაც ნათლად აისახა პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების, №2, №3, №6, 1; დაწესებულებებისა და №5 საპყრობილის კომპლექსურად შემოწმების ცნობებში. აღნიშნულით ირღვევა როგორც პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური წესებისა და სხვა საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნები, ასევე „პატიმართა შესახებ" კანონის VI თავის („მსჯავრდებულთა უფლებები და მოვალეობები") 26-ე მუხლის „ა", „ბ", „გ", „დ" და „ე" პუნქტების, VIII თავის („მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობები"), IX თავი („მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურება") 38-ე მუხლის მოთხოვნები.

გამოთხოვილ იქნა იმ მსჯავრდებულთა სიები, რომელთა სასამართლო პროცესები გაჭიანურდა სამ თვეზე მეტი ვადით და იმ განსასჯელთა მონაცემები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე არ გაყვანილან სასამართლო პროცესებზე. საანგარიშო პერიოდში ასეთი შემთხვევები არ დაფიქსირებულა ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში, ქ. თბილისის №1 საპყრობილესა და პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. სხვა საპყრობილეებში კი რიცხობრივად ეს მონაცემები ასე გამოიყურება:

– ქ. ზუგდიდის №4 საპყრობილე – 15;
– ქ. ბათუმის №3 საპყრობილე – 3;
– ქ. თბილისის №5 საპყრობილე – 69.

ასევე გამოთხოვილ იქნა იმ მსჯავრდებულთა სიები, რომელთა მიმართაც გამოყენებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-ე მუხლი და იმ მსჯავრდებულთა სიები, რომლებიც გათავისუფლებულ იქნენ ავადმყოფობის გამო. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებების მიხედვით, რიცხობრივად ეს მონაცემები ასე გამოიყურება:

– რუსთავის №1 დაწესებულება – 8;
– რუსთავის №2 დაწესებულება – 2;
– ბათუმის №3 საპყრობილე – 5.

მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების სფეროში გადაუჭრელ პრობლემად რჩება მსჯავრდებულებზე დახასიათების გაცემის ვადები, რაც იწვევს მათი კანონიერი უფლებების დარღვევისა და კორუფციისათვის

ხელსაყრელი პირობების შექმნას. კერძოდ, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებით არ არის გათვალისწინებული, რა ვადაში შეიძლება გაიცეს პირზე დახასიათება მისი საპყრობილის სამეურნეო მომსახურებაში გადაყვანის ან საპყრობილიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანის დღიდან. ხშირია შემთხვევები, როდესაც ძიებისა და სასამართლო პროცესის გაჭიანურების გამო მსჯავრდებულს, გამომდინარე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის არა მძიმე ხასიათისა, დაწესებულებაში გადაყვანამდე უკვე გარკვეული ვადით ადრე შეეხო მოცემული შეღავათი (მისი საპყრობილეში ყოფნის პერიოდში). ასეთ შემთხვევაში დასაზუსტებელია, არის თუ არა უფლებამოსილი საპყრობილის ადმინისტრაცია, განიხილოს მის მიმართ შეღავათის გავრცელების საკითხი.

## მდგომარეობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის №5 საპყრობილეში

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის, ევროს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ დაფინანსებული პროექტის „პატიმართა კლინიკა" ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს №5 საპყრობილეში განხორციელდა მონიტორინგი (2002 წლის ოქტომბერ-ნოემბერი).

მონიტორინგის დაწყების პერიოდისათვის საპყრობილეში მოთავსებული იყო 1640 პატიმარი, მათ შორის, 1463 მამაკაცი, 62 ქალი, 36 არასრულწლოვანი და 79 მსჯავრდებული (სამეურნეო ნაწილი).

№5 საპყრობილის პერსონალის ოდენობა შეადგენს 283 პირს, რომელთაგან სამედიცინო პერსონალია 17 (9 ექიმი და 8 ექთანი).

დაწესებულების ირგვლივ დაცულია პერიმეტრები. საპყრობილის საერთო ტერიტორიის წინა მხარეს მდებარეობს ადმინისტრაციული შენობა, რომელიც შედგება სამი სართულისა და სარდაფისაგან.

შენობის სარდაფში მდებარეობს პატიმართა განთავსების ძირითად კორპუსთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა გვირაბი და საკნები, სადაც ისჯებოდნენ სიკვდილმისჯილები.

პირველ სართულზე განთავსებულია: სამორიგეო ნაწილი, პაემნების ორი ოთახი, ახლად შემოყვანილ პატიმართა გამანაწილებელი, დაქტილოსკოპიის სამსახური, ადმინისტრაციისა და თანამშრომელთათვის განკუთვნილი სასადილო ოთახი.

შენობის მეორე სართულზე განთავსებულია: დაწესებულების დირექტორის, მისი მოადგილეების, განყოფილების (ოპერატიული, უსაფრთხოების, სარეჟიმო და კადრების) უფროსების სამუშაო ოთახები, სპეციალური ნაწილი, სადაც ინახება ბრალდებულთა, განსასჯელთა და მსჯავრდებულთა პირადი საქმეები, ცენტრალური კანცელარია და საგამოძიებო ოთახები, რომლებშიც მიმდინარეობს ბრალდებულთა დაკითხვები.

საპყრობილის მესამე სართულზე განთავსებულია: ბუღალტერია და საფინანსო განყოფილება, სათათბირო დარბაზი, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში ტარდება სასამართლო პროცესები, და ბიბლიოთეკა.

ადმინისტრაციული შენობის მარცხენა მხარეს მდებარეობს ამანათების გადასაცემი – ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა, რომელსაც აქვს სამი სარკმელი, საიდანაც ღებულობენ პატიმრების ახლო ნათესავებისაგან პატიმრებისათვის განკუთვნილ ამანათებს.

დაწესებულების ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს ოთხსართულიანი შენობა, რომელშიც განთავსებული არიან პატიმრები (ბრალდებულები, განსასჯელები, აგრეთვე შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გასაგზავნი მსჯავრდებულები). აღნიშნულ შენობას აქვს სარდაფი, სადაც მოთავსებულია საკარანტინო განყოფილება. მისი ძირითადი დანიშნულებაა შემოსული პატიმრების საკარანტინო პროცედურის გავლის შემდგომ, სარეჟიმო კორპუსებში (სართულებზე) გადანაწილება.

ადმინისტრაციისა და პატიმართა შენობებს ერთმანეთთან აკავშირებს მიწისქვეშა გვირაბი, რომლის მეშვეობით ხდება პატიმართა გამოყვანა საგამომძიებლო ოთახებში.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ საპყრობილეში ბოლომდე არ არის დაცული სარეჟიმო მოთხოვნები, კერძოდ:

ზოგიერთ საკანში შერეულად განთავსებული ჰყავთ პირველად და მსუბუქი დანაშაულისათვის დაპატიმრებულები, ადრე რამდენჯერმე ნასამართლევი, მძიმე დანაშაულისათვის დაპატიმრებულებთან, ცალკეულ შემთხვევაში, მიუსჯელ პატიმრებთან ერთად.

მთელ რიგ შემთხვევებში მოუწესრიგებელია საკნის საპატიმრო ბარათები, რაც გამოიხატება მასში, რომ პატიმარი ირიცხება ერთ საკანში, ხოლო სინამდვილეში მოთავსებულია სრულიად საწინააღმდეგო რეჟიმის საკანში.

აღნიშნული გარემოება საპყრობილის ხელმძღვანელობის მიერ აიხსნება იმით, რომ დაწესებულება გადატვირთულია პატიმრებით, რაც ძირითადად გამოწვეულია წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესების გაჭიანურებით. ზოგიერთი პატიმრის განცხადებით, აღნიშნული პრობლემის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს არსებული გარიგებები პატიმრებსა და საპყრობილის პერსონალს შორის, აგრეთვე მათი კონფლიქტური სიტუაციები კრიმინალურ ავტორიტეტებთან.

პატიმართა განთავსების კორპუსის შენობის თითო სართულზე არის 25-30 საკანი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება მოცულობითა და ტევადობით. საკნების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მათგანში იყო განსაზღვრულზე ნაკლები პატიმარი, ხოლო ზოგიერთი გადატვირთული აღმოჩნდა 1,8-ჯერ, რიგ შემთხვევებში კი – 2-ჯერ, რის გამოც ზოგიერთ პატიმარს საწოლების უკმარისობის გამო, მორიგეობით უხდებათ ძილი.

საპყრობილის ტერიტორიის მარცხენა მხარეს მდებარეობს სამსართულიანი შენობა, რომელიც განკუთვნილია არასრულწლოვანების, ქალებისა და ავადმყოფი პატიმრებისათვის. შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყვნენ არასრულწლოვანი პატიმრები (რომლებიც მიმდინარე წლის სექტემბერში

განხორციელებული გაქცევის მცდელობასთან დაკავშირებით გადაყვანილ იქნენ დაწესებულების ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ოთხსართულიანი შენობის სარეჟიმო კორპუსში). მეორე სართულზე განთავსებულია სამედიცინო ნაწილი, ხოლო მესამეზე მოთავსებული არიან პატიმარი ქალები (ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული).

მონიტორინგის ჯგუფის მიერ ქალთა კორპუსის დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობა არის ძლიერ დაზიანებული და ნებისმიერ დროს მოსალოდნელია მისი ნგრევა, რასაც, როგორც პატიმრების, ასევე პერსონალის მხრიდან, შესაძლებელია, მოჰყვეს მსხვერპლი.

ცენტრალურ შენობასა და არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ შენობას შორის ორსართულიან შენობაში იმყოფებიან ის მისჯილი პატიმრები, რომლებიც თავისი ნებით დარჩნენ საპყრობილის სამეურნეო მომსახურებაში. აქ მოწყობილია საძინებელი და დასასვენებელი ოთახები, ბიბლიოთეკა, ტელევიზორისა და სამუშაო ოთახები, ხოლო შენობის განაპირას მოწყობილია მცირე სახელოსნო.

საპყრობილის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს პატიმრებისათვის განკუთვნილი 12 სასეირნო ეზო. ერთ-ერთ ასეთ ეზოში პატიმართა თხოვნის საფუძველზე და იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სისტემის დამოუკიდებელ ექსპერტთა საბჭოს წევრის კახაბერ გოგაშვილის ინიციატივით, მიმდინარე წლის ივლისში გამოიყო შენობა-ნაგებობა, სადაც მოეწყო სპორტული კუთხე პატიმრებისათვის.

საპყრობილის ტერიტორიაზე მოთავსებულია კვების ბლოკი და სასაწყობო მეურნეობა. კვების ბლოკში ხდება პატიმართა საკვების მომზადება.

პატიმართა საცხოვრებელი შენობები ამორტიზებულია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე ათეულ წელს ჩატარებული იქნა კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება-რემონტი, შენობა საცხოვრებლად უვარგისი და გამოუსადეგარია, კედლები დანესტიანებულია, ზოგიერთში ბათქაში ჩამოცვენილია და ყოველთვის მოსალოდნელია მისი ჩამონგრევა; საკნებში მოშლილია საკანალიზაციო გაყვანილობა, ზოგიერთ საკანში არ იკეტება წყლის ონკანი, რაც იწვევს კედლების დანესტიანებას. იმ საკნებში, რომლებსაც აფარებული აქვს რკინის დარაბები, ჰაერი ძნელად მოძრაობს და არ ხდება მისი ვენტილაცია, რაც აშკარად საგრძნობი იყო მონიტორინგის ჩატარების პროცესში. საკნებში ე. წ. „თურქული ტუალეტი“ ღიაა, რომლის ცალი მხრიდან ამოყვანილია 50 სმ სიმაღლის კედელი. შენობები მოითხოვს მთლიან კაპიტალურ შეკეთებას.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ-სამეურნეო შენობებს, ისინი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, რადგან მათ 4-5 წლის წინ ჩაუტარდათ სარემონტო სამუშაოები. თუმცა, აღნიშნული შენობის რიგ ოთახებში შეინიშნება ბათქაშის ჩამონგრევა და ისინი საჭიროებენ შეკეთებას.

საკნებში არ არის ცხელი წყალი. მათში სისუფთავის დაცვა დამოკიდებულია თვით პატიმრებზე. საკნებში ძირითადად სუფევს ანტისანიტარია, ისინი სათანადო ტემპერატურით არ არიან უზრუნველყოფილი, საკნის განიავება ხდება იშვიათად, მხოლოდ მაშინ, როცა პატიმრები გაჰყავთ სასეირნოდ. ფანჯრებზე მიმაგრებულია დარაბები, შესაბამისად, ბუნებრივად არ ხდება საკნების განათება. 24 საათის განმავლობაში საკნები ნათდება ხელოვნურად დაბალი შუქით. მათში მოთავსებულია ორსართულიანი რკინის საწოლები, ტუმბოები თითქმის არ არის, ყველა საკანში არის ერთი გრძელი ხის მაგიდა და გრძელი სკამი, რომლებიც ჩამაგრებულია იატაკში. საკნები საწოლი საშუალებებით (თეთრეულით) არ მარაგდება; ძირითადად ისინი მოაქვთ პატიმრების ახლობლებსა და ნათესავებს, ხოლო მათ, ვისაც პატრონი არა ჰყავს, ზოგიერთ შემთხვევაში, სძინავს ცარიელ საწოლზე. თეთრეული არ ირეცხება თვეობით. ყველა საკანში მოწყობილია წყლის ონკანი პირსაბანით და ელექტროჩასართავებით, თუმცა ზოგიერთ საკანში ისინი გაფუჭებულია, რის გამოც პატიმრები თვითნებურად ახდენენ მათ გამოყენებას. აღნიშნულს შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს. 2000-2002 წლებში 4 პატიმარი დაიღუპა სპირალის ჩართვის დროს.

პატიმრებს აცვიათ სახლიდან მოტანილი ტანსაცმელი, რომლის გარეცხვა და გაშრობა თვითონ უხდებათ საკანში.

საპყრობილის საპატიმრო განყოფილებაში სულ არის კარცერის ხუთი ოთახი, სადაც სუფევს ანტისანიტარია, ისინი თითქმის არ ნათდება.

2002 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საპყრობილის სამედიცინო ნაწილში განთავსებული იყო 49 პატიმარი, ხოლო ტუბერკულოზის განყოფილებაში – 37 პატიმარი.

სამედიცინო ნაწილის პერსონალის განცხადებით, არის მედიკამენტების დიდი დეფიციტი. განსაკუთრებით ესაჭიროებათ ანალგეტიკები, ნემსები და გადასასხმელი სისტემები. წამლების მიწოდება ძირითადად ხდება პატიმართა ნათესავების მიერ. საპყრობილის სამედიცინო ნაწილის პერსონალი განიცდის კადრების ნაკლებობას. პატიმართა შორის გავრცელებული დაავადებების გათვალისწინებით, დიდი მოთხოვნილებაა ვენერო-დერმატოლოგზე. სამედიცინო ნაწილი აღჭურვილია მხოლოდ რენტგენისა და კარდიოგრაფის აპარატით, რომელიც იმდენად მოძველებულია, რომ ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება მათი გამოყენება დანიშნულებისამებრ. ექიმების განცხადებით, სამედიცინო ნაწილი საჭიროებს ისეთი გადაუდებელი სამედიცინო აპარატურით აღჭურვას, როგორიცაა ექოსკოპიის, გასტროფიბროსკოპიის აპარატი. ვერ ხერხდება ანალიზების გაკეთება ლაბორატორიის არარსებობის გამო.

თბილისის №5 საპყრობილეში მიმდინარე წლის 22 ნოემბერს საკანში „მაკაროვის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღით პატიმარმა მძიმედ დაჭრა თანამოსაკნე ძმები მიქელთაძეები, რომლებიც მოგვიანებით გარდაიცვალნენ. აღნიშნული ფაქტი მოწმობს, რომ საპყრობილეში ყოველთვის არ სრულდება რეჟიმის ელემენტარული

მოთხოვნები, რაც საფრთხეს უქმნის დაწესებულების უსაფრთხო ფუნქციონირებას.

№5 საპყრობილის მონიტორინგის მეორე ეტაპი მიზნად ისახავდა პატიმართა და საპყრობილის პერსონალის ანკეტირებას. შესაბამისად, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ შემუშავდა „კითხვარი პატიმრებისათვის" და „კითხვარი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთათვის".

ანკეტირება ჩაუტარდა 16 მამაკაცს (11 მსჯავრებული, 3 განსასჯელი და 2 ბრალდებული) და 5 ქალს (2 განსასჯელი და 3 ბრალდებული).

პატიმარი (ბრალდებული და განსასჯელი) მამაკაცების დიდმა ნაწილმა უარი განაცხადეს კითხვარის შევსებაზე, რის საფუძვლადაც ზოგიერთმა მათგანმა განაცხადა, რომ მათ შეიძლება შეექმნათ გარკვეული პრობლემები. მონიტორინგის ჯგუფის მიერ დასმული შეკითხვა, თუ ვისგან შეიძლება მათ შექმნოდათ პრობლემები, პატიმრებმა უპასუხოდ დატოვეს.

არასრულწლოვანმა პატიმრებმა მოტივაციის გარეშე უარი განაცხადეს კითხვარის შევსებაზე. ანკეტირების შედეგად გამოვლინდა, რომ 2 განსასჯელი საპყრობილეში იმყოფება 1-2 წლამდე.

გამოკითხვამ ცხადყო, რომ ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების რაოდენობა ნაკლებია მათთვის საპყრობილეში გამოყოფილ ადგილებთან შედარებით, შესაბამისად, მათ საწოლისა და ძილის პრობლემა არა აქვთ. მსგავსი მდგომარეობაა სამეურნეო ნაწილში მომსახურე მსჯავრდებულთა საკნებში. გადატვირთულია მხოლოდ მამაკაც პატიმართა ზოგიერთი საკანი, სადაც, რიგ შემთხვევებში, პატიმრებს მორიგეობით სძინავთ.

მონიტორინგის ჯგუფმა მამაკაცი პატიმრების საკნების გადატვირთვასთან დაკავშირებით შეკითხვით მიმართა საპყრობილის დირექტორს (ჯ. ბაწაშვილი), რომელმაც განაცხადა, რომ პატიმართა რიცხვი საკნებში დამოკიდებულია საკნის ფართზე, ხოლო გადატვირთვა ძირითადად გამოწვეულია გაჭიანურებული წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესებით.

პატიმარმა ქალებმა გამოთქვეს უკმაყოფილება, რაც უკავშირდება საკნებში საწოლი ლეიბების არარსებობას.

გამოკითხული პატიმრებიდან 19 მათგანმა მიუთითა, რომ მათ საკანში არის ფანჯარა, რომელთაგან უმეტესობას ჩამოფარებული აქვს რკინის დარაბა.

პატიმრებმა აღნიშნეს, რომ სავენტილაციო მილი გაჭედილია მტვრის სქელი ფენით, რაც აფერხებს საკნების ვენტილაციას, ხელს უწყობს სპეციფიკური სუნის დადგომას და ამძიმებს სუნთქვას. ვენტილაცია ძირითადად ხდება პატიმრების ყოველდღიური გასეირნების დროს.

პატიმარმა ქალებმა გამოთქვეს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მათ აქვთ სურვილი თვითონ მოიმზადონ საკვები და მოხდეს მათთვის კუთვნილი პროდუქტების გადაცემა. მიზეზი აღნიშნულისა არის ის, რომ, მართალია, პროდუქტები ახალია, მაგრამ სამზარეულოში სუფევს

ანტისანიტარია, რის გამოც დამზადებულ კერძს აქვს სპეციფიკური სუნი და გემო, რაც მის მიღებას შეუძლებელს ხდის.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 2 დეკემბრის №5/500/ო ბრძანებით, განისაზღვრა პატიმართათვის განკუთვნილი ყოველდღიური მენიუ. მიუხედავად იმისა, რომ მენიუთი განსაზღვრულია სხვადასხვა საკვებით უზრუნველყოფა, რეალურად ყოველდღიურ მენიუს შეადგენს: დილით – ქერის, ბურღულეულის ან წიწიბურას ფაფა და 500 გრ. პური; შუადღისას – ბორში ან სუპი; ვახშამზე მაკარონის სუპი ან მაკარონისა და კარტოფილის სუპი. ტუბერკულიოზურ დისპანსერში, ციხის საავადმყოფოებში მოთავსებულ პატიმრებს და არასრულწლოვანებს მიეწოდებათ 40 გრ. შაქარი ყოველდღიურად, ხოლო დანარჩენებს – კვირაში 2-3-ჯერ. ყოველ კვირას პატიმრებს მონაცვლეობით მიეწოდებათ ხორცი და თევზი (4-5-ჯერ კვირაში).

ადმინისტრაციის განმარტებით, ზოგიერთ საკანში მოწყობილია აბანო (გამაცხელებელი საშუალებები). ზოგადად პატიმრების მიერ აბანოთი სარგებლობა უზრუნველყოფილია 7-10 დღეში ერთხელ.

პატიმრების თეთრეულით უზრუნველყოფა ხდება ოჯახისა და ახლობლების მიერ. გამოკითხულთაგან ორმა განაცხადა, რომ ისინი თვითონ რეცხავენ თეთრეულს.

ანკეტირების შედეგად დადგინდა, რომ 19 პატიმარს არანაირი შეფერხება არა აქვს გზავნილების მიღებაზე.

აღსანიშნავია პატიმართა და საპყრობილის პერსონალს შორის არსებული კეთილგანწყობა, რაც დაადასტურა უკლებლივ ყველა გამოკითხულმა. კერძოდ შვიდმა პატიმარმა ეს ურთიერთობები შეაფასა, როგორც ძალიან კარგი, რვამ – კარგი, ხოლო ხუთმა – ნორმალური.

მონიტორინგის ჯგუფის შეკითხვაზე: „თვლით თუ არა, რომ ირღვევა თქვენი უფლებები", გამოკითხულ პატიმართაგან თვრამეტმა გასცა უარყოფითი პასუხი, ხოლო სამმა – დადებითი. უფლებების დარღვევაში პატიმრებმა აღნიშნეს მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო პროცესის გაჭიანურება, ხოლო ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ ყოველ დილით პირადი ჰიგიენისათვის (დაბანა და ტუალეტით სარგებლობა) გამოყოფილი 15 წუთი საკმარისი არ არის და საჭიროა ამ დროის სულ მცირე, 30 წუთამდე გაზრდა. გამოვლინდა, რომ სამედიცინო მომსახურება უტარდება ყველა პატიმარს სულ მცირე, თვეში ერთხელ. ექვსმა პატიმარმა განაცხადა, რომ დამატებითი სამედიცინო შემოწმება შესაძლებელია ჩაუტარდეთ მოთხოვნისთანავე. თუმცა, ორმა პატიმარმა ასეთი შემოწმების ეფექტიანობა ეჭვქვეშ დააყენა იმის გამო, რომ სამედიცინო პერსონალი განიცდის წამლებისა და საჭირო სამედიცინო აპარატურის დეფიციტს.

აგრეთვე დადგინდა, რომ პატიმართა უმრავლესობას არა აქვს სირთულე წერილების გაგზავნა-მიღებაზე (14 პატიმარი), ხოლო ნაწილი (7 პატიმარი) აწყდება ამგვარ სირთულეს. კერძოდ, ორმა პატიმარმა განაცხადა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მათ განუმარტეს, რომ არა აქვთ აღნიშნულის უფლება. საპყრობილის დირექტორის მოადგილის (ნ. ჩიკვილაძე) განმარტებით, კორესპონდენცია

ექვემდებარება ცენზურას და ხშირ შემთხვევაში არ ხდება პატიმრის მიერ ოჯახისა და ახლობლებისათვის განკუთვნილი წერილების გადაგზავნა, რის შესახებაც ეცნობება პატიმრებს. რაც შეეხება ისეთ წერილებს, რომელთა ადრესატიც ადამიანის უფლებათა დამცველი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ან პროცესის მწარმოებელი ორგანოა, ისინი არ ექვემდებარებიან ცენზურით შეზღუდვას.

ანკეტირების ერთ-ერთი ნაწილი ეთმობოდა პატიმართა პაემნით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევას. გამოკითხულ პატიმართაგან ყველამ აღნიშნა, რომ დაუბრკოლებლად ხვდებიან ნათესავებს, რომლის სიხშირეც ზოგიერთ შემთხვევაში თვეში 5-ჯერ (5 პატიმარი), ზოგიერთში კი თვეში 4-ჯერ (4 პატიმარი) განისაზღვრება.

გასეირნების უფლებით (ყოველდღე, დღეში ერთი საათი) სარგებლობს ყველა გამოკითხული. თუმცა, პატიმართა განცხადებით, ერთი საათი მცირე პერიოდია და მიზანშეწონილად მიაჩნიათ მისი დღეში 2 საათამდე გაზრდა.

. წიგნებით, პრესითა და ტელევიზორით შეუზღუდავად სარგებლობის საშუალება აქვს გამოკითხულ პატიმართა უმეტესობას (16 პატიმარი). მხოლოდ წიგნებითა და პრესით სარგებლობს სამი პატიმარი. ისინი ტელევიზორით ვერ სარგებლობენ მისი არარსებობის გამო. წიგნები და პრესა პატიმრებს ადვოკატებისა და ნათესავების მეშვეობით მიეწოდება.

ანკეტირების შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხულ პატიმართაგან მხოლოდ ოთხს ჰქონდა პრობლემა ადვოკატთან შეხვედრაზე. ამ უკანასკნელთა ინფორმაციით, აღნიშნულის მიზეზი იყო არა რაიმე ხელის შეშლა საპყრობილის ადმინისტრაციის მხრიდან, არამედ მათ (2 პატიმარი) ან არ ჰყავდათ საერთოდ საკუთარი ინტერესების დამცველი ადვოკატი, ან ჩათვალეს, რომ ადვოკატმა ისინი (2 პატიმარი) მოატყუა და უარი განაცხადეს მათ მომსახურებაზე.

საერთო შენიშვნები გამოთქვა ოთხმა პატიმარმა, რომელთაგან სამმა ხაზგასმით აღნიშნა საპყრობილეში საერთო სარგებლობის ტელეფონის არარსებობა და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი დაყენება, ხოლო ერთმა მიუთითა ჰიგიენურ საშუალებათა და დამატებითი პროდუქტებით უზრუნველყოფის საჭიროებაზე.

გამოკითხულთა უმრავლესობა (5 თანამშრომელი) პატიმართა პირობებს აფასებს როგორც „ცუდს“, ნაწილი (4 თანამშრომელი) – „ნორმალურს“, ხოლო ერთი – „ძალიან ცუდს“.

მონიტორინგის ერთ-ერთ მიზანს საპყრობილის პერსონალის სამუშაო პირობებისა და მათ განკარგულებაში არსებული ტექნიკური საშუალებების არსებობის დადგენა წარმოადგენდა. ანკეტირებით ნათელი გახდა, რომ ტელეფონის გარდა პერსონალს სხვა არავითარი საკომუნიკაციო საშუალება (ფაქსი, მობილური ტელეფონი, რაცია, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი) არ გააჩნიათ.

უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი სამუშაო ოთახი საჭიროებს გარემონტებას. სამის განმარტებით, ეს ოთახები ამორტიზებულია, ხოლო ერთი თანამშრომელი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია საპყრობილის ახალ შენობაში განთავსება.

ყველა გამოკითხული აღნიშნავს საოფისე ავეჯის მოძველებას და უკმარისობას, ტექნიკისა და საკანცელარიო საშუალებების უქონლობას, რაც, მათი აზით, სამუშაო პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

საპყრობილეში არ არის არცერთი კომპიუტერი; პერსონალის მიერ წერილებისა და დოკუმენტების ბეჭდვა ხდება მოძველებულ საბეჭდ მანქანებზე, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა ხორციელდება წერილობით, საკანცელარიო ჟურნალში.

გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სანამ არ იქნება მოგვარებული სასჯელაღსრულებითი სისტემის თანამშრომელთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხი, უაღრესად რთული იქნება სისტემაში რეფორმის გატარება.

ორი გამოკითხული თანამშრომლის აზრით, აუცილებელია პერსონალის სათანადო ფორმით უზრუნველყოფა, რათა ელემენტალურად მოხდეს მათი გამორჩევა პატიმრებისაგან.

გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით საჭიროდ იქნა შემდეგი ხასიათის რეკომენდაციების შემუშავება:

– საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ დაწესდეს სისტემატური კონტროლი თბილისის №5 საპყრობილეში სარეჟიმო მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;

– სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის უშუალო დავალებითა და კონტროლით თბილისის №5 საპყრობილის ადმინისტრაციამ განახორციელოს საკნის საპატიმრო ბარათების კანონმდებლობით დადგენილი წესით სისტემატიზაცია;

– საპყრობილის ადმინისტრაციის მიერ განხორციელდეს „პატიმრობის შესახებ" კანონის შესაბამისად, კრიმინალურ ავტორიტეტებთან კონფლიქტში მყოფი პატიმრებისათვის რეჟიმის შეცვლა, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიით;

– განხორციელდეს საკნებში არსებული სავენტილაციო მილების გასუფთავება და ფანჯრებზე დარაბების მოხსნა, რაც ხელს შეუწყობს საკნების ჰაერით ვენტილაციას და ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფას;

– საპყრობილის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს საკნებში ელექტროჩამრთველებისა და ელექტროგაყვანილობის არსებული წესით გამართული მუშაობა და სამზარეულოში სანიტარული წესრიგის დაცვა;

– პატიმრებს გაეზარდოთ შინაგანაწესით დილაობით განსაზღვრული პირადი ჰიგიენისათვის გამოყოფილი 15 წუთი 30 წუთამდე „პატიმრობის შესახებ" კანონით განკუთვნილი პირადი ჰიგიენის უფლების უზრუნველსაყოფად;

– საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შესაბამისი სამთავრობო ორგანიზაციების, სამინისტროსა და უწყებების წინაშე დააყენოს საკითხი თბილისის №5 საპყრობილეში გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად;

– იუსტიციის სამინისტრომ და სასჯელაღსრულებითმა დეპარტამენტმა აწარმოონ მოლაპარაკებები საერთაშორისო ჰუმანიტა-

რულ ორგანიზაციებთან (UMCOR Counterpart International) პატიმართა საწოლი ლეიბებით, თეთრეულითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით, ასევე გააღრმაონ ურთიერთობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (WHO – მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, UNICEF – გაეროს ბავშვთა ფონდი, UMCOR, MSF – ექიმები საზღვრებს გარეთ, ACTS Georgia – წითელი ჯვრის კომიტეტი, IRD – საერთაშორისო დახმარებისა და განვითარების კომიტეტი) ქ. თბილისის №5 საპყრობილის სამედიცინო პერსონალის საჭირო მედიკამენტებითა და აპარატურით უზრუნველ-ყოფის მიზნით.

– განახორციელონ საპროექტო წინადადებების მომზადება საერთაშორისო ორგანიზაციებისა (UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა, Human Rights Directorate of Council of Europe – ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატი, TACIS PRI – ციხის საერ-თაშორისო რეფორმა) და ფონდებისათვის (OSGF, Eurasia, OSI-COLDI) საპყრობილის პერსონალის კომპიუტერული ტექნიკით, საჭირო საოფისე ავეჯითა და საკომუნიკაციო საშუალებებით უზრუნველყოფის თაობაზე.

## შინაგან საქმეთა (პოლიციის) ორგანოებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა (პოლიციის) ორგანოების თა-ნამშრომელთა მიერ ჩადენილ სხვადასხვა სახის სისხლის სამართლის დანაშაულზე პროკურატურის ორგანოებში გადაიგზავნა 137 მასალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას კი ამ საკითხზე გააჩნია სხვა მონაცემები, რომელთა მიხედვით გადაგზავნილ მასალათა რაოდენობამ შეადგინა 287 ერთეული.

გარდა ამისა, შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცნობით, სხვადასხვა სახის დარღვევებისათვის შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილ იქნა 92 თანამშრომელი, რომელთაგან 12 ხელმძღვანელი მუშაკია. დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლდა 74, მათ შორის, 33 ხელმძღვანელი მუშაკი; სასტიკი საყვედური გამოეცხადა პოლიციის 198 თანამშრომელს, საყვედური – 177-ს, სპეციალური წოდებიდან ჩამოქვეითდა 5 თანამშრომელი, ხოლო 2 თანამშრომელს გამოეცხადა შენიშვნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური ინსპექციის მონაცემებით, დასახელებულ პერიოდში გამოვლინდა შემდეგი სახის დანაშაულებები:

*

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების საკუთრების წინააღმდეგ მომხდარი დანაშაულის ბრძოლის ქვეგანყოფილების ინსპექტორების, პოლიციის ლეიტენანტების: დავით ქოიავასა და თენგიზ ადამიას მიერ დაკავებულ და შს სამმართველოში წარდგენილ იქნა მადაზია „კოდაკის" ქურდობაში ეჭვმიტანილი, არასრულწლოვანი გ. მარსაგიშვილი, რაზედაც პოლიციის მუშაკებმა არ შეადგინეს სათანადო დაკავების ოქმი, ასევე სამორიგეო ნაწილში დაგვიანებით მოახდინეს მომხდარი დანაშაულის რეგისტრაცია; უფრო მეტიც, დანაშაულის შესახებ ტელეფონოგრამა გადაცემულ იქნა ქალაქის შს მთავარ სამმართველოში მას შემდეგ, რაც საინფორმაციო გადაცემა „კურიერი 9 საათზე" მიერ გაშუქდა აღნიშნული ფაქტი.

დასახელებული ქმედების გამო დ. ქოიავა, თ. ადამია და საკუთრების წინააღმდეგ მომხდარი დანაშაულის ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი იოსებ ბუთიკაშვილი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან, ხოლო სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსს, პოლიციის მაიორ გია კობაჩიშვილს გამოეცხადა საყვედური.

მასალები გადაიგზავნა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურაში.

*

2002 წლის 9 აპრილს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის გადაცემა „60 წუთში" გაშუქდა მასალა ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში უკანონოდ დაკავებული მოქალაქის მიერ 10 გრ. ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ შენახვისა და დანაშაულებრივად გამოყენების შესახებ.

შემოწმებით დადგინდა, რომ 2002 წლის 23 მარტს მოქალაქე გ. ხუციშვილი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას შპს „ერქ"-ში, რა დროსაც მასთან მივიდნენ ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი, პოლიციის ლეიტენანტი მიხეილ ჩივიაშვილი და ამავე განყოფილების უფროსის მოადგილე, პოლიციის მაიორი ვახტანგ ჩინჩალაძე. წაიყვანეს რა პოლიციაში, გ. ხუციშვილს ფიზიკური ზეწოლით აიძულებდნენ ელიარებინა, თითქოს ი. ქოქაშვილისაგან შეიძინა ნარკოტიკი და გადასცა ა. გაგოშვილს და შ. თვაურს. გ. ხუციშვილი ვითარების გასარკვევად ვ. ჩინჩალაძის მობილურით დაუკავშირდა ი. ქოქაშვილს და სთხოვა შეხვედროდა. დაახლოებით 15.00 საათზე მ. ჩივიაშვილი ვ. ჩინჩალაძე კოკა ხუციშვილთან ერთად მივიდნენ დათქმულ ადგილზე. მ. ჩივიაშვილმა და ვ. ჩინჩალაძემ იძულებით ჩასვეს ავტომანქანაში ი. ქოქაშვილი და დაბრუნდნენ ვაკე-საბურთალოს პოლიციაში. გ. ხუციშვილი და ი. ქოქაშვილი შეიყვანეს ცალ-ცალკე ოთახებში, სადაც უკანონოდ ამყოფეს: გ. ხუციშვილი 24 მარტის შუადღემდე, ხოლო ი. ქოქაშვილი – 28 მარტის 13.00 საათამდე, საიდანაც ისინი გადაიყვანეს თბილისის შს მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც გ. ხუციშვილი იმყოფებოდა

26, ხოლო ი. ქოქაშვილი – 28 მარტამდე. ვაკე-საბურთალოს პოლიციაში გ. ხუციშვილს და ი. ქოქაშვილს იძულებით დაალევინეს კოკა-კოლაში გაზავებული „ჰეროინი“, დააწერინეს ახსნა-განმარტება, რის შემდეგ შეადგინეს მასალები და გადაიყვანეს ნარკოლოგიურ ცენტრში შემოწმებაზე.

შემოწმების მასალები გადაიგზავნა საქართველოს პროკურატურაში, სადაც 2002 წლის 27 აპრილს მ. ჩივიაშვილის, ვ. ჩინჩალაძის, დ. ტაბატაძისა და სხვა მუშაკთა მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის №7402855 საქმე, სსკ 147-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

*

2002 წლის 21 აპრილს ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის მიზნით, რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა მოქალაქეები: ა. ღუღუნიშვილი და დ. ჭიჭიბოშვილი. თანამოწმეთა თანდასწრებით ჩატარებული პირადი ჩხრეკისას ა. ღუღუნიშვილს აღმოაჩნდა გადაჭრილი თოფი, ორი ვაზნა და ნიღაბი, ხოლო დ. ჭიჭიბოშვილს – 0,2 გ. მარიხუანა.

მოკვლევის პროცესში ა. ღუღუნიშვილმა აღიარა კაფე „მასკარადის“, რამდენიმე ბინისა და ოფისის გაქურდვის ფაქტები, ხოლო ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სახით დაკითხვისას მან გამოიყენა დუმილის უფლება. ა. ღუღუნიშვილს მოკვლევისა და გამოძიების პერიოდში ეტყობოდა სხეულის დაზიანების კვალი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ა. ღუღუნიშვილს სახის, ზურგისა და ორივე ფეხის არეში მიღებული დაზიანება მიყენებული აქვს მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს. №5 საპყრობილეში გადაყვანის შემდეგ ა. ღუღუნიშვილი შემოწმებულ იქნა ექსპერტ მ. ნიკოლეიშვილის მიერ, რომელმაც სასამართლო-სამედიცინო აქტში მიუთითა, რომ ა. ღუღუნიშვილის ტერფის ზურგზე არსებული დაზიანებები, შესაძლოა, წარმოქმნილი იყოს ფეხის თითებზე შემოხვეული ელექტროსადენების ზემოქმედებით.

ა. ღუღუნიშვილმა დაადასტურა, რომ რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლებმა აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, აწამეს ელექტროშოკის გამოყენებით, ხოლო პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთები მისთვის ჩადებული იქნა პოლიციის მუშაკების მიერ. დაკავებისას ა. ღუღუნიშვილისათვის იარაღის ჩადების ფაქტს ადასტურებენ აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც შეესწრნენ პოლიციელთა მიერ განხორციელებულ დაკავების ოპერაციას. აღნიშნულს კატეგორიულად უარყოფენ რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლები.

მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაიგზავნა საქართველოს პროკურატურაში, სადაც აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე იმ დანაშაულის ნიშნებით, რაც გათვალისწინებულია სსკ 333-ე მუხლის I ნაწილით.

*

2002 წლის 3 ივნისს ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-3 განყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქვეგანყოფილების უფროსმა ინსპექტორმა, პოლიციის ლეიტენანტმა გიორგი სიდამონიძემ, მეორე დაუდგენელ პოლიციის თანამშრომელთან ერთად, მოქალაქე ჯ. გასვიანი შემოწმების მიზნით ჩასვა „ბმვ"-ს მარკის ავტომანქანაში, მას შეუმოწმა მკლავები, შეეკითხნენ, ხომ არ იყო ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, გათავისუფლების სანაცვლოდ, მოსთხოვეს ფული. უარის მიღებისას პოლიციელებმა დაძრეს ავტომანქანა და წავიდნენ გმირთა მოედნის მიმართულებით, რა დროსაც ჯ. გასვიანმა გააღო ავტომანქანის კარი, გ. სიდამონიძემ ხელი ჰკრა მას და გადმოაგდო მიმავალი ავტომანქანიდან. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ ავტომანქანის მძღოლმა ავტომანქანა უკან დახია და ჯ. გასვიანს გადაუარა ფეხზე, რის შედეგადც ამ უკანასკნელმა მიიღო ფეხის მოტეხილობა. ჯ. გასვიანი პოლიციელებმა მიატოვეს უმწეო მდგომარეობაში და მიიმალნენ.

.აღნიშნული ქმედების გამო სიდამონიძე დათხოვნილ იქნა შს ორგანოებიდან, ხოლო მე-3 განყოფილების უფროსი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი გოჩა ალფაიძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

მასალები გადაიგზავნა საქართველოს პროკურატურაში, სადაც ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომელთა მიმართ აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე, სსკ 118-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

*

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ იქნა კორუფციული ხასიათის დანაშაულებიც. მათ შორის:

– თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს მე-8 განყოფილების თანამშრომლების მიერ დაკავებული და შს განყოფილებაში წარდგენილ იქნა არასრულწლოვანი ვილენ მოროხია, რომელსაც ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა „ფ-1" ტიპის ხელყუმბარა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ვ. მოროხიას მიმართ 2001 წლის 17 ოქტომბერს აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე და აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა. აღნიშნული ბრძანების ასლი მე-8 განყოფილებაში მიღებულ იქნა 19 ნოემბერს, ბრძანების შესრულება განყოფილების ხელმძღვანელობას კონკრეტული თანამშრომლისათვის არ დაუვალებია. უფრო მეტიც, მე-8 განყოფილების უფროსის მოადგილე კრიმინალური პოლიციის ხაზით, პოლიციის ვიცე-პოლკოვნივი მ. გაბუნია საქმის მოგვარების მიზნით, საეჭვო კავშირში შევიდა ი. მოროხიასთან და სთხოვდა ქრთამს. აღნიშნული ამ უკანასკნელის მიერ დაფიქსირებულ იქნა ფარული კამერით.

შემოწმების საფუძველზე მე-8 განყოფილების სსს ქვეგანყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი ლუხუმი ჯაშიაშვილი და

კრიმინალური პოლიციის უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი მ. გაბუნია დათხოვნილ იქნენ შს ორგანოებიდან, ხოლო ამავე განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი ნუგზარ როსნაძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

მასალები გადაიგზავნა საქართველოს პროკურატურაში, სადაც მ. გაბუნიასა და სხვათა მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის №7402802 საქმე, სსკ 333-ე მუხლის I ნაწილით და 19-338-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

*

2002 წლის მარტს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის გადაცემა „60 წუთში" გავიდა სიუჟეტი საგარეჯოს საგამოძიებო განყოფილების უფროსის თემურ მასურაშვილისა და გამომძიებელ მამუკა ჯიქურაშვილის მიერ მოქალაქე დავით თედიაშვილისაგან 2500 აშშ დოლარის გამოძალვის ფაქტთან დაკავშირებით.

შემოწმებით დადგინდა, რომ 2001 წლის 14 მაისს საგარეჯოს შს რაიგანყოფილებაში შესული იქნა შეტყობინება მოქალაქე დ. თედიაშვილის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან სამი მოქალაქის დაჭრის ფაქტზე. აღნიშნულთან დაკავშირებით მოკვლეული მასალები 17 მაისს გადაიგზავნა შინაგან საქმეთა საგარეჯოს რაიონის საგამოძიებო განყოფილებაში და შესასრულებლად დაევალა გამომძიებელ მამუკა ჯიქურაშვილს, რომელმაც მასალებზე მოკვლევა და წინასწარი გამოძიება ჩაატარა საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევით. კერძოდ, მ. ჯიქურაშვილმა, გაუმართლებელი მიზეზების გამო, წინასაგამოძიებო შემოწმება დაიწყო 2001 წლის 8 ივნისს, ე. ი. 22 დღის შემდეგ, მასალები დიდი ხნის მანძილზე დატოვა რეაგირების გარეშე და სისხლის სამართლის საქმე აღძრა მხოლოდ 2001 წლის 17 სექტემბერს, ე. ი. მიღებიდან 4 თვის შემდეგ. ამასთან, პირველადი საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა საქმის აღძვრიდან 2 თვის შემდეგ, 2001 წლის 9 ოქტომბერს და სამთვიან საგამოძიებო ვადაში ჩატარდა მხოლოდ 5 საგამოძიებო მოქმედება.

გარდა ამისა, გამომძიებელი მ. ჯიქურაშვილი საეჭვო კავშირში შევიდა ბრალდებულ დ. თედიაშვილის დედასთან და მათ შორის გამართული საუბარი დაფიქსირდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტების მიერ.

აღნიშნული მოქმედებით გამომძიებელმა მ. ჯიქურაშვილმა უხეშად დაარღვია საქართველოს სსსკ 265-ე მუხლის მე-4 ნაწილის „პოლიციის შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნები და ჩაიდინა ქმედება, რომელიც შეუთავსებელია შს ორგანოს თანამშრომლისათვის.

ზემოაღნიშნული უხეში დარღვევები განაპირობა საგარეჯოს საგამოძიებო განყოფილების უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის თემურ მასურაშვილის მხრიდან გამოჩენილმა უკონტროლობამ, საშემსრულებლო დისციპლინის მოშლამ და სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანმა შესრულებამ, რასაც შედეგად მოჰყვა გამოძიების წარმოება უხარისხოდ, საპროცესო კანონმდებლობის უხეში

დარღვევებით და უსისტემოდ. ამასთან, თ. მასურაშვილი საეჭვო კავშირში შევიდა ბრალდებულის მხარის წარმომადგენელთან.

აღნიშნული ქმედების გამო საგარეჯოს რაიონის საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი მამუკა ჯიქურაშვილი და ამავე განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი თემურ მასურაშვილი დათხოვნილ იქნენ შს ორგანოებიდან.

მასალები გადაიგზავნა საქართველოს პროკურატურაში, სადაც თ. მასურაშვილისა და მ. ჯიქურაშვილის მიმართ აღიძრა №7402839 სისხლის სამართლის საქმე, სსკ 332-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე ამჟამად გამოძიებას აწარმოებს საგარეჯოს რაიონის პროკურატურა.

*

ხშირია შინაგან საქმეთა (პოლიციის) თანამშრომელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევებიც.

– 2002 წლის 23 ივნისს ეთერში გავიდა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის „60 წუთში" მომზადებული სიუჟეტი, რომელშიც ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს სამსახურის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი კოტე ყურაშვილი პოლიციის აგენტს შანტაჟის გზით აიძულებდა ჩაედო ნარკოტიკი უდანაშაულო ადამიანისათვის.

ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ პოლიციის თანამშრომლების: ვ. მონასელიძისა და გ. ბაკურაძის მანქანით მგზავრობისას მათთან კავშირში მყოფმა პირმა ფარული კამერით გადაიღო ამ უკანასკნელების, შემდგომში კი კ. ყურაშვილის მიერ სამუშაო ოთახში მასთან გამართული საუბრის სიუჟეტები, ამასთან, მან პოლიციის დასახელებულ თანამშრომლებს ბრალი დასდო კანონსაწინააღმდეგო საქმიანობასა და დანაშაულში კერძოდ, მისთვის დანაშაულის პროვოცირების მიზნით ნარკოტიკული ნივთიერების „ჰეროინის" გადაცემაში.

პოლიციის თანამშრომლის სახელისა და ოფიცრის წოდების დისკრედიტაციისათვის კ. ყურაშვილი დათხოვნილ იქნა შს ორგანოებიდან.

*

გენერალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო მიღებისა და შენახვის ფაქტებთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა 9 სამსახურებრივი შემოწმება, რა დროსაც შს ორგანოებიდან დათხოვნილ იქნა პოლიციის 10 (7 ოფიცერი, 3 რიგითი) თანამშრომელი, ხოლო 7 თანამშრომლის მიმართ აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის:

– 2002 წლის 15 მარტს მხილებული იქნა ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის რიგითი

პოლიციელი შ. გაჩეჩილაძე, რომელიც იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ.

შ. გაჩეჩილაძე დათხოვნილ იქნა შს ორგანოებიდან.

– 2002 წლის 5 აპრილს მხილებულ იქნა წყალტუბოს შს განყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორი დ. კუხიანიძე, რომელსაც აღმოაჩნდა 16,5 გრამი „ჰეროინი".

დ. კუხიანიძე დათხოვნილ იქნა შს ორგანოებიდან.

– 2002 წლის 26 ივნისს მხილებულ იქნა მარნეულის შს განყოფილების ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი გ. შეროზია, რომელსაც აღმოაჩნდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი.

გ. შეროზია დათხოვნილ იქნა შს ორგანოებიდან.

– 2002 წლის 13 ნოემბერს მხილებულ იქნა თბილისის ისანი-სამგორის რაიონის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი მ. შენგელია, რომელიც უკანონოდ ინახავდა ნარკოტიკულ ნითვიერებას და იმყოფებოდა მისი ზემოქმედების ქვეშ.

· გ. შენგელია დათხოვნილ იქნა შს ორგანოებიდან.

*

2002 წლის განმავლობაში გამოვლენილ იქნა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ტვირთების უკანონო გაცილების 7 ფაქტი, კერძოდ:

– 3 იანვარს ტვირთების უკანონო გაცილებაში მხილებულ იქნენ თბილისის საგზაო პოლიციის უფროსი ინსპექტორები: ნ. ადეიშვილი და ზ. ბეჟუაშვილი;

– 6 მარტს შსს აკადემიის სატრანსპორტო საშუალებათა და ტექნიკის მართვის ინსპექტორი ს. ბერაძე, რომლებიც აცილებდა ფქვილით დატვირთულ „კამაზი"-ს მარკის ავტომანქანას.

ასევე გამოვლენილ იქნა თბილისის ისანი-სამგორის შსს სსს უფროსი ინსპექტორი თ. ვალიშვილი, რომელსაც მასზედ განპირობებული სამსახურებრივი ავტომანქანით „ვაზ-2106", სახ. №პოლ 233-ით, ერგნეთიდან თბილისში გადმოჰქონდა 10 ყუთი კონტრაბანდული სიგარეტი.

თ. ვალიშვილი დათხოვნილ იქნა შს ორგანოებიდან.

*

2002 წლის მანძილზე გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა მიერ ავტომანქანების უმიზეზო გაჩერების ფაქტზე გამოვლენილ იქნა საგზაო პოლიციის 83 თანამშრომელი, რომელთა მიმართაც გატარებულია შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებები.

ცალკე მსჯელობის საგანია შს ადგილობრივი დანაყოფების მიერ დანაშაულის ფაქტების სახელმწიფო აღრიცხვიდან დამალვის მანკიერი ტენდენცია. საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ იქნა დანაშაულის სახელმწიფო აღრიცხვიდან დამალვის 44 ფაქტი, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირება, თუმცა აღნიშნული მონაცემები არ ასახავს ამ კუთხით რეალურად არსებულ სურათს.

როგორც აღინიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მონაცემებით, 2002 წლის განმავლობაში პროკურატურის ორგანოებში გადაიგზავნა 287 მასალა, შინაგან საქმეთა (პოლიციის) თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა სახის დანაშაულთა ჩადენის შესახებ.

მიუხედავად ამისა, როგორც გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი პროკურატურის ორგანოების საგამოძიებო მუშაობის შესახებ სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, დასახელებული სახის დანაშაულობებზე აღძრულია 64 სისხლის სამართლის საქმე, ანუ გადაგზავნილი საქმეების 46,7 პროცენტი, რომელთაგან წარმოებით შეწყდა 11 სისხლის საქმე, ანუ 17,8 პროცენტი, ხოლო სასამართლოებში წარიმართა 26 სისხლის სამართლის საქმე, ანუ აღძრული საქმეების 40,6 პროცენტი, რაც არადამაკმაყოფილებლად უნდა იქნას შეფასებული.

რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის მდგომარეობას, უზენაესი სასამართლოს 2002 წლის სტატისტიკური ანგარიშის მიხედვით, დასახელებულ პერიოდში მათთან არ შესულა დასახელებული კატეგორიის მასალები და, შესაბამისად, არ განხილულა და მსჯავრი არ დადებია შინაგან საქმეთა ორგანოებისა და პოლიციის არცერთ თანამშრომელს.

## შინაგან საქმეთა ორგანოებიდან საპყრობილეებში პატიმართა სხეულის სხვადასხვა დაზიანებებითა და პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით მოთავსების შესახებ

2001 და 2002 წლებში სისტემატურად ეგზავნებოდა რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორს პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევითა და სხეულის სხვადასხვა დაზიანებებით, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეში პატიმართა მოთავსების მიზეზების შესწავლისა და ასეთი შემთხვევების აღმოფხვრის მოთხოვნით. მიუხედავად სამინისტროსა და გენპროკურატურის მიერ ჩატარებული სამუშაოებისა, კვლავინდებურად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, რაც მიუთითებს ამ მიმართებით გაწეული მუშაობის არადამაკმაყოფილებელ ხასიათსა და გასატარებელი ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობაზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული მასალების შესწავლით გამოირკვა, რომ 2002 წლის 1 ივლისიდან 2003 წლის 1 იანვრამდე საპყრობილეებში სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებით მოთავსებულ იქნა 221, ხოლო განსაზღვრული ვადების დარღვევით – 83, სულ – 304 პატიმარი.

აქედან, ქ. თბილისის №5 საპყრობილეში შესახლებული იქნა 275, ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში – 23, ხოლო ქ. ზუგდიდის №4 საპყრობილეში – 6 პატიმარი.

კერძოდ, ქ. თბილისის №5 საპყრობილეში სხეულის დაზიანებით გადაყვანილ იქნა 195 პატიმარი, ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში – 21, ხოლო ქ. ზუგდიდის №4 საპყრობილეში – 5.

კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევით ქ. თბილისის №5 საპყრობილეში შესახლებული იქნა 80 პატიმარი, ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში – 2, ხოლო ქ. ზუგდიდის №4 საპყრობილეში – 1.

ქ. თბილისის №5 საპყრობილეში სხეულის დაზიანებით შესახლებულ იქნა: ქ. თბილისის შს სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორიდან 75; შს სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორიდან – 14; უშიშროების სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორიდან – 16; სატრანსპორტო პოლიციის შინაგან საქმეთა სამმართველოდან – 1; ქ. თბილისის სამხედრო პროკურატურიდან – 1; ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს რაიგანყოფილებიდან – 3; ქ. თბილისის ისანი-სამგორის შს რაიგანყოფილებიდან – 10; ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს შს რაიგანყოფილებიდან – 3; ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს რაიგანყოფილებიდან – 3; გორის შს სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორიდან – 9; მცხეთის შს სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორიდან – 3; კასპის შს რაიგანყოფილებიდან – 7; რუსთავის შს დროებითი დაკავების იზოლატორიდან – 11; თელავის შს რაიგანყოფილებიდან – 3; გარდაბნის შს რაიგანყოფილებიდან – 5; ხაშურის შს რაიგანყოფილებიდან – 3; აფხაზეთის შს სამინისტროდან – 1; მარნეულის შს რაიგანყოფილებიდან – 4; წალკის შს რაიგანყოფილებიდან – 1; ბორჯომის შს რაიგანყოფილებიდან – 2; გურჯაანის შს რაიგანყოფილებიდან – 2; თეთრიწყაროს შს რაიგანყოფილებიდან – 1; სიღნაღის შს რაიგანყოფილებიდან – 2; დუშეთის შს რაიგანყოფილებიდან – 1; თიანეთის შს რაიგანყოფილებიდან – 4; ქვემო ქართლის შს სამხარეო რაიგანყოფილებიდან – 1; დედოფლისწყაროს შს რაიგანყოფილებიდან – 1; ქარელის შს რაიგანყოფილებიდან – 2; ახალქალაქის შს რაიგანყოფილებიდან – 1; ახალციხის შს რაიგანყოფილებიდან – 2; ახმეტის შს რაიგანყოფილებიდან – 1; საგარეჯოს შს რაიგანყოფილებიდან – 1 და ყვარლის შს რაიგანყოფილებიდან – 1 პატიმარი.

ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში სხეულის დაზიანებით შესახლებული იქნა: ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორიდან – 4; ბაღდათის შს რაიგანყოფილებიდან – 1; ხონის შს რაიგანყოფილებიდან – 1; თერჯოლის შს რაიგანყოფილებიდან – 1; საჩხერის შს რაიგანყოფილებიდან – 1; მარტვილის შს რაიგანყოფილებიდან – 1; სამტრედიის შს რაიგანყოფილებიდან – 6; წყალტუბოს შს რაიგანყოფილებიდან – 2; ზესტაფონის შს რაიგანყოფილებიდან – 2; ონის შს რაიგანყოფილებიდან – 1 და ჭიათურის შს რაიგანყოფილებიდან – 1 პატიმარი.

ქ. ზუგდიდის №4 საპყრობილეში სხეულის დაზიანებით შესახლებულ იქნა: სენაკის შს რაიგანყოფილებიდან – 1; ზუგდიდის შს სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორიდან – 3 და წალენჯიხის შს რაიგანყოფილებიდან – 1 პატიმარი.

ქ. თბილისის №5 საპყრობილეში კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევით შესახლებულ იქნა: ქ. თბილისის შს სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორიდან – 18; საქართველოს შს სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორიდან – 3; ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს რაიგანყოფილებიდან – 1; ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს შს დროებითი დაკავების იზოლატორიდან – 1; ქ. თბილისის ისანი-სამგორის შს რაიგანყოფილებიდან – 1; მარნეულის შს რაიგანყოფილებიდან – 2; ახალციხის შს რაიგანყოფილებიდან – 2; ახმეტის შს რაიგანყოფილებიდან – 4; ბორჯომის შს რაიგანყოფილებიდან – 4; ყვარლის შს რაიგანყოფილებიდან – 1; ხაშურის შს რაიგანყოფილებიდან – 3; დმანისის შს რაიგანყოფილებიდან – 1; ქარელის შს რაიგანყოფილებიდან – 2; გორის შს რაიგანყოფილებიდან – 3; სიღნაღის შს რაიგანყოფილებიდან – 1; დედოფლისწყაროს შს რაიგანყოფილებიდან – 1; კასპის შს რაიგანყოფილებიდან – 11; ლაგოდეხის შს რაიგანყოფილებიდან – 9; გარდაბნის შს რაიგანყოფილებიდან – 4; თიანეთის შს რაიგანყოფილებიდან – 2; დუშეთის შს რაიგანყოფილებიდან – 1 და თელავის შს რაიგანყოფილებიდან – 3 პატიმარი.

. ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევით შესახლებულ იქნა: ხონის შს რაიგანყოფილებიდან – 1; სამტრედიის შს რაიგანყოფილებიდან – 1 პატიმარი.

ქ. ზუგდიდის №4 საპყრობილეში კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევით შესახლებულ იქნა: ქ. ზუგდიდის შს რაიგანყოფილებიდან – 1 პატიმარი.

განსაკუთრებით თვალში საცემია ცალკეულ პატიმართა, როგორც კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევით, ასევე სხეულის დაზიანებებით საპყრობილეებში მოთავსების შემდეგი შემთხვევები:

– ხვიჩა ოთარის ძე მღებრიშვილი – შესახლებულია ქ. თბილისის №5 საპყრობილეში 2002 წლის 26 ივნისს შს დროებითი დაკავების იზოლატორიდან. აღენიშნებოდა ნახეთქი ჭრილობა თავის არეში, ზომით 3X4 სმ. ჭრილობაზე ადევს სამი ძაფნაკერი;

– თემურ შალვას ძე შევარდენიძე – შესახლებულ იქნა 2002 წლის 29 ივნისს ქ. თბილისის შსს-დან №5 საპყრობილეში. აღენიშნებოდა დაზიანებები: მარცხენა თვალბუდეზე სისხლნაჟღენთი, ზურგზე მრავლობითი ექსკორაციები, მარცხენა თირკმლის საპროექციო არეში გადაყვლეფილობა, ორივე ფეხის ცერა თითებთან 1 სმ-ის იარები, ორივე ფეხის გულებზე სისხლნაჟღენთები მოლურჯო-მოშავო ფერის;

– სოსო არჩილის ძე მეგრელიშვილი – შესახლებულ იქნა 2002 წლის 31 ივლისს ქ. გორის შს სამმართველოს დ/დ იზოლატორიდან №5 საპყრობილეში. აღენიშნებოდა დაზიანებები: მარჯვენა მხრის შიგნითა ზედაპირზე, ქვემო მესამედში ორი ცეცხლსასროლი ჭრილობა, მარჯვენა წინამხრის გარეთა ზედაპირზე ქირურგიულად დამუშავებული

და გაკერილი ჭრილობა, დაახლოებით 4 სმ-ის ზომის; გულმკერდის უკანა ზედაპირზე, უკანა აქსილარულ ხაზზე, VII ნეკნის დონეზე ცეცხლსასროლი ჭრილობა, დიამეტრით, დაახლოებით 1 სმ.;

– ალექსანდრე დევის ძე ვაშაკაშვილი – ყვარლის შსს განყოფილებიდან გადაყვანილ იქნა იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 2002 წლის 11 დეკემბერს შემდეგი დაზიანებებით: ტრავმის შემდგომი ჰემატომა ორივე თვალბუდის არეში, ცხვირის ძვლის მოტეხილობა და ნაკვეთი ჭრილობები თხემის მიდამოში, ორივე ტუჩის ნახეთქი ჭრილობები, ექსკორაციები სახის მიდამოში, ორივე ყვრიმალის, შუბლის, ცხვირის, გულმკერდის, მუცლის, ზურგ-წელის, ორივე ბარძაყისა და ორივე წვივის არეში ნაფლეთი ჭრილობები და თავის ტვინის შერყევა;

– ალიოშა არტემის ძე იზორია – შესახლებული იქნა 2002 წლის 29 დეკემბერს ქ. სამტრედიის სატრანსპორტო პოლიციის რაიგანყოფილებიდან ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში შემდეგი დაზიანებებით: მარჯვენა ფეხის ბარძაყზე ნაგლეჯი ჭრილობა, მარცხენა თვალის ბუდეზე სისხლნაჟღენთი, შუბლის არეში ნაგლეჯი ჭრილობა ნაკერებით და სხვ.

– ადამ არკადის ძე მირზოიანი – დაკავებულ იქნა 2002 წლის 20 ივლისს, ხოლო №5 საპყრობილეში მოთავსდა საქართველოს შსს დ/დ იზოლატორიდან 2002 წლის 28 ივლისს, ანუ 8 დღის დაგვიანებით;

– გელა ავთანდილის ძე შუბითიძე – დაკავებულ იქნა 2002 წლის 23 ივლისს, ხოლო №5 საპყრობილეში მოთავსდა ლაგოდეხის შს განყოფილებიდან 2002 წლის 29 ივლისს, ანუ 6 დღის დაგვიანებით;

– ავთანდილ გიორგის ძე გოგინაშვილი – დაკავებულ იქნა 2002 წლის 23 ივლისს, ხოლო №5 საპყრობილეში მოთავსდა გორის შს რაიგანყოფილებიდან 2002 წლის 31 ივლისს, ანუ 8 დღის დაგვიანებით;

– ზვიად ჯონდოს ძე გოგატიშვილი – დაკავებულ იქნა 2002 3 აგვისტოს, ხოლო №5 საპყრობილეში მოთავსდა ქ. თბილისის შსს დროებითი დაკავების იზოლატორიდან 2002 წლის 15 აგვისტოს, ანუ 12 დღის დაგვიანებით;

– სიმონ ნიკოლოზის ძე ლუცუბიძე – დაკავებულ იქნა 2002 წლის 21 სექტემბერს, ხოლო №5 საპყრობილეში მოთავსდა თელავის შსს დროებითი დაკავების იზოლატორიდან 2002 წლის 28 სექტემბერს, ანუ 7 დღის დაგვიანებით;

– ვეფხია გიორგის ძე ღვალაძე – დაკავებულ იქნა 2002 წლის 13 ნოემბერს, ხოლო №5 საპყრობილეში მოთავსდა ლაგოდეხის შს სამმართველოდან 2002 წლის 19 ნოემბერს, ანუ 6 დღის დაგვიანებით;

– გია ილიას ძე ნაცვლიშვილი – დაკავებულ იქნა 2002 წლის 13 ნოემბერს, ხოლო №5 საპყრობილეში მოთავსდა ლაგოდეხის შს სამმართველოდან 2002 წლის 19 ნოემბერს, ანუ 6 დღის დაგვიანებით;

– დავით ელგუჯას ძე ჯავახიშვილი – დაკავებულ იქნა 2002 წლის 13 ნოემბერს, ხოლო №5 საპყრობილეში მოთავსდა ლაგოდეხის შს სამმართველოდან 2002 წლის 19 ნოემბერს, ანუ 6 დღის დაგვიანებით;

– გოჩა მურთაზის ძე ბაზიკაძე – დაკავებულ იქნა 2002 წლის 21 სექტემბერს, ხოლო №5 საპყრობილეში მოთავსდა თელავის შსს დროებითი დაკავების იზოლატორიდან 2002 წლის 28 სექტემბერს, ანუ 7 დღის დაგვიანებით.

აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე, 2003 წლის 26 მარტის №170/03 რეკომენდაციით კვლავ მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორსა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

## წყალზე სამაშველო სამსახურის საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ

2001 წლის 23 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს მივმართე (№770/03) შუამდგომლობით, წყალზე სამაშველო სამსახურის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

შუამდგომლობა შეიცავდა მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ საქართველოს ზღვებში, ტბებში, მდინარეებსა და წყალსაცავებში სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი ცალკეულ პირთა უსაფრთხოება, რაც ქმნიდა მოსალოდნელი უბედური შემთხვევებისა და სხვა შესაძლო გართულებების პირობებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა დაეთანხმა სამაშველო საქმიანობის ორგანიზაციული და სტრუქტურული სრულყოფის შესახებ ჩემს შუამდგომლობაში დაყენებულ მოთხოვნებს, ფაქტობრივად კი, შემდგომში ამ საკითხზე მას არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია.

წყალზე სამაშველო ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად სხვადასხვა დაინტერესებულ უწყებათა შორის სამაშველო ღონისძიებათა არაჯეროვანი კოორდინაციის პირობებში, 2002 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სადღეღამისო კრებსის მონაცემებით, რეგისტრირებული იქნა 50 უბედური შემთხვევა. კერძოდ, თბილისში – 5, გორში – 5, ქობულეთში – 3, ხაშურში – 3, ქუთაისში – 2, ჭიათურაში – 2, ზუგდიდში – 2, აბაშაში – 2, საგარეჯოში – 2, ლაგოდეხში – 2, ადიგენში – 2, ხელვაჩაურში – 2, გარდაბანში – 2, ხარაგაულში, რუსთავში, ახალციხეში, ახალგორში, თერჯოლაში, შუახევში, ქედაში, სამტრედიაში, ფოთში, მცხეთაში, ახმეტაში, სენაკში, ბოლნისში, წყალტუბოში, ტყიბულში, წალენჯიხასა და ბაღდათში – თითო-თითო შემთხვევა.

2002 წლის ივლისში, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავში, დაღუპული პირის დაძებნის მიზნით, პოლიციის ადგილობრივი დანაყოფის მითითებით, წყლის გაშვების შედეგად, მოხდა უბედური შემთხვევა, რა დროსაც დაიხრჩო ორი არასრულწლოვანი.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, 2002 წლის 26 ივლისს კვლავ მივმართე რეკომენდაცით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელმაც 2002 წლის 7 ოქტომბერს №49/1-794

წერილით მაცნობა, რომ 1993 წლამდე საქართველოში არსებობდა წყალზე სამაშველო სამსახური, რომლის დაფინანსება ხდებოდა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის №364 დადგენილების თანახმად, წყალზე სამაშველო სამსახურის დაფინანსება გადაყვანილი იქნა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, რამაც, ფაქტობრივად, გამოიწვია მისი დაშლა.

არცერთ წყალზე სამაშველო სადგურს თავის ბალანსზე არ გააჩნია შენობა, კერძოდ, თბილისის ზღვის, ლისისა და კუს ტბის სადგურებს არანაირი პირობა არა აქვთ შექმნილი. მორიგე პერსონალისათვის არ არსებობს ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები (შუქი, ტელეფონი, რადიოკავშირი), სანაოსნო ტექნიკა და საშუალებები. წყალზე მაშველთა აღჭურვილობის უმეტესობა გაუმართავი და მოძველებულია. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ 2002 წლის პირველ ნახევარში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გამოკლებით, წყალში დამხრჩვალთა რიცხვმა შეადგინა 43 კაცი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 1993 წლამდე ანალოგიურ მონაცემებს.

შინაგან სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დავალებოდა წყალზე სამაშველო სამსახურების შექმნა მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე არსებული ობიექტების (სანაპიროების, პლაჟების, წყალსაცავების, მდინარეების და ა. შ.) სირთულისა და მოცულობის გათვალისწინებით.

ვინაიდან ამ ობიექტების უმრავლესობა პრივატიზებულია და კერძო სამართლის იურიდიულ პირთა საკუთრებას წარმოადგენს, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წყალზე მაშველები ასეთ ობიექტებს მომსახურებოდნენ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, კერძო სექტორი თავის თავზე აიღებდა სამაშველო ძალების ფინანსურ-მატერიალურ უზრუნველყოფას.

შინაგან საქმეთა მინისტრის აღნიშნული წერილიდან აგრეთვე ირკვეოდა, რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილი იყო აღნიშნული საკითხის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის საუწყებათაშორისო მუდმივი კომისიის სხდომაზე განსახილველად გატანა, სხდომის ჩატარების თაობაზე კი მეცნობებოდა დამატებით.

მიუხედავად ამისა, დღემდე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ მოახერხა ჩემს რეკომენდაციებში დაყენებული საკითხების გადაჭრა, რაც დადასტურებას პოულობს სამინისტოს 2003 წლის 7 თებერვლის №49/1-67 წერილით. როგორც აღნიშნული წერილიდან ირკვევა, ფაქტობრივად, სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის მთავარ სამმართველოსა და მასზე დაქვემდებარებულ სამსახურებს 1998, 1999, 2000, 2001 და 2002 წლებში არ გაუტარებიათ წყალზე სამაშველო საქმიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ორგანიზაციული და პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები.

# სომალის ნაპირებთან გემის ეკიპაჟის წევრების, საქართველოს 6 მოქალაქის მძევლად აყვანის შესახებ

2002 წლის ივნისში სომალის ნაპირებთან მეკობრეებმა დააკავეს ბერძნული კომპანია „PALAS NAVIGATIONAL"-ის კუთვნილი გემი „GENLIL" გამოსასყიდის მიღების მიზნით. გემის ეკიპაჟის 6 წევრი იყო საქართველოს მოქალაქე, მცხოვრებნი ქ. ფოთში. დაკავებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ გამტაცებლებმა მეზღვაურებს დაარეკინეს სახლში. ისინი იტყობინებოდნენ, რომ გამტაცებლები მათ გათავისუფლებაში ითხოვდნენ 600 000 აშშ დოლარს, ამასთან, მეზღვაურები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ იმყოფებოდნენ მძიმე პირობებში და სასწრაფოდ ესაჭიროებოდათ დახმარება.

გახდა თუ არა ჩემთვის ცნობილი აღნიშნული ფაქტი, საკუთარი ინიციატივით დავიწყე მისი შესწავლა („სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლი), მით უმეტეს, რომ საბერძნეთში გემთმფლობელმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადა და უარი თქვა გამოსასყიდი თანხის გადახდაზე ან რაიმე სახის დახმარების გაწევაზე. დავუკავშირდით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ მართალაც, რომ 21-ე საუკუნისათვის უცნობი და არაორდინალური პრობლემის მოგვარებაში დახმარებისათვის.

2002 წლის ივლისში მივმართე თხოვნით საერთაშორისო წითელ ჯვარს, რათა აღმოეჩინათ დახმარება უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის, ვინაიდან ერთ-ერთი მეზღვაური ავადმყოფობდა და ამასთან ერთად, განიცდიდნენ პროდუქტების ნაკლებობას.

როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა მოინახულეს მეზღვაურები და აღმოუჩინეს მათ დახმარება.

2002 წლის სექტემბერში მეზღვაურებთან საუბრისას გაირკვა, რომ გამტაცებლებთან არც საბერძნეთისა და არც საქართველოს მხრიდან არანაირი მოლაპარაკება არ მიმდინარეობს, მეზღვაურების მდგომარეობა კი გაუარესდა.

2002 წლის 9 სექტემბერს განცხადებით მოგვმართა საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირებმა დახმარებისათვის.

2002 წლის 18 სექტემბერს შუამდგომლობის წერილით მივმართე საბერძნეთის რეპუბლიკის პრეზიდენტს, მის აღმატებულება კონსტანტინოს სევასტოპულოსს და საბერძნეთის რესპუბლიკის ომბუდსმენს, ბატონ ნიკოფოროს დიამანდოროს, რათა გამოეყენებინათ ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ უკიდურეს სიტუაციაში აღმოჩენილი ადამიანებისათვის, მათი ეროვნებისა თუ მოქალაქეობის მიუხედავად, აღმოეჩინათ დახმარება.

საბერძნეთის ომბუდსმენისაგან მივიღეთ რამდენიმე პასუხი, რომლებითაც იგი გვატყობინებდა, რომ მიმართა საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული არაორდინალური მდგომარეობა მშვიდობიანად მოგვარდებოდა.

2002 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შედგა შეხვედრა მეზღვაურთა ოჯახების წევრებთან, რომლებმაც უკიდურესი უკმაყოფილება გამოთქვეს ხელისუფლების უმოქმედობის გამო. ისინი ელოდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები, რომელთა მოვალეობაა საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა, შეასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს.

გაჩნდა იმედი ჩვენი მოქალაქეების ტყვეობიდან გამოხსნისა, რის საფუძველსაც იძლეოდა ის გარემოება, რომ ბერძნულმა მხარემ, მათივე განცხადებით, გადარიცხა გამოსასყიდი თანხა, რომელიც უნდა გადაეცა გამტაცებლებისათვის შუამავალს, ვინმე ახმედ ოსმან გენუსას, მაგრამ ამას არ მოჰყვა შედეგი. ამასთან, მეზღვაურების გადმოცემით, მათი ისედაც გაუსაძლისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, მწვავედ განიცდიდნენ საკვებისა და სასმელი წყლის ნაკლებობას.

შუამდგომლობის წერილებით მივმართე საერთაშორისო ორგანიზაციებს: ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, ბ-ნ ალვარო ჰილ-რობლესს, ამერიკის ელჩს საქართველოში, ბ-ნ რიჩარდ მაილსს, ევროკავშირის პრეზიდენტს, ბ-ნ რომანო პროდის, ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტს ბ-ნ კოსტას სომატის, რათა მათ გამოეძებნათ საშუალება და როგორმე აღმოეჩინათ დახმარება უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი საქართველოს მოქალაქეებისათვის.

მინდა სიხარულით აღვნიშნო, რომ ჩვენსა და ყველა იმ ორგანიზაციის მცდელობას, ვინც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში, მოჰყვა დადებითი შედეგი – საქართველოს 6 მოქალაქე 2003 წლის მარტში სამშობლოში დაბრუნდა.

## საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე

საქართველოს მოქალაქეების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, ამ ბოლო წლებში მიღებულია არაერთი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი, მაგრამ დღემდე მას არ მოჰყოლია ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. შევეცდებით ავხსნათ, თუ რატომ ხდება ასე. დასაწყისშივე მოგვიწევს იმის განმარტება, რომ ჩვენს მიზანს სრულებითაც არ წარმოადგენს მოვახდინოთ სახელმწიფო სტრუქტურების, ან რომელიმე სხვა უწყების ფუნქციების დუბლირება და დეტალურად ვისაუბროთ ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე; მხოლოდ წარმოვაჩენთ იმ ძირითად პარამეტრებს, რომლებიც უშუალო კავშირშია ადამიანის უფლებებთან. უკანასკნელ წლებში იყო რამდენიმე მცდელობა მოეხდინათ ეკონომიკური და სოციალური ასპექტების ინტეგრირება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებში. ავიღოთ თუნდაც ის, რომ 2001 წლის 10 მარტს საქართველოს პრეზიდენტის №89

ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა.“ მისი მიღების მიზანი იყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარების, ეროვნული წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელს გახდიდა დაძლეულიყო სიღარიბე და შექმნილიყო ეფექტიანი ეკონომიკური სისტემა.

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სპეციალისტების აზრით, სიღარიბის დაძლევის პროგრამა წარმოადგენს ერთიან დოკუმენტს, რომელიც ასახავს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე ტრანსფორმატულ პროცესებს, ითვალისწინებს რეფორმების კომპლექსურად და თანმიმდევრულად განხორციელებას, ორგანულად აკავშირებს ერთმანეთთან სამთავრობო პოლიტიკის ყველა მიმართულებას. ამ მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით სპეციალურად შეიქმნა კომისია და მის შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურის ხელმძღვანელები. შეიქმნა ასევე ქვეკომისიები, რომელთა მუშაობაშიც მონაწილეობდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელები და საქართველოს პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტების თავმჯდომარეები. ერთი სიტყვით, პროგრამის შექმნასა და მის განხორციელებაში თითქმის ყველა ხელმძღვანელი მონაწილეობს, მაგრამ პრინციპულობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მდგომარეობა ჯერჯერობით ნამდვილად არ გაუმჯობესებულა.

საქართველო ამჟამად გარდამავალ პერიოდში იმყოფება და ამ მდგომარეობაში მყოფი ყველა სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პრობლემები მთელი სიმწვავით დგას ჩვენს წინაშეც. ეს არის, პირველ რიგში, მოსახლეობის მასობრივი გაღარიბება, უმუშევრობის დონის ზრდა და მისგან გამომდინარე შრომითი მიგრაცია, მაწანწალა ბავშვების და არასრულწლოვანთა პრობლემები, განათლების, შრომის, დასვენებისა და ჯანმრთელობის, პენსიონერების, დევნილების საარსებო მინიმუმის, საშუალო ხელფასის თემა და უამრავი ის პრობლემა, რაც თან სდევს ჩვენს ყოფიერებას. მოკლედ, ჩვენს წინაშე დიდი სოციალური სამყაროა უამრავი პრობლემებით და აქ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს ნებისმიერ რგოლს და ასე განსაჯეთ, კერძო სექტორსაც კი. 2002 წელს საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის 127,9 ლარი შეადგინა, ხოლო საშუალო ოჯახისათვის – 222.4 ლარი, მაშინ როცა საშუალო ხელფასი საგრძნობლად ჩამორჩება მინიმალური კალათის ღირებულებას. იმავდროულად, თვით ხელფასებისათვის განკუთვნილი თანხების მსყიდველობითი უნარიანობაც დაბალია, გრძელდება შემოსავლებისა და ქონების გადანაწილების პროცესი, რასაც თან სდევს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. თუ ადრე შემოსავლის ისეთი წყაროები, როგორებიცაა ხელფასი, პენსია, სტიპენდია და სხვა სოციალური დახმარებები, შეადგენდნენ შემოსავლის სტაბილურ წყაროს, დღეისათვის მათ არსებითად დაკარგეს მნიშვნელობა, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობისათვის. შეიცვალა ხარჯების სტრუქტურაც. თუ ადრე

კვებაზე იხარჯებოდა შემოსავლების დაახლოებით ნახევარი, ამჟამად იგი 70 პროცენტს შეადგენს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამით დაფინანსებული ეროვნული ჰუმანური განვითარების მომუშავე ჯგუფის გათვლები ნათლად ასახავს კვებაზე გაწეული ხარჯების გათვალისწინებით სიღარიბის პროცენტულ მაჩვენებელს.

| რეგიონი | სიღარიბის რაოდენობა %-ში | |
|---|---|---|
| | ზამთარი | ზაფხული |
| თბილისი | 38,2 | 27,8 |
| იმერეთი | 61,4 | 58,1 |
| ქვემო ქართლი | 55,7 | 43,8 |
| კახეთი | 67,7 | 37,7 |
| სამეგრელო | 29,9 | 47,9 |
| აჭარა | 39,6 | 22,8 |
| შიდა ქართლი | 51,5 | 46,2 |
| სამცხე-ჯავახეთი | 55,7 | 36,3 |
| გურია | 64,9 | 55,8 |
| მცხეთა-მთიანეთი | 42,2 | 41,9 |
| რაჭა და ქვემო სვანეთი | 61,1 | 48,5 |
| მთლიანად საქართველოში | 50,71 | 41,55 |

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ღარიბთა რაოდენობა ზაფხულში საგრძნობლად იკლებს ზამთართან შედარებით, არადა ზამთარში მოსახლეობის 50%-ზე მეტი სრულ სიღარიბეშია.

დამკვიდრებულმა ცხოვრების ასეთმა წესმა შექმნა მძიმე სოციალური პირობები, გაიზარდა უმუშევართა რიცხვი და ისიც, ვინც მუშაობს, სულ იმის შიშია, არ დაკარგოს სამუშაო ადგილი. თითოეული ადამიანი ცდილობს ყველაფერი იღონოს საკუთარი ოჯახის გადასარჩენად. ამ ადამიანის უფლებები ვინმემ ხომ უნდა დაიცვას და დამნაშავეს პასუხი მოეთხოვოს? ამიტომაცაა, რომ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაცია დღეს მრავლადაა, სასურველი შედეგისაგან კი შორსა ვართ. იმიტომ კი არა, რომ დამცველი ორგანიზაციები უმოქმედოდ არიან, არამედ იმიტომ, რომ პასუხი არ მოეთხოვებათ მათ, ვისი მიზეზითაც აშკარად ირღვევა ადამიანის უფლებები. ყურადღება არ ექცევა რეკომენდაციების, წინადადებების, დასკვნების, შუამდგომლობების საფუძვლიანობას და საერთოდ, კანონს. ამით კი ხელი ეწყობა არაჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, რამაც მოსახლეობაში დაამკვიდრა სრული გულგატეხილობა, რწმენის დაკარგვა, იმძლავრა „წერე და იკითხე"-ს სინდრომმა.

## შრომით დასაქმებაში არსებული პრობლემები

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს სტაბილურად უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. 1999 წელს იგი შეადგენდა 364 მლნ. აშშ დოლარს, 2000 წელს – 320 მლნ. დოლარს, 2001 წელს – 364 მლნ. დოლარს, ხოლო 2002 წელს – 325 მლნ. დოლარს. ბოლო წლებში, გარკვეულწილად, უარყოფითი ბალანსის შემცირება ძირითადად საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაში ჯართის წილის მნიშვნელოვანმა გაზრდამ გამოიწვია, რამაც ბოლო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 250 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტირებულ საქონელში მისი წილი 10-12 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ეკონომიკის . არამდგრადი მდგომარეობა ნამდვილად არ იძლევა საშუალებას, თანმიმდევრულად აღმოიფხვრას შრომით დასაქმებაში არსებული უარყოფითი ტენდეცია. თანაც, დღეს ზუსტად ვერავინ იტყვის, თუ რამდენი უმუშევარია ქვეყანაში. თუმცა, ოფიციალური მონაცემებით, დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობამ 2002 წლის შედეგების მიხედვით 39,3 ათასი შეადგინა, რაც წინა 2001 წლის დონესთან შედარებით 2,2 პროცენტითაა გაზრდილი, ხოლო თვით 2001 წლის მაჩვენებელი 2000 წელთან შედარებით – 2,1 პროცენტით. ამდენად, უმუშევრობა წლიდან წლამდე იზრდება. საქმე იმაშია, რომ შრომის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ დასაქმებულად ითვლება ის, ვინც უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში თუნდაც ერთი საათი მაინც მუშაობდა. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად აღრიცხული უმუშევრების მონაცემები რეალობისაგან, რასაკვირველია, შორს არის და 2002 წლის შედეგების მიხედვით, თვით

რეგისტრირებული უმუშევრობის თითქმის ნახევარი (49,2 პროცენტი) სპეციალისტია, ხოლო ყოველი მესამე – მუშა. ამავე დროს, საშუალოდ ერთ უმუშევარზე, 2002 წელს გაცემულმა შემწეობის თანხამ 13,2 ლარი შეადგინა. ასეთ დროს ჩვენთან ბევრი მოდის დასაქმების მოთხოვნით. შევჩერდები მხოლოდ ერთ მაგალითზე. აი, რას იწერება, საქართველოს დედათა კავშირის თავმჯდომარე, ქალბატონი ნაზი ქაშიბაძე: „ხელისუფლების მიერ 14-ლარიან პენსიონერებს, ვერა და ვერ გაუმჯობესდა ცხოვრება. უფრო მეტიც, იზრდება ახალგაზრდა უმუშევართა რიცხვი. საქართველოს პარლამენტმა თავისთვის მოიცალა და 500-ლარიანი პენსია დაინიშნა, მაგრამ ვის ახსოვს უბრალო პენსიონერი, თანაც ის, რომელიც მას ირჩევს." მსგავსი სახის წერილები მრავლადაა და მათი შინაარსი უსაფუძვლო ნამდვილად არ არის. მით უმეტეს მაშინ, როცა 2002 წელს მინიმალურმა ხელფასმა შეადგინა 20 ლარი. რისთვისაა სამყოფი ეს თანხა? დიდი გათვლები ნამდვილად არ არის საჭირო. პიროვნება იღებს ხელფასს, ე. ი. მუშაობს და თუ მუშაობს, მეტწილ შემთხვევაში, დადის ტრანსპორტით, რისთვისაც 22 სამუშაო დღეზე გადაანგარიშებით სჭირდება 8,8 ლარი (მგზავრობის ღირებულება 20 თეთრი), ელექტროენერგიის მოხმარების მაჩვენებელი შეადგენს 9,62 ლარს თვეში, რითაც საშუალება ეძლევა დღეში ჩართული ჰქონდეს 100-ვატიანი ნათურა მხოლოდ 5 საათის განმავლობაში, ერთი მაცივარი 4 საათის განმავლობაში და ყოველ ოთხ დღეში ერთხელ პატარა წყლის გამაცხელებელი. თვეში 12 ლარის ღირებულების გაზის მოხმარება საკმარისია კერძის გასაკეთებლად დღეში ერთხელ და ოთხი საათის განმავლობაში გათბობის ქურის დასანთებად. ამდენად, მარტოხელა მოზრდილი ქალის, ან მამაკაცისათვის ჩამოთვლილი კომპონენტები – ელექტროენერგია, გაზი, ტრანსპორტი ჯამში თვეში შეადგენს 35,4 ლარს, არადა, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყანაში 2002 წელს მინიმალური ხელფასი 20 ლარს შეადგენდა, ხოლო 2003 წლის ბიუჯეტით გაიზარდა 35 ლარამდე. მაგრამ პრობლემა ამით არ მოხსნილა. აღსანიშნავია ისიც, რომ უმუშევრთა კატეგორიას ძირითადად, 20-30 წლის ასაკის ახალგაზრდები მიეკუთვნებიან. ამ ასაკობრივი ჯგუფის ნახევარზე მეტი სტაბილური სამუშაო ადგილების დეფიციტზე მიუთითებს. უმუშევართა სერიოზული პრობლემა ასევე 30-45 წლის მოსახლეობის ორ მესამედშიცაა ასახული. ოფიციალური ციფრებით, უმუშევრობა მთლიანად საქართველოში 25,6%-ს შეადგენს, ხოლო თბილისში – 30-40%-ს აღწევს. საქართველოს დედაქალაქში ყოველი მესამე სამუშაო ასაკის მქონე ადამიანი შრომის ბაზრის მიღმაა დარჩენილი იმიტომ, რომ, ან ვერ შოულობს სამსახურს, ან კიდევ, დაკარგა სამუშაოს მოძებნის იმედი და აღარც ცდილობს. ერთი სიტყვით, დასაქმების სფეროში მრავლად დაგროვდა პრობლემა. საჭიროა დასრულდეს პასიური პოლიტიკის ხანა და ქვეყანა სასწრაფოდ უნდა გადავიდეს აქტიურ მოქმედებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სამომავლოდ მდგომარეობა უფრო გართულდება.

# მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა

ყოველ ადამიანს უფლება აქვს გააჩნდეს ცხოვრების ისეთი დონე, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, ასევე უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში. ასეთი სავალდებულო მოთხოვნებია განსაზღვრული, როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოს სამართლებრივი აქტებით. თუმცა, საქართველოს მოქალაქეთა უმეტობისათვის სოციალურად შეჭირვების გამო, მკურნალობა ძნელად ხელმისაწვდომია. ღარიბები ექიმთან ვიზიტს ხშირად უკიდურესობამდე აჭიანურებენ, რაც კონკრეტული ინდივიდის ჯანმრთელობაზე მძიმე შედეგებით აისახება და ოჯახის ბიუჯეტი ბევრად უფრო ზარალდება. თუ მოვიშველიებთ თვით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ბიუროს მონაცემებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ შემცირდა სიცოცხლის ხანგრძლივობა. 2000 წელს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით ყოველ 1000 სულ მოსახლეზე შობადობამ შეადგინა – 8,9, ხოლო გარდაცვალებამ – 9,1. ერთი სიტყვით, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა სამწუხარო ტენდენციით ხასიათდება და შობადობის განუხრელმა კლებამ ხელი შეუწყო დემოგრაფიული დაბერების პროცესს. 2002 წლის მდგომარეობით ქვეყანაში 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის რაოდენობამ 931 ათასი შეადგინა. განსაკუთრებით მაღალია ქალთა დაბერების დონე სოფლად. ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა ასაკოვანი მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემებზე ყურადღების ფოკუსირების აუცილებლობა და ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, გავრცელებული ქრონიკული დაავადებების მართვა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სადაზღვევო პოლისით მოცული მოსახლეობის დიდ ნაწილს პენსიონერები შეადგენენ და მართალია, „უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური დაცვისა და სამედიცინო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 20 მარტის №117 ბრძანებულების შესაბამისად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაფართოებულ იქნა უმწეო კატეგორიისადმი მოსახლეობის მიკუთვნების კრიტერიუმები, რომელიც მოიცავს მარტოხელა და პერსონალურ პენსიონერებს, ყველა დევნილ პენსიონერს, 90 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობას, მაგრამ კარგად მიღებული პროგრამაც კი ვერ იმუშავებს ეფექტიანად, თუ არ მოხდა არსებული რესურსების მაქსიმალური მობილიზება. მართალია, ჯანდაცვის რეფორმა 1992 წელს დაიწყო, მაგრამ ამ მიზნით გამოყოფილ თანხებს, ჯერ არ მოჰყოლია შესამჩნევი წარმატება. რეფორმის შემდეგ ფასიანი სისტემის დაწესებამ თავდაყირა დააყენა წლების მანძილზე არსებული უფასო მომსახურება.

საავადმყოფოების მაღალმა ტარიფებმა მოსახლეობის დიდ ნაწილს ექიმთან მისვლისა და მკურნალობის საშუალება მოუსპო და ისინიც, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აკითხავენ სამკურნალო დაწესებულებებს.

სისტემა, რომლის ჩამოყალიბებასაც რეფორმა ითხოვდა, დღეს უკვე არსებობს. პრიორიტეტებიც, რომელიც რეფორმის ეტაპებმა გამოკვეთა, ასე თუ ისე სრულდება. მათგან ყველაზე უკეთესად მომსახურების ტარიფების საკითხი გადაიჭრა და მასში რიგითი მოქალაქის გადახდისუნარიანობა ნაკლებად არის გათვალისწინებული. იბადება ლოგიკური კითხვა, რა ღირს დღეს საქართველოში ჯანმრთელობის დაცვა, ან უმჯობესი იქნებოდა, კითხვა ასე დაგვესვა: რა გვიღირს ჩვენ, თითოეულ მოქალაქეს, საკუთარი ჯანმრთელობა? საბჭოურ პერიოდში ჯანდაცვის სისტემაზე ყოველწლიურად მთლიანი სახელმწიფო პროდუქტის 2,8%-დან 4,2%-მდე იხარჯებოდა. 1994 წელს ეს მაჩვენებელი 0,3%-მდე დაეცა. რეფორმის შემდეგ, 1999 წელს სახელმწიფო დანახარჯებმა ჯანდაცვაზე შეადგინა 8,95 ლარი, ხოლო 2001 წელს – 12,11 ლარი. მართალია, 2002 წელს, წინა 2001 წელთან შედარებით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ მომსახურებაზე მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა გარკვეულწილად გაიზარდა (0,1 პროცენტი), მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ შეუძლებელია მკვეთრი გარდატეხა მოეხდინა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და არსებულ სოციალურ დაცვაზე. ამიტომაც, ბოლო წლებში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში წამყვანი როლი დაიკავა კომერციულმა საქმიანობამ და ამ საწყისებზე გადასვლა ხდება სახელმწიფო რესურსების უკმარისობის გამო. დღეს თვითდაფინანსებაზე გადასული სამკურნალო დაწესებულებების ადმინისტრაცია იძულებულია, კომუნალური ხარჯები პაციენტის მომსახურების გადასახადში შეიტანოს. ამას რა შედეგი მოსდევს, თუნდაც ერთი კარდიოლოგიის ინსტიტუტის მაგალითზეც მშვენივრად ჩანს: იგი 200 საწოლზე იყო გათვლილი და სრული დატვირთვით მუშაობდა. ახლა, როცა პაციენტისათვის დღე-ღამის გადასახადი თითქმის 50-60 ლარამდეა, თვეში საშუალოდ 15-16 ავადმყოფს თუ ისტუმრებენ. ამის შესახებ წინა საპარლამენტო ანგარიშში უკვე გვქონდა საუბარი, მაგრამ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ვალდებული ვარ, კვლავ ვისაუბრო ამ მწვავე საკითხზე, ვინაიდან საქართველოში მოხუცი ადამიანის პრობლემებით მრავალი დაწესებულება და საზოგადოება არის დაკავებული, მათ შორის – გერონტოლოგიისა და გერიატრიის სამედიცინო-მეთოდური ცენტრი, რომელიც თერაპიის ინსტიტუტის სტრუქტურულ შემადგენლობაში 1976 წლიდან ფუნქციონირებს. ცენტრს აქვს რესპუბლიკაში ერთადერთი 10-საწოლიანი გერიატრიული სტაციონარი, ამიტომ მას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია გამოკვლევისა და რეაბლიტაციის საქმეში. ამ ცენტრის სპეციალისტების გაანგარიშებით, თუკი პაციენტთა კვება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და სამედიცინო მომსახურება განხორციელდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუნდაც წელიწადში 53 ათასი ლარის ფარგლებში, ასეთ შემთხვევაში სტაციონარულ-ამბულატორული დახმარება გაეწეოდა ათასზე მეტ მოხუცს, მაშინ როცა, ფინანსების უკმარისობის გამო

გასულ წელს ასეთი სახის დახმარება გაეწია მხოლოდ ერთეულებს. შექმნილი ვითარების გამო, რეკომენდაციით მივმართე სახელმწიფო მინისტრს, ბატონ ა. ჯორბენაძეს და როგორც ცნობილი ხდება, საკითხი მოგვარების პროცესშია, მაგრამ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ასეთი რამ ცალკე მუხლად გათვალისწინებული არ არის და მიგვაჩნია, რომ გერონტოლოგია აუცილებლად შეტანილ უნდა იქნას ჯანდაცვის რეფორმის პრიორიტეტულ მიმართულებათა ჩამონათვალში, რასაც, ვიმედოვნებ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გაითვალისწინებს. საერთოდ, სამინისტროს როგორც ყოფილ, ასევე დღევანდელ ხელმძღვანელობასთან (ა. ჯორბენაძე, ა. გამყრელიძე) მუდმივი, საქმიანი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გვაქვს და ჩვენი ნებისმიერი რეკომენდაცია მათ მიერ დროულად განიხილება.

## სახელისუფლო ორგანოებში კონტროლზე აყვანილი საქმეების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

სახალხო დამცველის პოსტზე არჩევის შემდეგ, საპარლამენტო ანგარიშში არაერთხელ ავსახე დარღვეული უფლებების კონკრეტული ფაქტები, მიუხედავად ამისა, ხელისუფლების მხრიდან, მთელ რიგ. შემთვევებში, არ კეთდება დასკვნები და ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველთვის არ ავლენენ კეთილ ნებას დარღვეული უფლებების აღსადგენად არა იმიტომ, რომ ჩვენს რეკომენდაციებში მოცემული ფაქტები უსაფუძვლოა, არამედ იმიტომ, რომ მათ არ სურთ კანონიერების აღდგენა, თანაც ისეთ საკითხებზე, რომელსაც არ სჭირდება დამატებითი ფინანსები და შედეგიც სავალალოა. ამის ნათელი დადასტურებაა შემდეგი კონკრეტული ფაქტები:

## №13-ე სამშენებლო ტრესტში შექმნილი ვითარება

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 თებერვლის განკარგულებით, საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის მე-13 ტრესტს დაევალა დაზიანებული უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) ადმინისტრაციული შენობის აღდგენითი სამუშაოების შესრულება, დამკვეთის ფუნქცია კი – მინიტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის სამეურნეო სამმართველოსა და საქართველოს პარლამენტის აპარატს. აღდგენითი სამუშაოების შესრულებას მე-13 ტრესტი კეთილსიდისიერად შეუდგა დამკვეთსა და გენმოიჯარეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და

დადგენილია, რომ სახელმწიფო კანცელარიას, საქართველოს პარლამენტის აპარატს დავალიანებად ერიცხებათ 1 878 620 აშშ დოლარის ეკვივალეტი ლარებში მე-13 ტრესტის სასარგებლოდ. შექმნილი ვითარების გამო არაერთი რეკომენდაცია გაეგზავნა სახელმწიფო კანცელარიას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, აყვანილ იქნა „მკაცრ კონტროლზე", მაგრამ შედეგი უცვლელია და დღევანდელი მდგომარეობით მრავალათასიანი კოლექტივის შრომითი უფლებები აშკარად, სრულიად უსაფუძვლოდ დარღვეულია და ტრესტი გაბანკროტდა.

## საგადასახადო მოხელეთა დარღვეული შრომითი უფლებების შესახებ

2000 წელს საგადასახადო უწყებაში კანონდარღვევით ჩატარებულმა რეფორმამ, თბილისის საგადასახადო მოხელეთა შრომითი უფლებები აშკარად დაარღვია და საგადასახადო-შემოსავლების სამინისტროს გაუქმების შემდეგ ყველა ეს პრობლემა მემკვიდრეობით ერგო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ნაცვლად იმისა, რომ მათ მუშაობა წარემართად ნაკლოვანება-დარღვევების გამოსწორების გზით, ხდება პირიქით. საგადასახადო სისტემაში არსებული პრობლემები არაერთხელ აისახა ჩვენს საპარლამენტო ანგარიშში, გაშუქდა პრესისა თუ ტელევიზიის მეშვეობით, მოეწყო საქმიანი შეხვედრები. უფრო მეტიც, დეპარტამენტმა და სამინისტრომ მუშაობის ისეთი „ახალი ფორმა" დანერგეს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს საერთოდ პასუხგაუცემლად ტოვებენ, რითაც არღვევენ ორგანული კანონის სავალდებულო მოთხოვნებს. თვით მონისტრის, ბატონ მ. გოგიაშვილისათვის ასევე მიუღებელი აღმოჩნდა „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის მე-16 მუხლის „დ" ქვეპუნქტის სავალდებულო მოთხოვნაც, რომ „მინისტრი თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სახელმწიფო დაწესებულებების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას და ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე." ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემი რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ქალბატონ ნ. ბურჯანაძემ საკითხის შესწავლა დაავალა საგადასახდო-შემოსავლებისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებს. მათაც შეისწავლეს, თავიანთი დასკვნებით მოსთხოვეს ბატონ მინისტრს კანონიერების აღდგენა, თუმცა ამასაც არ მოჰყოლია რაიმე რეაგირება. სახელმწიფო მინიტრის, ბატონ, ა. ჯორბენაძის 2002 წლის 17 დეკემბერის, 2003 წლის 7 თებერვალის კონკრეტული დავალებებსაც არ მიექცა ყურადღება და დღემდე

აღუსრულებელია ყველა კანონიერი მოთხოვნა. სამინისტროსათვის ასევე მიუღებელი აღმოჩნდა, საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ე. შევარდნაძის კონკრეტული დავალება იმავე შრომის სამართლის საკითხებთან მიმართებაში. შესაძლებელია ვინმეს დაებადოს კითხვა, იქნება ბატონ მინისტრსა და დეპარტამენტის თავმჯდომარეს (მ. გოგიაშვილი, ი. ზაუტაშვილი) კანონსაწინააღმდეგოს ავალებდნენ. არა, ბატონებო, საუბარია მხოლოდ სამართლიანობის დაცვაზე და ეს ხდება იმის გამო, რომ საქმე გვაქვს ხელმძღვანელ მუშაკთა მხრიდან დაბალ საშემსრულებლო დისციპლინასა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასთან. შექმნილი ვითარების გამო მოვითხოვეთ საკითხი განსახილველად გავიდეს მთავრობის სხდომაზე მკაცრი და ობიექტური ორგანიზაციული შეფასებით. ამჟამად ჩვენს მიერ დეტალურად ისწავლება საბაჟო დეპარტამენტში მოხელეთა შრომითი უფლებების დარღვევის საკითხები და თუ სამინისტრო ამჯერადაც გამოავლენს შესაძლო დარღვევის ფაქტებზე იგივე დამოკიდებულებას, როგორსაც ადგილი ჰქონდა და ამჟამადაც აქვს საგადასახადო სისტემაში, ვფიქრობ, ძალზედ გაჭირდება უფლებადარღვეულ ადამიანთა ინტერესების დაცვა.

# ბინათმშენებლობაში არსებული პრობლემების შესახებ

2002 წელს მოსახლეობის სახსრებით აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 412 საცხოვრებელი სახლი საერთო საცხოვრებელი ფართით – 203,4 ათასი კვ. მეტრი. საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარი სახსრებით აშენდა და ჩაბარდა 1280 კვ. მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. აქედან, თბილისში – 154 საცხოვრებელი სახლი 21,4 ათასი კვ. მეტრით. მიუხედავად ამისა, მძიმე მდგომარეობაა შექმნილი იმ მოქალაქეთა კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში, რომელთა ვალი გააჩნია სახელმწიფოს. ჩვენს მიერ ისწავლებოდა და დღესაც ისწავლება №632,651,652,641,660 და სხვა კოოპერატიულ ბინათმშენებლობის მონაწილეთა კოლექტიური განცხადება და ირკვევა, რომ 1992 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №983 დადგენილებით, სახელმწიფომ ივალდებულა 1992 წლის 1 იანვრისათვის დაუმთავრებელი კოოპერატიულო სახლების მშენებლობის დასრულება და დავალება მიეცა არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს, პირველ რიგში, დაემთავრებინა ის სახლები, რომელთა სამშენებლო სამუშაოები შესრულებული იყო 75%-ით და მეტით, ხოლო დანარჩენის მშენებლობა რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოპმშენი"-ს და კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარმოდგენილი რიგითობის მიხედვით, მაგრამ არაუგვიანეს 1995 წლისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ დაუმთავრებელი სახლების მშენებლობა ძირითადად მოდის თბილისის წილად და თანაც კოოპერატივის წევრებს დაფარული აქვთ სამშენებლო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხები, თუმცა სახლების მშენებლობის დასრულება დღემდე ჭიანურდება. შექმნილი ვითარების გამო, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №592 ბრძანებულებით დამტკიცდა სპეციალური პროგრამა, სადაც აღნიშნულია: „მთლიანად საქართველოში, 92 კოოპერატიულ სახლში, 7186 ბინის, 548780 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართის დარჩენილი სამუშაოების დასრულებისათვის საჭიროა 319,6 მილიონი ლარის გამოყოფა," მაგრამ ამ თანხის არარსებობის გამო ბრძანებულებით დამტკიცდა პროგრამის განხორციელების ეტაპობრივი პერიოდები. პირველ ეტაპად – 1999 წლის სექტემბრისათვის განსაზღვრულ იქნა იმ სახლების მშენებლობის დასრულება, რომელთა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება აღემატებოდა მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის 20%-ს, ხოლო იმ სახლების ექსპლუატაციაში შესვლა, რომელთა ღირებულება ფინანსდებოდა როგორც ცენტრალური, ისე ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტიდან, დაიგეგმა 1999-2005 წლების პერიოდისათვის. მაგრამ ეს პროგრამა არ ხორციელდება გასული წლების მიხედვით დადგენილ ვადაში, ამიტომაც კოოპერატიული ბინათმშენებლობის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი უნებართვოდ არაერთხელ შეიჭრა სხვადასხვა საუწყებო ადმინისტრაციულ შენობებში და ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ დაიკავეს მათ ალ.

თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის საპროექტო შენობა. გარდა ამისა, სახელმწიფო კანცელარიის წინ მოეწყო არაერთი აქცია მოთხოვნით: „სახელმწიფომ უზრუნველყოს აღებული ვალდებულება საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საქმეში ან მოახდინოს ფულადი კომპენსაცია.“ თუმცა, დღემდე პრობლემა მოხსნილი არ არის. ამ მიმართებით მრავალი კონკრეტული ფაქტი არსებობს, მაგრამ მოგახსენებთ მხოლოდ ერთ კონკრეტულ მაგალითზე.

კერძოდ, მოქალაქე ნ. ჩხობაძე (დროებით მცხ. ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. №342) მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1990 წლის 25 აპრილის №1063 გადაწყვეტილებით გაწევრიანდა დიდ დიღომში მშენებარე სამეცნიერო-საწარმო გაერთიანება „თავთავის“ საბინაო-სამშენებლო №647 კოოპერატივში, ოთახნახევრიანი, 59,6 კვ. მეტრის საცხოვრებელი ბინის მისაღებად. ქ-ნ ნ. ჩხობაძემ 1990 წლის 18 ივნისსა და 5 ნოემბერს სრულად დაფარა საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხა, სახლის მშენებლობა კი არ შემდგარა და დღემდე საკუთარი საცხოვრებელი ბინის გარეშეა დარჩენელი. იგი არის უკიდურესად შეჭივრებული, ცხოვრობს ნათესავთან და არავითარი ფინანსური საშუალება არ გააჩნია ბინის შესაძენად. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ „კოოპერატიული ბინათმშენებლობის ღირებულების გაძვირებით გამოწვეული ფასთა სხვაობის კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 9 ოქტომბრის №983 დადგენილების „სახელმწიფო ვალისა“ და „ზოგადი სახის სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის ღონისძიებათა შესახებ“ კანონების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 11 ოქტომბრის №226 ბრძანების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტით, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის თითოეული წევრისათვის საკომპენსაციო გასაცემი თანხის ოდენობა განისაზღვრება ერთი კვ.მ. საერთო ფართის საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე, რათა მიმღებ პირს მიეცეს საშუალება, საბაზრო ფასებში შეიძინოს ანალოგიური პროექტის ბინა. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის 2001 წლის 3 სექტემბრის დამტკიცებული დასკვნით კი, დიდი დიღმის მეექვსე მ/რაიონში სადაც ქ-ნ ნ. ჩხობაძეს უნდა მიეღო ბინა, 1 კვ.მეტრი ფართის საბაზრო ღირებულება 2001 წლის 26 ივლისის მონაცემებით შეადგინა 122 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, რაც მისაღები ბინის ფართზე გადაანგარიშებით 7273 აშშ დოლარის ტოლფასია. შექმნილი ვითარების გამო, 2002 წლის 23 ოქტომბერს შუამდგომლობით ვთხოვეთ თბილისის მერს, ბატონ ვ. ზოდელავას საკითხის გადაწყვეტისათვის, რაც დღემდე მოუგვარებელია.

ბინათმშენებლობაში არსებული პრობლემებთან დაკავშირებით ერთ ისეთ მაგალითზეც შევჩერდები, რომელიც ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ უჭირს მოსახლეობას და როგორ ბოროტად იყენებს ზოგიერთი სამშენებლო კომპანია თავის ძირითად მოვალეობას. კერძოდ, სამშენებლო კომპანია „კავუნიტექს“-ი. 1998 წლის 18 თებერვალს მითითებული კომპანიის პრეზიდენტს, ბატონ მალხაზ მირცხულავასა

და მოქალაქე ეკატერინე კონიაშვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ახალშენისა და ჩიქოვანის ქუჩებს შორის ინდივიდუალური მენაშენობის ამხანაგობა „ხილიანი-96“-ის ინდივიდუალური ასაშენებელი საცხოვრებელი სახლების კომპლექსში ოროთახიანი ბინის საკუთრებაში მიღებისათვის და ამისათვის ბინის მიმღებმა გადაიხადა სათანადო საფასური, მაგრამ კომპანიის მიზეზით დაირღვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების უზრუნველყოფა და არ სრულდება კანონიერ ძალაში შესული თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 2002 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება.

შექმნილი ვითარების გამო, 2002 წლის 6 ნოემბერს რეკომენდაციის სახით მივმართე თბილისის ვაკე-საბურთალოს პროკურორს და როგორც მიღებული პასუხით ირკვევა, შპს „კავ-უნიტექსი“-ს მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ძიებას აწარმოებს თბილისის შს მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახური.

ანალოგიური ფაქტები მრავლადაა და ჩვენის მხრიდან აყვანილია კონტროლზე.

. თითქმის ორი წელია ჩვენს მირ ისწავლება მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების დაუკმაყოფილების შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფო შიდა ვალის დაფარვის საკითხები. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის №374 განკარგულებით, დავალება მიეცა ქალაქის მერს და ფინანსთა სამინისტროს, ეტაპობრივად მოეხდინა „თბილტრანსის“ მძღოლების დავალიანების დაფარვა 2002 წლის ბოლომდე. ამ საკითხზე ჩვენს წინა საპარლამენტო ანგარიშშიც გავამახვილეთ ყურადღება, თუმცა დღემდე ეს საკითხი მოუგვარებელია და არც ჩანს რაიმე სახის პერსპექტივა.

## მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ

დღემდე არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები „ეი-ი-ეს თელასსა“ და ინდივიდუალურ ელექტრომომხმარებლებს შორის. ამით ირღვევა საქართველოს კანონები: „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი აირის შესახებ“, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 2001 წლის 20 სექტემბრის №10 დადგენილება, მიუხედავად დადგენილი ვადის გადატანისა 2001 წლის 31 დეკემბრიდან 2002 წლის 31 დეკემბრამდე.

## 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით

2002 წლის 2 ივნისს, როგორც მთელ საქართველოში, ასევე თბილისში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის

არჩევნები და მოსახლეობის უმრავლესობამ გამოიყენა კონსტიტუციით აღიარებული საარჩევნო უფლება. მიუხედავად ამისა, თბილისში, საკრებულო ფუნქციონირებას შეუდგა 2002 წლის ბოლოს, რითაც დაირღვა „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" კანონის მოთხოვნები. საქმე იმაშია, რომ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 26 ოქტომბრის №1142 დადგენილების თანახმად, 1998 წელს არჩეულმა თბილისის საკრებულომ თავისი უფლებამოსილება შეწყვიტა 2002 წლის 20 ივნისს, მაშინ როცა 2002 წლის 2 ივნისს საყოველთაო წესით ახლადარჩეული საკრებულო არ. შეკრებილა და ამით აშკარად დაირღვა მონაცვლეობის, უწყვეტობის პრინციპი. ამით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო და ევროპის სამართლით აღიარებული ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება. კერძოდ, დაირღვა 1990 წლის 21 ნოემბრის პარიზის ქარტიით აღიარებული მოთხოვნა. ასეთ დარღვევას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2 ივნისის შეჯამებული შედეგები მიუღებელი აღმოჩნდა არჩევნებში მონაწილე ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისათვის. მათ საეჭვოდ მიიჩნიეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნების მონაწილეთა და კენჭისყრის მონაწილეთა თითოეული პარტიისათვის მიცემული ხმებისა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ცსკო-მ ხელმეორედ გადათვალა საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებულ ოქმები. ეს პროცესი გაიწელა დროში და საკრებულო მუშაობას შეუდგა მხოლოდ 2002 წლის ნოემბრის თვეში. 2002 წლის 2 და 8 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში შეიკრიბნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და დეტალური მსჯელობის შედეგად მომზადდა რეკომენდაციები, რომლითაც მივმართე ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პარტიებს, ცსკო-ს წევრებს, რათა მიეღოთ ზომები საკრებულოს სამოქმედოთ, ხოლო პარტიებს გამოევლინათ კეთილი ნება და დამდგარიყვნენ ერთ პოზიციაზე, რათა გადათვლის შედეგები არ გადაზრდილიყო ურთიერთდაპირისპირებაში და თავიანთი მოქმედებებებით ხელი შეეწყოთ არსებული პრობლემების დარეგულირებისათვის. მართლაც, სულ მოკლე ხანში საკრებულო მუშაობას შეუდგა.

## იმერეთის მხარეში საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის საქმიანობა

იმერეთის მხარეში სახალხო დამცველის წარმომადგენლობას საანგარიშო პერიოდში განცხადებით მომართა 357-მა მოქალაქემ, რო-

მელთაგან განხილული იქნა 252 საჩივარი, იურიდიული კონსულტაცია და დახმარება გაეწია 546 მოქალაქეს.

წარმომადგენლობა რეგულარულად ატარებდა მონიტორინგს ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხუთივე განყოფილების წინასწარი დაკავების საკნებში, №2 საპყრობილეში, გეგუთის შრომა-გასწორების დაწესებულებასა და ხონის კოლონიაში.

ქ. ქუთაისის №2 საპყრობილის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, მისი მთლიანი კომპლექსი ამორტიზებულია, კედლები ეროზირებულია, რაც საშიშროებას უქმნის თანამშრომელთა და სპეც-კონტინგენტის სიცოცხლეს.

დასახელებული საპყრობილიდან შემოვიდა 67 პატიმრის მომართვა. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები დაკავების დროს, რითაც უხეშად შეილახა კანონით გარანტირებული უფლებები. კერძოდ, ადგილი აქვს დაკავებულთა მიმართ ფიზიკურ და ფსიქიკურ ზემოქმედებას და წამებას, რაც გამოწვეულია სასურველი ჩვენების გამოძალვასა და სხვა სახის დარღვევებთან. აღნიშნულ გარემოებებზე მიუთითებს ასევე საპყრობილეში შეყვანილ პატიმართა სხვადასხვა სახის დაზიანებები.

საპყრობილის ადმინისტრაცია ხშირად მომართავს მხარის წარმომადგენლობას, რათა სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდეს მოშიმშილეებს. მათთან შეხვედრისას იკვეთება სამართალდამცველთა არაპროფესიონალიზმი და პატიმრებისადმი უსულგულო დამოკიდებულება.

2002 წლის 29 ნოემბერს რწმუნებულის აპარატში შემოვიდა ქ. ზესტაფონში, გია აბესაძის ქ. №8-ში მცხოვრები ნუგზარ ხარატიშვილის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2002 წლის 28 ნოემბერს ის წარადგინეს ქ. ზესტაფონის პოლიციის განყოფილებაში, სადაც პოლიციის მუშაკმა (ზესტაფონის შს რაიგანყოფილების სსს ქ/განყოფილების უფროსი) ემზარ ბოგვერაძემ მოსთხოვა 300 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამომძიებლის დახმარებით შეთითხნიდა სამხილს რაიმე დანაშაულის ჩადენაში ან იძულებულს გახდიდა დაეტოვებინა ქალაქი.

სამსახურის თანამშრომელი შეხვდა პოლიციის მუშაკებს, თვით ნუგზარ ხარატიშვილს, ამ უკანასკნელს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, რის შემდეგ ქ. ქუთაისის ოლქის პროკურორის, ბატონ თამაზ ჭუმბურიძის წინაშე დაისვა საკითხი, რათა მოკვლეულიყო განცხადებაში აღნიშნული გარემოებები.

2002 წლის 23 სექტემბერს შემოვიდა ნათელა დვალიშვილის განცხადება, მისი შვილიშვილის ვეფხია ხურციძის სასჯელის მოხდისაგან ვადამდე გათავისუფლებაში დახმარების აღმოჩენის შესახებ.

რწმუნებულის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს იხდიდა გეგუთის №8 დაწესებულებაში, ვადამდე ადრე გათავისუფლდა.

2002 წლის 9 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულს განცხადებით მომართა წყალტუბოს რაიონის სოფ. ბანოჯაში მცხოვ-

რებმა მოქ. რევაზ კვატაშიძემ. განმცხადებელს დავა ჰქონდა მეუღლესთან ერთად შეძენილი ქონების გაყოფაზე.

საქმეს თავდაპირველად იხილავდა წყალტუბოს რაიონული სასამართლო, რომელმაც 2002 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა კვატაშიძის მეუღლის მოთხოვნა, ამ უკანასკნელმა კი სააპელაციო საჩივრით მიმართა ქუთაისის საოლქო სასამართლოს.

საოლქო სასამართლომ 2002 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება გამოიტანა დაზარალებულის გარეშე. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით 2002 წლის 17 სექტემბერს გაგზავნილ იქნა მიმართვა ქ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარესთან, რათა აღდგენილიყო კანონიერება.

საოლქო სასამართლომ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რწმუნებულის რეკომენდაცია და საქმის ხელახალი განხილვა დანიშნა 2002 წლის 31 ოქტომბერს.

მხარეში სახალხო დამცველის წარმომადგენელს მომართა ქ. ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქ. №47-ში მცხოვრებმა ნუგზარ დახუნდარიძემ. იგი დათხოვნამდე მუშაობდა ქ. ქუთაისის შს სამმართველოს მე-3 განყოფილებაში. მოსარჩელე თვლიდა, რომ მის მიმართ შს სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა ინსპექციამ გამოიჩინა ტენდენციურობა მისი სამსახურიდან დათხოვნის დროს. შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე, ნუგზარ დახუნდარიძე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე.

წარმომადგენლობაში შემოვიდა ასათიანის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ საკმაოდ ძვირადღირებული მრიცხველების შეძენის შემდეგ ბუნებრივი გაზი მიეწოდებოდათ მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში. მხარეში სახალხო დამცველის რწმუნებულის რეკომენდაციის საფუძველზე ასათიანის ქუჩის მოსახლეობას დაუყოვნებლივ მოუწერისგდა პრობლემა.

2002 წლის 5 ივნისს წარმომადგენლობას განცხადებით მომართა ნინო დადუნაშვილმა. იგი ცხოვრობს ქ. ქუთაისში, ჭაბუკიანის ქ. №12-ში, არის მარტოხელა დედა, ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, ეკონომიურად უჭირს. იგი ითხოვდა შუამდგომლობას სასამართლოში, რათა გათავისუფლებულიყო სახელმწიფო ბაჟისგან.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მხარეში სახალხო დამცველის წარმომადგენლობის შუამდგომლობით, დადუნაშვილი გაათავისუფლა სახელმწიფო ბაჟისაგან.

იმერეთის მხარეში სახალხო დამცველის საგანმანათლებლო ცენტრში 2002 წლის 5-10 დეკემბერს ჩატარდა გაეროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული. ამ ღონისძიებაში ჩაერთო იმერეთის მოსახლეობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი ნაწილი. 5 დეკემბერს მოხდა კვირეულის გახსნა ქუთაისის ი. ოცხელის სახელობის №2 კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც მოწვეულ იყვნენ ქალაქის მერიის, ძალოვანი სტრუქტურების, უნივერსიტეტის, ინსტიტუტების, სკოლების, ლიცეუმების წარმომადგენლები, მოსწავლეები და მშობლები. ოფიციალური ნაწილის შემდეგ შედგა ანსამბლ „ალიონის“ კონცერტი.

2002 წლის 6, 7, 8 და 9 დეკემბერს ქ. ქუთაისის სკოლებსა და გიმნაზიებში ჩატარდა ინტერაქტიული ტიპის ღია გაკვეთილები და დისპუტები. სახალხო დამცველის რწმუნებულისა და სკოლების წარმომადგენლების ერთობლივი გადაწყვეტილებით შერჩეულ იქნა შემდეგი თემატიკა:

1. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
2. ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო გამოყენება.

კვირეულში აქტიური მონაწილეობა მიიღო 23-მა სკოლამ. ოთხი დღის განმავლობაში სახალხო დამცველის რწმუნებული და აპარატის თანამშრომლები ესწრებოდნენ ღია გაკვეთილებს, რომელთა სტუმრები იყვნენ სკოლებსა და გიმნაზიებში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები. აპარატის თანამშრომლებმა მათ გადასცეს წიგნი „გზა უფლებებისაკენ", რომელიც ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ არის გამოცემული და საჩუქრად გადაეცა ყველა მე-8 კლასელს, პედაგოგსა და მშობელს.

კვირეული ფართოდ გაშუქდა მხარის სხვადასხვა ტელეარხებითა და პრესით.

ბავშვთა უფლებების გაცნობის მიზნით საგანმანათლებლო ცენტრმა გამოაცხადა კონკურსი. მოსწავლე ახალგაზრდობამ წარმოადგინა ნახატები, ნაჭრები, გრაფიკული ნამუშევრები თემაზე: „მე ვარ ადამიანი".

2002 წლის 10 დეკემბერს მოხდა თემატური გამოფენის გახსნა-დათვალიერება საგამოფენო დარბაზ „ვარლაში". გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ, ხოლო თითოეულ მონაწილეს გადაეცა სიგელი.

ამავე დარბაზში მოხდა კვირეულის დახურვა კონცერტით.

გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით იმერეთის რეგიონში ჩატარდა ტრენინგ-სემინარი პედაგოგებისათვის.

2002 წლის დეკემბრის თვეში ჩატარდა სემინარები ბაღდათსა და სამტრედიის რაიონების მასწავლებლებისათვის.

სემინარის თემა იყო: როგორ ვასწავლოთ ადამიანის უფლებები.

პედაგოგებმა გაიარეს ხუთდღიანი სწავლება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სწავლების შესახებ და გაიღრმავეს ცოდნა მათთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ.

ღონისძიებაში მონაწილე ყველა პედაგოგს გადაეცა სერთიფიკატი, აგრეთვე დასაჩუქრდნენ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ დაფინანსებული და ხელოვნების ინსტიტუტის მიერ გამოშვებული სახელმძღვანელოთი „გზა უფლებებისაკენ".

საგანმანათლებლო ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს მხარის სასწავლო დაწესებულებებთან და სამხედრო ნაწილებთან. ფუნქციონირებს აგრეთვე სოციოლოგიური კვლევის ცენტრი, პოპულარული ბიბლიოთეკა, არსებობს ვებ-გვერდი, ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაცვის ცენტრები და სხვა.

# სამეგრელოსა და ზემო სვანეთში საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის საქმიანობა

2002 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთში სახალხო დამცველის სამხარეო წარმომადგენლობამ შექმნა სამუშაო ქსელი. ქ. სენაკში, სენაკის გამგეობის შენობაში განთავსდა სახალხო დამცველის სამხარეო ოფისის ფილიალი, რომელიც მოიცავს აბაშის, ხობის, მარტვილის რაიონებს. ასეთივე ფილიალი ჩამოყალიბდა წალენჯიხის რაიონში, რომელიც კურირებას უწევს ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართებით წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის მუშაობას.

.მიმდინარე წელს დაგეგმილია ასეთივე ფიალილის შექმნა ქ. ფოთში.

სამეგრელო-ზემო სვანეთში სახალხო დამცველის წარმომადგენლობაში 2002 წელს შემოსული იყო 211 განცხადება და საჩივარი. აქედან სოციალურ უფლებათა დარღვევებზე – 37, ეკონომიკურ უფლებათა საკითხებზე – 12 და სამოქალაქო უფლებებზე – 162 განცხადება.

საჩივრების დიდი ნაწილი – 30 შეეხებოდა თავისუფლების აღკვეთის პროცესში დაშვებულ უკანონობას (ცემას, ძალადობას და სხვ.).

სამართალდამცავი ორგანოების ქმედებას ეხებოდა 34 განცხადება. აქედან, პოლიციის ორგანოების – 7, პროკურატურის ორგანოების – 6, სასამართლოების – 3, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხებს – 6 და დევნილთა პრობლემებს – 12.

პოლიციის მიერ თავისუფლების აღკვეთის პროცესში არსებული დარღვევები ისევ მწვავედ აისახება საზოგადოებაში.

სამხარეო წარმომადგენლობის პროექტის „თავისუფლების აღკვეთის მონიტორინგის სამეგრელო-ზემო სვანეთში“ დაფინანსებამ დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიერ, შესაძლებლობა მოგვცა აქტიურად გვემუშავა ამ საკითხებზე.

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის საკითხებზე 2002 წელს შემოვიდა 38 განცხადება და საჩივარი.

ყველა მათგანზე გაკეთდა დაუყოვნებლივ რეაგირება. დაფიქსირდა დარღვევის 16 ფაქტი, რაზედაც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე სამ შემთხვევაში გაგზავნილ იქნა რეკომენდაციები დამრღვევ თანამდებობის პირთა მიმართ, 4 შემთხვევაში – დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

გაგზავნილი რეკომენდაციების საფუძველზე აღიძრა 4 სისხლის სამართლის საქმე და 3 დისციპლინური დევნა.

2002 წლის 9 აპრილს ხობის რაიონის სოფ. ხამისქურში მცხოვრები ჯუმბერ ქირია კანონიერი საფუძვლის არსებობის გარეშე, დააკავეს და ცემეს ხობის პოლიციის ქვეგანყოფილების მუშაკებმა კ.

შუშანიამ (კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი) და რ. კემულარიამ. ჯ. ქირიას ცემისაგან მიღებული ჰქონდა სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებები.

ამ შემთხვევას სოფ. ხამისქურის მოსახლეობის მხრიდან მოჰყვა პროტესტი და მათ მოახდინეს ზუგდიდი-თბილისის ცენტრალური ავტომაგისტრალის რამდენიმე საათით ბლოკირება.

აღნიშნულ ფაქტზე აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე საოლქო პროკურატურაში (გამომძიებელი ზ. კუტალია), სამხარეო შს სამმართველოს მიერ კ. შუშანია გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

საჩივარი დღემდე კონტროლზეა აყვანილი, ვინაიდან სისხლის სამართლის გამოძიება ჭიანურდება, ხოლო ხობის კრიმინალური პოლიციის უფროსის გათავისუფლებაც ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რამდენადაც იგი გარკვეული დროის შემდეგ დანიშნულ იქნა შინაგან საქმეთა ფოთის საქალაქო სამმართველოში.

არასრულწლოვან ი. ზარქუას ცემის ფაქტზე სახალხო დამცველის რწმუნებულის რეკომენდაციით აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე შს ზუგდიდის სამძებრო განყოფილების ინსპექტორის, პოლიციის კაპიტან გ. ყალიჩავას მიმართ. მის მიერვე ჩატარებული სრულყოფილი მასალები (ექსპერტიზის დასკვნა, ი. ზარქუას სხეულზე დარჩენილ დაზიანებათა ფოტომასალები) გაგზავნილ იქნა საქმის მასალებზე დასართავად; ასევე მასალები გაიგზავნა შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში – დისციპლინური პასუხისმგებლობის აღსაძრავად იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომელიც დაფიქსირდა ი. ზარქუას დაკავების პროცესში (არ იყო შედგენილი დაკავების ოქმი და ა. შ.).

დარღვევებზე პოლიციის კაპიტან გ. ყალიჩავას გამოეცხადა საყვედური. საქმეზე გამოძიება, რომელიც შეჩერებული იყო უსაფუძვლოდ, განახლდა რეკომენდაციის საფუძველზე და მიუხედავად მტკიცებულებათა არსებობისა, დღემდე არ არის დამთავრებული და ის პოლიციელი, რომელმაც სცემა არასრულწლოვანი (კაპიტანი გ. ყალიჩავა), დღემდე თანამდებობაზეა. უფრო მეტიც, სწორედ გ. ყალიჩავა იყო 2002 წლის 28 ივნისს ქ. ზუგდიდში ნიკა ნიქაბაძის უკანონოდ დაკავებისა და მისი ცემის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა.

2002 წლის 11 ივლისს შს სენაკის რაიონის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში დაკავებულ იქნა პაატა გოცაძე სსკ 177-ე მუხლით. იგი პოლიციაში ცემეს აღიარებითი ჩვენების გამოძალვის მიზნით. მის მიმართ დაკავებისას დარღვეული იყო მთელი რიგი საპროცესო მოთხოვნები, კერძოდ, არ იყო შედგენილი დაკავების ოქმი.

2002 წლის 16 მაისს სამხარეო და ზუგდიდის რაიონის პროკურატურასთან ერთად შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის საქმე, ზუგდიდის რაიონში მცხოვრებ ზვიად პერტახიას მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა 1999 წელს ზუგდიდში მომხდარი 3 პოლიციელის მკვლელობაში და მასზე გამოცხადებული იყო ძებნა.

დადგინდა, რომ მოქალაქე ზ. პერტახია უდანაშაულოა, რის შედეგად დაყენებული იქნა საკითხი მის მიმართ ძებნის მოხსნის თაობაზე.

ხშირად პროკურატურაში ადგილი აქვს გამოძიების შეჩერებას ისეთ საქმეებზე, რომლებშიც იმხილებიან პოლიციის მუშაკები, რაც ასეთი სახის დანაშაულის განმეორების წინა პირობას წარმოადგენს.

ზუგდიდელი ნიკა ნიქაბაძე 2002 წლის 28 ივნისს დააკავეს შს ზუგდიდის პოლიციის სს სამძებროს თანამშრომლებმა და სცემეს, რის შედეგადაც იგი 19 ივლისს გარდაიცვალა.

საქმეზე გამოძიებას აწარმოებს საოლქო პროკურატურა (გამომძიებელი ტ. კოკაია), რაც დაუსაბუთებლად ჭიანურდება.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გაცნობით გამოირკვა, რომ მასზე არ იყო ჩატარებული აწ გარდაცვლილ ნ. ნიქაბაძისთვის გარდაცვალებამდე გადაღებული თავის ტვინის ენცეფალოგრამის სამედიცინო გამოკვლევა იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა მას მიღებული რაიმე სახის დაზიანება, ასევე არ იყო ჩატარებული დაპირისპირებები იმ მოწმეებს შორის, რომლებიც გარდაცვლილ ნ. ნიქაბაძის და პოლიციელ პაატა გაბუნიას სუფრაზე შერიგების პროცესს ესწრებოდნენ. სხვათა შორის, ამ სუფრას პროკურატურის გამომძიებელი დ. კუხალეიშვილი ესწრებოდა, თუმცა, როგორც სხვები, ასევე ისიც ჯიუტად დუმს.

ნ. ნიქაბაძის პოლიციაში მიყვანისა და ცემის ფაქტის მოწმეა პროკურატურის გამომძიებელი ვახტანგ კუტალია, რომელიც ჩვენებაში ვერ უარყოფს, რომ პოლიციის ეზოში მყოფი სახედასისხლიანებული ნ. ნიქაბაძე მან ჩაისვა მანქანაში და წაიყვანა სახლში, თუმცა ასევე ისიც არ იძლევა სრულყოფილ ჩვენებას იმ გარემოებების ირგვლივ, რომლის თვითმხილველიც ის იყო.

ზუგდიდის მრავალდარგოვანი გაერთიანების კომუნალური სამსახურის მიმართ სახალხო დამცველის რწმუნებულის რეკომენდაციით აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე დევნილი მოსახლეობისათვის კომუნალური მომსახურების სფეროში გამოყოფილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვისა და მითვისების თაობაზე, რაზედაც ზუგდიდის პროკურატურიდან დღემდე არავითარი ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

2002 წლის 9 აპრილს სენაკის რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ზვიად წოწერიას მიმართ საქართველოს სსკ 260-ე მუხლის I ნაწილით, 236-ე მუხლის I, II, III ნაწილით, 187-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. აღსანიშნავია, რომ დაკავებისა და გამოძიების პროცესში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ პროცესუალურ დარღვევებს. კერძოდ: არ იყო შედგენილი დაკავების ოქმი, პირადი ჩხრეკის დამსწრეთა მისამართები დაუდგენელი იყო, რამაც შეუძლებელი გახადა ამ საგამოძიებო მოქმედების შემოწმება სასამართლოს მიერ, ასევე წოწერია პოლიციაში ნაცემი იყო.

მიუხედავად ამ დარღვევებისა, სენაკის რაიონის სასამართლოს მიერ ბრალდებულს აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა 3 თვით წინასწარი პატიმრობა.

რწმუნებულის მიერ №4 საპყრობილეში მონახულებულ იქნა პატიმარი, რომელსაც აღენიშნებოდა ძალადობის ნიშნები, მაგრამ შეკითხვისას არ დააკონკრეტა, ვის მიერ იქნა ნაცემი.

3-თვიანი წინასწარი გამოძიებით ზ. წოწერიას არ დაუდასტურდა ზემოთ ხსენებული მუხლებით ჩადენილი დანაშაული, ხოლო 177-ე მუხლის I ნაწილით ჩადენილი დანაშაული მან აღიარა, რაზედაც სენაკის რაიონის სასამართლოს მიერ მიესაჯა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2002 წლის 8 აგვისტოს ქ. ფოთში დაკავებულ იქნა მერაბ გონიავა და გოჩა მურღულია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 260-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რა დროსაც ცემის შედეგად მათ მიაყენეს დაზიანებები. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა სხვა პროცესუალური კანონმდებლობის დარღვევებსაც. მიუხედავად ამისა, ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ დასახელებულ პირებს შეეფარდათ წინასწარი პატიმრობა.

სახალხო დამცველის სამხარეო რწმუნებულის შუამდგომლობით, ქუთაისის საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ გონიავასა და მურღულიას პატიმრობა შეეცვალათ სხვა სახის არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიებით.

დანიშნული სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ, გაგზავნილი შუამდგომლობის საფუძველზე, ზ. წოწერია ვადამდე ადრე იქნა გათავისუფლებული.

2002 წლის 27 სექტემბერს ქ. წალენჯიხაში მცხოვრებმა ელგუჯა სონგულიამ შურისძიების მოტივით მოკლა დათო სარია (მეტსახელად „ცოკია“). გარდაცვლილის მშობლებმა აიძულეს ე. სონგულიას მოხუცი დედ-მამა, მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი დაეტოვებინათ საკუთარი საცხოვრებელი სახლი. ზემოთ ჩამოთვლილი პირები უკიდურეს გაჭირვებაში ნათესავებთან არიან თავშეფარებული, ბავშვები სკოლაში არ დადიან. სონგულიების საცხოვრებელი სახლი და ქონება არაერთხელ იქნა დარბეული სარიების მიერ.

განცხადების შესწავლის პროცესში გამოიკვეთა წალენჯიხის გამგეობისა (გამგებელი რ. კაჭარავა) და პოლიციის (უფროსი გ. კვარაცხელია) ტენდენციური დამოკიდებულება პრობლემისადმი. კერძოდ, ისინი სონგულიების საკუთარ სახლში ცხოვრებაზე ნებართვის (!) პირობად უყენებენ, რომ ნათესავებმა „გამოიყვანონ“ მიმალვაში მყოფი ე. სონგულია.

საანგარიშო პერიოდში სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა სამოქალაქო უფლებებზე სახალხო დამცველის სამხარეო ოფისში შემოვიდა 162 განცხადება.

მათი უმრავლესობა შეეხებოდა გასული წლების საპენსიო და სახელფასო დავალიანებებს. აღნიშნული განცხადებების განხილვის შედეგად სხვადასხვა ინსტანციებში გაიგზავნა 30-მდე შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილებული იქნა 14.

ზუგდიდის გაეროს ოფისისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ადგილობრივ წარმომადგენლებს გაეგზავნათ 7 შუამდგომლობა ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარებების გაცემასთან დაკავშირებით.

2002 წლის 5 დეკემბერს შემოვიდა წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიის მუშა-მეჩაიეთა კოლექტიური განცხადება, რომელშიც ისინი ითხოვდნენ დახმარებას სს „ლია“-სთვის მათ მიერ 1998, 1999 და 2000 წლებში გაწეული მომსახურების (ჩაის ფოთლის კრეფის) საფასურის გადახდის თაობაზე. ასევე, განცხადებაში მითითებული იყო, რომ მათი მოთხოვნების მიუხედავად, სააქციო საზოგადოების დირექცია არ აძლევდა მათ ინფორმაციას კუთვნილი ხელფასების შესახებ.

ამჟამად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წალენჯიხის რაიონულ სასამართლოში აღიძრა სამოქალაქო სარჩელი, რომლის განხილვაში განმცხადებელთა მოთხოვნით მონაწილეობს სახალხო დამცველის სამხარეო სამსახურის წარმომადგენელი.

2002 წლის სექტემბრის თვეში გაიფიცნენ იყვნენ ქ. ზუგდიდის 15-ვე საშუალო სკოლის პედაგოგები, რომლებიც მოითხოვდნენ 2001 წლისა და 2002 წლის 6 თვის სახელფასო დავალიანების გასტუმრებას. 10-15 დღის მანძილზე პარალიზებული იყო სკოლების საქმიანობა. მიუხედავად ასეთი მასშტაბური გაფიცვებისა, პედაგოგები მხოლოდ ნაწილობრივ იყვნენ დაკმაყოფილებულნი, რაც არ გამორიცხავს ანალოგიური აქციის განმეორებას.

2002 წლის 4 დეკემბრიდან 3 დღის განმავლობაში გაფიცული იყო ქ. ზუგდიდის მოზრდილთა პოლიკლინიკის მედპერსონალი (89 თანამშრომელი). მიზეზი იყო ივლისი-ნოემბრის თვის სახელფასო დავალიანება.

მათ მიმართეს მჯდომარე აქციას სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ. მიუხედავად ამისა, ადგილზე ამ პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდა. მხოლოდ მხარეში სახალხო დამცველის რწმუნებულის ჩარევის შედეგად შესაძლებელი გახდა 3 თვის დავალიანების გაცემა.

ამჟამად ანალოგიურ საკითხზე შემოსულია რაიონის პოლიკლინის (250 ხელმოწერით) კოლექტიური განცხადება.

დევნილთა უფლებებთან დაკავშირებით სამხარეო წარმომადგენლობაში 2002 წელს შემოსულია 16 განცხადება. აქედან 3 კოლექტიური და 13 – ინდივიდუალური.

განცხადებების უმეტესი ნაწილი, 9 განცხადება, შეეხებოდა სოციალურ სფეროს. აქედან, 5 – შემწეობის თანხას და დახმარების გაუცემლობას, 1 – საპენსიო დავალიანებას, 1 – საყოფაცხოვრებო პირობებს, სისხლის სამართლის საქმეებს შეეხებოდა 3 განცხადება, პირად საკითხებს – 3.

2002 წელს სამხარეო ოფისის რწმუნებულმა და თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ შეხვედრასა და სემინარში, რომელიც ჩატარდა როგორც მხარეში, ასევე მის ცენტრში.

2002 წლის 21 მარტს ჩატარდა სახალხო დამცველის სამხარეო აპარატის თანამშრომელთა შეხვედრა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციასთან, ხოლო 22 მარტს მოეწყო პრეზენტაცია ასოციაცია „ათინათისა და IREX“-ის ერთობლივი პროექტის „ინტერნეტ ბუხართან“.

11 მაისს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წითელი ჯვრის ზუგდიდის

ოფისის მიერ მოწყობილ იქნა მოსწავლეთა ვიქტორინა თემაზე – „რა არის ჰუმანიზმი“.

4 ნოემბერს სახალხო დამცველის სამხარეო წარმომადგენლობა შეხვდა წჯსკ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელობას. თემა – „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკითხები“.

4 დეკემბერს წჯსკ და საქართველოს იურისტთა კავშირის ზუგდიდის წარმომადგენლობაში გაიმართა სემინარი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში.

# თავი II. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

## სტრატეგიის დეპარტამენტის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტში განხილულ იქნა 100 კანონპროექტი.

გარდა ამისა, ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრთან და მოწვეულ ექსპერტებთან ერთად მომზადდა დამატებები და ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესატანად. კერძოდ, დაიხვეწა კოდექსის 171-ე მუხლი, დაემატა 171[1] მუხლი, აღსანიშნავია, რომ ამ მუხლით შემოდის დანაშაულის ახალი სახე – ბავშვთა პორნოგრაფია და მოცემულია ამ დანაშაულის განმარტება. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა კოდექსის 172-ე მუხლმა, რომლითაც საქართველოს სამართალდამცავ და სასამართლო სისტემას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება ეძლევა. ასევე გამკაცრებულია 254-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ჩადენილი დანაშაულისათვის.

2002 წელს სახალხო დამცველის მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მისთვის ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ი" პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი იქნა კონსტიტუციური სარჩელები იმ ნორმატიული აქტების გაუქმების მოთხოვნით, რომლებიც ზღუდავენ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ მიზნით, 2002 წლის 24 მაისს და 26 ივნისს შეტანილი საკონსტიტუციო სარჩელებით სახალხო დამცველმა მოითხოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლების გაუქმება, რომლებიც არ იძლევიან დაკავებული ან დაპატიმრებული პირისთვის დაუყოვნებლივ დამცველის დახმარების მიღების უფლებას, ასევე ზღუდავდნენ მათ სხვა უფლებებს და ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ გათავისუფლებას.

პირველ საკონსტიტუციო სარჩელზე უკვე ჩატარდა სასამართლო განხილვა და გამოტანილია გადაწყვეტილება. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2003 წლის 29 იანვრის №2/3/182,185,191 გადაწყვეტილებით, ანტიკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მესამე და მეხუთე ნაწილების პირველი წინადადებები, 73-ე მუხ. პირველი ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტები, 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის ცალკეული სიტყვები, 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 146-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილი და მესამე ნაწილის ცალკეული სიტყვები და 284-ე მუხლის მეორე ნაწილის ბოლო დებულება. ამავე დროს, აღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში პარლამენტს მიეთითა კიდევ მრავალი მუხლის

ორაზროვანი შინაარსისა და ბუნდოვანი მოსაზრებების შესწორების თაობაზე. საერთო ჯამში, ამ გადაწყვეტილებით საქართველოში დაკავებულების და ეჭვმიტანილების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მომხდარი ცვლილებები შეამცირებს წინასწარი დაკავების ადგილებში მოქალაქეთა უკანონო დაკავებებს და მათი უფლებების შემლახავ სხვა მოქმედებებს, მოკვლევისა და ძიების პროცესში ამაღლდება დამცველის როლი, რაც ასევე დაგვეხმარება საქმეებზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში. საკონსტიტუციო სასამართლოს პროცესის მსვლელობის დროს გამოიკვეთა სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან (პოლიციისა და პროკურატურის) არასახარბიელო პოზიცია. ისინი ჩვენი პოზიციის წინააღმდეგნი გამოდიოდნენ და საერთოდ აცხადებდნენ, რომ სადავო მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობა ხელს შეუშლიდა მათ დამნაშავეობასთან წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სამწუხაროა, რომ ეს არის ამ სტრუქტურების ხელმძღვანელების პოზიცია, რადგან მათი ლოგიკით, დამნაშავეობასთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის უფლებების დარღვევის გზით და ვერ ათვითცნობიერებენ იმას, რომ მოქალაქეთა უფლებების დარღვევა, ასევე დანაშაულია და რომ უაზრობაა ებრძოლო დამნაშავეობას ახალი დანაშაულების ჩადენის გზით.

2002 წლის 12 ნოემბერს სახალხო დამცველმა შეიტანა საკონსტიტუციო სარჩელი "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, 58-ე მუხლის პირველი პუნქტის და 81-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 მარტის №176 ბრძანებულების "მოსამართლეების კანდიდატების შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე. აღნიშნული სარჩელის განხილვისას სახალხო დამცველმა ასევე დააყენა "საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის" 85[II]–ე მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის საკითხი. ამ სარჩელის შეტანა გამოიწვია სასამართლო ხელისუფლების, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს და მოსამართლეების რეალური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლამ. ამ საკონსტიტუციო სარჩელით დაყენებული პრეზიდენტის ბრძანებულების სადავო პუნქტი არ აძლევდა საშუალებას, მოსამართლეობის კანდიდატებს გაეგოთ კონკურსის ჩატარების შემდეგ მათი კანდიდატურის დაწუნების შემთხვევაში ის მიზეზები, რის გამოც მათ უარი ეთქვათ მოსამართლეობაზე და გაესაჩივრებინათ სასამართლოში ეს გადაწყვეტილება. სადავო ნორმა კონკურსის შედეგებს ბურუსით მოცულს და საზოგადოებისათვის გაუგებარს ხდიდა. გამოცდებში უფრო მაღალი ქულით გასული კანდიდატები ვერ გებულობდნენ, რატომ ეუბნებოდათ მათ უარი მოსამართლედ დანიშვნაზე, ხოლო უფრო დაბალი ქულებით გასული კანდიდატები კი – ინიშნებოდნენ. პროცესის მიმდინარეობისას საქართველოს პრეზიდენტმა თვითონ გააუქმა სადავო ნორმა. რაც შეეხება "საერთო

სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი"–ს 85[II]-მე მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის საკითხს, იგი უშვებდა ქვეყანაში კონსტიტუციით დადგენილი (10 წლიანი) ვადის მიუხედავად, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას 18 თვემდე ვადით, რაც რეალურად ზღუდავდა და უარყოფითად მოქმედებდა მოსამართლეების დამოუკიდებლობაზე (18 თვემდე ვადით 116 პირს აქვს მოსამართლეობის უფლებამოსილება დაკისრებული). საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2003 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით, აღნიშნული. მუხლი ცნობილია არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულია. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ პროცესის შემდეგ მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა გახდება უფრო ღია და გამჭვირვალე, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს, თვალი ვადევნოთ იუსტიციის საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის სამართლიანობას, რადგან ქვეყანაში ვერ განხორციელდება ჭეშმარიტი მართლსაჯულება, თუ მოსამართლეთა კონტინგენტი არ დაკომპლექტდა ყველაზე ღირსეული კანდიდატებით. ამავე დროს, მხოლოდ იმ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს სამართალი. ვისი დამოუკიდებლობაც მართლა გარანტირებული და დაცულია. გასაკვირია, მხოლოდ ის, რომ მოსამართლეების დამოუკიდებლობისათვის ამ ბრძოლაში არც უზენაესი სასამართლო დაგვდგომია გვერდში და არც იუსტიციის საბჭო, რომლის წარმომადგენელი, პირიქით, პროცესზე ჩვენი პოზიციის წინააღმდეგადაც კი გამოვიდა. საწყენი და გასაკვირია, რომ იუსტიციის საბჭოს წევრებისათვისაც კი გაუგებარია კონსტიტუციის ნორმები (და რომ ჩვენი პოზიცია სწორი იყო, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა); ასევე საინტერესოა ერთი ფაქტი, როგორ არჩევენ ისინი მოსამართლეების კანდიდატებს, როდესაც თვითონ არ იციან კონსტიტუციის მოთხოვნები და არ ინტერესდებიან მოსამართლეთა დამოუკიდებლობის განმტკიცებით.

2002 წლის 12 ნოემბერს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა სარჩელით, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 2 სექტემბრის №294 ბრძანებულების 52 მუხლის დ) პუნქტის, 53-ე მუხლის დ) პუნქტის, 54 მუხლის დ) პუნქტის, 55 მუხლის, 56-ე მუხლის "დ" პუნქტის, 58 მუხლის ბ) პუნქტის, 59 მუხლის ბ) პუნქტის და 60 მუხლის ბ) პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის საკითხებზე. სადავო მუხლებით მეთაურებს უფლება აქვთ, 10 დღე-ღამემდე ვადით დააპატიმრონ ხელქვეითები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რადგან მხოლოდ სასამართლოებს აქვთ უფლებამოსილება ქვეყანაში 48 საათზე მეტი ვადით პირის დაპატიმრებისა. ჩვენ ამ სარჩელით არ ვაყენებთ იმ საკითხს, რომ მეთაურს არ ჰქონდეს ამა თუ იმ ვადით ხელქვეითის დაპატიმრების უფლება, როგორც დისციპლინური სასჯელის ფორმისა, აღნიშნული უნდა მოხდეს სასამართლოს სათანადო გადაწყვეტილებით და არა ერთპიროვნულად. ეს საკონსტიტუციო სარჩელი ჯერ არ განხილულა.

# ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი

ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის დაარსების ორი წლის გადასახედიდან ქვეყანაში ბავშვთა უფლებრივი და სოციალური მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა.

სტერეოტიპების სწრაფმა ცვლილებამ, მორალური ფასეულობების ტრანსფორმაციამ, მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების სოციალური პირობების მკვეთრად გაუარესებასთან ერთად გამოიწვია ფსიქოემოციური გადატვირთვა, ოჯახებში კრიზისული გამოვლინებები, რამაც განაპირობა შემდეგი ნეგატიური ტენდენციების ფორმირება:

– ბავშვების სოციალური დეზადაპტაცია, ადრეული ალკოჰოლიზმი, თამბაქოს მოხმარება და ნარკომანია, ამორალური ქცევა, მართლსაწინააღმდეგო ქმედებები;

- ბავშვთა მიუსაფრობა, როგორც სოციალური მოვლენა;
- სოციალური ობლობის პრობლემის გამწვავება;
- ბავშვთა დამნაშავეობის სახიფათო ზრდა;
- დანაშაულებრივი ქმედებების, ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რიცხვის ზრდა.

ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საზოგადოების კვლევის ცენტრის ბოლო მონაცემებით, ბავშვებს შორის თამბაქოს მომხმარებელთა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია (გოგონების 60%-ზე მეტი და ვაჟების 90%-ზე მეტი); ალკოჰოლურ სასმელს სისტემატურად იღებს გოგონების – 70%-ზე მეტი და ვაჟების 90%-ზე მეტი. მოზარდების 23,9% მოიხმარს ნარკოტიკულ ნივთიერებებს. მათ შორის, მაღალი ხვედრითი წილი აღინიშნება ქუჩაში მცხოვრებ ბავშვთა შორის: საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში აღრიცხვაზე აყვანილი მოზარდებიდან 23 შემჩნეულია ნარკოტიკების მოხმარებაში, 94 ალკოჰოლიზმში, 130 პროსტიტუციაში, 1048 მათხოვრობა-მაწანწალობაში. ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადგილებზე არ ხდება აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზების შესწავლა, არ არის დამყარებული თანამშრომლობა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურთან, ნარკოლოგიურ, კანისა და ვენერიულ დაავადებათა დისპანსერთან.

კვლავაც მძიმე კრიმინოგენური სიტუაციაა არასრულწლოვანებთან მიმართებით. 2002 წელს რეგისტრირებულია არასრულწლოვანების მიერ ჩადენილია 674 სისხლის სამართლის დანაშაული, რაც 12 ერთეულით მეტია გასულ წელთან შედარებით და მისი ხვედრითი წილი ქვეყანაში რეგისტრირებულ დანაშაულებში შეადგენს 4%-ს. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანების მიერ ჩადენილ დანაშაულებებში წლიდან წლამდე განუხრელად იზრდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომლის ხვედრითმა წილმა 2002 წელს მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებათა შორის შეადგინა 69,3%. ასევე ზრდაა დაფიქსირებული ისეთი მძიმე კატეგორიის დანაშაულებისა, როგორიცაა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებების – 13, ადამიანის უკანონო თავისუფლების

აღკვეთის – 5, ასევე დანაშაულის ფაქტებისა ნარკომანიის ხაზით – 30 შემთხვევა. ასევე გაუარესდა სიტუაცია რეგიონებშიც. კერძოდ, შიდა ქართლში – 23, კახეთში – 22, ქვემო ქართლში – 20, სამეგრელო-ზემო სვანეთში და აჭარაში – 10, გურიაში – 2. ცალკეული ქალაქებისა და რაიონების მიხედვით დანაშაულის ზრდა აღინიშნება გორში – 20, დედოფლისწყაროში – 16, ზუგდიდში – 10, გარდაბანში – 9, სიღნაღში – 8, თელავში – 6, ბოლნისში, რუსთავში, კასპსა და სამტრედიაში – 5, წალენჯიხაში, ლანჩხუთსა და თბილისის მეტროპოლიტენის მიმდებარე ტერიტორიაზე – 4, დუშეთსა და ზესტაფონში – 3, თბილისის ვაკე-საბურთალოს, ახალგორის, ბორჯომისა და თერჯოლის რაიონებში – 2 შემთხვევა.

კვლავ პრობლემად რჩება მოსწავლე-ახალგაზრდობას შორის ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარების ფაქტები. 2002 წელს რეგისტრირებული 46 დანაშაული მხოლოდ დანის გამოყენებითაა ჩადენილი, მათ შორის: მკვლელობის – 5, მკვლელობის მცდელობის – 8, სხეულის დაზიანების – 27, ძარცვისა და ყაჩაღობის 4-4 ფაქტი. აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულებრივი ხელყოფის მსხვერპლი გახდა 39 მოზარდი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის მნიშვნელოვნად გამოირჩევიან სკოლის მოსწავლეები. 2002 წელს საშუალო სკოლის 11 მოსწავლემ ჩაიდინა 2 მკვლელობა, 2 მკვლელობის მცდელობა და 7 სხეულის დაზიანება. მაგალითად:

– გლდანი-ნაძალადევის რაიონის 71-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ კობა ნატროშვილმა 115-ე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ურთიერთშელაპარაკებისას დანით ბარძაყში დაჭრა ამავე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ბესიკ აზმაიფარაშვილი, რომელიც საავადმყოფოში გადაიცვალა;

– მთაწმინდა-კრწანისის რაიონში 183-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ გოჩა თევზაძემ ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა – ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულმკერდის არეში დაჭრა თანატოლი საბა გახოკია;

– გლდანი-ნაძალადევის რაიონში 175-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნიკა მოძღვრიშვილმა სკოლის შენობაში დანის დარტყმით გულმკერდის არეში დაჭრა მამუკა ჯალაბაძე.

საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში რეგისტრირებულია 1279 ჯგუფური დანაშაული, მათგან არასრულწლოვანების მიერ ან მათი მონაწილეობითაა ჩადენილია 217, რაც საერთო ჯგუფური დანაშაულების 17%-ს შეადგენს. ყოველი მე-5 ჯგუფური დანაშაული, ჩადენილი არასრულწლოვანების მიერ, რეგისტრირებულია თბილისში. ანალიზმა ცხადყო, რომ არასრულწლოვანთა ჯგუფური დანაშაულებების უმეტესობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ხასიათისაა, მათ შორისაა ყაჩაღობის და ძარცვის 76 და ქურდობის 467 ფაქტი. მაგალითად:

– 10 სექტემბერს ნავთლუღის ბაზრის მიმდინარე ტერიტორიაზე დააკავეს ისანი-სამგორის რაიონში მოქმედი, ქურდობებზე სპეციალიზირებული არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: გლდანის მე-2 მ/რ-ნის 38-ე კორპუსში მცხოვრები, 1988 წელს

დაბადებული თედო ხურციძე და ღუდუშაურის ქ. №17-ში ცხოვრები, 1986 წელს დაბადებული კახა კაპანაძე, რომლებმაც 4 სექტემბერს გაქურდეს წულუკიძის მე-4 შესახვევის მე-3 კორპუსში მცხოვრებ მოქ. სპირიდონ ბაგაშვილის ბინა, 8 სექტემბერს გაქურდეს მე-8 ლეგიონის დასახლების მე-9 კორპუსში მცხოვრებლების მოქ. გულნარა ყალიჩავასა და მოქ. მარინა სიხარულიძის ბინები, 9 სექტემბერს იმავე კორპუსში მცხოვრებ მოქ. ვაჟა ქვრივიშვილის, ხოლო 10 სექტემბერს იქვე, მე-10 კორპუსში მცხოვრებ ნაზი ზურაბიანის ბინები;

– 10 დეკემბერს დააკავეს გლდანის მე-3 მ/რ-თან მდებარე სოფ. წყაროთუბანში მცხოვრები, 1986 წელს დაბადებული გიორგი გოდერძაული და ადიგენის ქ. №9-ში მცხოვრები 1988 წელს დაბადებული მურმან ქათამაძე, რომლებმაც გლდანის მე-5 მ/რ-ნის მე-13 კორპუსში მცხოვრებ მამუკა მუჩიაურს გაუქურდეს სარდაფი.

აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების მხრიდან არ ეთმობა სათანადო ყურადღება დანაშაულებრივი ჯგუფების დროულ გამოვლენას. არ არის დამყარებული თანამშრომლობა ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობასთან. რიგ შემთხვევებში არასრულწლოვანთა ხაზით მომუშავე ინსპექტორები დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან ზოგიერთი სასწავლებლის ხელმძღვანელებთან ურთიერთობების დამყარების საქმეში. აღნიშნულ დანაყოფებს არ მიეწოდებათ იმ მოსწავლეთა მონაცემები, რომლებიც შემჩნეულნი არიან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებში, გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენასა და სხვა.

ანალიზმა ცხადყო, რომ საანგარიშო პერიოდში, შესაბამისი მითითებების მიუხედავად, ჯეროვანი ყურადღება კვლავ არ დაეთმო სამართალდამრღვევ-უზედამხედველო მოზარდებთან პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს. გატარებული ღონისძიებების შედეგად, ადგილობრივი შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გამოვლენილია 6103 სამართალდამრღვევი მოზარდი, წლის განმავლობაში თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს არასრულწლოვანთა მიღების, პროფილაქტიკისა და ორიენტაციის ცენტრში მოთავსდა 485 არასრულწლოვანი, მათგან 358 ვაჟი და 127 გოგონა.

ჯანდაცვის სტატისტიკის ბოლო მონაცემებით, გაიზარდა მოზარდთა ავადობის მაჩვენებელი. ოჯახების დაბალი შემოსავლები კიდევ უფრო ართულებს ბავშვთა მკურნალობის საკითხს, რაც საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას.

2002 წლის დეკემბერში ზუბალაშვილების სახ. პედიატრიულ კლინიკაში მიიყვანეს ორი ბავშვი – 4 წლის ოქსანა და 11 წლის ნიკუშა კოლდერები, რომლებიც მათხოვრობით არჩენდნენ ბებიას და ირჩენდნენ თავს. ერთ-ერთ ბავშვს, გარდა მუნისა და ტილებისა, ეტყობოდა გაყინვის ნიშნები. სახალხო დამცველის თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით ბავშვებს ჩაუტარდათ სამედიცინო გამოკვლევა.

მოქ. თ. ასათიანმა მოგვმართა თხოვნით მისი შვილის მკურნალობის თაობაზე, რადგან ბავშვს სერიოზულად ჰქონდა მხედველობა დაზიანებული. შუამდგომლობა გავუწიეთ ორთაჭალის თვალის სნეუ-

ლებათა კლინიკაში ბავშვთა განყოფილების გამგესთან, ქ-ნ ლ. ჭანტურიასთან, რომელმაც გამოიჩინა გულისხმიერება და ბავშვს აღმოუჩინა შესაძლო დახმარება. დახმარება აღმოვუჩინეთ უნარშეზღუდულ ბავშვებს: 5 წლის ჯონარი, ჩვენი შუამდგომლობით დაჰყავთ დიდუბე - ჩუღურეთის რაიონის მე-16 საბავშვო ბაღში, სადაც ჩართულია სარეაბილიტაციო პროგრამაში, ხოლო ი. შონიას 11 წლის დამბლადაცემულ ბავშვს, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში იყო, შუამდგომლობა გაეწია არასამთავრობო ორგანიზაციასთან „პირველი ნაბიჯები".

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა - შვილებისათვის არა თუ განათლების მიცემის, მათი გამოკვების საშუალებაც კი არ გააჩნიათ. მოქ. რ. გოდერძიშვილი მის სამსახურში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად უმუშევარი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავს შეურაცხადი მეუღლე და მცირეწლოვანი 6 წლის ბავშვი. სახალხო დამცველის შუამდგომლობით იგი სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად აიყვანეს აღრიცხვაზე დასაქმების საქალაქო სამსახურში, ხოლო ბავშვი დადის №76 საბავშვო ბაღში, სადაც მას აქვს უფასო კვება.

სახალხო დამცველის შუამდგომლობით შესაძლებელი აღმოჩნდა ნაწილობრივ მაინც შემსუბუქებულიყო გაუსაძლის პირობებში მცხოვრებ ბავშვთა ბედი, თუმცა ეს არ არის პრობლემის მოგვარება.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მარტყოფის საბავშვო სახლში ბავშვები ცხოვრობენ აუტანელ პირობებში – არა აქვთ საკმარისი საკვები, მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო სახლთან არსებობს საცდელი მეურნეობა (უვლიან საქონელს), ბავშვებს არასოდეს არა აქვთ რძის ნაწარმი; არ ექცევა ყურადღება მათ ჯანმრთელობას, სახელობო სწავლებას. ყველაზე მძიმე კი ის არის, რომ ღამით ბავშვები რჩებიან მეთვალყურეობის გარეშე, რაც გარეშე პირებს საშუალებას აძლევს თავისუფლად მოხვდნენ შენობაში. აღნიშნულ დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე უმძიმეს შემთხვევას: 16 წლის აღსაზრდელმა გოგონამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია მოძალადე სოფლელ ბიჭებს, მაგრამ დირექტორისადმი შიშის გამო მომხდარი დამალა. ფეხმძიმობის გამომჟღავნების შემდეგ, დირექტორმა ისედაც დაუცველი, მძიმე ფსიქოლოგიური ტრამვის ქვეშ მყოფი აღსაზრდელი, დახმარებისა და განსაკუთრებული მზრუნველობის ნაცვლად, გააძევა საბავშვო სახლიდან. რომ არა მარტყოფის დედათა მონასტრის გულისხმიერება, რომლებმაც შეიფარეს გოგონა, იგი აღმოჩნდებოდა ბედის ანაბარა მიტოვებული უმძიმეს მდგომარეობაში. კიდევ უფრო შემზარავია მკვლელობის ის ფაქტი, რომელიც ჩაიდინა 14 წლის ფსიქიკურად დაავადებულმა გოგონამ. მან დაუნდობლად დაასახიჩრა და შემდეგ მოკლა ამავე სახლის აღსაზრდელი 10 წლის ბიჭი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გოგონა ერთი კვირის განმავლობაში, დანაშაულის ჩადენამდე, იძახოდა: „სისხლი მწყურიაო". ამისათვის თავიდანვე რომ მიექციათ ყურადღება, შესაძლებელი იქნებოდა საზარელი მკვლელობის თავიდან აცილება.

ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ ხელმძღვანელობის მხრიდან ისედაც გაუბედურებული ბავშვების ბედისადმი გულგრილმა

დამოკიდებულებამ გამოიწვია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უმართაობა, დანაშაულებრივ ქმედებათა განმეორებითი ხასიათი. ამის შედეგად ბავშვებს უჩნდებათ საკუთარი არასრულფასოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი ინტეგრირებისათვის მოუმზადებლობის სინდრომი, ისინი ითავისებენ ქცევის ასოციალურ ფორმებს და ა.შ.

ამჟამად აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მარტყოფის საბავშვო სახლის ხელმძღვანელობის მიმართ.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული სიმწვავით დგას ობოლი ბავშვების პრობლემა, რომელთაც ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში ყოფნის ასაკობრივი ზღვრის მიღწევის შემდეგ არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი, არ ფლობენ ხელობას. ასეთ კურსდამთავრებულთა რაოდენობა 40-ს აღწევს და მათი ოდენობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

სამწუხაროდ, საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ძალადობის გამოვლენის მზარდი რიცხვი ოჯახებში.

ქ. ქუთაისის მე-17 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ი. დავითულიანი თანაკლასელებთან ჩხუბის გამო გარიცხეს სკოლიდან და ამით დაარღვიეს მისი უფლება მიეღო განათლება. ჩვენი უშუალო ჩარევით ბავშვი აღდგენილ იქნა სკოლაში. მსგავსი შემთხვევა მოხდა თბილისის 55-ე საშ. სკოლაშიც.

2002 წლის 8 დეკემბერს თბილისის 67-ე საშუალო სკოლაში პედაგოგმა მოსწავლეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. სასამართლოს სამედიცინო ექსპერტიზის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლის სხეულზე არსებული დაზიანებები მრავლობითი სისხლნაღენთის სახით მიყენებული იყო მკვრივი, ბლაგვი საგნის მეშვეობით და მიეკუთვნებოდა დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია. მშობელს გაეწია იურიდიული კონსულტაცია, ამჟამად საქმე წარმოებაშია.

კვლავ მაღალია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა (8540 მოსწავლე), მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ გავიდა – 4839, ხოლო 3701 მოსწავლე გავიდა სკოლიდან სხვადასხვა მიზეზით. დაბალი შემოსავლებისა თუ საერთოდ მათი არქონის გარდა, მოსწავლეთა გადინების მაღალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია მშობელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით თავიანთი შვილების განათლებისა და აღზრდის მიმართ. საგანგაშოა, რომ ზოგიერთი ოჯახისათვის შემოსავლის წყარო მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვების მათხოვრობა გახდა.

ხშირ შემთხვევაში, ერთი მშობლის თუ აღმზრდელის პირადი ინტერესების გამო, იჩაგრებიან ბავშვები და არავინ ზრუნავს იმაზე, თუ როგორ აისახება ეს მათ ფსიქიკასა და მომავალზე. ამის ნათელი მაგალითია კოლექტიური განცხადება, რომელშიც გვთხოვენ დახმარება გავუწიოთ ჟურნალისტ ნ. ბიბილეიშვილს დარღვეული უფლებების აღსადგენად. კერძოდ, 2002 წლის 19 ოქტომბერს მოქ. ნ. ბიბილეიშვილის ყოფილმა მეუღლემ და ყოფილმა მამამთილმა – ქუთაისის საგამოძიებო დეპარტამენტის რიგითმა გამომძიებელმა, ძალადობით

წაიყვანეს განმცხადებლის შვილი, სამი წლის გიორგი და მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება ბავშვის დედისათვის მიკუთვნების თაობაზე დედას ბავშვს აღარ უბრუნებენ. ასევე, სახალხო დამცველის ჩარევით, შესაძლებელი გახდა დედამთილის ნ. ჯაფარიძისა და რძლის შეთანხმება, რომ ბავშვი იცხოვრებდა ბებიის ოჯახში და დედა მას ნახავდა მხოლოდ შაბათ – კვირას.

დღეს, საქართველოს მასშტაბით სკოლებში მუშაობს 68 776 პედაგოგი, აქედან დაწყებით სკოლებში - 2 707, საბაზო სკოლებში - 11 254 და საშუალო სკოლებში - 54 815. პედაგოგთა უმრავლესობა მრავალი წლის მანძილზე ემსახურება ბავშვთა აღზრდისა და განათლების საქმეს, მაგრამ მათი მუშაობა მიმართულია მხოლოდ ერთი უნიფიცირებული მიდგომისკენ, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოური განათლების სისტემისათვის. აუცილებელია გავაცნოთ მათ ახალი მეთოდები, არა მხოლოდ თეორიულად – სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციების საშუალებით, არამედ პრაქტიკულადაც – სათანადო რეგულარული გადამზადებით.

ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „დახმარება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს“ თანამშრომლებთან ერთობლივად ჩატარდა სემინარები იმერეთის რეგიონის პედაგოგებისათვის (ქ. ქუთაისში, ქ. ბაღდათსა და ქ. სამტრედიაში) და სამართალდამცავებისათვის (ქ. რუსთავსა და ქ. გორში).

პრობლემის გარკვეულწილად დარეგულირებისა და ბავშვის უფლებების დაცვის საკითხთა შემდგომი პროპაგანდის თვალსაზრისით, აპარატის შენობაში ჩატარდა ექვსი სამუშაო შეხვედრა თემებზე:

- უნარშეზღუდული ბავშვები;
- ობოლი და მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვები;
- ძალადობის მსხვერპლი ბავშვები;
- არასრულწლოვანი დამნაშავეები;
- ქუჩის ბავშვები;
- იძულებით გადაადგილებული ბავშვები.

მოეწყო რეგიონალური შეხვედრები საქართველოს ოთხ რეგიონში – შიდა ქართლში (გორი), აჭარაში (ბათუმი), იმერეთში (ქუთაისი), კახეთში (თელავი) ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შემდგომი კოორდინაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით.

თბილისში ჩატარდა რეგიონული სემინარების შემაჯამებელი შეხვედრა, გაანალიზებულ იქნა რეგიონებში ჩატარებული სემინარების დროს დასახული ერთობლივი საქმიანობის შედეგები, დაისახა სამომავლო გეგმები.

ცენტრში ფუნქციონირებს „ნდობის ტელეფონი“, რომელიც იძლევა პრობლემების აღნუსხვის, მიზეზების შესწავლის, სათანადო რეაგირებისა და, რაც ყველაზე მთავარია, მოქალაქეთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და იურიდიული კონსულტაციების შესაძლებლობას.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით დამზადდა 100 საფოსტო ტიპის სპეციალური ყუთი, რომელიც დაიდგა თბილისის

ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთისა და მთაწმინდა-კრწანისის 98-ე სკოლაში, ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა მიღების, პროფილაქტიკისა და ორიენტაციის ცენტრში. ბავშვებს საშუალება მიეცათ მათში საკუთარი პრობლემების შესახებ წერილები მოათავსონ.

დამუშავებული იქნა თბილისის სკოლებში განლაგებული ყუთებიდან ამოღებული მოსწავლეთა ბარათები, რომელთა მეშვეობით მოგვეცა საშუალება, უშუალოდ მიგვეღო ინფორმაცია მათი უფლებების დარღვევის შესახებ. მონაცემთა დამუშავების შედეგად ბავშვთა უფლებების დარღვევების შემთხვევები გადანაწილდა სამ სეგმენტზე: სკოლა, ოჯახი და საზოგადოება.

სკოლაში აღნიშნულ შემთხვევებს შორის გამოიყო შემდეგი სახის დარღვევები:

- მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მხრიდან (33,7%)
- თანატოლების მხრიდან (16,8%)

მასწავლებელთა კატეგორიაში გამოიყო შემდეგი ფაქტორები: 1. უყურადღებობა; 2. არაობიექტურობა ცოდნის შეფასებაში; 3. სიტყვიერი შეურაცხყოფა; 4. ფიზიკური შეურაცხყოფა; 5. არაკორექტული შენიშვნები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შემთხვევები, რომელიც ეხება უფლებათა დარღვევას სკოლაში თანატოლების მხრიდან. გამოიყო რამდენიმე ქვეკატეგორია: 1. დაცინვა; 2. გარიყვა; 3. სიტყვიერი შეურაცხყოფა; 4. ფიზიკური შეურაცხყოფა და 5. არაკორექტული შენიშვნები.

საინტერესო სურათს იძლევა ამ მონაცემების ასაკობრივი ჭრილი

*მასწავლებლების მხრიდან*




1. 9-10 წ. 2. 11-12 წ. 3. 13-14 წ. 4. 15-17 წ.

*თანატოლების მხრიდან*




1. 9-10 წ. 2. 11-12 წ. 3. 13-14 წ. 4. 15-17 წ.

როგორც ვხედავთ, მასწავლებლების მხრიდან მონაცემები ბავშვთა უფლებათა დარღვევის შესახებ მკვეთრად მატულობს, ფაქტობრივად, ორმაგდება (11-12 წლიანებში), ხოლო გოგონებთან მკვეთრად მატულობს (13-14 წლიანებთან). უფროსკლასელებთან ეს მაჩვენებელი სტაბილურად მაღალ დონეს ინარჩუნებს გოგონებთანაც და ვაჟებთანაც.

საპირისპირო ვითარებაა თანატოლების მხრიდან უფლებათა დარღვევების სიხშირის თვალსაზრისით. ვაჟებთან ზოგადად კლების ტენდენცია შეიმჩნევა, გოგონებთან კი ჯერ მკვეთრად მატებაა (11-12 წლიანებთან), ხოლო შემდეგ – კლება.

სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მაჩვენებლის სიდიდე მიგვანიშნებს, რომ სკოლაში მასწავლებლების მხრიდან ბავშვის უფლებათა დარღვევა იშვიათი გამონაკლისი არ არის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ უყურადღებობა შეიძლება ჩაითვალოს ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმად, მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება.

მორალური ფასეულობებისა და საზოგადოებრივი ქცევის წესების ათვისების პროცესი შედგება იდენტიფიკაციისა და მოდელირების სტადიებისაგან. ბავშვები ჯერ აკვირდებიან საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით დასაშვებ ქცევებს, რომელთაც მოზრდილი ადამიანები ახორციელებენ და სწავლობენ, რა მოსწონთ მოზრდილებს და რა არა. შემდეგ ისინი ცდილობენ მიბაძონ მათ და მოიქცნენ ისევე, როგორც მოზრდილები. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლები მათ სწორედ დადებითი სოციალური ქცევის მოდელს უნდა აძლევდნენ და არა პირიქით, როგორც აღნიშნულ შემთხვევებში.

უნდა აღინიშნოს, რომ დაცინვასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე ჩვილები ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი. ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები კი ძირითადად I და II ასაკობრივ ჯგუფში შეინიშნება. ეს კი მიგვანიშნებს, რომ საჭიროა ბავშვებში კომუნიკაციური და თანამშრომლობითი უნარის განვითარებისათვის სპეციალურად იქნას შემუშავებული ღონისძიებათა პროგრამები.

მეორე სფერო, სადაც მოსწავლეები ბავშვის უფლებათა დარღვევაზე საუბრობენ, არის „ოჯახი“. გამოიკვეთა ორი კატეგორია – „მშობლები“ და „და-ძმა“.

*მშობლების მხრიდან*




1.9-10 წ. 2. 11-12 წ. 3. 13-14 წ. 4. 15-17 წ.

*და-ძმის მხრიდან*




1. 9-10 წ. 2. 11-12 წ. 3. 13-14 წ. 4. 15-17 წ.

გრაფიკიდან ჩანს, რომ „მშობლების“ მხრიდან უფლებათა ხელყოფას გოგონები უფრო მეტად უჩივიან, ვიდრე ბიჭები. თუმცა, ასაკთან ერთად ეს მაჩვენებელი თანდათან კლებულობს. ქვეკატეგორიებში გამოიყო:

1. არგაშვება; 2. შვილების გამორჩევა; 3. არაობიექტურობა; 4. აზრის გამოთქმის შეუძლებლობა და 5. ცემა-ჩხუბი.

საყურადღებოა იმის აღნიშვნა, რომ ძალიან დაბალია უფლებებთან დაკავშირებული უთანხმოებების სიხშირე „და-ძმასთან“. აქ ქვეკატოგორიებთან გამოიყო: 1. არაობიექტურობა (12,2%); 2. აზრის გამოთქმის შეუძლებლობა (4,9%); 3. ცემა-ჩხუბი (75,6%); 4. არაკორექტული შენიშვნები (2,1%).

ბავშვები, რომლებიც გრძნობენ გულითად, თბილ დამოკიდებულებას, ზრუნვას, სიყვარულსა და ნდობას ოჯახში უფროსების

მხრიდან, ცდილობენ გახდნენ მათი მსგავსნი და სწავლობენ ასეთივე დამოკიდებულებებსა და გრძნობების გამოხატვას სხვების მიმართ. ხოლო მოზარდები, რომლებიც ცხოვრობენ აგრესიულ გარემოში, სადაც მათ ვერ უგებენ, არ ენდობიან – იდენტიფიკაციას ახდენენ „აგრესიასთან". მიუხედავად იმისა, რომ მათ ეშინიათ ასეთი მშობლების, ისინი მაინც იღებენ მათგან ანტისაზოგადოებრივ თვისებებს. ფიზიკურ დასჯას და გამუდმებულ შენიშვნებს მივყავართ კიდევ უფრო ანტისოციალურ ქცევამდე და სამართალდარღვევამდე. მშობლები, რომლებიც უპირატესობას დამსჯელ ზომებს ანიჭებენ, ვერ აღწევენ სასურველ მიზნებს. ხშირ მკაცრ სასჯელს, განსაკუთრებით როცა ოჯახში საზოგადოდ, ურთიერთობების ნეგატიური ფონია, მივყავართ იქამდე, რომ ბავშვი გულგრილი და არადისციპლინირებული ხდება. ბავშვები ეჩვევიან შიშს და სიძულვილს, არ სურთ სხვებზე ზრუნვა და არ ცდილობენ დადებითი შეფასების დამსახურებას. მოზარდი შეიძლება აიძულო დაგემორჩილოს და გააკეთოს ის, რაც თქვენ გსურთ, მაგრამ როგორც კი გაქრება დასჯის მუქარა, მისი ქცევა ხდება პოტენციურად ანტისაზოგადოებრივი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზედმეტად დამთმობი მშობლებიც აფერხებენ სოციალიზაციის პროცესს და ბავშვის ზნეობრივ განვითარებას, რადგან არ აჩვევენ მათ საკუთარი თავის კონტროლს.

აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად აქვთ გაცნობიერებული მშობლებს აღზრდის ასეთი სტილის შედეგები.

რაც შეეხება ბავშვის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს „საზოგადოებაში", აქ გამოიყო შემდეგი კატეგორიები: 1. მაღაზია; 2. ტრანსპორტი; 3. პოლიცია; 4. ქუჩა-ეზო.




გრაფიკიდან ჩანს, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფის მაჩვენებელი ყველა კატეგორიაში სტაბილურად მაღალია. ფიზიკური შეურაცხყოფის მაჩვენებელი მაღალია „პოლიციასა" და „ქუჩა–ეზო" კატეგორიებში. „იგნორირება" ძირითადად ხდება „მაღაზიაში" და „ტრანსპორტში", ისიც უფრო ხშირად I ასაკობრივ ჯგუფში.

ზნეობრივი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვისათვის საზოგადოების მორალური საფუძვლების გაცნობა, სულიერი ფასეულობების სისტემისა და სოციალური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის ფორმირება.

სამწუხაროდ, მონაცემების თანახმად, ჩვენი საზოგადოება მოზარდებს ძალადობისა და აგრესიის მოდელს საკმაოდ დიდი დოზით აწვდის, რის გამოც ბავშვებისაგან ისევ ძალადობა და აგრესია გვიბრუნდება.

შეშფოთებას იწვევს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ფსიქოემოციური მდგომარეობა, რაც მათთან ფსიქოდიაგნოსტიკურ და საგანმანათლებლო მუშაობის აუცილებლობას განაპირობებს. „ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის" მონაცემებით, მოზარდებს ახასიათებთ ნარკომანიისადმი მიდრეკილება, არიან ზედმეტად მგრძნობიარენი მათ გარშემო მიმდინარე ყველა მოვლენისადმი, განიცდიან მუდმივ დისკომფორტს, რამაც შეიძლება გაზარდოს მათში დევიაციური ქცევების წარმოშობის ალბათობა. ისინი ნაკლებად ცდილობენ მოექცნენ გარშემომყოფების ზეგავლენის ქვეშ. სწორედ ამიტომ, საჭიროა მათ მიერ ცხოვრებისეული მიზნების სწორად გაცნობიერება და, საჭიროების შემთხვევაში, ამ მიზნებისა და ღირებულებების კორექცია.

. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ:

- ყველა ასაკობრივ ჯგუფში მოზარდებს კარგად არა აქვთ გაცნობიერებული, რა არის უფლება, რით განსხვავდება მისი დარღვევა წესის დარღვევისაგან. ვფიქრობთ, საჭიროა უფრო არსებითად ხდებოდეს „ბავშვის უფლებათა კონვენციისა" და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" შესწავლა;
- ბავშვის უფლებათა დარღვევის სიჭარბე სკოლაში სერიოზულ და გადაუდებელ ყურადღებას მოითხოვს. აუცილებელია ამაღლდეს პედაგოგთა არა მარტო სამართლებრივი და ფსიქოლოგიური განათლების დონე, არამედ მნიშვნელოვანი გახდეს კომუნიკაციური უნარ-ჩვევების, სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევებისა და ემოციების მართვის ინსტრუმენტების დაუფლება;
- მოზარდებში კომუნიკაციური და თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარება შეამცირებს თანატოლების მხრიდან უფლებათა დარღვევის სიხშირეს;
- უაღრესად მნიშვნელოვანია, სკოლებმა წარმართონ მუშაობა მშობლების პედაგოგიზაციის, მათი სკოლასთან დაახლოებისა და თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებისათვის (სასურველია, ამ პროცესში ფსიქოლოგთა აქტიური მონაწილეობა).

ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოს ცალკეული კანონებითა თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით რეგულირდება, თუმცა ისინი საჭიროებენ დახვეწას, რათა შეიქმნას ეროვნული სამოქმედო პოლიტიკის განვითარების მძლავრი სამართლებრივი ბაზა, რომელიც აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში. მიუხედავად იმისა, რომ ხელმოწერილია კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ, მიღებულია კანონი „ობოლი და მშობლის მეურვეობას მოკლებული ბავშვების შვილობილობის შესახებ", „შვილად აყვანის წესის შესახებ", სახელმწიფოს მიერ ნეგატიური პროცესების შეჩერების მიზნით, მიღებულია არასრულწლოვანთა დაცვის, განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სახელმწიფო პროგრამა (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №80), განხორციელებული ზომების

პრაქტიკული შედეგები არასაკმარისია, უპირველეს ყოვლისა, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილობის, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის კოორდინირების, სკოლის, ოჯახის, მასობრივი ინფომაციის საშუალებების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შორის კოორდინირებულ მოქმედებათა არარსებობის გამო.

შეუძლებელი ხდება მეტნაკლებად ზუსტი სტატისტიკის მოძიება ექსპლუატირებულ ბავშვთა შესახებ, რადგან საზოგადოებრივი გაკიცხვის შიშით ამ დანაშაულის მსხვერპლთა მშობლები თუ ახლობლები სამართალდამცავებს ნაკლებად მიმართავენ. ეს საკითხი მოუწესრიგებელია საქართველოს კანონმდებლობითაც – სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დამამძიმებელი გარემოების კვალიფიკაციით არასრულწლოვანის პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნაბეჭდი გამოსახულების და სხვა სახის პორნოგრაფიული პროდუქციის უკანონოდ დამზადებისა და გავრცელებისათვის. არ არის გათვალისწინებული ინტერნეტით ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების დასჯადობაც. კანონმდებლობაში საერთოდ არ არის გათვალისწინებული ადამიანებით ექსპლუატაცია, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, არ რეგულირდება სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის საკითხი და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ბაზა მოითხოვს დახვეწას.

დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს აღიარებს, ცხადია, საჭიროებს შესაბამის განათლების სისტემას. ამის განსახორციელებლად უნდა გატარებულიყო როგორც კონცეპტუალური, ასევე პრაქტიკული ხასიათის სისტემური ცვლილებები, რომელიც უფრო მოქნილს გახდიდა საგანმანათლებლო სტრუქტურას და ხელს შეუწყობდა ახალი ქვეყნის საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებას.

## ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სტრატეგიის დეპარტამენტში წელიწადზე მეტია ფუნქციონირებს ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი, რომლის მიზანია ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოში. ცენტრის საქმიანობა მიზნად ისახავს იმ მექანიზმების შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა უფლებების დაცვას, პირობების სოციოლოგიურ კვლევას, ქალთა გააქტიურებას და ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ სამართლებრივ განათლებას, ქალთა დაცვის საკითხებში საზოგადოების ინფორმირების დონის ამაღლებას.

მიგვაჩნია, რომ მზარდი აგრესია, რაც გამოწვეულია მეტწილად მოსახლეობის დიდი ნაწილის უკიდურესი სიდუხჭირით, სოციალური დაუცველობით, კორუფციით, საზოგადოებისა და სახელმწიფო სამსახურების ერთობლივი ძალისხმევით უნდა დაიძლიოს. ყოველივე ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ქალებმა არ იციან საკუთარი უფლებები, მათი დაცვის მექანიზმები და ადამიანის უფლებათა სისტემას უყურებენ, როგორც რაღაც აბსტრაქტულსა და მათთვის მიუღწეველს. ამ მიზნით, სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „დახმარება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს" თანამშრომლებთან ერთობლივად ჩატარდა სემინარები იმერეთის რეგიონის პედაგოგებისათვის (ქ. ქუთაისში, ქ. ბაღდათში და ქ. სამტრედიაში); სამართალდამცავებისათვის ქ. რუსთავსა და ქ. გორში.

ცენტრის მიერ განხორციელებულმა საქმიანობამ ნათლად დაგვანახა ქალთა და ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის ეროვნული სამსახურის შექმნის აუცილებლობა, რომელიც საშუალებას მისცემს სახალხო დამცველს, აპარატის თანამშრომლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო ეფექტურად აამოქმედონ მათ ხელთ არსებული დაცვის ბერკეტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახალხო დამცველისა და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" ქალთა პროგრამების კოორდინატორის ქალბატონ მარინა თაბუკაშვილის ინიციატივით, ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ბავშვებისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის ქალთა უფლებების დაცვის ცენტრის თანამშრომლებთან და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციის „პეონის" წარმომადგენლებთან ერთად ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავდა პროექტი „ქალთა და ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის ეროვნული სამსახური", რომელიც ხორციელდება 2002 წლის სექტემბერიდან ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით. სამსახური კოორდინირებულად თანამშრომლობს სამთავრობო სტრუქტურებთან, ქალთა და ბავშვთა უფლებების დამცავ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთაც აქვთ საკმარისი გამოცდილება და ეფექტური რესურსები, ძალადობისგან დამცავ რეგიონალურ კომიტეტებთან, სახალხო დამცველის რეგიონალურ რწმუნებულებთან, მერიის სოციალურ სამსახურთან.

ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე სამსახური ახდენს შესაბამის რეაგირებას. მათ უტარდებათ უფასო სამედიცინო შემოწმება, იურიდიული კონსულტაციები, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, მიეწოდებათ მედიკამენტები (არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით), საჭიროების შემთხვევაში ენიშნებათ უფასო ადვოკატი, სამსახურის იურისტები ესწრებიან სასამართლო პროცესებზე მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით, ეხმარებიან სამართალდამცველებთან ურთიერთობაში, რისთვისაც ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება აპარატში არსებული სწრაფი რეაგირების ჯგუფის დახმარება.

ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №5 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ხელმძღვანელობასთან. ვეცნობით მსჯავრდებული ქალების მდგომარეობას. უშუალო საუბრებში ისინი გამოთქვამენ სინანულს ჩადენილი დანაშაულის გამო, სურვილს, სასჯელის მოხდის შემდეგ იცხოვრონ პატიოსანი, საზოგადოებისათვის სასარგებლო ცხოვრებით. თუმცა ვაცნობიერებთ, რომ ზოგიერთ მსჯავრდებულს მართლაც მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი და სასჯელს დამსახურებულად იხდის. ხშირად მხედველობის მიღმა რჩება ის გარემოება, თუ რამ აიძულა ადამიანი, გადაედგა საბედისწერო ნაბიჯი. საზოგადოებისა თუ ოჯახის წევრების მიერ გამოვლენილი ფიზიკური თუ ვერბალური ძალადობა და აგრესიულობა ბადებს საპასუხო აგრესიას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ვლინდება სხვათა მიმართ დაუნდობელ ქმედებებში – მკვლელობა, ყაჩაღობა და სხვ.

ხშირად სწორედ აუტანელი სოციალური პირობები აიძულებთ ქალებს ჩაიდინონ ისეთი უმძიმესი დანაშაული, როგორიცაა ნარკოტიკული და სხვა ძლიერ მოქმედ საშუალებათა უკანონო გასაღება. სახელმწიფო პრობლემას არ განიხილავს გლობალურად. აუცილებელია აღმოიფხვრას თვით დანაშაულის წყარო – ე. წ. „ნარკობარონები", რომლებიც უმეტეს შემთხვევაში დაუსჯელნი რჩებიან.

მსჯავრდებული ქალების მიმართ გამოცემული ყოველი შეწყალების აქტი უდიდესი ჰუმანურობის გამოვლენაა, რადგან მათ მიმართ ნდობის გამოცხადება მათი ცხოვრებისაკენ შემობრუნების შანსია. ამის ნათელი დადასტურებაა სტატისტიკა, რომლის მიხედვით მათ მიერ მძიმე დანაშაულის განმეორებით ჩადენის ფაქტებს ადგილი არა აქვს.

ამის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პრეზიდენტს მიმართა თხოვნით, გამოეჩინა კეთილი ნება და ამ კატეგორიის პატიმარ ქალთა მიმართ გამოეყენებინა შეწყალების აქტი, სასჯელის დარჩენილი ნაწილის ერთი წლით შემცირების შესახებ.

2002 წლის დეკემბერში 69 მსჯავრდებულ ქალს შეუმცირდა სასჯელის დარჩენილი ნაწილი ერთი წლით.

**თუმცა, დანაშაულს სჩადიან არა მარტო ქალები, საკმაოდ დიდია მაჩვენებელი თვით ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისა.**

კაცობრიობის არსებობის მანძილზე ძალადობა ადამიანთა ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია. ქალები კაცობრიობის ყველაზე მოწყვლადი ნაწილია და მათ მიმართ ძალადობა ქალთა და კაცთა შორის იმ უთანასწორობის გამოვლინებაა, რომელიც სათავეს ისტორიულ წარსულში იღებს. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, ილახება მისი ღირსება და თავისუფლება, საფრთხე ემუქრება მის უსაფრთხოებას.

მსოფლიოში არსებული გენდერული დისბალანსი და ამასთან, გენდერული ძალადობა, რომლის ობიექტი, როგორც წესი, ქალია, ტრივიალურ მოვლენად მოიაზრება. ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის თითქმის ყველა ფორმა განიხილება, როგორც „ნორმალური

მოვლენა". ძალადობას ვხვდებით ნებისმიერ საზოგადოებაში, საზოგადოების ნებისმიერ ფენაში, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა, ეთნიკური თუ სოციალური მდგომარეობისა, ასაკის, განათლების თუ კულტურული დონისა.

ნებისმიერ სახელმწიფოში ძალადობას საერთო ფესვები გააჩნია, მაგრამ ცხოვრების წესის, მენტალიტეტის, იდეოლოგიის, ტრადიციების, ჩვევებისა და სხვა მრავალ ფაქტორთა გამო, ყველა ქვეყანაში პრობლემათა გამომწვევი მიზეზები და მათი გამოვლინება სხვადასხვანაირად იჩენს თავს. ასე, მაგალითად: აშშ-ში აბორტის ნებართვისთვის ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ ქმედებად ითვლება; ზოგ ქვეყანაში ასეთად ქალებისათვის განათლების ხელმისაწვდომობისათვის ბრძოლაა, ზოგან კი ეთნიკური წმენდის დროს გაუპატიურების წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

საქართველოში ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სისტემის მექანიზმების მოშლამ და სხვა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა ქალთა მძიმე სოციალური მდგომარეობა. ასეთ ფონზე მკვეთრად გაიზარდა ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების რაოდენობა, იგი სხვადასხვა ფორმით ვლინდება. სამწუხაროდ, ის ჩვენი ცხოვრების ატრიბუტად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალს ხშირად უფრო მეტად ეშინია „უცხო მოძალადის", გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ რეალურად მოძალადეს მსხვერპლი იცნობდა, ან ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან. ამ პრობლემის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ოჯახია სწორედ ურთიერთობის ის სფერო, სადაც ქალს მსხვერპლად გახდომის ყველაზე მეტი საფრთხე ელის. სწორედ ოჯახში გამოვლენილ ძალადობას აქვს ფსიქოლოგიურად დამანგრეველი ძალა.

ჩვენს საზოგადოებაში ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას ოჯახური ძალადობა წარმოადგენს. ტრადიციული წარმოდგენების ტყვეობაში მყოფი საზოგადოება ამ პრობლემას არაადეკვატურად მიიჩნევს და სწორედ ამიტომ ოჯახური დანაშაულის ფაქტების უმრავლესობა გაუხმაურებული რჩება. ერთი მხრივ, ეს მდგრადი სტერეოტიპებით არის განპირობებული, თითქოს ძალადობის მსხვერპლი ქალი თვითონ არის ძალადობის გამომწვევი მიზეზი და დამნაშავე. ტრადიციულად, ეს თემა ტაბუირებულად რჩება ჩვენს საზოგადოებაში. ოჯახური კონფლიქტები არ განიხილება ოფიციალურ დონეზე. ქალი, როგორც წესი, არ ენდობა სამართალდამცველებს (ჩვენი მონაცემებით, ძალადობის მსხვერპლთა 85 პროცენტი სამართალდამცავ სტრუქტურებს არ მიმართავს), არ ელის მათგან დახმარებას; უფრო მეტიც – გართულებებისა და საფრთხის მოლოდინშია. სწორედ ამ მიზეზით არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა ოჯახურ ძალადობაზე. ის არ არის გამოყოფილი ცალკე კატეგორიად და წარმოადგენს საზოგადოებისაგან დაფარულ დანაშაულს, რომლის მასშტაბები არ არის განსაზღვრული და შეფასებული. არ არსებობს კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ. იმის გამო, რომ მწირია ინფორმაცია, ხშირად ადამიანი ვერც კი აცნობიერებს, რომ ის ძალადობის მსხვერპლია.

პიროვნების მიმართ გამოვლენილ ძალადობათა შორის გაუპატიურება ყველაზე საშიში და ცინიკური ხასიათის დანაშაულია. აღნიშნული უფლებების ხელყოფის ობიექტი, უმრავლეს შემთხვევაში, ქალის პატივი და ღირსებაა, მისი სქესობრივი თავისუფლების ხელშეუხებლობა.

2002 წლის 10-11 ნოემბერს მოხდა ჯგუფური გაუპატიურების ფაქტი. დაზარალებული სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის" თანამშრომელი იყო. სასტუმროს გენერალურმა მენეჯერმა დახმარება სთხოვა პარლამენტს, სახალხო დამცველს და გენერალურ პროკურორს. მას შემდეგ, რაც ჩემს მიერ რაიონული პროკურორის წინაშე დაყენებულ იქნა დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის საკითხი, პატიმრობაში აიყვანეს ვ. ხიზამბარელი, კ. ლომიძე და დ. აფხაზიშვილი. ჩემივე შუამდგომლობით დაზარალებულს ჩაუტარდა უფასო სამედიცინო შემოწმება, მკურნალობა და ფსიქოლოგიური დახმარება ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში „სახლი".

აღნიშნულ საკითხს გაზეთმა „რეზონანსმა" 2002 წლის 27 ნოემბერს მიუძღვნა პუბლიკაცია, რომელშიც ხაზგასმით აღინიშნა პოლიციისა და პროკურატურის, კერძოდ, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და რაიონული პროკურატურის მიერ საქმის გახსნით ჩატარებული არადამაკმაყოფილებელი მუშაობის თაობაზე. აქვე გამახვილდა ყურადღება დანაშაულის მოწმეთა მხრიდან გამოძიებისათვის სათანადო დახმარების აღმოუჩენლობის შესახებ. საქმე იმაშია, რომ დაზარალებულმა ამოიცნო ოთხი თავდამსხმელი, მაგრამ დამნაშავეთა მიმართ მამხილებელი ჩვენებები ერთი მოწმის გარდა, რომელიც აბანოს თანამშრომელია, არ მიუცია თავის დროზე დანაშაულის სხვა თვითმხილველებსაც. კერძოდ, მხედველობაში გვყავს დანაშაულის ადგილზე მცხოვრები ქალბატონები და სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, რომლის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანიდან მოძალადეებმა ფიზიკური ძალის გამოყენებით ჩამოსვეს დაზარალებული და მთელი ღამის განმავლობაში აწამებდნენ ამ უკანასკნელს.

ადამიანის მოტაცება მძიმე დანაშაულია, მაგრამ როდესაც საქმე ვაჟის მიერ გოგონას მოტაცებას ეხება, დანაშაულადაც არ ითვლება. აღარ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, ოჯახებს შორის ხდება მოლაპარაკება, რასაც, ხშირ შემთხვევებში, მოყვება საქმის მიჩქმალვა ან ძალადობის საფუძველზე ოჯახის შექმნა. ამით ორივე მხარე კმაყოფილია და არავის აინტერესებს დაზარალებულის მდგომარეობა, გრძნობები, მათი შემდგომი ურთიერთობები.

ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, ზედმეტად ლოიალურია ასეთი სახის ძალადობის მიმართ. ამიტომ, ვაჟები თითქმის დარწმუნებულნი არიან თავის დაუსჯელობაში.

2002 წლის 3 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქ. თ. ქ.-მ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მისი შვილი თ. პ. (16 წლის) მოტაცებული იყო დ. ბ.-ს მიერ. ოჯახმა მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის განყოფილებას, რათა დაეკავებინათ გამტაცებლის მანქანა. მაგრამ მანქანა არ იქნა დაკავებული და გოგონა წაყვანილ იქნა ქ. გორში. საქართველოს სახალხო

დამცველის აპარატში არსებული სწრაფი რეაგირების ჯგუფი დაუკავშირდა გორის პოლიციის უფროსს, სადაც თბილისიდან გაიგზავნა ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის განყოფილების თანამშრომლების ჯგუფი. გოგონა დაბრუნდა საკუთარ სახლში, მაგრამ ოჯახები შერიგდნენ და გოგონას მშობლებმა საკუთარი სურვილით უკან გამოიტანეს სასარჩელო განცხადება.

ცენტრში ცხელი ხაზის მეშვეობით შემოვიდა შეტყობინება, რომ ქ. გორში მოიტაცეს აზერბაიჯანელი გოგონა ცოლად შერთვის მიზნით. ქალიშვილთან საქმის შესწავლის მიზნით გაემგზავრა სწრაფი რეაგირების ჯგუფის წარმომადგენელი. აღმოჩნდა, რომ ქალიშვილს ეშინოდა თავისი მომტაცებლის და იძულებით დათანხმდა ცოლად გაყოლოდა მას. სახალხო დამცველის ინიციატივით შედგა მამისა და ქალიშვილის შეხვედრა ადვოკატის ოფისში, სადაც გოგონამ განაცხადა, რომ არ სურდა ცოლად გაჰყოლოდა თავის მომტაცებელს, რის შედეგადაც დაბრუნდა სახლში.

სამწუხაროდ, ვხვდებით ძალადობის ნიშნებს ახლადშექმნილ ოჯახებში მეუღლის ან დედამთილის მხრიდან, როცა ახლადმოყვანილი რძალი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მიჰყავთ ექსპერტთან ქალიშვილობის დასადგენად.

ამგვარი ანომალიური ფორმების დასაგმობად, პირველ ყოვლისა, საზოგადოების გათვითცნობიერება და სამართლებრივი განათლების დონის ამაღლებაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი ფაქტები მხოლოდ ოჯახის ლოკალურ პრობლემად და კონფლიქტად აღიქმება.

გაცილებით რთულად არის საქმე, როცა ძალადობის ფაქტებს ბავშვები ხედავენ. მათ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ფსიქიკაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს დედის ცემა, დამცირება და შეურაცხყოფა. ასეთ შემთხვევაში ბავშვები ავტომატურად ხდებიან მშობელთა ძალადობის მსხვერპლნი. ასეთი კატეგორიის ბავშვებს, როგორც წესი, აგრესიულობა, გაბოროტება, არასრულფასოვნების კომპლექსი და ძალადობისკენ მიდრეკილება ახასიათებთ. ასეთ ოჯახებში დიდია დისტანცია მშობელსა და შვილებს შორის, სითბოსა და ზრუნვის დეფიციტია, მშვიდ ახსნა-განმარტებას ხშირად ძალისმიერი მეთოდები და ცემა ცვლის. ამ საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ დამნაშავე პირთა დიდი ნაწილი, სწორედ ისეთ ოჯახებში იზრდებოდა, სადაც ძალადობა ყოველდღიური მოვლენა იყო და ბავშვმაც სწორედ ოჯახის ქცევის მოდელი აითვისა.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს ჩატარებულმა გამოკვლევებმა, პრაქტიკოს ფსიქოლოგთა და ფსიქიატრთა გამოცდილებამ დაგვანახა, თუ რაოდენ გავრცელებულია ჩვენს საზოგადოებაში ოჯახური ძალადობა და როგორ ბუმერანგივით უბრუნდება იგი საზოგადოებას.

მასკულინურ-პატრიარქალურ საზოგადოებაში მამაკაცები ქალებს ტრადიციულად დაბალ ფენად მიიჩნევენ. მათი წარმოდგენით, ქალი მხოლოდ მამაკაცთა საამებლად არის შექმნილი, მამაკაცი კი – ქალებზე საბატონოდ. საზოგადოებაში, სადაც გენდერული ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენაა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაშია სექს-ინდუსტრიაში ჩაბმული ქალი. ამ მხრივ გამონაკლისს

არც საქართველო წარმოადგენს, სადაც ეს პრობლემა მთელი სიმწვავით დგას.

მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი შემუშავდა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციისა და მასთან დაკავშირებული სხვა სახის ექსპლუატაციის (მონობა, იძულებითი შრომა, ტრეფიკინგი, პროსტიტუციაში ჩართვა და ა. შ.) თვალსაზრისით. მრავალ მათგანს საქართველო უკვე შეუერთდა, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობა ამ კუთხით სერიოზულ დახვეწას და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას საჭიროებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ცნება „კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია" როგორც დეფინაცია შიდა კანონმდებლობაში საერთოდ არ არსებობს. და ეს მაშინ, როცა ბოლო ათწლეულის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში პროსტიტუციის მკვეთრი ზრდა აღინიშნება. ბოლო დროს იმატა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალებით ვაჭრობის ფაქტებმაც, რაზეც ნათლად მეტყველებს უშიშროების სამინისტროში რეგისტრირებული განცხადებები. ოჯახის წევრები და ახლობლები ეძებენ უცხოეთში სამუშაოდ წასულ ახალგაზრდა ქალებს, რომელთა უსასოო ყოფისა და ექსპლუატაციის საპირისპიროდ არანაირი მექანიზმი არ არსებობს უცხო ქვეყანაში მათი არალეგალური ცხოვრების გამო. ხშირად მათზე განხორციელებული ძალადობა მკვლელობით მთავრდება. არალეგალური მიგრაციისა და შრომითი საქმიანობის დროს ქალები ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან. ამ დროს ქალს მოიაზრებენ, როგორც ნივთს. ქალის ნივთადქცევის ფაქტები ჩანს საზღვარგარეთ ქორწინებისა და იაფი მუშახელის გზით გამოყენების დროსაც. დღეისათვის საქართველოში ნათლად იკვეთება ტრეფიკინგისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) საქართველოს „ახალ პრობლემურ რეგიონს" უწოდებს, რომელიც „წარმატებით" ითვისებს ტრეფიკინგისათვის დამახასიათებელი მიმწოდებელი და სატრანზიტო ქვეყნის ფუქციებს. ამ მხრივ საქართველოს ერთპიროვნულ ლიდერად მოიაზრებენ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

ქალთა უფლებების დარღვევის, ძალადობისა და ტრეფიკინგის მასშტაბები ჩვენს ქვეყანაში ისე ფართოვდება, რომ არა მარტო საქართველოს უფლების დამცველი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებიც გამოთქვამენ უკიდურეს შეშფოთებას.

ასეთი მწვავე მდგომარეობის ფონზე, ცხადია, ქალისა და ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება ერთი პიროვნების ან ჯგუფის მიერ საკუთარი უფლებების დაცვით შემოიფარგლოს. კატასტროფამდე მივა ქვეყანა, თუ ეს პრობლემები საზოგადოებისა და სახელმწიფოს სერიოზული მსჯელობის საგანი არ გახდება.

საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ფსიქოლოგიური ძალადობა.

მოქ. მ. კაპანაძემ მოატყუებით ჩაიგდო ხელთ მოქ. ქ. კენჭოშვილის საკუთარი ბინა, რომლის შესანარჩუნებლად მუდმივად ახორციელებდა მასზე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას.

სახალხო დამცველმა მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორს ბ-ნ ი. წერეთელს თხოვნით, კანონით დადგენილი წესითა და ვადაში ჩაეტარებინათ მოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე მოქ. მ. კაპანაძის მიმართ თაღლითობის მუხლით. ამასთან, სახალხო დამცველის თანამშრომლების მიერ მოქ. მ. კაპანაძე გაფთხილებულ იქნა მოსალოდნელ შედეგებზე, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ შეწყვეტდა აღნიშნულ ქმედებებს. ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად, ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება, მშობიარობამდე 70 და მშობიარობის შემდეგ, 56 კალენდარული დღის ხანგრძლივობით. მაგრამ ყოველთვის არ ხდება კანონის ამ მოთხოვნის დაცვა, მით უმეტეს, რომ აღნიშნული მუხლი არ გაუქმებულა და არც შეცვლილა. ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით განათლების მუშაკთა თავისუფალი პროფესიული კავშირი „ერთობა"-ს თავმჯდომარემ, ქალბატონ დ. ცერცვაძემ, 2002 წლის . 24 ოქტომბერს მიმართა თბილისის მერიის განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურის უფროსს, ბატონ მ. სტურუას რომ თბილისის ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს კანონმდებლობით დაწესებული შეღავათების შეზღუდვის ფაქტებს. კერძოდ, 191-ე საშუალო სკოლის ფსიქოლოგს, ქალბატონ ი. ფსუტურს კანონით დადგენილი 126 კალენდარული დღის ნაცვლად, აუნაზღაურდა 90 დღე. არადა, კანონის მითითებული მუხლით, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება გამოიანგარიშება შეჯამებულად და ქალს იგი უნდა მიეცეს მთლიანად, მშობიარობამდე ფაქტობრივად გამოყენებული დღეების რაოდენობის მიუხედავად. სკოლის დირექტორისა და საქალაქო სამსახურის მიერ კანონის ეს მოთხოვნა სამწუხაროდ არ სრულდება, არც კავშირის მიმართვაზე მოხდა დროული რეაგირება და საქმე თვითდინებაზეა მიშვებული.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც. ასე მაგალითად, 183-ე საშუალო სკოლის პედაგოგს, ქალბატონ ი. ტიკარაძეს აუნაზღაურდა კანონით დადგენილ დღეებზე ნაკლები, 170-ე სკოლის პედაგოგს ლ. უნგიაძეს – 105 დღე და ა.შ. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ კანონის დაცვას არ ექცევა სათანადო ყურადღება, ხოლო მომკითხავი არ ჩანს.

საყურადღებოა ისიც, რომ მცდელობა საქართველოში შექმნილიყო სოციალური მუშაკის ინსტიტუტი – ჯერ კიდევ უშედეგოა. საგულისხმოა, რომ სოციალური მუშაკის ინსტიტუტის შექმნის სასიცოცხლო აუცილებლობაზე მიანიშნებს არა მარტო ზემოთ მოყვანილი მაგალითები, არამედ ბევრი სხვა გარემოებაც.

# სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის ცენტრი

მდგომარეობა სამხედრო ძალებში და სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების საკითხი განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა ჩვენი საზოგადოებისათვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად ავრცელებენ ინფორმაციას ჯარში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე: მკვლელობები, თვითმკვლელობები, მომხდარი უბედური შემთხვევით დაღუპულები, დეზერტირობა, დაავადებული თუ დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების შესახებ ინფორმაცია არ წყდება. ალბათ ჩვენი სამხედრო ძალები მივიდა იმ კრიტიკულ ზღვრამდე, როდესაც საჭიროა დაუყოვნებელი ღონისძიებების გატარება, ეს იქნება საფინანსო პოლიტიკის შეცვლა თუ საერთოდ სახელმწიფო მიდგომების გადახედვა. აღნიშნული პრობლემების ერთ-ერთი მძიმე შედეგია ის გარემოება, რომ გაწვევა ჩავარდა, ზოგიერთ სახელმწიფო მოხელეს მიაჩნია, რომ ჩვენს მიერ გაკეთებული განცხადებებით ვეწევით ჯარის დისკრედიტაციას, რაც ხელს უშლის გაწვევას. აღნიშნული საფუძველშივე არ შეეფერება სინამდვილეს. ჩვენი განგაში მითითებულ პრობლემებთან დაკავშირებით განპირობებულია მარტივი მიზეზით; როდესაც სამხედრო მოსამსახურე დაუცველია, ასეთი ჯარი ვერ იქნება ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი და ვერ შეძლებს დაიცავს თავისი ქვეყნის მოქალაქეები.

ვიდრე ჩვენი სახელმწიფო უარს არ იტყვის მასიურ არმიაზე და საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახურზე, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული პრობლემები არ მოგვარდება. როგორც არ შეიძლება ყველა სავალდებულოდ ექიმი, მასწავლებელი იყოს, ისევე არ შეიძლება ყველას ჯარისკაცობა მოვთხოვოთ. გამოსავალი პროფესიულ არმიაში, ანუ საკონტრაქტო სისტემაშია. დროა ჯარის რიცხობრივი მაჩვენებელი ხარისხობრივში გადავიყვანოთ, სადაც ის ადამიანები იმსახურებენ, ვისაც საამისო ფიზიკური მონაცემები და რაც ყველაზე უმთავრესია – ამის სურვილი ექნებათ.

არ შეიძლება დღეს გულისტკივილით არ შევხედოთ სამხედროების მდგომარეობას. თავდაცვის სამინისტრო ნაწილობრივ უკვე გადავიდა საკონტრაქტო სისტემაზე და თუ შევადარებთ „კომანდოს ბატალიონსა“ და სხვა ნებისმიერ სამხედრო ნაწილს, დიდ განსხვავებას დავინახავთ. ზუსტად ამითაა განპირობებული გაწვევის ჩავარდნა, დეზერტირობა და ბევრი ახალგაზრდისათვის პრობლემების შექმნა, ამიტომაა, რომ მშობლები ყველა გზას მიმართავენ შვილის სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დროა გავაკეთოთ სწორი დასკვნები!

საქართველოს თავდაცის სამინისტროს სისტემაში 2002 წელს დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა სია:

| № | წოდება | გვარი, სახელი | ს/ნ დასახელება | დაღუპ-ვის თარიღი | დაღუპვის მიზეზი. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | რიგითი | ნოზაძე კახა | სახმელეთო ჯარების შტაბი ს/ნ44761 | 01.02 | დენმა დაარტყა სამხედრო ნაწილის ტერიტორია-ზე მაღალი ძაბვის დენის ჯიხურში |
| 2 | რიგითი | თათარაშვილი ზურაბი | საჰაერო ძალები ს/ნ 44761 | 01.02 | შემთხვევით გასროლილი ტყვიით ყარაულში ყოფნის დროს. |
| 3 | კაპიტანი | ლომსაძე მამუკა | საჰაერო ძალები ს/ნ 45445 | 21.02 | ინფექციით გარდაი-ცვალა სახლში |
| 4 | ზემდეგი | ბრონიკოვი არტური | საჰაერო ძალები ს/ნ 22683 | 21.02 | ინფაქტით გარდაიცვა-ლა სახლში |
| 5 | კურსანტი | კილაძე ვახტანგი | ეროვნული სამხედრო აკადემია | 13.03 | თავი მოიკლა სახლში ყოფნის დროს, სანადირო თოფით |
| 6 | რიგითი | ზვიად თამარაშვილი | 21-ე ქვეითი ბატალიონი ს/ნ 30232 | 16.03 | აფეთქდა ალაზნის ტიპის რაკეტის თვითნებურად დაშლის დროს, სამხედრო ნაწილის ტერიტორია-ზე ძველ მიტოვებულ საქვაბეში |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | რიგითი | ვახტანგ ჯაშიაშვილი | ცალკეული საზენიტო დივიზიონი ს/ნ 30240 | 16.03 | აფეთქდა ალაზნის ტიპის რაკეტის თვითნებურად დაშლის დროს, სამხედრო ნაწილის ტერიტორია-ზე ძველ მიტოვებულ საქვაბეში |
| 8 | რიგითი | მამედოვი ნიაზი | მე-11 მექანიზირე-ბული ბრიგადა ს/ნ 10143 | 13.04 | აფეთქდა ვაზიანის პოლიგონზე |
| 9 | ლეიტენატი | ჯუმბერ შუბითიძე | საფინანსო საბიუჯეტო სამმართველო | 27.04 | ავტოკატა-სტროფის შემთხვევა |
| 10 | რიგითი | ბენიძე ანზორი | საჰაერო ძალები ს/ნ 22684 | 19.05 | შემთხვევით გაუვარდა ავტომატი, ყარაულში ყოფნის დროს |
| 11 | ზემდეგი | ქათამაძე ბადრი | 25-ე ბრიგადა ს/ნ 20350 | 13.06 | ტაბელური იარაღით თავი მოიკლა სახლში ყოფნის დროს |
| 12 | რიგითი | ჩიხლაძე დავითი | 21-ე ქვეითი ბრიგადას/ნ 10144 | 28.06 | კოდორის ხეობაში დაიღუპა, სამსახურეობ-რივი მოვალეობის შესრულების დროს |
| 13 | ვიცე-პოლკოვნიკი | სანიკიძე არველი | ლოგისტიკის ცენტრალური დეპო ს/ნ 06328 | 05.07 | მაღალი ძაბვის ბოძზე დენმა დაარტყა სახლში ყოფნის დროს |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 14 | კაპიტანი | ჩიხლაძე გივი | ეროვნული გვარდია ს/ნ 55066 | 21.07 | ავტოკატა-სტროფის შემთხვევა |
| 15 | რიგითი | შუკაკიძე კობა | ეროვნული გვარდია ს/ნ 55066 | 21.07 | ავტოსატრან-სპორტო ავარიით გარდაიცვა-ლა ნაწილის გარეთ |
| 16 | რიგითი | ქაშაბიძე ზურაბი | ცალკეული საზენიტო დივიზიონი ქ. ქუთაისი ს/ნ 21240 | 16.07 | გარდაიცვა-ლა ინფექციური ვირუსით |
| 17 | რიგითი | კობიაშვილი თემური | 11-ე ბრიგადა | 07.09 | სამოქალაქო პირებთან შელაპარა-კების დროს მკერდის არეში დანის დარტყმით მიყენებული ჭრილობით გარდაიცვა-ლა |
| 18 | რიგითი | მუმლაძე შერმადინი | ბაზა კოჯორი ს/ნ 15777 | 08.09 | თვითნებურად შევიდა მაღალი ძაბვის ჯიხურში და მოხვდა ძაბვის ქვეშ სამხედრო ნაწილის გარეთ |
| 19 | რიგითი | შიშკოვი გიორგი | 21-ე ქვეითი ბრიგადა ს/ნ 10144 | 14.10 | ყარაულში ყოფნის დროს დაუვარდა ავტომატი და გამოსროლი ლი ტყვია მოხვდა მკერდის არეში |

აქედან თვითმკვლელობა:

| | წოდება | გვარი,სახელი | ს/ნ დასახელება | დაღუპვის თარიღი | დაღუპვის მიზეზი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კურსანტი | კილაძე ვახტანგი | ეროვნული სამხედრო აკადემია | 13.03 | თავი მოიკლა სახლში ყოფნის დროს, სანადირო თოფით |
| 2 | ზემდეგი | ქათამაძე ბადრი | 25-ე ბრიგადა ს/ნ 20350 | 13.06 | ტაბელური იარაღით თავი მოიკლა სახლში ყოფნის დროს |
| 3 | ლეიტენანტი | ხაჭაპურიძე გიორგი | ცალკეული კავშირგამბულობის ბატალიონი ს/ნ 43718 | 10.11 | თავი მოიკლა ტაბელური იარაღით მორიგეობის დროს |

## საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია სამხედრო ძალებში არსებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 2002 წლის განმავლობაში ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნების გეგმური მაჩვენებელი განისაზღვრა 36.0 მილიონი ლარის ოდენობით. მათ შორის, წლის მეორე ნახევრის გეგმამ შეადგინა 18.0 მილიონი ლარი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და აშშ-ს „წვრთნისა და აღჭურვის" ერთობლივი პროგრამის, სამხედრო–საველე სწავლება „კახეთი 2002"-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის და აქედან გამომდინარე, შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის მე-3 კვარტალში მიღებული იქნა გადაწყვეტილება თავდაცვის სამინისტროს 2002 წლის ბიუჯეტის გაზრდის შესახებ 11.0 მილიონი ლარით და თავდაცვის სამინისტროს 2002 წლის ბიუჯეტი საბოლოოდ განისაზღვრა (წინა წლის დეკემბრის თვის ხელფასების დასაფარად გამოყოფილი 1.3 მილიონი ლარის გათვალისწინებით) 48.6 მილიონი ლარით, შესაბამისად, წლის მეორე ნახევრის გეგმამ შეადგინა 29.4 მილიონი ლარი. ფაქტიური დაფინანსება წლის განმავლობაში

განისაზღვრა 44 039.8 ათასი ლარით, მათ შორის მეორე ექვს თვეში მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 28457.1 ათასი ლარი, ანუ გარღვევამ წლიურ დაზუსტებულ გეგმაზე შეადგინა 4613.5 ათასი ლარი, ხოლო წლის მეორე ნახევრის დაზუსტებულ გეგმაზე – 940.1 ათასი ლარი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2002 წლის სექტემბერში დაუფინანსებლობამ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში შეადგინა 7691.9 ათასი ლარი, ხოლო ოქტომბერში – 340.9 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ პერიოდში ვერ მოხერხდა საქართველოს პარლამენტის მიერ ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი 11.0 მილიონი ლარის ასიგნების დაფინანსება. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება განხორციელდა 2002 წლის დეკემბრის თვის ბოლოს, რამაც გამოიწვია დეკემბრის თვის გეგმასთან დაფინანსების მეტობა 6 641.3 ათასი ლარით, საიდანაც დაფარული იქნა საქართველოსა და აშშ-ს „წვრთნისა და აღჭურვის" ერთობლივი პროგრამის სამხედრო-საველე სწავლება „კახეთი-2002-ის" და სპეცპროგრამების მომსახურეობის (შეიარაღების შეძენის) ხარჯები.

## თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია დეზერტირობის რაოდენობისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დეზერტირობის ყოველ ფაქტს, მისი გამომწვევი მიზეზების გამოვლენასა და აღმოფხვრას. გასულ წლებთან შედარებით, 2002 წ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პირადი შემადგენლობის, როგორც კვების პროდუქტებითა და ფორმებით უზრუნველყოფა, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებიც. თუმცა, შეიარაღებულ ძალებში სამართალდარღვევების უდიდესი ნაწილი (65%) კვლავ დეზერტირებზე მოდის.

2002 წლის 1 ივლისიდან 2003 წლის 1 იანვრამდე სამხედრო ნაწილები თვითნებურად დატოვა 280-მა სამხედრო მოსამსახურემ, რაც 2002 წლის იანვარ-ივლისის პერიოდთან შედარებით 22%-ით ნაკლებია.

შეიარაღებული ძალები ჩვენი საზოგადოების ის ნაწილია, რომელშიც სრულად აისახება ქვეყანაში მიმდინარე პროცესები.

სამხედრო ნაწილის თვითნებურად მიტოვების ფაქტების ანალიზიდან ჩანს, რომ ეს მოვლენა გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება და ერთგვარად პროგნოზირებადიც კი არის.

დღეისათვის შეიძლება გამოვყოთ დეზერტირობის გამომწვევი შემდეგი ძირითადი მიზეზები:

### მძიმე ოჯახური პირობები (28%)

ჯარისკაცთა დაახლოებით 65% სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლები არიან. ოჯახში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები აიძულებთ მათ მიატოვონ სამხედრო ნაწილი ან/და აღარ დაბრუნდნენ შვებულებიდან.

ჯარისკაცთა გარკვეული კატეგორია, სეზონურად, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ტოვებს სამხედრო ნაწილს. ზოგიერთი მათგანი დროზე ბრუნდება, დიდი ნაწილი კი, რომლებმაც გადაამატეს შვებულების ყოველგავარ დასაშვებ ვადას, დასჯის შიშით უარს ამბობენ უკან დაბრუნებაზე.

ენობრივი პრობლემები (5%)

დეზერტირთა ეს კატეგორია არაქართველი ჯარისკაცებია, რომელთაც სამხედრო სამსახურის გავლისას სხვა პრობლემებთან ერთად (რელიგიური აღმსარებლობა, კვების რაციონი და სხვა) გააჩნიათ ენობრივი პრობლემა. მათი უმრავლესობა ვერ ფლობს ქართულ ენას, რის გამოც ვერ ასრულებს მეთაურთა ბრძანებებს და ვარდება უხერხულ, დამამცირებელ სიტუაციაში, რაც მოქმედებს ჯარისკაცთა თავმოყვარეობაზე და ხშირად სამხედრო ნაწილის თვითნებურად მიტოვების მიზეზი ხდება.

სამხედრო მოსამსახურეთა შორის არასაწესდებო ურთიერთობები (21%)

ამ მიზეზით სამხედრო ნაწილის მიტოვება გამოწვეულია კონფლიქტებით, როგორც ჯარისკაცებს, ასევე ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის. ჯარისკაცი, რომელიც არ ასრულებს მეთაურის ბრძანებას, ექვემდებარება დისციპლინარულ დასჯას, თუმცა არის შემთხვევები, როცა ამას წინ უსწრებს მისი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

ჯანმრთელობის მდგომარეობა (16%)

ხშირია სამედიცინო კომისიების მიერ წვევამდელთა არაკვალიფიციური შემოწმების შემთხვევები, რასაც ემატება სამხედრო გარემოს სპეციფიკა და სხვა სოციალური თუ ფსიქოლოგიური ფაქტორები.

დაუფინანსებლობის გამო, შეიარაღებული ძალები განიცდის საჭირო მედიკამენტების მწვავე ნაკლებობას. მის გამო ავადმყოფ ჯარისკაცთა უმრავლესობა იძულებულია დატოვოს სამხედრო ნაწილი მკურნალობის მიზნით. მათი ნაწილი ექვემდებარება დემობილიზაციას დაავადებათა სიმძიმის გამო, ხოლო გამოჯამრთელებულნი მძიმე პირობების გამო შეგნებულად აღარ ბრუნდებიან თავიანთ სამხედრო ნაწილში.

სამხედრო მოსამსახურეთა ძალდატანებით გაწვევა (16%)

წვევამდელების ეს კატეგორა თავს არიდებს სამხედრო სამსახურს. არ ცხადდება სამხედრო შეკრებებზე და მათი გაწვევა ხდება ძალდატანებით. ისინი გაწვეულთა საერთო რაოდენობის 20%-ს შეადგენენ. მათგან 10-15% პირველსავე დღეებში ტოვებს ნაწილს და ბრუნდება სახლში.

## დაუსჯელობის სინდრომი (11%)

ფაქტობრივად, არ ხდება ადექვატური სამართლებრივი რეაგირება იმ პირებზე, რომლებიც არ ასრულებენ კონსტიტუციით დაკისრებულ ვალდებულებას. არმიაში არსებული რთული სოციალური პირობების, ჯარისკაცთა და ოფიცერთა სამართლებრივი განათლების, ასევე მათთან აღმზდრელობითი მუშაობის დონე და დღევანდელი კანონმდებლობა ერთმანეთთან აშკარად შეუსაბამობაშია, რის გამოც დეზერტირობის ნებისმიერ ფაქტზე, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულზე, სრულყოფილი რეაგირება ვერ ხდება.

ამდენად, სასჯელი, როგორც აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, არ მოქმედებს და შედეგიც ადეკვატურია.

მოყვანილი მიზეზებიდან ნათლად სჩანს, რომ ისინი კომპლექსური და საკმაოდ რთული ხასიათისაა, მათი აღმოფხვრისათვის შიდა უწყებრივი ზომები არ არის საკმარისი. მას სახელმწიფოებრივი მიდგომა ესაჭიროება.

როგორც ვხედავთ, დეზერტირობის გამომწვევი არაერთი მიზეზი ეფუძნება სხვადასხვა გარემოებებსა თუ ფაქტორებს.

რა თქმა უნდა, ქართულ ჯარში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, დეზერტირობის ფაქტები მრავლად არის და მათ ხშირად უბრალოდ ჯარისკაცთა სურვილი – დროებით შეიცვალონ გარემო, უდევს საფუძვლად. დეზერტირობის თავი და ბოლო კი მაინც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, რაც იწვევს ჯარში არაჯანსაღი, როგორც მატერიალური, ისე ზოგადი გარემოს შექმნას. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი ჯარისკაცმა თითქმის საერთოდ არ იცის თავისი უფლებები და ვერ ახერხებს პირადი ინტერესების დაცვას მაშინაც კი, როდესაც ფაქტები მის სასარგებლოდ მეტყველებს. რაც შეეხება დამცველის ან ადვოკატის მონაწილეობას ამ პროცესში, იშვიათად ხდება, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში. ჯარისკაცის ბედი ამ შემთხვევაში დამოკიდებულია მომკვლევის ან პროკურატურის წარმომადგენლის გულისხმიერებასა და პროფესიონალიზმზე – დაადგინოს ჯარისკაცის მიერ ჩადენილი დანაშაულის რეალურად გამომწვევი მიზეზები.

სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულის გამოძახილი იყო, ალბათ, საქართველოს პარლამენტის არაერთი ამნისტია, რომლის მიხედვითაც, პასუხისმგებლობა მოეხსნათ დეზერტირებს. ეს, გარკვეულწილად, იყო სახელმწიფოს მიერ საკუთარი შეცდომის აღიარება, რომ სწორედ ასეთი პირობების გამო, რომელიც ვერ შექმნა სახელწიფომ სრულფასოვანი სამხედრო სამსახურის გავლისათვის, მოუწიათ ჯარისკაცებს გამხდარიყვნენ დამნაშავეები – დეზერტირები. ნათელია, რომ საზოგადოებას ურჩევნია სახელმწიფომ კი არ მოახდინოს თავისი შეცდომების დემონსტრირება, არამედ შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც დანაშაულის გამომწვევი მიზეზები არ იქნება ამა თუ იმ სისტემისა თუ სახელმწიფო ორგანოს ბრალი. ყოველ შემთხვევაში, ამნისტირების სისტემა თუ ბიუჯეტით დაუფინანსებლობა, არ უნდა იყოს გამოსავალი ყოველი კონკრეტული არასათანადოდ შესრულებული სამუშაოდან. რიგი სამხედრო მოსამსახურეებისა დღესაც იძებნებიან დეზერტირობისა თუ სხვა სამხედრო დანაშაულისათვის მაშინ, როდესაც მათი

დანაშაულის გამომწვევი ძირითადი მიზეზები სწორედ რომ ხშირად ხელმძღვანელობის არასათანადო მართვაშია საძიებელი. თუმცა, როგორც ყოველთვის, აქაც დაზარალებული გამოდის რიგითი მოქალაქე, რომელიც დამნაშავე გახდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი დანაშაულის აღიარებას ვადა გაუვიდა.

## ვეტერან მეომართა საქმე

საქარველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ომის ინვალიდ ვეტერან მეომართა არასამთავრობო ორგანიზაციათა სათათბირომ (რომელიც აერთიანებს 21 ორგანიზაციას) ხელი მოაწერა სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების უფლებების დაცვას, სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესების დაჩქარებას, მათი სამართლებრივი უფლებების, შეღავათების ეფექტური რეალიზაციის მიზნით, ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ეფექტური წინადადებებისა და რეკომენდაციების განხორციელების გზების მოძიება და მათთვის დასაქმების პროგრამების შემუშავება.

სახალხო დამცველის აპარატში შედგა არაერთი შეხვედრა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან, ვინც ფუნქციონალურად დაკავშირებულია აღნიშნული პრობლემების მოგვარებასთან. კერძოდ, ვეტერანთა დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების, თბილისის მერიის, ადგილობრივი თვითმმართველობის, რაიონული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სახელმწიფო მინისტრთან, საგანგებო დავალებათა მინისტრთან, მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად.

პრობლემები მართლაც ბევრია და საჭიროებენ დაუყოვნებლივ გადაჭრას. არასამთავრობო ორგანიზაციათა ინიციატივით, ჩვენი რეკომენდაციით და საქართველოს პრეზიდენტის №56 2003 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების სამართლებრივი და სოციალური დაცვის ხელშეწყობის ეროვნული საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს მუშაობაში აქტიურად იქნებიან ჩართული საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, სამინისტროების, ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

# რელიგიის უფლებათა დაცვის ცენტრი

## სინდისის თავისუფლება და რელიგიური ექსტრემიზმი

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლების პატივისცემა და დაცვა, ადამიანთა რელიგიური თვითმყოფადობის განვითარება და წახალისება დემოკრატიაზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობაა.

„ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის" (კოპენჰაგენი, 1990 წ. 29 ივნისი) დოკუმენტში აღნიშნულია II a, მე-9 პრინციპით:

„ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება შეიცავს რელიგიისა და რწმენის გამოცვლის თავისუფლებას, აღიარებდე შენს რელიგიას ან სარწმუნოებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძო წესით კულტის აღსრულების, სწავლების და რელიგიური და სარიტუალო წეს-ჩვეულებათა შესრულების გზით. ამ უფლებათა განხორციელება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც დაწესებულია კანონით და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს".

აღნიშნული დოკუმენტის შექმნის პროცესში მონაწილე სახელმწიფოები დარწმუნებული იყვნენ, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარება და დაცვა თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველია. ამიტომ, მათ მტკიცედ მიიღეს გადაწყვეტილება, მხარი დაუჭირონ და განავითარონ სამართლიანობის ეს პრინციპები, რომლებიც, თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენენ. მონაწილე სახელმწიფოები ერთსულოვნად შეთანხმდნენ, რომ სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს არა უბრალოდ ფორმალურ კანონიერებას, არამედ ისეთ სამართლიანობასაც, რომელიც ემყარება ადამიანის პიროვნების უმაღლესი ღირებულების აღიარებას, სრულად მიღებას და მისი დაცვის გარანტირებულობას.

საქართველო, როგორც დემოკრატიაზე ორიენტირებული ქვეყანა, უყურადღებოდ არ ტოვებს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებს ქვეყნის ძირითად კანონში – საქართველოს კონსტიტუციაში. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის მე-9, II თავის მე-19 და III თავის 66-ე მუხლები. როგორც ვხედავთ, საქართველოს კონსტიტუციაში გათვალისწინებულია საკითხები რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა დიდ ყურადღებას აქცევს ზემოაღნიშნულ პრობლემებს.

ზემოთქმულის მიუხედავად, უკვე მესამე წელია სერიოზულ შეშფოთებას გამოვთქვამ და თვალნათლივ ვხედავ იმ დიდ შეუსაბამობას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებსა და ჩვენი ქვეყნის რეალურ რელიგიურ ცხოვრებას შორის არსებობს.

ჯერ კიდევ გუშინ, ქვეყანაში განუკითხავად მოთარეშე რელიგიურმა ექსტრემიზმმა თავის თავში თვისობრივად უფრო მაღალი მოვლენა – რელიგიური ტერორიზმი წარმოშვა, რაზედაც მეტყველებს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული მრავალი განცხადება, რომლებსაც რელიგიური ექსტრემიზმის და ტერორიზმის მსხვერპლნი აწერენ ხელს.

დაუფარავად უნდა განვაცხადო, რომ არ იქნა და არ დაადგა საშველი პარლამენტის მიერ რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ კანონის მიღებას, რომელსაც ჩვენი მოქალაქეები მოუთმენლად ელიან. არადა, ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უკვე ორი წელია მუშაობს ამ მიმართებით.

საქართველოში არსებული ერთმანეთისაგან განსხვავებული რელიგიური კონფესია და მისი მრევლი მოთმინებით ელის პარლამენტის მიერ აღნიშნული კანონის მიღებას, რადგანაც სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას მთელი რიგი ნიუანსები გააჩნიათ, რომლებიც კანონმდებლობამ დეტალურად უნდა დაამუშაოს და მოაწესრიგოს. მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული აღმსარებლობის თავისუფლება, მხოლოდ კონსტიტუციაზე აპელირება ვერ წყვეტს იმ ყოველდღიურ პრობლემებს, რომლებსაც რელიგიური კონფესიები და მათი მრევლი აწყდება. ამ მიმართებით არაერთხელ განმიცხადებია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ კრიტიკულად უნდა გადახედოს მის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ“ და იგი საჯარო განხილვისა და მსჯელობის საგნად აქციოს, რადგანაც კანონი რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ უნდა დაეხმაროს რელიგიურ კონფესიებს და თემებს მათ საქმიანობაში.

ამ მიმართებით მიგვაჩნია, რომ:

1. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტური ზომები, რათა თავიდან აცილებულ და ლიკვიდირებულ იქნას დისკრიმინაცია რელიგიური ჯგუფების მიმართ, რომლებიც იმის გამო წარმოიშვება, რომ ზოგიერთ მათგანს არ გააჩნია იურიდიული სტატუსი;

2. სახელმწიფომ უნდა აწარმოოს დიალოგი რელიგიურ თემებთან, რათა უკეთ გაერკვეს მათ პრობლემებში და ხელი შეუწყოს ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას;

3. რელიგიურ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ რეგისტრაციის უფლება და ჰქონდეთ საშუალება, რათა ასეთ შემთხვევაში აწარმოონ ყველა სახის რელიგიური მოღვაწეობა;

4. რელიგიური სუბიექტების დაფუძნება უნდა ხდებოდეს სწრაფად და მარტივად, რაც მთავარია, არ უნდა მოითხოვდეს მნიშვნელოვან ხარჯებს;

5. იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლოებში რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციისათვის საჭირო საბუთების განხილვა უნდა ხდებოდეს ფორმალური ნიშნების საფუძველზე და უნდა აიგოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნას შემცირებული რელიგიური დოქტრინის სფეროში ჩარევის რისკი;

6. ბიუროკრატიული თვითნებობის შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა იქნას შემცირებული, მათ შორის, ისეთ ცვლილებათა

შეტანის გზით, როგორიცაა ავტომატური რეგისტრაცია განსაზღვრული, გონივრული, ხანმოკლე ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც არ არსებობს სათანადო გადაწყვეტილება;

7. მარეგისტრირებელი ორგანოების მიერ მოთხოვნილი საბუთების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი;

8. გასაჩივრების პროცედურები უნდა იძლეოდეს დამოუკიდებელი სასამართლოებისათვის მიმართვის გარანტიებს;

და, რაც ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია:

უკუმოქმედების ძალის მქონე კანონმდებლობა, რომელიც მიმართული იქნება დადგენილ უფლებათა შელახვისაკენ, უნდა იქნას აკრძალული. მიღებული უნდა იქნას ზომები ასეთ პრობლემათა წარმოშობის თავიდან ასაცილებლად.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „კანონპროექტის რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ" შემქმნელებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ზემოთმოტანილ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს.

.ამდენად, სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საწინდარი იქნება ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. საჭიროა ყველა მორწმუნეს მიეცეს იმის საშუალება, რომ მათ ააშენონ თავიანთი სამლოცველოები, ჩაატარონ ღვთისმსახურება, აგრეთვე ნათლობის, ქორწინებისა და დაკრძალვის ცერემონიალები თავისი რელიგიური წეს-ჩვეულებების შესაბამისად. მორწმუნეებს ასევე საშუალება უნდა მიეცეთ, თავისუფლად გამოხატონ თავისი რელიგიური შეხედულებანი ჟურნალებში, გაზეთებსა და მასმედიის სხვა საშუალებებში.

ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, გავაერთიანოთ რელიგიური შემწყნარებლობის საკითხისადმი პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური მიდგომა.

ამ მიმართებით უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ განსხვავებულ კონფესიათა რელიგიურ ლიდერებს. აუცილებლობას წარმოადგენს რელიგიურ ლიდერებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარება. ყოველი რელიგიური თემის ლიდერს აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა და მოვალეობა, რათა ხელი შეუწყოს სხვადასხვა რელიგიების მიმდევართა შორის შემწყნარებლობისა და ერთიანობის განმტკიცებას, რამეთუ საჭიროა, რომ რელიგია ან მრწამსი იქცეს ადამიანთა გამაერთიანებელ და არა მათ გამთიშველ ფაქტორად.

ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ, როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე ორგანიზაციებს (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებს), ხელისუფლებასა და მასმედიას.

ამ მიმართებით საქართველოში გამოიკვეთა ერთი მეტად მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენცია, რომელიც, ჩვენი აზრით, უაღრესად მისასალმებელია. კერძოდ, თუ აქამდე ჩვენს საზოგადოებაში მხოლოდ რამდენიმე პიროვნება უჭერდა მხარს რელიგიურ ტოლერანტიზმს, ამ პოზიციის მხარდამჭერთა რიცხვი გაიზარდა. რაც შეეხება

არასამთავრობო სექტორს, მათი ძალისხმევით იქმნება კოალიცია, რომლის მიზანიც რელიგიური მხარდაჭერაა.

რელიგიური ტოლერანტობის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული და გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლია ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, საპატრიარქოს. უდიდესი ისტორიისა და ღვაწლის მქონე ეკლესიამ ყოველთვის ჩვენი ერისა და მისი ისტორიის ავბედობის თანაზიარმა, რომელიც დღეს თავისი სტატუსით თითქმის სახელმწიფოებრივ დონეზეა აყვანილი, საკუთარ თავზე უნდა აიღოს ამ პრობლემის რეგულირება. ამ მხრივ, მან უნდა აწარმოოს დიალოგი როგორც ქრისტიანულ, ასევე არაქრისტიანულ კონფესიებთან. მხოლოდ ცალკეულ მართლმადიდებელ მოძღვართა ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან, ამინდს ვერ შეცვლის.

მაგრამ ამ დადებითი ტენდენციის პარალელურად უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაცია იძენს რელიგიური ტერორიზმის ნიშნებს. დღეს სახეზე გვაქვს აშკარად გამოკვეთილი ბრბოს აგრესიის გამოვლინება, რომელიც · ფსევდორეაქციულ საფუძველს ეფუძნება, კერძოდ იმას, რომ ადამიანთა მასა არგუმენტად იქცა. ამ სახიფათო ტენდენციის მიზეზები, სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტიდან მომდინარეობს და, ალბათ, საზოგადოებრიობა დამეთანხმება, რომ საქართველოს პარლამენტართა უმრავლესობა ელემენტარულად ვერ აცნობიერებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სისტემის საფუძვლებს. ამას ემატება მეორე მნიშვნელოვანი მომენტიც: საკმარისია, რაიმე სასიკეთო სიახლე წამოვიდეს დასავლეთიდან, რომ მაშინვე იწყება რელიგიური ექსტრემიზმის მძლავრი ნაკადის აგორება საქართველოში, რაც ერთხელ კიდევ ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში რელიგიურ-ექსტრემისტული ტენდენციები ძირითადად ქვეყნის გარედანაა მართვადი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ყოფა ნოყიერ ნიადაგს უქმნის გასაღვივებლად.

ბუნებრივია, გვებადება კითხვა: განა ყოველივე ეს არ წარმოადგენს ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის საფრთხეს? განა ჩვენ ყველამ ერთად, ერთხელ და სამუდამოდ, არ უნდა გავაცნობიეროთ ეს აღმაშფოთებელი მოვლენა?

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში რელიგიის ისტორიის და რელიგიის თავისუფლების დარგში სწავლება იძენს მეტად პრინციპულ მნიშვნელობას, მაგრამ კვლავ პრობლემად რჩება რელიგიის ისტორიის, რელიგიის თავისუფლების დარგში სათანადო ლიტერატურის და სახელმძღვანელოთა შექმნისა და კვალიფიციური კადრების პრობლემა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ორ ათეულზე მეტმა სახელმწიფო უმაღლესმა დაწესებულებამ (აღარაფერი რომ ვთქვათ ასეულობით კერძო უმაღლეს სასწავლებელზე) ვერა და ვერ გაართვა თავი ამ საკითხის დროულ მოგვარებას. სახელმწიფო უმაღლესმა სასწავლებლებმა ეს პასუხისმგებლობა მთლიანად მოიხსნა და არასამთავრობო სექტორს გადააბარა, რაც ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია.

ეს პრეტენზიები შეიძლება წავუყენოთ ქართულ მასმედიასაც. ნუ ეწყინებათ ჩემს კოლეგებს ამ მწარე სიმართლისათვის, რომ რელიგიის, რელიგიური ტოლერანტობის და რელიგიის თავისუფლების პოზიტიური თუ ტრადიციული ასპექტები საერთოდ იგნორირებულია ჩვენი მასმედიის მიერ.

2002 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში – საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, ხაზგასმით გამოვკვეთე და მივუთითე იმ მეტად საშიშ და აღმაშფოთებელ ტენდენციაზე, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან რელიგიურ უმცირესობათა მიმართ გამოიკვეთა. კერძოდ:

„პოლიცია უარს აცხადებს შეაჩეროს რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი მოძალადე-თავდამსხმელები... ყოველგვარი არსებითი მიზეზების გარეშე ჭიანურდება სასამართლო პროცესები ექსტრემისტთა მიმართ, რაც, თავის მხრივ, სამწუხაროდ, მათ მორალურ მხარდაჭერაზე მეტყველებს.

იმის მაგივრად, რომ საქართველოს სახელისუფლო ორგანოებმა მოახდინონ რელიგიურ უმცირესობათა სათანადო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე აშკარად გამოდის რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ, რითაც კიდევ უფრო ძაბავს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას“.

პრობლემა ისევ პრობლემად რჩება.

სამწუხაროდ, ვერც ქვეყნის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ვერც ზოგიერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და პარლამენტარმა ვერა და ვერ გააცნობიერა ანბანური-სამართლებრივი ჭეშმარიტება, რომ ამ ქმედებებით ირღვევა არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები და თავისუფლებები, არამედ საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ, რომლის წევრ-ქვეყანასაც იგი წარმოადგენს (გაერო, ევროსაბჭო, ეუთო).

ამ მიმართებით შემაშფოთებელია ის მონაცემებიც, რომლებიც ჩვენს მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ გამოავლინა. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი თვლის, რომ საქართველოში მრავალი რელიგიური ორგანიზაციის არსებობა ქვეყნის არასტაბილურობის წყაროს წარმოადგენს.

აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი საზოგადოება ფსიქოლოგიურად ჯერ კიდევ არ არის მზად ჩვეულებრივ ამბად მიიღოს უცხო აღმსარებლობა და რელიგიის მიმდევართა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რაც დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. საზოგადოების უმრავლესობა ამაში მხოლოდ საფრთხეს ხედავს. მაშასადამე, საზოგადოების ეს დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ფსიქოლოგიურად მზად, შეეგუოს სხვა დენომინაციების არსებობას და რეალურად მხარი დაუჭიროს ამ უფლებათა ეფექტურ დაცვას.

ბუნებრივია, საზოგადოების ასეთი დამოკიდებულებაც თავის მხრივ ხელს უშლის მთლიანად ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემას, რათა მომაგრდეს და საქართველოში ხარისხობრივად ახალ

საფეხურზე აიყვანოს რელიგიური ტოლერანტობა და მისი დაცვის გარანტიები.

რელიგიურ უფლებათა დაცვის ცენტრი, რომელიც სტრატეგიის დეპარტამენტის ერთ-ერთი სტრუქტურული ნაწილია და რომელიც ერთი წელია, რაც ფუნქციონირებს, თავის მუშაობას შემდეგი მიმართებით ახორციელებს:

– უპირველეს ყოვლისა, ცენტრი ახდენს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული წერილებისა თუ განცხადებების მიღება-რეაგირებას და ანალიზს;

– ქრისტიანული და არაქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლების მიღებას, ურთიერთთანამშრომლობას, დიალოგს და შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევას;

– თანამედროვე რელიგიური ლიტერატურის მოპოვებას და მის მეცნიერულ ანალიზს;

– პერიოდულ სოციოლოგიურ გამოკვლევებს საქართველოში რელიგიის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ;

– სპეციალური ბიბლიოთეკის შექმნას;

– პერიოდულად აწყობს მრგვალ მაგიდებს რელიგიურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან ერთად;

– მონიტორინგს, როგორც ქვეყნის, ასევე შეძლებისდაგვარად, უცხოურ მასმედიაში რელიგიის და რელიგიის თავისუფლების საკითხებზე და სხვ.

რელიგიურ უფლებათა დაცვის ცენტრში სინდისის და რელიგიის თავისუფლების უხეში ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით 2002 წლის მეორე ნახევარში შემოვიდა სულ 47 განცხადება, რაც ბევრად აღემატება 2002 წლის პირველ ნახევარში შემოსულ განცხადებებს. შემოსული განცხადებებიდან ჭარბობს ისეთი განცხადებები, რომელზედაც ჩვენი ჩარევის მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არ ხდება კვალიფიციური სამართლებრივი რეაგირება.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ განმცხადებელთა 90 პროცენტზე მეტი რელიგიური ორგანიზაციის „იეჰოვას მოწმეების“ წევრები არიან.

მაგალითად:

*

2002 წლის 23 ივლისს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა ქ. სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №5-ში მცხოვრები ლ. ხურციძის განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ის არის რელიგიური ორგანიზაციის „იეჰოვას მოწმეების“ წევრი. იყო მცდელობა, ამავე ორგანიზაციის წევრის გ. კოხრეიძის სახლის დაწვისა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მათ დახმარება სთხოვეს იქვე მდგომ სამ პიროვნებას, რომელთაგან ერთ-ერთი პოლიციის თანამშრომელი იყო, რომლებმაც უარი განაცხადეს ხანძრის ჩაქრობაზე.

*

ჩვენ თხოვნით მივმართეთ საქართველოს გენერალურ პროკურატურას (26.07.2002, №1273/09-1/811-6), საიდანაც მივიღეთ პასუხი,

რომ მიმდინარეობს მოკვლევა ამ ფაქტთან დაკავშირებთი და ამომწურავ ინფორმაციას მოგვაწვდიან შემოწმების დამთავრებისთანავე.

*

2002 წლის 23 ივლისს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა გორის რაიონის სოფ. ორთაშენში მცხოვრები ც. კიპაროიძის, შ. მამფორიას და სოფ. შინდისში მცხოვრებ მ. გიორგაშვილის ერთობლივი განცხადება, სადაც აღნიშნავდნენ, რომ ისინი არიან რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეების" წევრები. 28 ივნისს, შუაღამის 2 საათზე ტერიტორია, სადაც ისინი კონგრესს ატარებდნენ, „ცეცხლის ალში იყო გახვეული", რომელიც ისევ მათ ჩააქრეს.

ჩვენ წერილი გავუგზავნეთ საქართველოს გენერალურ პროკურორს აღნიშნული ფაქტების შემოწმებისათვის, რომელზედაც მივიღეთ პასუხი, რომ მოკვლევას ატარებს შიდა ქართლის საგამოძიებო სამსახური.

*

2002 წლის 5 ივნისს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა თხოვნა „იეჰოვას მოწმეების" არარეგისტრირებული კავშირის თავმჯდომარის გ. გუდაძისაგან, რომელიც აღნიშნავდა, რომ 2002 წლის 6 სექტემბერს გ. შარაძემ მოაწყო აქცია №146 სკოლის ეზოში, რის შემდეგ ამ სკოლის ეზოდან მათი „ოფისის მიმართულებით ისროდნენ დიდი ზომის ქვებს, რომლებმაც შეიძლება დააზიანოს ხალხმრავალ ქუჩაზე მყოფი პირები, მათ შორის, ბავშვები".

ჩვენ მივმართეთ თბილისის ისან-სამგორის შს სამმართველოს უფროსს, ბატონ თ. ტურაბელიძეს, რომლისგანაც მივიღეთ პასუხი, რომ გ. გუდაძის მიერ მოყვანილი ფაქტები არ დასტურდება.

საანგარიშო პერიოდში თვალნათლივ იწყო იმ შემაშფოთებელი ტენდენციის ზრდამ, როდესაც ოჯახში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება მწვავე კონფლიქტების წყარო ხდება, რის შედეგადაც მრავალი ოჯახი ინგრევა.

საანგარიშო პერიოდში ასევე აღინიშნა მართლმადიდებელი მოსახლეობის მიერ სახალხო დამცველის სახელზე შემოსული იმ განცხადებების რიცხვის ზრდა, რომლებშიც საუბარია მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე, რომლის ინიციატორებიც ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეების" წევრები არიან.

2002 წლის 29 ივლისს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა სრულიად საქართველოს პატრიოტული კავშირის „ჯვარი" თავმჯდომარის პ. ბლუაშვილის თხოვნა, რომ ევროსაბჭოს გადაეგზავნოს მათი განცხადება, რომელშიც საუბარია მართლმადიდებელი მრევლის უფლებების დარღვევაზე, რომლის დამადასტურებელი მასალა მან გადასცა რელიგიურ უფლებათა დაცვის ცენტრს. „ჯვარის" ხელმძღვანელობამ ამ თემაზე სახალხო დამცველის აპარატში პრესკონფერენცია გამართა.

*

2002 წლის 18 ივლისს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა მუხიანის დასახლების მე-4 ა მ/რ მე-9 კორპუსის მცხოვრებლების კოლექტიური განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მათი კორპუსის წინ „იეჰოვას მოწმეების" მიერ განხორციელდა

„ვანდალური აქტი, მათ დაწვეს სამი მართლმადიდებლური ხატი“ და მუხიანში თითქმის ყველა ქრისტიანული დღესასწაულის ღამეს მოსახლეობას უთიშავენ ელექტროენერგიას, ამის გამო მოსახლეობა ითხოვდა მათი უფლებების დაცვას.

ჩვენ წერილი გავუგზავნეთ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს უფროსს, ბატონ თ. ანჯაფარიძეს. მივიღეთ პასუხი, რომ მათ მიერ მოკვლეული მასალებით დადგინდა, რომ ხატები მართლაც დამწვარ მდგომარეობაშია, ხოლო მწერალმა თ. მღვდლიაშვილმა ხატების დაწვაში სექტები დაადანაშაულა, თუმცა გამოკითხვით ეს ფაქტი არ დადასტურდა. დადგენილი არ არის ასევე, თუ ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული და ტარდება თუ არა სათანადო ღონისძიებები.

*

განსაკუთრებით დამაფიქრებელი და შემაშფოთებელია ქ. ქუთაისის კათოლიკური თემის საქმე. გასული წლის ოქტომბერში განცხადებით მოგვმართეს დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა რეგისტრირებული კავშირის "სავარდის" წარმომადგენლებმა, რომლებიც ითხოვდნენ ქ. ქუთაისში, ფ. ვარლამიშვილის ქუჩაზე არსებული კათოლიკური ეკლესიის მათს სარგებლობაში გადაცემას. ამის თაობაზე მათ მიმართეს ქ. ქუთაისის მერიას შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე. ქ. ქუთაისის მერიის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე უარის თქმის გამო, მათ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს. სახელმწიფო კანცელარიის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობათა სამსახურის უფროსის პასუხიდან ირკვევა, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება მათ შესაძლებლად მიაჩნიათ საქართველოში რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის შესახებ კანონმდებლობის მიღების და დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა კავშირისათვის კერძო სამართლის იურიდიულ პირის ნაცვლად რელიგიური ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებისა და ამ ორგანიზაციის ამ ეკლესიაზე სამართალმემკვიდრეობის დადგენის შემდგომ.

უდავოა ის ფაქტი, რომ დღევანდელი ქართული კანონმდებლობა ამ საკითხს ვერ არეგულირებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც იურიდიული თვალსაზრისით უფრო მოხერხებულს და გამჭვირვალეს გახდიდა ამ საკითხის გადაჭრას.

საკანონმდებლო ბაზის არქონის მომიზეზებით ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საკითხის გადაუჭრელობა არც თუ სასიამოვნო პერსპექტივაა ყველა იმ პირისათვის, ვისი უფლებებიც შეიძლება შეილახოს კონკრეტული კანონის არარსებობის ან ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ საკითხის გადაუჭრელობის გამო. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნებოდა გამოყენებულ ყოფილიყო სახელმწიფო მოხელეთა დისკრეციული უფლებამოსილების სამართლებრივი ინსტიტუტი (რომელიც გათვალისწინებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით), შემუშავებულიყო ადმინისტრაციული აქტი, რომელიც დროებით დაარეგულირებდა საკითხს, რელიგიური უმცირესობის კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებებისა და ისტორიული სამართლიანობის

პრინციპის გათვალისწინებით, (თუკი ისტორიკოსების მიერ რეალურად აღიარებულია ეკლესიის კათოლიკური კონფესიისათვის კუთვნილების ფაქტი), მით უმეტეს, რომ ქუთაისში სხვა კათოლიკური ეკლესია არც არსებობს, არადა კათოლიკური მრევლი ქ. ქუთაისსა და ზოგადად საქართველოში წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ უძველეს და ტრადიციულ რელიგიურ დენომინაციას.

ამის თაობაზე რეკომენდაციით მივმართეთ პრეზიდენტს, რათა მიღებული ყოფილი დისკრეციული სახის გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხის სამართლიანი დარეგულირებისათვის, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა კათოლიკური მრევლის კონსტიტუციური უფლებები საზოგადოებაში საყოველთაო ადამიანური სამართლიანობისა და მშვიდობის ინტერესების გათვალისწინებით. მაგრამ მათ მიერ ვერ ხერხდება საკითხის დარეგულირება იმ მოტივით, რომ ამჟამად დავა აღნიშნული ეკლესიის შესახებ განიხილება ქუთაისის და თბილისის სასამართლოებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად დავა არ შეიძლება სხვა ორგანომ განიხილოს. უცილობლად უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო დავები, მით უმეტეს, სახელმწიფოს წინააღმდეგ თვითმიზანი არ არის და თუკი გამოვლინდება სახელმწიფოს ხელისუფალთა ნება პრობლემის თუნდაც დროებით, მაგრამ უფრო სწრაფი გადაჭრისა, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა თვით ამ დავების შეწყვეტაც სასამართლოში, მაგრამ სამწუხაროდ ეს ნება ხელისუფალთა არცერთი დონის მხრიდან არ გამოვლენილა.

როგორც ვხედავთ, რელიგიური თავისუფლების უხეში დარღვევის ფაქტები ჩვენი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ყოველდღიური შეშფოთების, განსჯისა და ანალიზის საგანს უნდა წარმოადგენდეს.

სახელმწიფოსთან ერთად ჩვენმა საზოგადოებრიობამ მთელი თავისი ძალისხმევა და ენერგია უნდა წარმართოს საქართველოსთვის ამ მეტად უჩვეულო და არატრადიციული, თავსმოხვეული შავი და საზარელი ლაქის ჩამოსარეცხად.

## ადმინისტრაციის დეპარტამენტის ანგარიში

## სახალხო დამცველის აპარატის საფინანსო მდგომარეობის შესახებ

2000 წლის მეორე ნახევრიდან დღემდე, პრეზიდენტის დავალების, მისი 2000 წლის 29 დეკემბრის №543 ბრძანებულების და მომდევნო წლების განკარგულებების მიუხედავად, დღემდე არ გადაწყდა სახალხო დამცველის და მისი აპარატის სათანადო დაფინანსება.

2002 წელს სახალხო დამცველის და მისი აპარატის საერთო ხარჯების დაფინანსებას უნდა შეედგინა 192,7 ათასი ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 152,6 ათასი ლარი (79,2 პროცენტი).

2002 წელს ფინანსთა სამინისტრომ დაგვიანებით დაიწყო სახალხო დამცველის აპარატის სხვა საქონლის და მომსახურების ხარჯების მუხლით გათვალისწინებული დაფინანსება, რომლის ძირითადი ნაწილი მოხმარდა წინა წლების პერიოდში წარმოქმნილ ელექტროენერგიის, კავშირგაბმულობის, საფოსტო, საოფისე, გათბობის, საწვავის და სხვა დავალიანებების დაფარვას.

სახალხო დამცველი სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება ნებისმიერი კანონიერი მოთხოვნის შესრულებისას, ეხება ეს აპარატის. სტრუქტურულ რეორგანიზაციას, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგებას, მივლინებაში გამგზავრებას, სამეურნეო საკითხების გადაწყვეტას და სხვ.

სახალხო დამცველის აპარატის დაარსებიდან დღემდე ირღვევა კანონით გათვალისწინებული ნორმები სახალხო დამცველის და მისი აპარატის ბიუჯეტის ფორმირების შესახებ. ყოველწლიურად ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახალხო დამ-ცველის და მისი აპარატის ბიუჯეტის სეკვესტრირებულ მონაცემებს სახალხო დამცველთან შეთანხმების გარეშე, რაც მისი (ფინანსთა სამინისტროს) უფლებამოსილების გადამეტებას წარმოადგენს, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს სახალხო დამ-ცველის შესახებ" 25-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველის და მისი სამუშაო აპარატის ორგანიზაციასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა გათვალისწინე-ბულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე მუხლით". სა-ქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნული მუხლის თანახმად, წარადგენს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯთაღრიცხვის პროცესს.

ზემოაღნიშნული კანონის დარღვევასთან დაკავშირებით სახალ-ხო დამცველმა სათანადო წერილით მიმართა ფინანსთა მინისტრს, ბ-ნ ნ. გოგიაშვილს, სახალხო დამცველისა და მისი აპარატის 2003 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ერთობლივი განხილვის თაობაზე. მიუხედავად ამისა, მისი კანონიერი მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული.

ამასთან, იგნორირებული იყო საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 აგვისტოს №1052 განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დავალება, სახალხო დამცველის და მისი აპარატის შენობის – სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების თანხის გამოყოფისათვის. ეს თანხა მოთხოვნილი იყო იმის გამო, რომ სახალხო დამცველს და მის აპარატს შ. დადიანის და ი. ლერმონტოვის ქუჩების გადაკვეთაზე გამოეყო მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული ამორტიზებული შენობა-ნაგებობები. აღნიშნული შენობა აგებულია გასული საუკუნის დასაწყისში და საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. გარდა ამისა, 2002 წლის მიწისძვრამ შენობას მიაყენა იმდენად მნიშვნელოვანი დაზიანებები, რომ მასში აპარატის თანამშრომლების განთავსება ფაქტობრივად შეუძლებელია.

დაუფინანსებლობის გამო ჭიანურდება სარემონტო სამუშაოების დაწყება და იძულებული ვართ ვიმუშაოთ შეზღუდულ პირობებში, რომელშიც დღემდე ვიმყოფებით, რისთვისაც ვიხდით საიჯარო გადასახადს, წელიწადში 48 ათასი ლარის ოდენობით.

. ელემენტარული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. სპეცსახსრების მქონე საბიუჯეტო ორგანიზაციებს საშუალება აქვთ მიიღონ ბიუჯეტგარეშე შემოსავლები. ზოგიერთი ორგანიზაციები (იუსტიციის, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროები და სტატისტიკის დეპარტამენტი) გარდა სპეცსახსრებისა, სარგებლობენ საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მიერ ამოღებული და სპეციალურ ანგარიშზე აკუმულირებული თანხებით, გასცემენ პრემიებს, უზრუნველყოფენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსებას და სხვ. იმ დროს, როდესაც სპეცსახსრების არმქონე ორგანიზაციები დამოკიდებულნი არიან მხოლოდ ფინანსთა სამინისტროსა და ხაზინის მოხელეების კეთილგანწყობაზე.

„საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" (იგივე სურათია 2003 წლის ბიუჯეტის კანონითაც) კანონის მე-16 მუხლით განისაზღვრა წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის წესი და იგი გამიზნული იყო ანაზღაურების ნაწილში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარავად. ასევე, დარეგულირებული იყო 2002 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთათვის კუთვნილი თანხის გაცემა, გასასვლელი დახმარება, კომპენსაციებისა და შეღავათების გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუმცა, „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში 2002 წლის 15 თებერვალს მოხდა ცვლილებები და ამ კატეგორიის პირებისათვის წარმოქმნილი დავალიანების გაცემა შეჩერდა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებამდე. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტის, საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მსგავსად, სახალხო დამცველის აპარატსაც არ გააჩნია სპეციალური შემოსავლების ხარჯვის წყარო, რაზედაც 2002 წლის აგვისტოში მოხსენდა ფინანსთა სამინისტროს, მოხდა შეხვედრები სახელმწიფო მინისტრთან, იყო დაპირებები საქართველოს პრეზიდენტისგანაც, რომ სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსება გადაწყდებოდა კომპლექსურად, 2003 წლის ბიუჯეტის მიღებისას.

თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა და ამის დასტურია, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი. ამიტომაც არ არის შესაძლებლობა განხორციელდეს შრომის კანონთა კოდექსის 42-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნის დაკმაყოფილება, მუშაკთა ყოველკვარტალური პრემიის გაცემა, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებული დანამატებისა და საშვებულებო დახმარების ერთი თვის თანამდებობრივი სარგოთი უზრუნველყოფა. ამიტომაც, კანონზომიერია საქართველოს პარლამენტის, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების აპარატის მუშაკების პრემიებისა და დახმარების ფონდს დაემატოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხარჯებიც.

ყოვლად გაუმართლებლად ჭიანურდება სახალხო დამცველის და მისი აპარატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების საკითხი, მაშინ, როდესაც სახალხო დამცველს და მის აპარატს არ გააჩნია მატერიალური წახალისების და დახმარების ფონდი, იმის გათვალისწინებით, რომ სახალხო დამცველის მომსახურება მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც, უფასოა.

## თავი III. საერთაშორისო მხარდაჭერით განხორციელებული საქმიანობა და ურთიერთობები

წარმატებით აგრძელებს მუშაობას გაეროს განვითარების პროგრამისა და ჰოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით პროექტი "დახმარება სახალხო დამცველის აპარატს", რომლის ფარგლებშიც განვლილ საანგარიშო პერიოდში:

– საქართველოს სახელმწიფო ტელერადიო მაუწყებლობის I არხზე ყოველთვიურად გადის ტელეგადაცემათა 20-წუთიანი ციკლი "თქვენი უფლებები"; ეთერში გავიდა 12 ტელეგადაცემა. მ. შ. ექვსი – „თქვენი უფლებები" და ექვსი – „ბავშვთა უფლებები", რომლებიც შემდგომ გავრცელდა რეგიონებში ადგილობრივი საკაბელო ტელევიზიის მეშვეობით.

– რადიოეთერში გავიდა 6 რადიოგადაცემა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს მიეცათ საშუალება პირდაპირი კონტაქტი დაემყარებინათ საქართველოს სახალხო დამცველთან;

– საგაზეთო ჯგუფი აგრძელებს საგაზეთო გვერდებისათვის სტატიებისა და დაიჯესტების მომზადებასა და პუბლიკაციას ექვსი გაზეთისათვის. მ. შ. ორი სამხარეო ("ეგრისის მაცნე", "იმერეთის მოამბე"), ერთი ადგილობრივი ("სადამოს ქუთაისისათვის" და ოთხი ცენტრალური გაზეთისათვის – "ახალი თაობა", "დილის გაზეთი", "Свободная Грузия", "Georgian Messenger");

– გამოიცა კვარტალური ჟურნალის " თქვენი უფლებების" მე-3 და მე-4 ნომრები;

– გრძელდება საინფორმაციო-სადოკუმენტაციო ცენტრის (ბიბლიოთეკის) წიგნადი ფონდის შევსება;

– ჩატარდა ცხრა სემინარი სამართალდამცავებისა და პედაგოგებისათვის.

ჩატარდა გაეროს მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული ადამიანის უფლებათა დეკლარაციის საყოველთაო დღისადმი მიძღვნილი კვირეული, რომლის ფარგლებშიც მოეწყო:

– საქართველოს სახალხო დამცველის პრესკონფერენცია;

– ერთობლივი სხდომა აფხაზეთის საკითხებზე მომუშავე დროებით საპარლამენტო კომისიასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად თემაზე: „ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე";

– შიდა ქართლში (ქ. გორში) სემინარი ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით;

– მრგვალი მაგიდა თემაზე: „გაერო და ადამიანის უფლებები";

– კონკურსი იმ ჟურნალისტების გამოსავლენად, რომელთაც 2002 წელს მოამზადეს და გამოაქვეყნეს საუკეთესო სტატიები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. მოხდა კონკურსში გამარჯვებული ჟურნალისტების დაჯილდოება. ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი და მეორე ადგილი არც ერთ მონაწილეს არ ერგო. მესამე – ეკა ქევანიშვილმა (გაზეთი „რეზონანსი") დაიკავა. კიდევ ხუთ ჟურნალისტს გადაეცათ საპრიზო თანხა და სიგელები: თამუნა აბსავა („მთავარი

გაზეთი"), ემზარ დიასამიძე – („ტრიბუნა"), სალომე ჯაში – ინტერნეტ ჟურნალი („სივილ ჯორჯია"), ზურაბ ხრიკაძე – („ჯორჯიან ტაიმსი").

– სახალხო დამცველის აპარატის ბიბლიოთეკისათვის „IRIS საქართველოს" მიერ წიგნადი ფონდის შევსების პრეზენტაცია.

გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტმა" სახალხო დამცველის აპარტთან ერთობლივად მოაწყო:

– ეროვნულ ბიბლიოთეკაში ადამიანის უფლებათა თემაზე წიგნების გამოფენა;

– ე. ახვლედიანის სახ. ბავშვთა სურათების გალერეაში ბავშვთა ნახატების ერთკვირიანი გამოფენა;

– მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ბავშვთა კონცერტი.

სახალხო დამცველის აპარატში მოეწყო:

– მრგვალი მაგიდა თემაზე: „მასმედიის როლი ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემების გაშუქებაში";

– შეხვედრა სამხედრო მოსამსახურეთა, ომის ვეტერან, ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციათა სათათბიროსთან;

– მრგვალი მაგიდა თემაზე: „უნარშეზღუდულ ბავშვთა უფლებების დაცვა";

– თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურორთან, ბ-ნ კ. კობიაშვილთან, შინაგანი ჯარების სარდალ ბ-ნ გ. შერვაშიძესთან ერთად, შინაგანი ჯარების №1 ოპერატიულ ბრიგადაში დისკუსია სამხედრო მოსამსახურეებთან თემაზე: „ძალადობა სამხედრო ნაწილებში, დეზერტირობა და მისი გამომწვევი მიზეზები".

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა გაეროს განვითარების პროგრამის კოორდინატორის, ბ-ნ ლანს კლარკის, მისი აღმატებულება ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში, ჰარი მოლენაარის, პროექტის ტექნიკური მრჩევლის, ბ-ნ ბილ ჩეპმენის, პროექტის კოორდინატორის, ქ-ნ ლუის ნაილინის აქტიურ მუშაობასა და მონდომებას, რომლის შედეგადაც გაძლიერდა სახალხო დამცველის აპარატი და გაფართოვდა მისი საქმიანობის არეალი. მათი ხელშეწყობითა და ფინანსური დახმარებით სტრატეგიის დეპარტამენტის ბაზაზე დაარსდა ახალი, სპეციალიზებული, საკანონმდებლო ცენტრი, რომლის მიზანია აპარატში განსახილველად შემოსული კანონპროექტების ექსპერტიზა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია, საკონსტიტუციო სარჩელების მომზადება.

ფუნქციონირება დაიწყო კიდევ ოთხმა რეგიონალურმა წარმომადგენლობამ: კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში და ჯავახეთში. დღეისათვის სახალხო დამცველის აპარატში მუშაობს ხუთი სპეციალიზირებული ცენტრი:

– ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი;

– ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი;

– სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის ცენტრი;

– რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის ცენტრი;

– საკანონმდებლო ცენტრი.

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა გენერალურ დირექ-ტორატთან 2002 წლის მეორე ნახევარში დაგეგმილი ღონისძიებებიდან 2002 წლის 7-8 ნოემბერს წარმატებით ჩატარდა სემინარი გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამ-შრომლებისათვის თემაზე: "ევროპის ადამინის უფლებათა კონვენციის თანახმად, დაკავებულ პირთა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და მიზეზები". სემინარი ორგანიზებული იყო სახალხო დამცველის აპარატის სტრატეგიის დეპარტამენტის მიერ, ევროსაბჭოს ფინანსური დახმარებით, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ორი საერ-თაშორისო ექსპერტი: ბ-ნი მაიკლ გრადველი – ევროსაბჭოს ექსპერტი დიდი ბრიტანეთიდან; ლანკასტერის კონსტებლთა მთავარი ოფისის პროფესიონალური სტანდარტების განყოფილების უფროსი გამომ-ძიებელი და ჩვენი თანამემამულე – ქ-ნი თეა წულუკიანი – ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილების იურისტი.

ასევე, ევროსაბჭოსთან დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა სახალხო დამცველის ვიზიტი შვედეთში (2002 წლის 9-16 ნოემბერი), სადაც შეხვედრები შედგა:

რაულ ვალენბერგის ინსტიტუტთან (**RWI**), შვედეთის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სააგენტოსთან (**SIDA**), და გენერალური და აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის მენეჯერ, ქ-ნ ბრიგიტა ვაიბართან, რომელთანაც შეთანხმებულ იქნა რაულ ვალენბერგის ინსტიტუტთან განხილული ღონისძიებების მიხედვით საპროექტო წინადადების მომზადება. შვედური ინსტიტუტის, საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებთან და საპარლამენტო, ინვალიდთა, ბავშვთა, პრესის ომბუდსმენებთან ამავე პროგრამის ფარგლებში 2002 წლის 16-24 ნოემბერს ვიზიტით ვიმ-ყოფებოდი ქ. სტრასბურგში, სადაც შეხვედრები მქონდა: ადამიანის უფლებების ცოდნის გაღრმავებისა და თანამშრომლობის კომიტეტის, დივიზიის თავმჯდომარესთან, ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან, საპარ-ლამენტო ასამბლეის მონიტორინგის მთავარ ადმინისტრატორთან, ადამიანის უფლებათა სამთავრობო თანამშრომლობის დივიზიონის უფროსთან, ადამიანის უფლებების გენერალური დირექტორატის წარმომადგენლებთან. ყველა ამ შეხვედრაზე საუბარი იყო საქარ-თველოს სახალხო დამცველის შესაძლებლობათა განვითარების პერ-სპექტივებზე.

ევროსაბჭოსთან წარმატებით მუშაობას დიდად შეუწყო ხელი, ევროსაბჭოს თბილისის საინფორმაციო ბიურომ. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში, ბ-ნი პლამენ ნიკოლოვი. ვფიქრობ, მისი მუშაობა საქართველოში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ევროსაბჭოსთან ურთიერთობის გაღრმავებასა და დასახული გეგმების წარმატებით განხორციელებას.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ლტოლვილთა კომისარიატის (UNHCR) ფინანსური ხელშეწყობითა და დახმარებით მომზადდა დამატებები და ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსისათვის. აქ მინდა მადლობით მოვიხსენიო ამავე კომისარიატის იურდიული განყოფილების უფროსი, ქ-ნი ვალენტინა ცონევა, რომელმაც წარმატებით დაამთავრა საქართველოში თავისი მოღვაწეობა.

ინსტიტუციური რეფორმისა და არასამთავრობო სექტორის ცენტრმა "IRIS საქართველო" და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების - სააგენტომ (USAID) უზრუნველყვეს სახალხო დამცველის აპარატის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის რესურსების შევსება. მათ საჩუქრად გადმოგვცეს 60 დასახელების 1575 წიგნი, რამაც საშუალება მოგვცა შეგვევსო რეგიონალურ წარმომადგენლობებში ადამინის უფლებათა საბიბლიოთეკო ქსელი. მადლობით მინდა მოვიხსენიო " IRIS საქართველოს" კანონის უზენაესობის პროგრამის მისიის ხელმძღვანელი, ბ-ნი ჰოვარდ ფენტონი, "აირის საქართველოს" დირექტორი, ბ-ნი გია გეწაძე, ბ-ნი ლექსო ხუბულავა და ქ-ნი ნონა წოწორია. ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდება, როგორც წიგნადი ფონდის შევსებით, ასევე კონსულტაციებისა და სხვა ტექნიკური დახმარებების სახით.

ევროს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ვარშავის ადამიანის უფლებათა ბიუროს (OSCE/ODIHR) დახმარებით წარმატებით განხორციელებული პროექტის „სწრაფი რეაგირების ჯგუფის" განხორციელების შემდეგ (რომელზეც წინა ანგარიშში დაწვრილებით იყო საუბარი), დაგეგმილია მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება.

შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) – თავის საქმიანობას ახორციელებდა რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის (RWI) მეშვეობით. მათი აპარატთან მუშაობა 2001 წლის ბოლოს დასრულდა. ამაზე კონკრეტულად საუბარი წინა საპარლამენტო ანგარიშში იყო. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა მათთან გაგრძელდება. 2003 წლიდან, დაგეგმილია 3 წლიანი პროექტის „სახალხო დამცველის შესაძლებლობების განვითარება საქართველოში" განხორციელება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის ორგანული კანონით განსაზღვრული საგანმანათლებლო საქმიანობისა და აპარატის მუშაობის შემდგომი გაფართოებისა და განვითარებისათვის. აგრეთვე, ამ პროექტის განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს სახალხო დამცველსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ახლადშექმნილ ომბუდსმენთა ინსტიტუტებთან დაწყებული თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოვებას. კერძოდ, აზერბაიჯანისა და ყირგიზეთის ომბუდსმენებთან, რომლებიც სულ რამდენიმე თვის წინ დაინიშნენ.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო დიდი ბრიტანეთის საელჩოსა და ელჩს საქართველოში, ქ-ნ დებორა ბარნს ჯონსს, რომლის აქტიური მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით 2002 წელს თავის საქმიანობებს ახორციელებდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლები სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ჯავახეთის რეგიონებში.

აქ მოყვანილი განხორციელებული პროექტების, კონკრეტული საქმიანობის თუ სამომავლო გეგმების ჩამოთვლა კიდევ ერთ მიზანს ემსახურება, რათა პარლამენტმა თვალნათლივ დაინახოს, რომ თუ არა ასეთი დახმარება და მხარდაჭერა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, აპარატი არათუ ქმედუუნარო, უბრალოდ, პარალიზებული იქნებოდა. ამასთან მიმართებაში არ შემიძლია ჩემი შეშფოთება და უკმაყოფილება არ გამოვხატო ფინანსთა სამინისტროს დამოკიდებულებაზე სახალხო დამცველის აპარატის მიმართ. პარადოქსია, მაგრამ აქ საუბარი უკვე აღარ მექნება, თუ როგორ ირღვევა კანონით გათვალისწინებული ნორმები სახალხო დამცველისა და მისი აპარატის ბიუჯეტის ფორმირების შესახებ, არამედ იმ ძალიან, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად გაუმართლებელი ბიუროკრატიის შესახებ, რომელიც სერიოზულად უშლის ხელს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას. აქ საუბარი მაქვს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ჩარიცხულ თანხებზე, რომელიც დღემდე ვერ მიუღია სახალხო დამცველის აპარატს, ასევე საქართველოს მთავრობის მხრიდან გაეროს განვითარების პროექტთან მიმართებაში ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებზე, რომელთა შეუსრულებლობა სერიოზულად უშლის ხელს სხვადასხვა ფონდებიდან თანხების მოზიდვასა და პროექტის სრულყოფილ მუშაობას, რაც რეალურად კვლავ პარალიზების საფრთხის ქვეშ აყენებს სახალხო დამცველის აპარატის მუშაობას, რომელმაც მოახერხა და გააფართოვა თავისი საქმიანობის არეალი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რაც სხვა რესპუბლიკებში ახლადშექმნილი ანალოგიური სამსახურების ხელისშეწყობაში გამოიხატება.

მინდა აღვნიშნო ორი პოზიტიური გარემოება. ერთი შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიურ თანამშრომლობას, რომელიც რეგიონალური წარმომადგენლობების მეშვეობით საგრძნობლად გაფართოვდა. მეორე ეხება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებსა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტთან ურთიერთობას. დიდი ხნის ვაკანსიის შემდეგ, კომიტეტის ახლადდანიშნულ თავმჯდომარესთან, ქ-ნ ნანა ბიჭიაშვილთან დაიწყო აქტიური ურთიერთთანამშრომლობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მ/წლის 20 თებერვალს კომიტეტმა მოისმინა ჩემი 2002 წლის პირველი ნახევრის ანგარიში, გაიზიარა კომიტეტის წევრებისა და მოწვეული ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები და მიიღო გადაწყვეტილება, სახალხო დამცველის აპარატთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დამოუკიდებელ სპეციალისტებთან ერთობლივი კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებს მასმედიასთან, იმსჯელებს იმ პრიორიტეტულ საკითხებსა და საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომელთა განხორციელებაც მიზანშეწონილი იქნება საქართველოში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სახალხო დამცველის მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად. არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან ასეთი თანამშრომლობა უდავოდ ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის

გაუმჯობესებას საქართველოში, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საპარლამენტო არჩევნების წელს, 2003 წელს.

## ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის განხორციელების მოხსენების განხილვის შესახებ

ანგარიშის შესავალ ნაწილში უკვე აღვნიშნე, რომ 2002 წლის 14 და 15 ნოემბერს, ჟენევაში, თავის 35-ე და 36-ე სხდომებზე, გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა განიხილა საქართველოს მორიგი პერიოდული მოხსენება ეროვნულ დონეზე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის განხორციელების შესახებ. საქართველოს დელეგაციის მონაწილეობით შემდგარმა კომიტეტმა განხილვის შედეგად შეიმუშავა დასკვნითი შენიშვნები და რეკომენდაციები საქარველოს ხელისუფლების მისამართით, რომელთა მიზანს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის სფეროში არსებული სირთულეების გადალახვა და ჩვენი ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების უფრო სრულყოფილი შესრულება წარმოადგენს.

ჩემი აზრით, მიზანშეწონილია წინამდებარე ანგარიშში ამ რეკომენდაციების (მიღებულია 56-ე სხდომაზე, 29.11.02) ტექსტის ძირითადი ნაწილის ქართული თარგმანის წარმოდგენა, რომელიც საკმაოდ ადეკვატურად ასახავს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას და აუცილებლად გასათავლისწინებელია მომავალში. რეკომენდაციები მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა მთელ სპექტრს. თარგმანი მომზადებულია საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურის მიერ და სრული სახით გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№18, 22.01.03). ამ დოკუმენტის ცალკეული დებულებები ჩვენს მიერ არის დაჯგუფებული, რათა უფრო გასაგები გახდეს როგორც კომიტეტის შეშფოთებების არსი, ისე მდგომარეობის გამოსასწორებლად შემუშავებული რეკომენდაციები. კომიტეტის მთელ რიგ თეზისებთან დაკავშირებით ჩვენს კომენტარებსაც წარმოგიდგენთ. წინასწარ მოგახსენებთ, რომ ამ რეკომენდაციებში ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები საკმაოდ ობიექტურად არის ასახული. ალბათ, ზედმეტია იმის თქმა, რომ სახელმწიფოსათვის კომიტეტის (ისევე, როგორც გაეროს სხვა სახელშეკრულებო ორგანოების) დასკვნითი მოსაზრებების გათვალისწინება აბსოლუტურად აუცილებელია.

***1. კომიტეტი აღნიშნავს წევრი სახელმწიფოს ძალისხმევას, რომ შეასრულოს ადამიანის უფლებათა იმ საერთაშორისო ინსტრუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებები, რომელთა მონაწილეც იგი არის,***

*განსაკუთრებით მოქმედებათა გეგმების მიღებას ადამიანის უფლებათა სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა ბავშვის უფლებები, ქალის უფლებები (როგორც რეკომენდებული იყო კომიტეტის 2000 წლის მაისის დასკვნითი მოსაზრებების 27-ე პარაგრაფში) და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა.*

*2. კომიტეტი აღნიშნავს, რომ წევრი სახელმწიფო კვლავ აწყდება სიძნელეებს პაქტით გათვალისწინებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებაში, რაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესით არის გამოწვეული.*

*3. კომიტეტი სინანულით აღნიშნავს, რომ მიუხედავად საერთაშორისო დახმარებისა, რომელსაც წევრი სახელმწიფო იღებს, მან ვერ შეძლო შეესრულებინა წევრი სახელმწიფოს პირველადი მოხსენების შესახებ კომიტეტის წინა დასკვნითი მოსაზრებებში მოცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი.*

*4. კომიტეტი შეშფოთებულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა სფეროში არსებულ კანონმდებლობასა და მის შესრულებას შორის არსებული სხვაობით.*

*კომიტეტი სთავაზობს წევრ სახელმწიფოს, რომ გააუმჯობესოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სფეროში არსებული კანონმდებლობის აღსრულება, აგრეთვე მაქსიმალური ეფექტიანობით განახორციელოს ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სხვადასხვა გეგმები და პროგრამები.*

*5. კომიტეტი კვლავ შეშფოთებულია წევრ სახელმწიფოში პაქტის დებულებათა ცოდნის ნაკლებობით. კომიტეტი სთავაზობს წევრ სახელმწიფოს გააუმჯობესოს ადამიანის უფლებათა სწავლება, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სახელმწიფო მოხელეებისათვის მოაწყოს შესაბამისი ტრენინგები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.*

სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობა და ხელისუფლება ნაკლებადაა ინფორმირებული ამ პაქტის შინაარსის და ჩვენი ქვეყნის ვალდებულებების შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა აგრეთვე უფრო მეტ ყურადღებას სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს უთმობს. ამავე დროს, მისასალმებელია, რომ მდგომარეობა თანდათანობით უკეთესობისკენ იცვლება. ასე, მაგალითად, მოცემული მოხსენების განხილვისათვის რამდენიმე ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მოამზადეს და წარუდგინეს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტს ალტერნატიული ანგარიშები, სადაც შესაბამისი ინფორმაცია და შეფასებები არის მოცემული.

***6. კომიტეტი ღრმა შეშფოთებას გამოხატავს იმის გამო, რომ წევრმა სახელმწიფომ ვერ შეძლო ადეკვატური ზომები მიეღო ფართოდ გავრცელებული კორუფციის წინააღმდეგ, რომელიც შემოსავლების და რესურსების შემცირებისა და არასათანადო განაწილების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია და განაპირობებს ძალზე მძიმე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მდგომარეობას წევრ სახელმწიფოში. კომიტეტი განსაკუთრებით შეშფოთებულია საერთაშორისო დახმარების სახით მიღებული თანხების გამოყენების ნაკლები ეფექტიანობით.***

*კომიტეტი დაბეჯითებით მოითხოვს წევრი სახელმწიფოსაგან, რომ მიიღოს ქმედითი ზომები კორუფციასთან ბრძოლისთვის, განსაკუთრებით გაზარდოს გამჭვირვალობა და გამართოს შესაბამისი კონსულტაციები გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფომ უნდა გადადგას ეფექტიანი ნაბიჯები ფონდების განაწილების შეფასების მიზნით, განსაკუთრებით მიღებული დახმარების გამოყენების მიზანმიმართულობის თვალსაზრისით, აგრეთვე განახორციელოს ფონდების განაწილების მონიტორინგი და მიღებული შედეგების ზეგავლენის შეფასება.*

როგორც ჩანს, კორუფცია კვლავ ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დამაბრკოლებელ გარემოებად რჩება. კლასიკური გაგებით, თავისთავად კორუფცია არ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას, მაგრამ ეს მოვლენა ამგვარი დარღვევების საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება. საუბედუროდ, საანგარიშო პერიოდში კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით წარმატებები პრაქტიკულად არ ჩანდა.

*7. კომიტეტი გამოხატავს ღრმა შეშფოთებას წევრ სახელმწიფოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სავალალო მდგომარეობის გამო. წევრი სახელმწიფოს ძალისხმევა, რომ უზრუნველყოს ძირითადი მომსახურება ამ ადამიანთათვის და სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც ამ მიზნით იქნა მიღებული, მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს იძულებით გადაადგილებულ პირთა ძირითად საჭიროებებს, განსაკუთრებით დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, სათანადო საცხოვრისის, წყლით მომარაგების, ელექტრობის, ჯანმრთელობის სამსახურებისა და განათლების სფეროებში.*

*კომიტეტი დაჟინებით მოუწოდებს წევრ სახელმწიფოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მიიღოს ქმედითი ზომები იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, მიიღოს ფართომასშტაბიანი სამოქმედო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ამ კატეგორიის პირთა ადეკვატური საცხოვრისის, კვების, წყლის, დამედიცინო მომსახურების, დასაქმების და განათლების უფლებებს. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოში უნდა მოწესრიგდეს მათი სტატუსის საკითხი.*

*8. კომიტეტი შეშფოთებულია იმის გამო, რომ სახალხო დამცველი ეფექტიანად ვერ ახორციელებს თავის ფუნქციებს რესურსების უკმარისობით გამოწვეული დაბრკოლებების გამო.*

*კომიტეტი სთავაზობს წევრ სახელმწიფოს უზრუნველყოს სახალხო დამცველისათვის საჭირო რესურსების გამოყოფა. კომიტეტის წინადადებაა, რომ წევრი სახელმწიფო, ომბუდსმენის აპარატის საქმიანობის ქმედითობის ხელშეწყობის მიზნით, შეეცადოს მიიღოს საერთაშორისო დახმარება.*

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მოსაზრებებში სავსებით სწორად აისახა ის მატერიალური და ფინანსური პრობლემები, რომლებსაც საქართველოს სახალხო დამცველი აწყდება და რომელთა შედეგად მისი საქმიანობა საკმაოდ გართულებულია. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, ვერა და ვერ გადაწყდა სახალხო დამცველის და მისი აპარატის ხელფასების

გაზრდის საკითხი, საკმაოდ შეზღუდულია ჩვენს ბიუჯეტში სხვა მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრებიც. მივმართავ თხოვნით საქართველოს პარლამენტს და ფინანსთა სამინისტროს ყურადღებით მოეკიდოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ამ რეკომენდაციას. სხვა შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციებს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო არ არის რეალურად დაინტერესებული სახალხო დამცველის ინსტიტუტის ეფექტიანობასა და ქმედითუნარიანობაში.

***9. კომიტეტი ღრმად შეშფოთებულია იმის გამო, რომ მაღალია უმუშევრობის დონე წევრ სახელმწიფოში, განსაკუთრებით ქალაქად და ახალგაზრდებს შორის, ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნისა და მეწარმეთა მხარდაჭერისთვის განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად. კომიტეტი წუხილს გამოსატავს იმის გამო, რომ წევრ სახელმწიფოს არა აქვს ინფორმაცია ქვეყანაში არაფორმალური ეკონომიკისა და თვითდასაქმებულთა რეალური რაოდენობის შესახებ. კომიტეტი აგრეთვე შეშფოთებულია იმის გამო, რომ სამუშაო ძალისთვის დასაქმების ძებნის სტიმულირების პროცესი ქვეყანაში ნელი ტემპით მიმდინარეობს.***

სინამდვილეში ინფორმაცია ქვეყანაში არაფორმალური (ე.ი. უმეტეს შემთხვევაში ჩრდილოვანი) ეკონომიკის შესახებ არსებობს. ამაზე თუნდაც საქართველოს სტატისტიკის სახელწიფო დეპარტამენტის 2002 წლის წელიწადეული მეტყველებს. სტატისტიკური სამსახურების მონაცემთა თანახმად, გადასახადების და არასაგადასახადო შემოსავლებით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების საერთო დაბალ დონეს მჭიდროდ უკავშირდება ქვეყანაში დაუკვირვებადი ეკონომიკის მაღალი წილი. სტატისტიკური თვალსაზრისით აღურიცხავი ეკონომიკის დიდი ნაწილი ასახავს გადასახადებიდან თავის არიდების მიზნით დაფარულ პროდუქციასა და შემოსავლებს. საქართველოს სტატისტიკის სახელწიფო დეპარტამენტის დაკვირვებით, 2002 წელს სამეწარმეო სექტორში სტატისტიკურად დაუკვირვებადი გამოშვების წილი მთლიანი გამოშვების 57,1 პროცენტს შეადგენდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 0,2 პროცენტით, ხოლო 1998 წლის დონეს - 2,6 პროცენტით აღემატება. სტატისტიკოსები აღნიშნავენ, რომ დაუკვირვებადი გამოშვების წილი ყველაზე მაღალია საქმიანობის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ვაჭრობა (67%), აგრეთვე სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება (70%). ამასთან, საგულისხმოა, რომ საცალო ვაჭრობისა და რესტორნების სფეროში სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სპეციალურად ორგანიზებული გამოკვლევებისა და ექსპერტული შეფასებით, 2002 წელს ქვეყანაში საცალო სავაჭრო ქსელის საწარმოების რეალური მოცულობა 2,2-ჯერ, ხოლო რესტორნების მომსახურების მოცულობა – 3,5-ჯერ აღემატება დეკლარირებულ მაჩვენებლებს.

ჩვენი აზრით, ცხადია, რომ არსებულ სიტუაციაში გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების დრო უკვე დიდი ხანია დადგა. არ ვაპირებთ მზა ეკონომიკური რეცეპტების შემოთავაზებას (რაც ჩვენს კომპეტენციას აშკარად სცილდება), მაგრამ ჩვენი ვალია

დავაფიქსიროთ – მოცემულ მდგომარეობაში ადამიანის ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა დარღვევის ალბათობა გაცილებით მეტია, რადგან ილახება როგორც სახელმწიფოს, ისე დაუკვირვებად სექტორში მომუშავე დაქირავებულ პირთა ინტერესები.

***10. კომიტეტი აგრეთვე ღრმად შეშფოთებულია იმით, რომ წევრ სახელმწიფოში უკიდურესად დაბალია ხელფასების, კერძოდ მინიმალური ხელფასის დონე, რომელიც საგრძნობლად ჩამორჩება საარსებო მინიმუმს. მეტიც, კომიტეტი კვლავ გამოხატავს შეშფოთებას, რომ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ხელფასები თავის დროზე არ გაიცემა.***

***კომიტეტი დაბეჯითებით მოუწოდებს წევრ სახელმწიფოს უფრო აქტიურად იმოქმედოს შრომის უფლებისა და შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების უფლების უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ ლაპარაკია ხელფასის დროულ გადახდასა და მინიმალური ხელფასის ისეთი დონის განსაზღვრაზე, რომელიც შეესაბამება საარსებო მინიმუმს.***

კომიტეტის ამ მოსაზრების შუქზე არ შემიძლია არ შევეხო იმ თემას, რომლის განხილვა მიმდინარეობდა 2003 წლის დასაწყისში და მინიმალური ხელფასის მომატების საკითხთან არის დაკავშირებული. როგორც საქართველოს სახალხო დამცველი, მე მივესალმებოდი მინიმალური ხელფასის გაზრდას, რომ არა ერთი გარემოება – მე სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ამ ნაბიჯის ყველა შესაძლო, მოკლე და გრძელვადიანი შედეგი, მაკროეკონომიკური, ფინანსური თუ სოციალური, ზუსტად არის გათვლილი. მინიმალური ხელფასის მომატება არ წარმოადგენს თვითმიზანს. ლაპარაკია იმაზე, რომ მისი დონე უნდა შეესაბამებოდეს საარსებო მინიმუმს. საარსებო მინიმუმი დღითიდღე იზრდება (2002 წლის დეკემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,4%-ით), ე.ი. უნდა ხდებოდეს მინიმალური ხელფასის რეგულარული ინდექსაცია? რის ხარჯზე, რა წყაროებიდან? გამოიწვევს თუ არა მინიმალური ხელფასის გაზრდა დაუბეგრავი მინიმუმის მაჩვენებლის შეცვლას (9 ლარი)? და თუ დაუბეგრავი მინიმუმი შეიცვლება, რა ეკონომიკური ეფექტი ექნება ამ გადაწყვეტილებას? მინიმალური ხელფასის ზრდის შედეგად რა დონეზე აღმოჩნდება ინფლაციის მაჩვენებელი? რა ბედი ეწევა კომუნალური მომსახურების ტარიფებს და ზოგადად სამომხმარებლო ფასებს? ამ და ბევრ სხვა შეკითხვას უნდა გაეცეს დასაბუთებული პასუხი.

ეკონომიკაში სასწაულები არ ხდება. მინიმალური ხელფასის ესოდენ მკვეთრი (თითქმის 6-ჯერ) და მომენტალური მომატება სათანადო ეკონომოკური ფონის შექმნის გარეშე ნაკლებად რეალურად გვესახება. ვიზიარებ რა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის შეშფოთებას, მოვუწოდებ ხელისუფლებას მეტი სიფრთხილით მიუდგეს ამ პრობლემას, რათა ჩვენი მოსახლეობა საბოლოო ჯამში იმედგაცრუებული ან, უფრო მეტიც, მოტყუებული არ დარჩეს.

***11. კომიტეტი შეშფოთებულია სოციალური დახმარების დაბალი დონით, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება საარსებო მინიმუმს, და ეს დახმარება ხშირად დაგვიანებით გაიცემა.***

***კომიტეტი დაბეჯითებით მოუწოდებს წევრ სახელმწიფოს განახორციელოს სოციალური დაცვის სისტემის რეფორმა, კერძოდ: დაადგინოს უფრო გამოკვეთილი ურთიერთკავშირი პენსიასა და ადრეული***

*დასაქმების მთელ პროცესს შორის; გაზარდოს სოციალური დაცვის სფეროში არსებული დახმარებები მათი საარსებო მინიმუმთან მაქსიმალური მიახლოების მიზნით; უზრუნველყოს აღნიშნული დახმარებების დროული გაცემა, განსაკუთრებით იმ დაუცველი ჯგუფებისათვის, რომელთაც სხვა საარსებო წყარო არ გააჩნიათ.*

*12. კომიტეტი ისევ გამოხატავს ღრმა შეშფოთებას წევრ სახელმწიფოში სიღარიბის დონის მუდმივი ზრდისა და სიღარიბესთან ბრძოლის ღონისძიებათა არასაკმარისობის გამო. კომიტეტი კვლავ იმეორებს წინათ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ არსებობს ეფექტიანი მართვის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და მის განხორციელებაში (კომიტეტის 2000 წლის მაისის დასკვნითი მოსაზრებები, პარაგრაფი 7 და 8).*

*კომიტეტი კვლავ გამოხატავს შეშფოთებას იმის გამო, რომ ქვეყანაში არ არსებობს სიღარიბის დონის ანალიზისა და შეფასების მკაფიო კრიტერიუმები, აგრეთვე არ არის რეალურად გამოკვეთილი სიღარიბის ზღვარი (2000 წლის მაისში მიღებული კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები, პარაგრაფი 9).*

*კომიტეტი სთავაზობს წევრ სახელმწიფოს სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავების, კერძოდ, მსოფლიო ბანკისათვის განკუთვნილი დოკუმენტის მომზადების დროს უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების აქტიური და ქმედითი მონაწილეობა. კომიტეტი აგრეთვე ურჩევს წევრ სახელმწიფოს მიიღოს მხედველობაში კომიტეტის განცხადება სიღარიბის თაობაზე (E/C.12/2001/10), აგრეთვე გაერთიანების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მითითებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სიღარიბის შემცირებისათვის შემუშავებულ სტრატეგიებში ადამიანის უფლებათა საკითხების ინტეგრაციას.*

ჩვენდა სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში ამ კუთხით ბევრი არაფერი შეცვლილა. სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის პროგრამა მიღებული არ არის.

*13. კომიტეტი გამოხატავს თავის შეშფოთებას იმის გამო, რომ წევრი სახელმწიფოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცხოვრების პირობები არ არის დამაკმაყოფილებელი. კერძოდ, საქმე ეხება წყლის არასაკმარის, ელექტროენერგიისა და გათბობის არარეგულარულ მიწოდებას, რის შედეგად უმეტესწილად ზარალდებიან საზოგადოების ყველაზე დაუცველი და საზოგადოებისგან იზოლირებული ჯგუფები: მოხუცები, ინვალიდები, ადგილნაცვალი პირები, პაგიმრები და ღარიბები.*

*კომიტეტი ითხოვს წევრი სახელმწიფოსაგან, რომ კვლავ გააგრძელოს ძალისხმევა ქვეყნის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, სახელდობრ, გაუმჯობესოს წყლის, ელექტროენერგიისა და გათბობის მიწოდების ინფრასტრუქტურა, აგრეთვე გაითვალისწინოს საზოგადოების ნაკლებად დაცული და იზოლირებული ფენების: მოხუცების, ინვალიდების, ადგილნაცვალი პირების, პაგიმრებისა და სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები და მიანიჭოს მათ პრიორიტეტული მნიშვნელობა.*

*14. კომიტეტი გამოხატავს ღრმა შეშფოთებას იმის გამო, რომ საავადმყოფოებში არის მატერიალური და ტექნიკური რესურსების,*

*მედიკამენტების, სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა და კვების პროდუქტების უკმარისობა. კომიტეტი აგრეთვე ღრმად შეშფოთებულია იმის გამო, რომ სამედიცინო პერსონალს აქვს დაბალი ანაზღაურება, რის გამოც საბაზისო სამედიცინო მომსახურების გასაწევად დაწესებულია არაფორმალური გადასახდელები, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ეს მომსახურება უფასოა. ამ არაფორმალური გადასახდელების უარყოფითი ეფექტი განსაკუთრებით თვალშისაცემია იმის გამო, რომ ყოველივე ამის შედეგად საბაზისო სამედიცინო მომსახურება მიუწვდომელი ხდება საზოგადოების ყველაზე ღარიბი და დაუცველი ფენებისთვის.*

*კომიტეტი ითხოვს წევრი სახელმწიფოსაგან, რომ მიიღოს ქმედითი ზომები საავადმყოფოებში არსებული საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის შრომის ადეკვატური ანაზღაურება და აქტიურად დაუპირისპირდეს არაფორმალური გადასახდელების პრაქტიკას.*

სკოლაში არსებული არაფორმალური გადასახების პრაქტიკის შესახებ საკმაოდ დიდი ხანია ცნობილი, არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებისთავისაც (იხ. მაგალითად გაეროს განვითარების პროგრამის ყოველწლიური ანგარიშები **"Human Development in Georgia"**). მიუხედავად ამისა, ქმედითი ნაბიჯები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გადადგმული ჯერაც არ არის.

*15. კომიტეტი განსაკუთრებით შეშფოთებულია სულიერად დაავადებული ადამიანების მდგომარეობის გამო, რომლებიც, გარდა იმისა, რომ განიცდიან სოციალურ სტიგმატიზაციას, ხშირად იმყოფებიან ისეთ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, რომლებშიც საყოფაცხოვრებო პირობები, მკურნალობა და მოვლა არ არის დამაკმაყოფილებელი.*

*კომიტეტი სთხოვს წევრ სახელმწიფოს მაქსიმალური ყურადღება მიაქციოს სულიერად დაავადებული პირების მდგომარეობას და მათი მკურნალობისა და მოვლის გაუმჯობესების მიზნით გამოყოს ადეკვატური დაფინანსება.*

*16. კომიტეტი შეშფოთებულია იმით, რომ, თუმცა დაწყებითი განათლება უნდა იყოს უფასო, როგორც ამას მოითხოვს კანონი და პაქტის მე-14 მუხლი, მშობლები იძულებული არიან შეიტანონ გარკვეული გადასახდელები სხვადასხვა მიზნის მისაღწევად. კომიტეტი აგრეთვე შეშფოთებულია სკოლიდან განთესვის მაღალი მაჩვენებლის გამო, განსაკუთრებით ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში.*

*კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ წევრმა სახელმწიფომ მიიღოს ზომები უფასო დაწყებითი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით და თავიდან აიცილოს არსებული დამატებითი მატერიალური დანახარჯები და არაფორმალური გადასახდელები. გარდა ამისა, კომიტეტი სთავაზობს წევრ სახელმწიფოს გააგრძელოს სასკოლო სისტემის რეფორმა, განსაკუთრებით სკოლიდან განთესვის მაქსიმალური შემცირების მიზნით.*

*17. კომიტეტი სთავაზობს წევრ სახელმწიფოს პაქტით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისას კვლავ შეეცადოს მიიღოს საერთაშორისო დახმარება და ჩაებას საერთაშორისო თანამშრომლობაში დონორებთან და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის*

*გაერის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან. ამ მიმართებით კომიტეტი სთავაზობს წევრ სახელმწიფოს, რომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა სფეროში ნაკისრი ვალდებულებების სრულად გათვალისწინება ტექნიკური თანამშრომლობისა და სხვა პროგრამებში.*

*კომიტეტი სთხოვს წევრ სახელმწიფოს ფართოდ გაავრცელოს მოცემული დასკვნითი მოსაზრებები საზოგადოების ყველა ფენაში, განსაკუთრებით სახელმწიფო მოხელეთა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის ...*

# მოქალაქეთა მომართვებისა და მიღების დეპარტამენტის 2002 წლის მეორე ნახევრის სტატისტიკური ინფორმაცია

მოქალაქეთა მომართვებისა და მიღების დეპარტამენტის 2002 წლის II ნახევრის

| სტატისტიკური ცნობარი | საერთო რაოდენ. | % |
|---|---|---|
| 1. მომართვების და მიღების საერთო რაოდენობა | 5167 | |
| 2. ზეპირი და წერილობითი განცხადებების რაოდენობა | 1828 | |
| - თბილისიდან | 1298 | 71.0 |
| 3. განცხადებები შინაარსის მიხედვით | | |
| - სისხლის სამართლის საქმის წარმოება (მოკვლევა-გამოძიება) | 396 | 21.7 |
| მათ შორის: უკანონო პატიმრობა | 95 | 5.2 |
| - სამოქალაქო სამართლის საქმის წარმოების თაობაზე | 165 | 9.0 |
| მათ შორის: სახამართლო გადაწყვეტილების არაღსრულებს თაობაზე | 51 | 2.8 |
| - რწმენის თავისუფლების შეზღუდვა | 46 | 2.5 |
| - სამხედრო სამსახურის შესახებ | 18 | 1.0 |
| - ქალთა უფლებები | 7 | 0.4 |
| - ბავშვთა უფლებები | 14 | 0.8 |
| - ეროვნული უმცირესობების დისკრიმინაცია | 3 | 0.2 |
| - პენსიებისა და სოციალური დახმარების საკითხი | 216 | 11.8 |
| - შრომითი უფლებები | 184 | 10.1 |
| - საბინაო პრობლემები | 196 | 10.7 |
| - მიწის დავები | 46 | 2.5 |
| - განათლების და კულტურის საკითხები | 32 | 1.8 |
| - სამედიცინო საკითხები | 48 | 2.6 |
| - საბანკო-საფინანსო საკითხები | 18 | 1.0 |
| - მეზობლური კონფლიქტი | 38 | 2.1 |
| - შეწყალების თაობაზე | 91 | 5.0 |
| - საოჯახო საკითხები | 74 | 4.0 |
| - სხვა | 236 | 12.9 |
| 4. ვის უჩივიან | | |
| - ხელისუფლების ორგანოებს | 134 | 7.3 |
| - მმართველობის ორგანოებს | 63 | 3.4 |
| - სახამართლო ორგანოებს | 275 | 17.9 |
| - თვითმმართველობის ორგანოებს | 15 | 0.8 |
| - შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს | 169 | 9.2 |
| - პროკურატურის ორგანოებს | 193 | 10.6 |
| - პენიტენციალური სისტემას | 21 | 1.1 |
| - თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებს | 43 | 2.4 |

| | | |
|---|---|---|
| - უშიშროების ორგანოებს | 2 | 0.1 |
| - საგადასახადო ორგანოებს | 20 | 1.1 |
| - ყველა დონის საარჩევნო კომისიას | 3 | 0.2 |
| - ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის ორგანოებს | 187 | 10.2 |
| - სხვადასხვა ინსტანციებს | 703 | 38.5 |
| 5. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და შუამდგომლობები | 463 | 25.3 |